

საქართველოს უზრუნველის სასამართლო

პრეზიდენტი რეკომენდაციაზე

სამოქალაქო საპროცესო
სამართლის საკითხებზე საკონსისტო
სასამართლოს მოსამართლეთა მიერ

თბილისი

დეკემბერი, 2010 წელი



საქართველოს უზენაესი სასამართლო

ISBN 978-9941-0-03-38-7

სარჩევი

ნიცასი 9

ნაცილი |

თავი I. მაგისტრატი მოსამართლის აღგილი სასამართლო სისტემაში	11
1. მაგისტრატი მოსამართლის განსჯადი სასარჩევო წარმოების საქმეები	14
1.1 ქონებრივი დავები	14
1.2 ქონებრივ-სამართლებრივი და არაქონებრივ-სამართლებრივი დავების გამიჯვნის წესი	15
1.3 სარჩელის ფასის განსაზღვრის წესი	17
1.4 არაქონებრივი და მისგან წარმოშობილი ქონებრივ-სამართლებრივი დავის განსჯადობა	23
1.5 მაგისტრატი მოსამართლის განსჯად ქონებრივ დავებზე ბაჟის გამოთვლის წესი	23
2. მაგისტრატი მოსამართლის განსჯადი უდავო წარმოების საქმეები	25
3. მაგისტრატი მოსამართლის განსჯადი გამარტივებული წარმოების საქმეები	26
4. მაგისტრატი მოსამართლის განსჯადი საოჯახო სამართლებრივი საქმეები	28
5. სამოქალაქო სამართალწარმოება მაგისტრატი მოსამართლის განსჯად საქმეებზე	30
5.1 სამართალწარმოების ძირითადი დებულებანი	30
5.2 უწყებრივი ქვემდებარება და განსჯადობა	30
5.3 სასამართლოს შემადგენლობა და აცილება	31
5.4 აღიარებითი სარჩელი	33
5.5 შეგებებული სარჩელი	33
5.6 სარჩელის უზრუნველყოფა	34
5.7 საქმის მთავარ სხდომაზე განხილვა	34
5.8 მაგისტრატი მოსამართლის განსჯადი საქმეების საპელაციო და საკასაციო წესით გასაჩივრება	37

თავი II. უდავო და გამარტივებული წარმომართა განხილვის საეციფიკა	39
6. უდავო წარმომება	39
6.1. ზოგადი წესები უდავო წარმომების შესახებ	39
6.2. იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენა	42
6.3 მოქალაქის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება და გარდაცვლილად გამოცხადება	56
6.4 მოქალაქის შეზღუდულ ქმედუნარიანად და ქმედუნაროდ აღიარება	64
6.5 დაკარგულ ან განადგურებულ საწარმდგენლო ფასიან ქაღალდსა და საორდერო ფასიან ქაღალდზე უფლების აღდგენა (გამოწვევითი წარმოება)	72
6.6 ქონების უპატრონოდ ცნობა	79
7. გამარტივებული წარმომება	84
7.1 ზოგადი დებულებები გამარტივებული წარმოების შესახებ	84
7.2 დავალიანების გადახდევინების შესახებ საქმის განხილვის გამარტივებული წესი	85
7.3 თამასუქისა და ჩეკის თაობაზე აღძრული სარჩელების განხილვა	95
7.4 ლიზინგის საგნის გამცემის მფლობელობაში ლიზინგის საგნის დაბრუნების თაობაზე საქმის განხილვის გამარტივებული წესი	103
8. მაგისტრატ მოსამართლეთა განსჯადი საოჯახო-სამართლებრივი	
ურთიერთობიდან გამომდინარე დავები	107
8.1 ზოგადი დებულებები	107
8.2 განქორწინება	108
8.3 ქორწინების ბათილობა (სამოქალაქო კოდექსის 1140-1150 მუხლები)	110
8.4 მეუღლეთა ურთიერთობის მოვალეობა	113
8.5 სარჩელები ალიმენტის გადახდევინების თაობაზე (სკ-ის 1212- 1238-ე მუხლები)	114
8.6 შვილისაგან განცალკევებით მცხოვრები მშობლის სარჩელი შვილთან ურთიერთობის თაობაზე. პაპისა და ბებიის სარჩელები შვილიშვილთან ურთიერთობის თაობაზე	118
8.7 მეუღლეებს შორის ქონებრივი დავები, თუ სარჩელის ფასი არ აღემატება 2000 ლარს (სკ-ის 1158-1171-ე მუხლები)	119
9. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის შედეგად შემუშავებული ქირითადი პრინციპები სახელმწიფო პაზის თაობაზე	123
10. სახელმწიფო პაზის დაკავშირებით საერთოების უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის ანალიზი	126

ნაცილი II

თავი I. სამოქალაქო სამართლის საქმეებზე სასარჩევო ზანდაზმულობასთან დაკავშირებული სასამართლო პრატიკის განხოგაძების შედეგები.....	132
თავი II. რეპორტის დოკუმენტის სამოქალაქო საპროცესო სამართლის სასამართლო პრატიკის პროცესუატურ საკითხებზე	144
საპროცესო თანამონაწილეობა.....	145
აღიარებითი სარჩევი.....	145
სასამართლო ექსპერტიზა	146
დავის საგნის ფასი	148
საპროცესო ხარჯების ანაზღაურება	149
არასათანდო მოპასუხე.....	150
მორიგება	151
სარჩევის უზრუნველყოფა	155
სასამართლო უწყება.....	160
დანართი. სასამართლოს გადაწყვეტილებათა ნიმუშები უდავო და გამარტივებული წარმოების საქმეებზე	165

შინასილყვაობა

საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეებს!

ძვირფასო კოლეგებო,

თქვენთვის ცნობილია, რომ 2005 წლიდან სასამართლო სისტემაში მასშტაბური, ყოვლისმომცველი რეფორმა მიმდინარეობს. სხვასთან ერთად, ამ რეფორმის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებაა. ამ მიზნის მისაღწევად საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ორი მიმართულებით დაიწყო მუშაობა.

თავდაპირველად, 2006 წლის თებერვალში, საფუძველი ჩაეყარა ახალ ინიციატივას, რაც გულისხმობს უზენაეს სასამართლოში ყველა ინსტანციის მოსამართლეთა რეგულარული შეხვედრების ორგანიზებას. ამ შეხვედრათა მიზანია სასამართლო პრაქტიკისათვის მნიშვნელოვანი საკითხების განხილვა, ანალიზი, სხვადასხვა ინსტანციის მოსამართლეთა განსხვავებული მოსაზრებების შეჯერება და დისკუსიის შედეგად კონკრეტულ ნორმათა ერთგვაროვანი გაგების ჩამოყალიბება. შეხვედრის შედეგები ფორმდება წერილობით და რეკომენდაციების სახით ეგზავნება ყველა მოსამართლეს მთელი ქვეყნის მასშტაბით. დღეისათვის მრავალი ასეთი შეხვედრა გაიმართა, მათ შორის სამოქალაქო სამართლის საკითხებზეც, რომელთა შედეგად მიღებულმა რეკომენდაციებმა ძალიან შეუწყობელი ერთგვაროვანი პრაქტიკის დამკვიდრებას და, შესაბამისად, სამოქალაქო საქმეთა სწრაფ და კვალიფიციურ განხილვას. ეს ყველაფერი დასტურდება როგორც ჩვენს ხელთ არსებული სტატისტიკური მონაცემების, ისე 2010 წელს ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის რამდენიმე კვლევის საფუძველზე, რომელთა მიხედვითაც სამოქალაქო საქმეების განხილვის საშუალო ვადა სამივე ინსტანციის სასამართლოში არის დაახლოებით 15-16 თვე, თანაც, აქვე უნდა გავითვალისწინოთ, რომ 2009 წელს და 2010 წლის 9 თვეში პირველი ინსტანციის სასამართლოთა მიერ განხილული სამოქალაქო საქმეების მხოლოდ 12% გასაჩივრდა ზემდგომ ინსტანციაში. შესაბამისად, გაიზარდა მოქალაქეთა ნდობა სასამართლოს მიმართ და ზემოაღნიშნულ კვლევათა შედეგების მიხედვით იგი დაახლოებით 60% შეადგენს.

მეორე მხრივ, მას შემდეგ, რაც საქართველოს ბევრ რეგიონში ამოქმედდა გაერთიანებული რაიონული (საქალაქო) სასამართლო და მაგისტრატი სასამართლოები, მათ მიერ საქმეთა სწრაფად განხილვის ხელშეწყობის მიზნით, 2007 წლის 29 სექტემბერს შეიქმნა კომისია სამოქალაქო საპროცესო სამართლის საკითხებზე კონკრეტული ხასიათის პრაქტიკული რეკომენდაციების მოსამზადებლად. კომისიამ შეისწავლა და განაზოგადა შესაბამისი სასამართლო პრაქტიკა და 2008 წლის იანვრის ბოლოსათვის შეიმუშავა სათანადო პრაქტიკული რეკომენდაციები მაგისტრატი მოსამართლების განსჯად სამოქალაქო საქმეებთან დაკავშირებით. ამ რეკომენდაციათა გამოყენებამ როგორც პირველი ინსტანციის, ისე სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეთა მიერ ასევე შეუწყო ხელი საქმეთა სწრაფ და კვალიფიციურ განხილვას და დიდი წვლილი შეიტანა ზემოაღნიშნული წარმატების მიღწევაში.

წინამდებარე კრებულით ჩვენ გთავაზობთ როგორც კომისიის მიერ, ისე მოსამართლეთა შეხვედრების შედეგად შექმნილ რეკომენდაციებს.

მოცემული რეკომენდაციები ჩამოყალიბებულია მოკლედ და ისინი მარტივად, ნათლად და მკაფიოდ გადმოსცემენ საკითხის არსს. ცხადია, რომ სამართლის ყველა ნორმასთან დაკავშირებით ერთიანი მიდგომის ჩამოყალიბებას წლები დასჭირდება, მაგრამ, ნათელია ისიც, რომ ამგვარი მუშაობის შედეგად შექმნილ რეკომენდაციათა გამოყენებით ჩვენ შედარებით სწრაფად შევძელით კონკრეტულ პრობლემატურ სამოქალაქო-სამართლებრივ საკითხთა მოგვარება და მათი ერთგვაროვანი გამოყენება. საბოლოო ჯამში, ჩვენი მიზანია ნორმათა უმრავლესობასთან დაკავშირებით ასეთი ერთიანი მიდგომის განვითარება, რაც ხელს შეუწყობს სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელებას. აქ იგულისხმება არა მხოლოდ მოსამართლეთა მიერ პროცესის უფრო სწრაფად წარმართვის შესაძლებლობა, არამედ ისიც, რომ ადვოკატებისა და მათი კლიენტების უმრავლესობისათვის თავიდანვე განჭვრეტადი იქნება მათი სამართლებრივი პრეტენზიის პერსპექტივა. მათ ასევე ეცოდინებათ, რომ ეს პრაქტიკა თანმიმდევრულად გამოიყენება არა მხოლოდ | ინსტანციის კონკრეტულ სასამართლოში, არამედ ზემდგომი ინსტაციის სასამართლოებშიც და საქართველოს უზენაესი სასამართლო სწორედ თანმიმდევრული პრაქტიკის გათვალისწინებით ცნობს სარჩელებს დასაშვებად ან დაუშვებლად. განვლილმა წლებმა გვაჩვენა, რომ ამგვარი მუშაობის შედეგად ზედა ინსტანციებში შემცირდა სარჩელთა რაოდენობა, რადგან გონიერი და კეთილსინდისიერი ადვოკატები და მათი კლიენტები ტყუილად არ სწევენ ხარჯებს სასამართლოში და არ კარგავენ დროს, ისინი ცდილობენ მონინააღმდეგე მხარესთან მორიგებას და მიიჩნევენ რომ პირველი ინსტანციის მოსამართლეთა გადაწყვეტილებები მიღებულია ერთგვაროვანი პრაქტიკის გათვალისწინებით, შესაბამისად ეს გადაწყვეტილებები არის ობიექტური და სამართლიანი.

პატივისცემით,

კონსტანტინე კუბლაშვილი

6. მაგისტრატი

თავი I. მაგისტრატი მოსამართლის ადგილი სასამართლო ცისტები

საქართველოს საერთო სასამართლოების ერთიან სისტემაში შედიან რაიონული (საქალაქო) სა-სამართლოები, სააპელაციო სასამართლოები, საქართველოს უზენაესი სასამართლო. რაიონული (საქალაქო) სასამართლოს შემადგენლობაში შეიძლება შედიოდნენ მაგისტრატი მოსამართლეები. მაგისტრატი მოსამართლე ეწოდება რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლეს, რომელიც თავის უფლებამოსილებას ახორციელებს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიაზე არსებულ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში.

რაიონული სასამართლო იქმნება მუნიციპალიტეტში (მუნიციპალიტეტებში), ხოლო საქალაქო სა-სამართლო იქმნება თვითმმართველ ქალაქში. საქალაქო სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია თვითმმართველ ქალაქთან ერთად შეიძლება მოიცავდეს მუნიციპალიტეტსაც (მუნიციპალიტეტებსაც). რაიონული (საქალაქო) სასამართლო იქმნება და მისი სამოქმედო ტერიტორია განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით.

სასამართლო ცისტები

საკასაციო სასამართლო
(საჩართველოს უზენაესი სასამართლო)

სააპელაციო სასამართლოები
(თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო
სასამართლოები)

პირველი ინსტანციის სასამართლოები
(რაიონული (საქალაქო) სასამართლოები,
ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულები
მოქმედი მაგისტრატი მოსამართლეები)


რაიონული სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია, როგორც წესი მოიცავს რამდენიმე ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულს. მაგალითად, მცხეთის რაიონული სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიას განეკუთვნება მცხეთის რაიონი, დუშეთის რაიონი, ყაზბეგის რაიონი, თიანეთის რაიონი, ახალგორის რაიონი.

მცხეთის რაიონული სასამართლოს შემადგენლობაში შედიან მაგისტრატი მოსამართლები, რომელიც თავიანთ უფლებამოსილებას ახორციელებენ დუშეთის, ყაზბეგის, თიანეთისა და ახალგორის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში. მცხეთის რაიონის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში, რომელიც რაიონული სასამართლოს ცენტრს წარმოადგენს, მაგისტრატი მოსამართლე არ არის დანიშნული და ამ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში ყველა საქმეს, მათ შორის მაგისტრატი მოსამართლის განსჯად საქმეებსაც, იხილავენ მცხეთის რაიონული სასამართლოს სხვა მოსამართლები.

ანალოგიური პრინციპით ხდება სხვა რაიონულ სასამართლოებში მაგისტრატი მოსამართლის დანიშნა და უფლებამოსილების განხორციელება.


მაგისტრატი მოსამართლე შედის რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლეთა კორპუსში, იგი თავის უფლებამოსილებას განცალკევებით, რაიონული (საქალაქო) სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიის ადმინისტრაციულ (ტერიტორიულ) ერთეულში ახორციელებს. იმ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში, სადაც არ მოქმედებს მაგისტრატი მოსამართლე, აგრეთვე მისი არყოფნის შემთხვევაში, მაგისტრატი მოსამართლის განსჯადი საქმეები შეიძლება განიხილოს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს სხვა მოსამართლემ, რაც იმას ნიშნავს, რომ, თუ რაიონული (საქალაქო) სასამართლოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში მაგისტრატი მოსამართლე ჯერ დანიშნული არ არის ან თუ დანიშნულია და იმყოფება სამსახურებრივ მივლინებაში, შვებულებაში და ა. შ. მაშინ შესაძლებელია, რომ მაგისტრატი მოსამართლის განსჯადი საქმე რაიონული (საქალაქო) სასამართლოს სხვა მოსამართლემ განიხილოს. ვინაიდან რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლეთა შემადგენლობაში მაგისტრატი მოსამართლეებიც შედიან, ამიტომ რაიონული (საქალაქო) სასამართლოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით აღნიშნული საქმე შეიძლება განიხილოს, როგორც სხვა მაგისტრატმა მოსამართლემ, ისე რაიონული (საქალაქო) სასამართლოს სხვა მოსამართლემ. სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით განმტკიცებული ყველა ნორმა, რომელიც პირველი ინსტანციით საქმის განმხილველ მოსამართლეს ეხება, თავისთავად, მაგისტრატ მოსამართლეებზეც ვრცელდება.

რაიონული სასამართლო მაგისტრატი



მაგისტრატი მოსამართლეები პირველი ინსტანციით განიხილავენ შემდეგ საქმეებს:

- ა) ქონებრივ დავებს, თუ სარჩელის ფასი არ აღემატება 2000 ლარს;
- ბ) უდავო და გამარტივებული წარმოების საქმეებს, გარდა შვილად აყვანის, აგრეთვე გამარტივებული წესით გადახდის და ქონების უპატრონოდ ცნობის საქმეებისა, თუ მოთხოვნის ან ქონების ღირებულება აღემატება 2000 ლარს;
- გ) საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე დავებს, გარდა შვილად აყვანის, მშობლის უფლების ჩამორთმევის, მამობის დადგენისა და განქორწინების საქმეებისა, თუ მეუღლებს შორის არსებობს დავა ბავშვის მიკუთვნების თაობაზე.




1. მაგისტრატი მოსამართლის განსაზღვრულობის წარმოების საჭიროები

1.1 ქონებრივი დავები

ქონება არის ყველა ნივთი და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომელთა ფლობა, სარგებლობა და განკარგვა შეუძლიათ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს და რომელთა შეძენაც შეიძლება შეუზღუდავად, თუკი ეს აკრძალული არ არის კანონით ან არ ეწინააღმდეგება ზნეობრივ ნორმებს. საკუთრების საგანი შეიძლება იყოს არა მხოლოდ სხეულებრივი ნივთები, არამედ უსხეულო ნივთებიც. მოძრავია ყველა ის სხეულებრივი ნივთი, რომლებიც უძრავ ნივთებს არ განეკუთვნება. ამ სიკეთეებს მიეკუთვნება ის მოთხოვნები და უფლებები, რომლებიც შეიძლება გადაეცეს სხვა პირებს, ან გამიზნულია საიმისოდ, რომ მათ მფლობელს შეექმნას მატერიალური სარგებელი, ანდა მიენიჭოს უფლება მოსთხოვოს სხვა პირებს რაიმე. როგორც სხეულებრივი, ისე უსხეულო ნივთები სამართლებრივ ფასეულობად იქცევა იმის წყალობით, რომ მათ უკან გარკვეული პირის უფლებებია გამოკვეთილი. სხეულებრივი ნივთის უკან არსებული უფლებები, სწორედ ამ ნივთებზე არსებული უფლებებია და ამიტომ ფასეულობას წარმოადგენს საგნის თვით სხეული. სხვანაირად დგას საკითხი "უსხეულო ნივთებთან" მიმართებაში. ამ შემთხვევაში თვით უფლება და მოთხოვნაა ნივთი, ხოლო ის მატერიალიზებული საგანი არ წარმოადგენს მათ სხეულს. ასე მაგალითად, ფასიანი ქაღალდი გარკვეული მატერიალიზებული ობიექტია, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ იგი მასში გამოხატული მოთხოვნის სხეულია. არამატერიალური ქონებრივი სიკე-თეა ფასიანი ქაღალდები (აქციები, ჩეკი, თამასუქი და ა. შ.), სამრეწველო ნიმუში, სასაქონლო ნიშანი და ა. შ.

ამდენად, ქონებრივი დავის მატერიალურ-სამართლებრივი დეფინიცია მდგომარეობს იმაში, რომ ქონებრივი დავა არის ქონებრივ სიკეთესთან დაკავშირებული დავა, მიუხედავად იმისა, აღნიშნული სიკეთე მატერიალიზებული ფორმით არსებობს (მიწა, შენობა-ნაგებობა, ავტოსატრანსპორტო საშუალება, საყოფაცხოვრებო ნივთები, ძვირფასეულობა, ფული და ა. შ.), თუ არამატერიალიზებული ფორმით (ფასიანი ქაღალდი, სასაქონლო ნიშანი, სამრეწველო ნიმუში და ა. შ.) მთავარია, რომ დავის ობიექტს ქონება ან ქონებასთან დაკავშირებული უფლება წარმოადგენდეს.

დავა არაქონებრივია, თუ დავის ობიექტს არაქონებრივი სიკეთე წარმოადგენს. სი-



კეთე არაქონებრივია, თუ იგი მატერიალური სარგებელის მიღებაზე არ არის ორიენტირებული, მაგალითად, სახელის უფლების, პატივის, ღირსების, საქმიანი რეპუტაციის ან პირადი ცხოვრების საიდუმლოების, ასევე გამოსახულების უფლების დაცვა, ასევე პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა, რაც მატერიალურ მოთხოვნებთან არ არის დაკავშირებული, როგორიცაა მაგალითად სამსახურში აღდგენა და ა. შ.

იმისათვის, რომ ქონებრივი დავა მაგისტრატი მოსამართლის განსჯადობას დაექვემდებაროს, სავალდებულოა, რომ სარჩელის ფასი 2000 ლარს არ აღემატებოდეს.

მაგისტრატი მოსამართლე განიხილავს ყველა იმ ქონებრივ დავას, რომელიც მომდინარეობს სამოქალაქო, საოჯახო, სამენარმეო, შრომის და ა. შ. ურთიერთობებიდან, თუ სარჩელის ფასი არ აღემატება 2000 ლარს. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-14 მუხლი, 2006 წლის 13 ივლისამდე არსებული რედაქციით, შრომით-სამართლებრივ დავებს მაგისტრატი მოსამართლის განსჯადად მიიჩნევდა. თუმცა, 2006 წლის 13 ივლისს განხორციელებული ცვლილების შედეგად მე-14 მუხლის "დ" ქვეპუნქტი ამოღებულ იქნა. აღნიშნული ცვლილება არ ნიშნავს იმას, რომ შრომით-სამართლებრივი დავა მაგისტრატი მოსამართლის კომპეტენციას საერთოდ აღარ განეკუთვნება. უნდა ვიგულისხმოთ, რომ აღნიშნული ცვლილების შედეგად შრომით-სამართლებრივი დავები, ისევე როგორც, სამოქალაქო საპროცესო წესით განსჯადი სხვა დავები, მაგისტრატი მოსამართლის განსჯადობის საერთო რეჟიმში მოექცა, რაც იმას ნიშნავს, რომ მაგისტრატი მოსამართლე იხილავს შრომით-სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილ მხოლოდ ქონებრივ დავებს, რომელთა სარჩელის ღირებულება 2000 ლარს არ აღემატება, ხოლო თუ ქონებრივ მოთხოვნასთან ერთად (მაგ: მოცდენილი დროის ანაზღაურება) მხარეს არაქონებრივი პრეტენზიაც გააჩნია (მაგ: სამსახურში აღდგენა), მაშინ აღნიშნული საქმე, განსჯადობის საერთო წესების დაცვით, რაიონულმა (საქალაქო) სასამართლომ უნდა განიხილოს.

1.2 ქონებრივ-სამართლებრივი და არაქონებრივ-სამართლებრივი დავების გამიჯვნის წესი

ქონებრივ-სამართლებრივი დავის დროს, მიუხედავად იმისა, თუ რა სამართლებრივი ურთიერთობა უდევს მას საფუძვლად, საპროცესო მოთხოვნა მიმართულია ფულად თანხაზე, ფულადი ღირებულების მქონე ნივთებზე, ან უფლებებზე. საპროცესო მოთხოვნა განხილულ უნდა იქნეს

ქონებრივ-სამართლებრივად იმ შემთხვევებში, როცა მას საფუძვლად ქონებრივი ხასიათის სა-მართლებრივი ურთიერთობა უდევს, მიუხედავად იმისა, თუ რა სახის სარჩელი იქნა სასამართლოში წარდგენილი (აღიარებითი, მიკუთვნებითი თუ სამართლებრივი ურთიერთობის შეცვლისკენ მიმართული). ქონებრივ-სამართლებრივი ურთიერთობა არის ყველა ის ურთიერთობა, რომლის მიზანს წარმოადგენს მოგების მიღება ფულადი თანხის, ან ფულადი ღირებულების მქონე საგნების შენარჩუნება.

პატივისა და ღირსების შელახვიდან გამომდინარე მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის შემთხვევაში, მართალია ის ურთიერთობა, რომელიც ამ მოთხოვნას საფუძვლად უდევს, არ არის ქონებრივ-სა-მართლებრივი ხასიათის, მაგრამ მისგან გამომდინარე ფულადი კომპენსაციის მოთხოვნა განხილულ უნდა იქნას, როგორც ქონებრივ-სამართლებრივი. გარკვეული ქმედების აღკვეთის მოთხოვნა, რომელიც გამომდინარეობს საავტორო უფლებიდან, არის ქონებრივ-სამართლებრივი ხასიათის, თუ არამატერიალურ ინტერესთან ერთად საქმე ნაშრომის ეკონომიკურ გამოყენებასაც ეხება.

არაქონებრივ-სამართლებრივი დავების გამიჯვნა ქონებრივ-სამართლებრივი დავებისაგან ხდება გამორიცხვის მეთოდით და მოიცავს ყველა იმ შემთხვევას, რომელიც ქონებრივ-სამართლებრივ დავას არ წარმოადგენს. არაქონებრივ-სამართლებრივია ყველა დავა, როდესაც საქმე ეხება მხოლოდ პირად ან მის სოციალურ გარემოსთან დაკავშირებულ უფლებებს ყოველგვარი ეკონომიკური სარჩულის გარეშე. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ ყურადღება არ მიექცეს უმნიშვნელო ქონებრივ-სამართლებრივ ასპექტებს, რომლებიც ასეთ საქმეში შეიძლება გვხვდებოდეს. მოთხოვნა მხოლოდ მაშინ არის ქონებრივ-სამართლებრივი, როდესაც ის მნიშვნელოვნად ეხება ეკონომიკური ინტერესების დაცვას. ამის შეფასება კი უნდა მოხდეს მხარეთა მიერ სასარჩელო მოთხოვნის ფორმულირების და არა მათი ინტერესების შესაბამისად, მაგალითად, თუ მოსარჩელე მოპასუხისაგან მოითხოვს შეურაცხმყოფელი სატელეფონო ზარების აღკვეთას, მაშინ აქ საქმე გვაქვს არა-ქონებრივ დავასთან, მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი ქმედებით იზღუდება ტელეფონის მოხმარების უფლებაც, რასაც ეკონომიკური ფასეულობა აქვს. ამ შემთხვევაში გადამწყვეტია ის, რომ მოსარჩელე მოითხოვს შეურაცხმყოფელი ზარების აღკვეთას და ამით მისი პირადი უფლების ხელყოფას ასაჩივრებს. ტელეფონით სარგებლობის შეზღუდვა ამ შემთხვევაში უმნიშვნელო ქონებრივ-სამართლებრივ ასპექტს წარმოადგენს.

მაგისტრატი მოსამართლის განსაზღვით არ არის

არაქონებრივი დავა

გამონაკლისს წარმოადგენს საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილი არაქონებრივი დავები, რომელიც მაგისტრატი მოსამართლეები იხილავენ

ძონებრივი და მისგან დარღმობილი არაქონებრივი დავები

გამონაკლისს წარმოადგენს საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილი არაქონებრივი დავები, რომელიც მაგისტრატი მოსამართლეები იხილავენ

არაპონეპრივი დავის ქონეპრივი დავისაგან გამიჯვნის მათოდები

დადგენილ უნდა იქნას, სასარჩელო მოთხოვნა ქონებრივი ღირებულების
არის თუ არაქონებრივი

მოთხოვნის მატერიალური თუ არამატერიალური ხასიათი დადგენილ უნდა
იქნას მოთხოვნის ფორმულირებიდან და არა მხარეთა ინტერესების შესაბამისად

მნიშვნელობა არ აქვს მოთხოვნას რა სამართლებრივი
ურთიერთობა უდევს საფუძვლად

არაქონებრივ-სამართლებრივია ყველა დავა, როდესაც საქმე ეხება მხოლოდ
პირად ან მის სოციალურ ვარემოსთან დაკავშირებულ უფლებებს ყოველგვარი
კაონომიკური საფუძვლის გარეშე

1.3 სარჩელის ფასის განსაზღვრის წესი

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიზნებიდან გამომდინარე, სარჩელის ფასი და დავის საგნის ფასი განსილულ უნდა იქნეს სინონიმებად და სარჩელის ფასის განსაზღვრისას უნდა ვიხელმძღვანელოთ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 41-ე მუხლით, კერძოდ, დავის საგნის ფასი განისაზღვრება:

1. ფულის გადახდევინების შესახებ სარჩელისა - გადასახდელი თანხით;
2. ნივთის (ქონების) გადაცემის ან მიწოდების შესახებ სარჩელისა - ამ ნივთის საბაზრო ღირებულებით;
3. ალიმენტის გადახდევინების შესახებ სარჩელისა - ერთი წლის განმავლობაში გადასახდელი თანხების ერთობლიობით;
4. ვადიანი გასაცემის ან გადასახდელის შესახებ სარჩელისა - არაუმეტეს სამი წლის განმავლობაში გასაცემი ან გადასახდელი თანხების ერთობლიობით;
5. უვადო ან სამუდამო (გარდაცვალებამდე) გასაცემის ან გადასახდელის შესახებ სარჩელისა - სამი წლის განმავლობაში გასაცემი ან გადასახდელი თანხების ერთობლიობით;
6. გასაცემის ან გადასახდელის შემცირების ანდა გადიდების შესახებ სარჩელისა - იმ თანხით, რომლითაც მცირდება ანდა დიდდება გასაცემი ან გადასახდელი, მაგრამ არაუმეტეს ერთი წლის განმავლობაში;
7. ქონების ქირავნობის ხელშეკრულების ვადამდე მოშლის შესახებ სარჩელისა - დარჩენილი ვადით, მაგ-რამ არა უმეტეს სამი წლის განმავლობაში გადასახდელი თანხების ერთობლიობით;
8. გასაცემის ან გადასახდელის შეწყვეტის შესახებ სარჩელისა - არაუმეტეს სამი წლის განმავლობაში დარჩენილი გასაცემი ან გადასახდელი თანხების ერთობლიობით;
9. უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების ცნობის შესახებ სარჩელისა - უძრავი ნივთის საბაზრო ღირებულებით;
10. 4000 ლარით, თუ ქონებრივ-სამართლებრივ დავაში შეუძლებელია დავის საგნის ფასის განსაზღვრა;

11. თუ არაქონებრივ დავასთან ერთად განიხილება მისგან წარმოშობილი ქონებრივ-სამართლებრივი დავა, დავის საგნის ფასი განისაზღვრება მისგან წარმოშობილი უფრო მაღალი ღირებულების მოთხოვნის მიხედვით.

ზემოაღნიშნული დავები მაგისტრატი მოსამართლის განსჯადია, თუ აღძრულია სარჩელი:

1. ფულის გადახდევინების შესახებ და გადასახდელი თანხა არ აღემატება 2000 ლარს;
2. ნივთის (ქონების) გადაცემის ან მიწოდების შესახებ და სარჩელის აღვრის დროისათვის ამ ნივთის საბაზრო ღირებულება არ აღემატება 2000 ლარს (აღნიშნული წესით სარჩელის ფასი გამოითვლება იმ შემთხვევებში, როცა სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს ნივთზე უფლების დადგენა, ხოლო იმ შემთხვევაში, როცა ნივთზე უფლება დადგენილია და მოთხოვნა ნივთის გამოთხოვას ან ხელშეშლის აღკვეთას, ანუ ნეგატორულ და ვინდიკაციურ სარჩელს და ა. შ. ეხება, მაშინ სარჩელის ფასი პირობითად 4000 ლარით განისაზღვრება);
3. ალიმენტის გადახდევინების შესახებ და ერთი წლის განმავლობაში გადასახდელი თანხა არ აღემატება 2000 ლარს;
4. ვადიანი გასაცემის ან გადასახდელის შესახებ და არაუმეტეს სამი წლის განმავლობაში გასაცემი ან გადასახდელი თანხის ერთობლიობა არ აღემატება 2000 ლარს;
5. უვადო ან სამუდამო (გარდაცვალებამდე) გასაცემის ან გადასახდელის შესახებ და სამი წლის განმავლობაში გასაცემი ან გადასახდელი თანხის ერთობლიობა არ აღემატება 2000 ლარს;
6. გასაცემის ან გადასახდელის შემცირების ანდა გადიდების შესახებ და ის თანხა, რომლითაც მცირდება ანდა დიდდება გასაცემი ან გადასახდელი, მაგრამ არაუმეტეს ერთი წლის განმავლობაში, არ აღემატება 2000 ლარს;
7. ქონების ქირავნობის ხელშეკრულების ვადამდე მოშლის შესახებ და დარჩენილი ვადით, მაგრამ არა უმეტეს სამი წლის განმავლობაში, გადასახდელი თანხების ერთობლიობა არ აღემატება 2000 ლარს;
8. გასაცემის ან გადასახდელის შეწყვეტის შესახებ და არაუმეტეს სამი წლის განმავლობაში დარჩენილი გასაცემი ან გადასახდელი თანხის ერთობლიობა არ აღემატება 2000 ლარს;
9. უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების ცნობის შესახებ და სარჩელის აღვრის დროისათვის უძრავი ნივთის საბაზრო ღირებულება არ აღემატება 2000 ლარს.

ამდენად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 41-ე მუხლის დანაწესიდან ნათლად ჩანს, რომ თუ სარჩელი ეხება უვადოდ ან სამუდამოდ გასაცემ ან გადასახდელ თანხას, სარჩელის ფასი განისაზღვრება სამი წლის განმავლობაში გასაცემი ან გადასახდელი თანხის ერთობლიობით. შესაბამისად, მარტივი დასადგენია, აღნიშნული სარჩელის განსჯადობის საკითხი, კერძოდ, თუ სამი წლის განმავლობაში გასაცემი ან გადასახდელი თანხის ერთობლიობა არ აღემატება 2000 ლარს, დავა მაგისტრატი მოსამართლის განსჯადია.

მიუხედავად დავის საგნის სახისა (ქონების გადაცემა, ვადიანი გადასახდელი, უვადო გადასახდელი და ა. შ.), საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-40 მუხლის შესაბამისად, დავის საგნის ფასს მიუთითებს მოსარჩელე. თუ მოსარჩელის მიერ მითითებული ფასი აშკარად არ შეესაბამება სადავო ქონების რეალურ ღირებულებას, დავის საგნის ფასს განსაზღვრავს მოსამართლე სადავო ქონების საბაზრო ღირებულების მიხედვით. სადავო საგნის შეფასებისას მხედველობაში მიიღება იმ დროს არსებული ფასები, როდესაც შეტანილ იქნა სარჩელი. საქართველოს

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლის პირველი ნაწილის "ვ" ქვეპუნქტის შესაბამისად, სარჩელის ფასი, ანუ დავის საგნის ფასი მითითებული უნდა იყოს სარჩელში. ამავე კოდექსის 185-ე მუხლის თანახმად, მოსამართლე ხუთი დღის ვადაში შეამოწმებს სარჩელის დასაშვებობის წინაპირობებს, მათ შორის სარჩელის ფასს. თუ სარჩელის ფასი მითითებული არ არის, აღნიშნული წარმოადგენს ხარვეზის შესახებ განჩინების გამოტანის საფუძველს. თუ სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში მოსარჩელემ არ მიუთითა სარჩელის ფასი, მაშინ მაგისტრატი მოსამართლე გამოიტანს განჩინებას სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმისა და მისი მოსარჩელისათვის დაპრუნების შესახებ. თუ მოსამართლის მიერ დავის საგნის ფასის (სარჩელის ფასის) გამოანგარიშების შედეგად დადგინდება, რომ სარჩელის ფასი 2000 ლარს აღემატება, მაშინ მაგისტრატი მოსამართლე საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 186-ე მუხლის პირველი ნაწილის "ე" ქვეპუნქტის შესაბამისად, გან-ჩინებით უარს ამბობს სარჩელის მიღებაზე და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 187-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ამავე განჩინებაში უთითებს განსჯადი სასამართლოს დასახელებასა და მისამართს. სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შესახებ განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 415-417-ე მუხლების შესაბამისად, კერძო საჩივარი შეტანილ უნდა იქნას წერილობითი ფორმით განჩინების გამომტან მაგისტრატ სასამართლოში, რომელიც საქმესთან ერთად გადაეგზავნება ზემდგომ, მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს.

ამდენად, სარჩელის ფასს განსაზღვრავს მოსარჩელე. მოსარჩელის მიერ სარჩელის ფასის არაჯეროვნად განსაზღვრის შემთხვევაში, სარჩელის ფასს განსაზღვრავს მოსამართლე. სარჩელის ფასი დგინდება სარჩელის დასაშვებობის ეტაპზე, რაც იძლევა იმის საშუალებას, რომ დასაშვებობის ეტაპზევე გაირკვეს განსჯადი სასამართლო (მაგისტრატი სასამართლო, თუ რაიონული (საქალაქო) სასამართლო).

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 41-ე მუხლის პირველი ნაწილის "ვ" ქვეპუნქტის თანახმად, დავის საგნის ფასი განისაზღვრება 4000 ლარით, თუ ქონებრივ-სამართლებრივ დავაში (საკუთრების ხელყოფა ან სხვაგვარი ხელშეშლა, სამეზობლო დავა და სხვა) შეუძლებელია დავის საგნის ფასის განსაზღვრა. აღნიშნული წესით სარჩელის ფასი გამოიანგარიშება იმ შემთხვევაში, როცა სასარჩელო მოთხოვნა დავის საგანზე უფლების დადგენას ან აღიარებას კი არ გულისხმობს, არამედ როცა უფლების საკითხი უკვე გარკვეულია და მოსარჩელე აღნიშნულ ნივთზე ხელშეშლის აღკვეთას ან უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვას და ა. შ. ითხოვს.

ამდენად, ვინაიდან კანონმდებელი სარჩელის ფასის დაუდგენლობის შემთხვევაში დავის საგანს, პირობითად, 2000 ლარზე მაღალი ღირებულებით - 4000 ლარით აფასებს, მაგისტრატი მოსამართლისათვის ამგვარი სარჩელით მიმართვის შემთხვევაში მაგისტრატმა მოსამართლემ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 186-ე მუხლის პირველი ნაწილის "ე" ქვეპუნქტით უნდა იხელმძღვანელოს და განსჯადობის საფუძვლით სარჩელის მიღებაზე უარი უნდა თქვას. მაგისტრატი მოსამართლე ვალდებულია ამავე გან-ჩინებაში მიუთითოს, თუ რომელ სასამართლოს მიმართოს მოსარჩელემ.

მაგისტრატი მოსამართლე სასამართლო სამართალწარმოების განხორციელებისას ბაჟისაგან გათავისუფლების იმ წესებით ხელმძღვანელობს, რომლებიც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსშია განმტკიცებული, კერძოდ, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდისაგან თავისუფლდებიან:

1. მოსარჩელეები - ალიმენტის გადახდევინების სარჩელებზე;
2. მოსარჩელეები - დასახირებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით, მარჩენალის სიკვდილით მიყენებული ზიანის ანაზღაურების სარჩელებზე;
3. მოსარჩელეები - დანაშაულით მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურების სარჩელებზე;
4. მხარეები - უკანონო მსჯავრდების, სისხლის სამართლის პასუხისმგებაში უკანონოდ მიცემის, ალკეთის ღონისძიებად დაპატიმრების უკანონოდ გამოყენების ან გამასწორებელ სამუშაოთა სახით ადმინისტრაციული სახდელის უკანონოდ დადების შედეგად მოქალაქისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურებასთან დაკავშირებულ სარჩელებზე;
5. მოსარჩელეები - არასრულწლოვანთა უფლებების დარღვევასთან დაკავშირებულ სარჩელებზე;
6. მხარეები, რომლებიც დადგენილი წესით რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და იღებენ საარსებო შემწეობას, რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით;
7. მხარეები - წინასწარი (შუალედური) გადაწყვეტილების სააპელაციო და საკასაციო წესით გასაჩივრებისას.

კანონით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდისაგან მხარეთა გათავისუფლების სხვა შემთხვევებიც. ბაჟისაგან გათავისუფლების "სხვა შემთხვევებს" ითვალისწინებს საქართველოს კანონი "სახელმწიფო ბაჟის შესახებ". აღნიშნული კანონის მე-5 მუხლის პირველ პუნქტის თანახმად, სასამართლო ხარჯებისაგან თავისუფლდებიან:

1. ფიზიკური პირები - სარჩელებზე ხელფასის გადახდევინების შესახებ და სხვა მოთხოვნებზე შრომის ანაზღაურების თაობაზე, რომლებიც გამომდინარეობს შრომით სამართლებრივი ურთიერთობიდან;
2. მოსარჩელეები - სარჩელებზე, რომლებიც გამომდინარეობს საავტორო, აგრეთვე აღმოჩენის, გამოგონების რაციონალიზატორული წინადადებებისა და სამრეწველო ნიმუშების უფლებებიდან;
3. მოსარჩელეები - სარჩელებზე ალიმენტის გადახდევინების შესახებ;
4. ფიზიკური და იურიდიული პირები - მათზე იმ დოკუმენტების გაცემისათვის, რომლებიც დაკავშირებულია სისხლის სამართლისა და ალიმენტის საქმეებთნ;
5. მოსარჩელეები - სარჩელებზე ზიანის ანაზღაურების შესახებ, რომლებიც მიყენებულია დასახირებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით, აგრეთვე მარჩენალის სიკვდილით;
6. ფიზიკური პირები - სისხლის სამართლის საქმეებთან დაკავშირებულ საკასაციო საჩივრებზე დანაშაულის შედეგად მიყენებული მატერიალური ზარალის ამოღების სისწორის შესახებ;
7. სოციალური დაზღვევის ორგანოები და სოციალური უზრუნველყოფის ორგანოები რეგრესულ სარჩელებზე ზიანის მიმყენებლის მიერ დაზარალებულზე გაცემული დახმარების ან პენსიის გადახდევინების შესახებ, ხოლო სოციალური უზრუნველყოფის ორგანოები - აგრეთვე სარჩელებზე არასწორად მიღებული დახმარებებისა და პენსიების შესახებ;
8. მოსარჩელე - დანაშაულით მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურების შესახებ;
9. მხარეები - საკასაციო საჩივრებზე განქორნინების საქმეების შეწყვეტის შესახებ;

10. შინაგან საქმეთა ორგანოები, როგორც მოსარჩელეები - სარჩელებზე იმ პირების ძებნასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ, რომლებიც თავს არიდებენ ალიმენტებისა და სხვა მსგავსი თანხების გადახდას;
11. სახელმწიფო საფინანსო-საკრედიტო, საგადასახადო, საბაჟო და სხვა მაკონტროლებული ორგანოები, როგორც მოსარჩელეები ან მოპასუხეები - სარჩელებზე გადასახდების, მოსაკრებულების, სახელმწიფო ბაჟისა და სხვა აუცილებელი გადასახდელების ბიუჯეტში გადახდისა და ბიუჯეტიდან თანხების დაბრუნების შესახებ, აგრეთვე განსაკუთრებული წარმოების საქმეებზე;
12. ინვალიდები, ინვალიდთა საზოგადოებრივი ორგანიზაციები, მათი დაწესებულებები, სასწავლო-საწარმოო ორგანიზაციები და გაერთიანებები - ყველა სარჩელზე;
13. სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული პირი, რაც დასტურდება სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის მოწმობით;
14. მოსარჩელეები - სარჩელებზე ისტორიული, მხატვრული და სხვა ფასეულობის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვის შესახებ;
15. მხარეები - სარჩელებზე მატერიალური ზარალის ანაზღაურების შესახებ, რომელიც მიყენებულია ფიზიკური პირის უკანონოდ გასამართლების, მისი სისხლის სამართლის პასუხისმგებაში უკანონოდ მიცემის, აღკვეთის ღონისძიების სახით უკანონოდ დაპატიმრების ან დაპატიმრების სახით ადმინისტრაციული სახდელის უკანონოდ დადების შედეგად;
16. იძულებით გადაადგილებული პირები და ლტოლვილები - საჩივრებზე მათი იძულებით გადაადგილებულ პირად და ლტოლვილად არცნობის შესახებ;
17. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, როგორც მოსარჩელე ან მოპასუხე - სარჩელებზე გარემოს გაჭუჭყიანებისა და გარემოს დაცვის კანონმდებლობის სხვა დარღვევების შედეგად სახელმწიფოსთვის მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად ბიუჯეტში თანხების გადახდევინების შესახებ;
18. საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტრო - სახელმწიფო ქონების პრივატიზებასთან დაკავშირებულ სადავო საკითხებზე;
19. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, როგორც მოსარჩელე ან მოპასუხე - სარჩელზე მიწის დაცვის წესების შეუსრულებლობისა და მიწის კანონმდებლობის სხვა დარღვევების შედეგად სახელმწიფოსათვის მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად ბიუჯეტში თანხების გადახდევინების შესახებ;
20. დაწესებულებები (ორგანიზაციები), რომელთა ხარჯები ფინანსდება მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტიდან - ყველა საქმეზე;
21. არქიტექტურულ-სამშენებლო ინსპექციები, როგორც მოსარჩელეები ან მოპასუხეები, საქართველოს კანონმდებლობით მათ კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე;
22. მშობელი ან არასრულწლოვანის კანონიერი წარმომადგენელი, როგორც მოსარჩელე - სარჩელზე არასრულწლოვნის უფლებების დარღვევის ან მისთვის მიყენებული ქონებრივი თუ მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე;
23. საქართველოს ეროვნული ბანკი - ყველა სარჩელზე;
24. ლიკვიდაციაში მყოფი კომერციული ბანკები და არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებები -

საკრედიტო კავშირებისათვის დაუფარავი სესხების, სესხების პროცენტებისა და სხვა დებიტორული დავალიანებების დაბრუნებაზე აღძრულ ყველა სარჩელზე;

25. საქართველოს ფასიანი ქალალდების ეროვნული კომისია - "ფასიანი ქალალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში;
26. საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური - "ფასიანი ქალალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში;
27. მოსარჩელე - თანამდებობის პირთა უკანონო და დაუსაბუთებელი ქონებისა და რეკეტული ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემის თაობაზე აღძრულ სარჩელებზე;
28. მოსარჩელე - უკანონო და დაუსაბუთებელი ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემის შესახებ აღძრულ სარჩელებზე;
29. საქართველოს თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტო, როგორც მოსარჩელე ან მოპასუხე - სარჩელზე თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევის თაობაზე;
30. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, როგორც მოსარჩელე - ნორმატიულ აქტებთან დაკავშირებულ სადავო საკითხებზე;
31. საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო, მისი ტერიტორიული ორგანოები, ასევე მისი მმართველობის სფეროში შემავალი სხვა ორგანოები კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე, არქეოლოგიურ ობიექტებზე და კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებში კანონის დარღვევით წარმოებული მიწის, სამშენებლო და სხვა სამუშაოების საკითხებზე.



ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დავა მაგისტრატი მოსამართლის განსჯადია თუ აღძრულია სარჩელი (განცხადება):

1. ფულის გადახდევინების შესახებ, თუ გადასახდელი თანხა არ აღემატება 2000 ლარს.
2. ალიმენტის შესახებ, თუ 1 წ. განმავლობაში გადასახდელი თანხა არ აღემატება 2000 ლარს.
3. უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების ცნობის შესახებ, თუ ქონების ღირებულება არ აღემატება 2000 ლარს.
4. ვადიანი გადასახდელის შესახებ, თუ სამი წლის განმავლობაში გადასახდელი თანხის ერთობლიობა არ აღემატება 2000 ლარს.
5. გადასახდელის შეწყვეტის შესახებ, თუ დარჩენილი გადასახდელი არაუმეტეს 3 წ. განმავლობაში არ აღემატება 2000 ლარს.
6. ნივთის გადაცემის შესახებ, თუ მისი ღირებულება არ აღემატება 2000 ლარს.
7. ქირავნობის ხელშეკრულების მოშლის შესახებ, თუ დარჩენილი არაუმეტეს 3 წლის განმავლობაში გადასახდელი თანხა არ აღემატება 2000 ლარს.
8. გადასახდელის შემცირების ანდა გადიდების შესახებ, თუ შემცირებული ან გადიდებული ოდენობა 1 წლის განმავლობაში არ აღემატება 2000 ლარს.
9. უვადო გადასახდელის შესახებ, თუ სამი წლის განმავლობაში გადასახდელითანხის ოდენობა არ აღემატება 2000 ლარს.

1.4 არაქონებრივი და მისგან წარმოშობილი ქონებრივ-სამართლებრივი დავის განსჯადობა


საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-14 მუხლის "ა" ქვეპუნქტის თანახმად, მაგისტრატი მოსამართლის განსჯადია ქონებრივი დავა. შესაბამისად, თუ არაქონებრივ დავასთან ერთად განიხილება მისგან წარმოშობილი ქონებრივ სამართლებრივი დავა (ან პირიქით), აღნიშნული არ წარმოადგენს მაგისტრატი მოსამართლის განსჯად საქმეს, თუნდაც უფრო მაღალი ღირებულების შედეგად დადგენილი დავის საგნის ფასი არ აღემატებოდეს 2000 ლარს. ეს წესი ვრცელდება იმ შემთხვევაზეც, როცა მოსარჩელეს ერთზე მეტი ქონებრივი მოთხოვნა აქვს და ერთ-ერთის ღირებულება 2000 ლარს აღემატება. აღნიშნული მსჯელობა მომდინარეობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლის მე-4 ნაწილიდან, რომლის თანახმად, თუ არსებობს ერთმანეთთან დაკავშირებული რამდენიმე სასარჩელო მოთხოვნა, რომელთაგან ერთ-ერთი არ განეკუთვნება მაგისტრატი მოსამართლის განსჯად საქმეს, საქმეს განიხილავს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს სხვა მოსამართლე.

1.5 მაგისტრატი მოსამართლის განსჯად ქონებრივ დავის გამოთვლის წესი

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 39-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მაგისტრატი მოსამართლის განსჯად საქმეზე სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ყველა ინსტანციის სასამართლოში შეადგენს ამ მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი ბაჟის ოდენობის ნახევარს. ამდენად, მაგისტრატი მოსამართლის განსჯად საქმეზე, კერძოდ, ქონებრივ დავებთან დაკავშირებით წარდგენილ სარჩელზე, შეგებებულ სარჩელზე, მესამე პირის სარჩელზე, რომელიც დამო-

უკიდებელ მოთხოვნებს აცხადებს დავის საგანზე, სახელმწიფო ბაჟის ოდენობა შეადგენს დავის საგნის ღირებულების 1,5%, მაგრამ არანაკლებ 50 ლარისა. ვინაიდან მაგისტრატი მოსამართლის განსჯადი ქონებრივი დავის სარჩელის ფასი 2000 ლარს არ უნდა აღემატებოდეს, ამიტომ ამგვარ დავებზე გადასახდელი სახელმწიფო ბაჟის მაქსიმალური ოდენობა 30 ლარია, ხოლო ვინაიდან ბაჟი, მოცემულ შემთხვევებში 50 ლარზე ნაკლები არ უნდა იყოს, ამიტომ მაგისტრატ მოსამართლის განსჯად სასარჩელო ქონებრივ დავებზე (სარჩელის ფასის მიუხედავად) სახელმწიფო ბაჟი 50 ლარს შეადგენს. რაც შეეხება მაგისტრატი მოსამართლის განსჯად უდავო წარმოების საქმეებს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილის "ლ" ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო ბაჟის ოდენობა უდავო წარმოების საქმეზე 50 ლარია, სააპელაციო და საკასაციო საჩივრებზე - შესაბამისად 100 ლარი და 300 ლარი. ვინაიდან მაგისტრატი მოსამართლის განსჯად საქმეზე სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ნახევრდება, ამიტომ უდავო წარმოების საქმეებზე მაგისტრატ მოსამართლესთან გადასახდელი სახელმწიფო ბაჟის ოდენობა 25 ლარს, ხოლო - აპელაცია-სა და კასაციაში 50 და 150 ლარს შეადგენს. აღნიშნული წესი არ ვრცელდება უდავო წარმოების წესით განსჯად ისეთ საქმეებზე, რომლებიც მაგისტრატი მოსამართლის განსჯადი არ არის (მა-გალითად, შვილად აყვანა, დავალიანების გადახდევინება და ქონების უპატრონოდ ცნობა, თუ მოთხოვნის ან ქონების ღირებულება 2000 ლარს აღემატება). რაც შეეხება გამარტივებულ წარ-მოებას, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილის "კ" ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო ბაჟის ოდენობა თამასუქის ან ჩეკის თაობაზე სარჩელზე - 100 ლარს, ხოლო სააპელაციო და საკასაციო საჩივრებზე - შესაბამისად, 150 და 300 ლარს შეად-გენს. ვინაიდან ჩეკისა და თამასუქის თაობაზე სარჩელები, მიუხედავად დავის საგნის ღირებულე-ბისა, მაგისტრატი მოსამართლის განსჯადია, ამიტომ ბაჟის მითითებული ოდენობა ყველა ინსტანციის სასამართლოში ნახევრდება და პირველ ინსტანციაში - 50 ლარს, აპელაციაში - 75 ლარს, ხოლო კასაციაში - 150 ლარს შეადგენს. გამარტივებული წესით განიხილება ასევე დავალი-ანების გადახდევინების შესახებ განცხადება, თუ მოთხოვნის ღირებულება 2000 ლარს არ აღემა-ტება. ამ შემთხვევაში მოქმედებს ბაჟის გადახდის საერთო წესი, რაც დავის საგნის ღირებულებიდან გამოითვლება, აღნიშნული წესის შესაბამისად, მაგისტრატ მოსამართლესთან გადასახდელი ბაჟი 50 ლარია. რაც შეეხება ლიზინგის საგნის გამცემის მფლობელობაში ლიზინ-გის საგნის დაპრუნების თაობაზე წარდგენილ განცხადებას, აღნიშნული დავაც მაგისტრატი მო-სამართლის განსჯადია, მიუხედავად დავის საგნის ღირებულებისა, ამიტომ ბაჟი დავის საგნის ღირებულებიდან გამოითვლება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწი-ლის "ა" ქვეპუნქტითა და ამავე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული წესების შესაბამისად.

მაგისტრატი მოსამართლის განსჯად სამშენებლის გადასახდელი გაზის ოდენობა



2. მაგისტრატი მოსამართლის კომპეტენციას განეკუთვნება უდავო წარმოების წესით განსჯადი შემდეგი საქმეები:

1. იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენა;
2. მოქალაქის უგზოუკვლოდ-დაკარგულად აღიარება და მოქალაქის გარდაცვლილად გამოცხადება;
3. მოქალაქის ქმედუუნაროდ და შეზღუდულქმედუნარიანად აღიარება;
4. დაკარგულ საწარმდგენლო ფასიან ქაღალდსა და საორდერო ფასიან ქაღალდზე უფლების აღდგენა (მიუხედავად იმისა ფასიანი ქაღალდით დაცული ქონებრივი სიკეთის ღირებულება 2000 ლარს აღემატება თუ არა);
5. ქონების უპატრონოდ ცნობა (თუ ქონების ღირებულება არ აღემატება 2000 ლარს).

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისად, უდავო წარმოების წესით, გარდა ზემოჩამოთვლილი საქმეებისა, განიხილება, ასევე შვილად აყვანა და დაკარგული საქმის წარმოების აღდგენა. კანონმდებლის იმპერატიული მოთხოვნის შესაბამისად, დაუშვებელია შვილად აყვანასთან დაკავშირებული საქმის განხილვა მაგისტრატი მოსამართლის მიერ. კანონმდებელი დუმს დაკარგულ საქმის წარმოებასთან დაკავშირებით, თუმცა, აღნიშნული საკითხის მომწესრიგებელი საპროცესო ნორმებიდან გამომდინარე, შესაძლებელია შემდეგი დასკვნის გაკეთება: განცხადება დაკარგული საქმის წარმოების აღდგენის შესახებ მაგისტრატ სასამართლოში შეიძლება შეტანილ იქნას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან გამოიტანა დაკარგულ საქმეზე გადაწყვეტილება (განჩინება) ამ საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ. თუ დაკარგული საქმის წარმოება არ არის დამ-თავრებული, მაშინ განცხადება მაგისტრატ სასამართლოში შეიტანება იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული საქმე მის წარმოებაშია.

3. მაგისტრატი მოსამართლის ბანსკადი გამართივებული წარმოების საქმიანობი

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-14 მუხლის "პ" ქვეპუნქტის თანახმად, მაგისტრატი მოსამართლის კომპეტენციას განეკუთვნება გამარტივებული წესით განსჯადი შემდეგი საქმეები:

1. თამასუქისა და ჩეკის თაობაზე აღძრული სარჩელები, მიუხედავად არამატერიალური სიკეთის ქონებრივი ღირებულებისა;
2. დავალიანების გადახდევინების შესახებ განცხადებები, თუ გადასახდელი თანხის ღირებულება არ აღემატება 2000 ლარს;
3. ლიზინგის საგნის გამცემის მფლობელობაში ლიზინგის საგნის დაბრუნების თაობაზე აღძრული განცხადება, მიუხედავად დასაბრუნებელი საგნის ღირებულებისა;

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში 2007 წლის 11 ივნისს განხორციელებული ცვლილებების შედეგად, გამარტივებული წესით განსჯად საქმეთა კატეგორიას დაემატა აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ საქმის განხილვა. მიუხედავად ამისა, იგი არ განეკუთვნება მაგისტრატი მოსამართლის განსჯად საქმეთა კატეგორიას, ვინაიდან ამავე კოდექსის 30910-ე მუხლის თანახმად, მყიდველის განცხადებას აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ განიხილავენ თბილისისა და ქუთაისის საქალაქო სასამართლოები, მყიდველის იურიდიული მისამართის შესაბამისად. ამ თავის მიზნებისათვის, თბილისის საქალაქო სასამართლოს იურისდიქცია მოიცავს აღმოსავლეთ საქართველოს, ხოლო ქუთაისის საქალაქო სასამართლოს იურისდიქცია - დასავლეთ საქართველოს. ამდენად, აქციათა სავალდებულო მიყიდვის თაობაზე საქმეებს, მიუხედავად მისი გამარტივებული წესით წარმოებისა, მაგისტრატი მოსამართლები არ განიხილავენ.

უდავო წარმოების თავით მაგისტრატი მოსამართლის განსჯადი საქმიანობი

მოქალაქის უგზოუკლოდ აღიარება და გარდაცვლილად გამოცხადება	მოქალაქის ქმედუუნაროდ და შეზღუდულქმედუნარიანად აღიარება	დაკარგულ საწარმდგენლო ფასიან ქაღალდსა და საორდერო ფასიან ქაღალდზე უფლების აღდგენა	ქონების უპატრონოდ ცნობა	იურიდიული მნიშვნელობის ფაქტების დადგენა
		ქონების ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 2000 ლარს	ფასიანი ქაღალდით დაცული ქონებრივი სიკეთის ღირებულების მიუხედავად	

გამართივებული ცენტო მაგისტრატი მოსამართლის განსაზღვრული საქმეები		
თამასუქი და ჩეკი	დავალიანების გადახდევინება	ლიზინგის საგნის გამცემის მფლობელობაში ლიზინგის საგნის დაპრუნება
მიუხედავად ქონებრივი ღირებულებისა	გადასახდელი თანხის ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 2000 ლარს	მიუხედავად დასაპრუნებელი საგნის ღირებულებისა

4. მაგისტრატი განსაზღვრული საოჯახო სახართლური გრივი საქმეები

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-14 მუხლის "გ" ქვეპუნქტის თანახმად, მაგისტრატი მოსამართლის კომპეტენციას განეკუთვნება:

საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე დავები, გარდა შვილად აყვანის, მშობლის უფლების ჩამორთმევის, მამობის დადგენის და განქორწინების საქმეებისა, თუ მეუღლეებს შორის არსებობს დავა ბავშვის მიკუთვნების თაობაზე. მაგისტრატი მოსამართლის განსჯადია განქორწინებასთან დაკავშირებული დავები, თუ მეუღლეებს შორის არ არსებობს დავა ბავშვების მიკუთვნების თაობაზე. თუ მეუღლეებს შორის არ არსებობს დავა ბავშვების მიკუთვნების თაობაზე, თუმცა არსებობს დავა ბავშვებთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-14 მუხლის "გ" ქვეპუნქტის შესაბამისად, აღნიშნული დავები მაგისტრატი მოსამართლის განსჯადია. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილ ქონებრივ დავებზე 2000 ლარიანი ლიმიტი ვრცელდება, რაც იმას ნიშნავს, რომ მაგისტრატი მოსამართლეები განიხილავენ ქონებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილ დავებს, რომელთა ღირებულება 2000 ლარს არ აღემატება. რაც შეეხება არაქონებრივ დავებს, მე-14 მუხლის "გ" ქვეპუნქტი ქონებრივ და არაქონებრივ დავებს ერთმანეთისაგან არ მიჯნავს, რაც იმას ნიშნავს, რომ სა-ოჯახო-სამართლებრივი დავები, როგორც ქონებრივი (არაუმეტეს 2000 ლარიანი ღირებულების სარჩელის საგნისა), ისე არაქონებრივი, მაგისტრატი მოსამართლის განსჯადია. ამდენად, მაგისტრატი მოსამართლე განიხილავს საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილ ქონებრივ დავებს, რომელთა ღირებულება 2000 ლარს არ აღემატება და არაქონებრივ დავებს, იმ გამონაკლისების გათვალისწინებით, რაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-14 მუხლის "გ" ქვეპუნქტშია მოცემული.

ამდენად,

**მაგისტრატი მოსამართლის არაგანსჯადი
საოჯახო-სამართლებრივი დავებია**

შვილად აყვანა	მამობის დადგენა	მშობლის უფლების ჩამორთმევა	განქორწინება, თუ მეუღლეებს შორის არსებობს დავა ბავშვის მიკუთვნების თაობაზე
---------------	-----------------	----------------------------	--



5. სამოქალაქო სამართალწარმოება მაგისტრატი მოსამართლის განსაზღვრული საჭიროებები

5.1 სამართალწარმოების ძირითადი დებულებები

მაგისტრატი მოსამართლეები სამოქალაქო სამართალწარმოების განხორციელების სას ხელმძღვანელობენ სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განმტკიცებული სამართალწარმოების შემდეგი ძირითადი დებულებებით:

1. უფლების სასამართლოს წესით დაცვა;
2. დისპოზიციურობის პრინციპი;
3. შეჯიბრებითობის პრინციპი;
4. მართლმსაჯულების განხორციელება მხოლოდ სასამართლოს მიერ მოქალაქეთა თანასწორობის საწყისებზე;
5. მოსამართლეთა დამოუკიდებლობა და მათი კანონისადმი დამორჩილება;
6. გადაწყვეტილების გამოტანა საქართველოს სახელით;
7. სამოქალაქო პროცესის საქვეყნობა;
8. სასამართლო გადაწყვეტილებათა სავალდებულობა.

ამდენად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განმტკიცებული სასამართლო სამართალწარმოების ზოგადი დებულებები საერთოა სამოქალაქო წესით მართლმსაჯულების განმახორციელებელი ყველა პირისათვის, მათ შორის მაგისტრატი მოსამართლეებისათვისაც.

5.2 უცყებრივი ქვემდებარეობა და განსპასულობა

მაგისტრატი მოსამართლეებს უწყებრივად ექვემდებარება ყველა ის საქმე, რომელსაც სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით საერთო სასამართლოები განიხილავენ. რაც შეეხება მაგისტრატი მოსამართლეების განსჯად საქმეებს, აღნიშნულ საქმეთა სისტემატიზებულ ჩამონათვალს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-14 მუხლი ითვალისწინებს (იხ. სსსკ-ის მე-14 მუხლის კომენტარი). სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის პირველი პრიმა ნაწილის

თანახმად, სარჩელები მაგისტრატი მოსამართლის განსჯად საქმეებზე შეიტანება მაგისტრატი მოსამართლის სამოქმედო ტერიტორიის მიხედვით, ხოლო იმ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში, სადაც არ მოქმედებს მაგისტრატი მოსამართლე - რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლი მაგისტრატი მოსამართლის განსჯად საქმეებზე გამოიყენება ჩვეულებისამებრ, ანუ სასამართლოს არჩევის უფლება, თუ საქმე რამდენიმე მაგისტრატი მოსამართლის განსჯადია, ეკუთვნის მოსარჩელეს. აღნიშნული წესი არ მოქმედებს მაშინ, როდესაც საქმე ერთდროულად რამდენიმე სასამართლოს განსჯადია იმის გამო, რომ არსებობს ერთმანეთთან დაკავშირებული რამდენიმე სასარჩელო მოთხოვნა, რომელთავა ერთ-ერთი არ განეკუთვნება მაგისტრატი მოსამართლის განსჯად საქმეს, ასეთ შემთხვევაში, მოსარჩელის არჩევანის მიუხედავად, საქმეს რაიონული (საქალაქო) სასამართლოში იხილავს. რაც შეეხება შეთანხმებას განსჯადობის შესახებ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 21-ე მუხლის პირველი ნაწილი მაგისტრატ მოსამართლეებზეც ვრცელდება, ანუ თუ არ არის დადგენილი ერთმნიშვნელოვნად განსჯადი სასამართლო, მაშინ მხარეებს შეუძლიათ შეთანხმების გზით დაადგინონ სასამართლოს განსჯადობა. შეთანხმება ფორმდება წერილობით. რაც შეეხება მოპასუხის თანხმობით არაგანსჯადი სასამართლოს განსჯადად ქცევას, ამ შემთხვევაში მოპასუხე წარმოდგენილი უნდა იყოს ადვოკატით ან სასამართლომ უნდა მისცეს განმარტება, რომ მას უფლება აქვს წამოაყენოს შესაგებელი არაგანსჯადობის წინააღმდეგ. სასამართლოს მიერ მოპასუხისათვის ასეთი განმარტების მიცემის შესახებ უნდა აღინიშნოს სასამართლო ოქმში.

5.3 სასამართლოს შემადგენლობა და აცილება

სამოქალაქო საქმეები მაგისტრატი მოსამართლის მიერ განიხილება ერთპიროვნულად. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის თანახმად, იმ შემთხვევაში, როდესაც რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში არის მოსამართლეთა საკმარისი რაოდენობა კოლეგიური შემადგენლობით საქმეთა განხილვისათვის ერთპიროვნულად საქმის განმხილველ მოსამართლეს შეუძლია დაადგინოს საქმის კოლეგიური განხილვა სამი მოსამართლის შემადგენლობით, თუ:

1. საქმის განხილვასა და გადაწყვეტას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სასამართლო პრაქტიკისათვის;
2. საქმე ფაქტობრივი ან სამართლებრივი თვალსაზრისით განსაკუთრებული სირთულით ხასიათდება.

მოტივირებული განჩინება საქმის სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობით განხილვის შესახებ მოსამართლეს გამოაქვს მთავარ სხდომაზე ამ საქმის განხილვის დაწყებამდე. განჩინება გადაეცემა სასამართლოს თავმჯდომარეს, რომელიც განსაზღვრავს კოლეგიურ შემადგენლობას ამ საქმის განმხილველი თავდაპირველი მოსამართლის აუცილებელი მონაწილეობით. მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებელი არაფერს ამბობს მაგისტრატი მოსამართლის მიერ საქმის კოლეგიური შემადგენლობით განხილვის დადგენასთან დაკავშირებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის სამართლებრივი ანალიზი იძლევა აღნიშნული მუხლის მაგისტრატ მოსამართლეებზე გავრცელების შესაძლებლობას შემდეგ გარემოებათა გამო:

1. მაგისტრატი მოსამართლე რაიონული (საქალაქო) სასამართლოს შემადგენლობაში არსებული, ტერიტორიულად განცალკევებით მოქმედი მოსამართლეა;
2. მაგისტრატი მოსამართლე, ისევე როგორც რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლე, საქმეს ერთპიროვნულად იხილავს;
3. მაგისტრატი მოსამართლე, ისევე როგორც რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლე, საქმეს პირველი ინსტანციით იხილავს;
4. მაგისტრატ მოსამართლეს (მიუხედავად მის მიერ შეზღუდული კატეგორიის საქმეების განსჯადობისა), ისევე როგორც რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლეს, შეიძლება ისეთი საქმე ჰქონდეს განსახილველად, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სასამართლო პრაქტიკისათვის, ან რომელიც ფაქტობრივი, ან სამართლებრივი თვალსაზრისით, განსაკუთრებული სირთულით ხასიათდება.

ამდენად, თუ მაგისტრატი მოსამართლე დაადგენს, რომ მისი განსჯადი საქმის განხილვასა და გადაწყვეტას სასამართლო პრაქტიკისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, ან თუ იგი ფაქტობრივი, ან სამართლებრივი თვალსაზრისით განსაკუთრებული სირთულით ხასიათდება, მაშინ მაგისტრატი მოსამართლე გამოიტანს მოტივირებულ განჩინებას ამ საქმის სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობით განხილვის შესახებ. განჩინება გადაეცემა იმ რაიონული (საქალაქო) სასამართლოს თავმჯდომარეს, რომლის ადმინისტრაციულ ერთეულშიც მოქმედებს აღნიშნული მაგისტრატი მოსამართლე. სასამართლოს თავმჯდომარე განსაზღვრავს კოლეგიურ შემადგენლობას ამ საქმის განხილველი თავდაპირველი (მაგისტრატი) მოსამართლის აუცილებელი მონაწილეობით. რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს მიერ საქმის განხილვაში მაგისტრატი მოსამართლის მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება საქმის განხილვის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილ წესრიგს, უფრო მეტიც, "საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-151 მუხლის მე-5 პუნქტი აუცილებლობის შემთხვევაში, მართლმსაჯულების განხორციელების შეფერხების თავიდან ასაცილებლად, სასამართლოს თავმჯდომარის დავალებით, ითვალისწინებს მოსამართლის მონაწილეობას სხვა სპეციალიზებულ შემადგენლობაში, მოსამართლის მიერ მაგისტრატი მოსამართლის უფლებამოსილების განხორციელებას, ასევე მაგისტრატი მოსამართლის მიერ რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში საქმის განხილვის შესაძლებლობას.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს მაგისტრატი მოსამართლის აცილების ან თვითაცილების შემთხვევაში საქმის განხილვის წესს, რაც იმას ნიშნავს, რომ მართალია, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლი არ აკონკრეტებს მოსამართლეთა აცილებისა და თვითაცილების წესების მაგისტრატ მოსამართლებზე გავრცელების შესაძლებლობას, მაგრამ ვინაიდან აღნიშნული წესები ზოგადი ხასიათისაა, იგულისხმება, რომ 34-ე მუხლი მაგისტრატ მოსამართლებზე იმავე წესით ვრცელდება, რა წესითაც იგი რაიონული (საქალაქო) სასამართლოების სხვა მოსამართლეებისათვის მოქმედებს. ე.ი. მაგისტრატი მოსამართლე აცილების მიღების ან თვითაცილების შემთხვევაში საქმეს იმ რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს თავმჯდომარეს გადასცემს, რომლის ადმინისტრაციულ ერთეულშიც იგი მოქმედებს. რაიონული (საქალაქო) სასამართლოს თავმჯდომარე საქმეს მის სამოქმედო ტერიტორიაზე არსებულ სხვა ადმინისტრაციული ერთეულის მაგისტრატ მოსამართლეს ან რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლეს გადასცემს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-6 თავი (საპროცესო უზრუნველყოფა), მე-7 თავი (საპროცესო ვადები), მე-8 თავი (სასამართლო შეტყობინება და დაბარება), მე-9 თავი (მხარეები), მე-10 თავი (საპროცესო თანამონაწილეობა), მე-11 თავი (მესამე პირები), მე-12 თავი (წარმომადგენლობა სასამართლოში), მე-13 თავი (მტკიცებულებათა შეგროვება და შეფასება), მე-14 თავი (მტკიცებულებათა უზრუნველყოფა), მე-15 თავი (ადგილზე დათვალიერება), მე-16 თავი (მხარეთა ახსნაგანმარტება), მე-17 თავი (წერილობითი მტკიცებულება), მე-18 თავი (მოწმეთა ჩვენება), მე-19 თავი (ნივთიერი მტკიცებულება), მე-20 თავი (ექსპერტის დასკვნა) მაგისტრატი მოსამართლის მიერ საქმის განხილვისას გამოიყენება ჩვეულებისამებრ.

5.4 აღიარებითი სარჩელი

საინტერესოა საკითხი იმის თაობაზე, თუ რამდენად განეკუთვნება აღიარებითი სარჩელი მაგისტრატი მოსამართლის განსჯადობას. აღიარებითი სარჩელის დროს სამართალურთიერთობის აქტიური ცენტრი გადატანილია უფლებაზე, მხარე ითხოვს თავისი უფლების დაცვას, რათა მომავალში არ დაირღვეს ის. უნდა აღინიშნოს, რომ მაგისტრატი მოსამართლის მიერ აღიარებითი სარჩელის განხილვა ისევე შესაძლებელია, როგორც მიკუთვნებითი სარჩელის. მაგრამ, ვინაიდან მაგისტრატი მოსამართლის განსჯადობა შეზღუდულია, უნდა ვივარაუდოთ, რომ მაგისტრატი მოსამართლის განსჯადობის შეზღუდული რეჟიმი აღიარებით სარჩელზეც ვრცელდება, რაც იმას ნიშნავს, რომ აღიარებითი სარჩელი მაგისტრატი მოსამართლის განსჯადია, თუ იგი იმ უფლებისა თუ სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენას, დოკუმენტების ნამდვილობის აღიარებას ან დოკუმენტების სიყალბის დადგენას ეხება, რომელთა ობიექტი მაგისტრატი მოსამართლის განსჯადობას განკუთვნილი საკითხებია (სსსკ, მუხლი 14), მაგალითად, აღიარებითი სარჩელი ეხება ისეთი ქონებრივი უფლების არსებობის სასამართლო წესით დადასტურების მოთხოვნას, რომლის ლირებულება 2000 ლარს არ აღემატება, ჩეკზე ან თამასუქზე დოკუმენტების ნამდვილობის აღიარებას და ა. შ.

თუ სარჩელი თავისი შინაარსისა და დანიშნულებიდან გამომდინარე აღიარებითი ხასიათისაა, მაშინ მაგისტრატმა მოსამართლემ (ისევე როგორც მიკუთვნებითი სარჩელის შემთხვევაში) დასაშვებობის ეტაპზევე უნდა შეამოწმოს მისი განსჯადობის საკითხი. თუ აღიარებითი სარჩელი სცილდება მაგისტრატი მოსამართლის კომპეტენციას და იგი რაიონული (საქალაქო) სასამართლოს განსჯადობას განეკუთვნება, მაშინ მაგისტრატმა მოსამართლემ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 186-187-ე მუხლების შესაბამისად განჩინებით სარჩელის მიღებაზე უარი უნდა თქვას. მაგისტრატმა მოსამართლემ ამავე გან-ჩინებაში უნდა დაასაბუთოს აღიარებითი სარჩელის მიღებაზე უარის თქმის საფუძვლები და მიუთითოს განსჯადი სასამართლო.

5.5 შეგებებული სარჩელი

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 188-ე მუხლის შესაბამისად, მოპასუხეს უფლება აქვს მისთვის სარჩელის ასლის ჩაბარებიდან საქმის ზეპირი განხილვისათვის წინასწარი მომზადების დამთავრებამდე აღძრას მოსარჩელის მიმართ შეგებებული სარჩელი პირვანდელ სარჩელთან ერთად განსახილველად. ამავე კოდექსის 189-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მოსამართლე მიიღებს შეგებებულ სარჩელს, თუ:

- შეგებებული სარჩელის მოთხოვნა მიმართულია პირვანდელი მოთხოვნის ჩასათვლელად;
- შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილება მთლიანად ან ნაწილობრივ გამორიცხავს პირვანდელი სარჩელის დაკმაყოფილებას;
- შეგებებულ სარჩელსა და პირვანდელ სარჩელს შორის არის ურთიერთკავშირი და მათი ერთად განხილვის შედეგად აღძრული დავა უფრო სწრაფად და სწორად გადაწყდება.

თუ სარჩელი მაგისტრატი მოსამართლის განსჯადია, ხოლო შეგებებული სარჩელი მაგისტრატი მოსამართლის კომპეტენციას სცილდება, მაშინ აღნიშნული სარჩელი შეგებებულ სარჩელთან ერთად განსახილველად რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს გადაეცემა. მოცემულ შემთხვევაში იგულისხმება, რომ შეგებებული სარჩელი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 188-189-ე მუხლებს აკმაყოფილებს.

5.6 სარჩელის უზრუნველყოფა

მოსარჩელემ მაგისტრატ მოსამართლეს მხოლოდ იმ სარჩელის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით შეუძლია მიმართოს, რომელიც მაგისტრატი მოსამართლის წარმოებაშია, ხოლო თუ სარჩელი ჯერ აღძრული არ არის, მაშინ მაგისტრატმა მოსამართლემ სარჩელის უზრუნველყოფის საკითხის განხილვამდე პირველ რიგში უნდა გაარკვიოს, ხომ არ სცილდება უზრუნველსაყოფი სასარჩელო მოთხოვნა მაგისტრატი მოსამართლის განსჯადობის ფარგლებს. თუ მოსამართლე დაადგენს, რომ უზრუნველსაყოფი მოთხოვნა მაგისტრატი მოსამართლის განსჯადია და მოთხოვნის უზრუნველყოფის განცხადება დასაკმაყოფილებელია, მაშინ მაგისტრატი მოსამართლე სარჩელის შეტანისათვის დაწინავს კანონით დადგენილ 10 დღიან ვადას, რომელიც აითვლება განჩინების მხარისათვის ჩაბარების მომენტიდან. თუ ამ ვადაში სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების შემტანი პირი არ აღძრავს სარჩელს, მაგისტრატი მოსამართლე თავისი ინიციატივით ან მოწინააღმდეგე მხარის შუამდგომლობის საფუძველზე გამოიტანს განჩინებას სარჩელის უზრუნველსაყოფად მის მიერ მიღებული ღონისძიებების გაუქმების შესახებ.

5.7 საქმის მომართვის სხდომაზე განხილვა

მაგისტრატი მოსამართლის მიერ საქმის მომზადება სასამართლოს მთავარ სხდომაზე განსახილველად იმავე წესით ხორციელდება, რასაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-14 თავი (საქმის მომზადება მთავარ სხდომაზე განსახილველად) ითვალისწინებს. რაც შეეხება საქმის მთავარ სხდომაზე განხილვას, აღნიშნულთან დაკავშირებით საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი სპეციალურ წესს ითვალისწინებს, კერძოდ, მაგისტრატი მოსამართლეები სამოქალაქო საქმეებს განიხილავენ დაჩქარებული წესით. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად, მაგისტრატი მოსამართლის მიერ დაჩქარებული წესით საქმის განხილვა არ წარმოადგენს მათ დისკრეციულ უფლებას. კანონი იმპერატიულად ითხოვს მაგისტრატ მოსამართლეთა განსჯადი ყველა საქმის დაჩქარებული წესით განხილვას. კანონმდებლის პოზიციიდან გამომდინარე, სავარაუდოა, რომ აღნიშნული მოთხოვნა მაგისტრატ მოსამართლეთა განსჯადი სამოქალაქო საქმეების სიმარტივემ განაპირობა, რაზეც ის ფაქტიც მეტყველებს, რომ კანონმდებელი ითხოვს, არა


მაგისტრატი მოსამართლეების მიერ საქმეთა დაჩქარებული წესით განხილვას, არამედ მაგისტრატი მოსამართლეების განსჯადი საქმეების დაჩქარებული წესით განხილვას, რაც იმას ნიშნავს, რომ მაგისტრატი მოსამართლის განსჯადი საქმე (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-14 მუხლით გათვალისწინებული საქმეები) რაიონულმა (საქალაქო) სასამართლომ (მოსამართლემ) რომ განიხილოს, იგი მაინც დაჩქარებული წესით უნდა იქნას განხილული.

თუ რა იგულისხმება დაჩქარებული წესით საქმის განხილვაში, აღნიშნულ კითხვაზე პასუხს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 2171-ე მუხლის მე-2 ნაწილი იძლევა, კერძოდ:


1. ჩვეულებრივი (არადაჩქარებული) სამოქალაქო საპროცესო წესით საქმის განხილვის დროს საქმის არსებითი განხილვა იწყება მოსამართლის მიერ მხარეთათვის მორიგების შეთავაზებით, რის შემდეგაც მოსამართლე მოახსენებს სასამართლოს საქმის შესახებ, მოკლედ გადმოსცემს სარჩელსა და შესაგებელში მითითებულ ძირითად გარემოებებს, რომლებიც უნდა ემყარებოდეს საქმეში არსებულ მასალებს. მოსამართლემ უნდა ჩამოაყალიბოს ფაქტები, რომლებიც საფუძვლად დაედო მოსარჩელის მოთხოვნას, ფაქტები, რომლებიც საფუძვლად დაედო მოპასუხის შესაგებელს, ფაქტები, რომლებიც მხარეები არ დავობენ, და ის ფაქტები, რომლებიც სადავოა, აგრეთვე მხარეების მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები, რომლებიც დაერთვის საქმეს. მოსამართლე საქმის მოხსენების შემდეგ ეკითხება მხარეებს, ხომ არ სურთ რაიმეს დამატება ან/და დაზუსტება. დაჩქარებული წესით საქმის განხილვის დროს კი, მოსამართლე საქმეზე მოხსენებისას მხოლოდ სადავო ფაქტობრივი გარემოებების გადმოცემით იფარგლება.
2. ჩვეულებრივი (არადაჩქარებული) წესით საქმის განხილვის დროს მოსამართლის მიერ საქმეზე მოხსენების შემდეგ მოსამართლე ისმენს მოსარჩელისა და მის მხარეზე მონაწილე მესამე პირის ახსნა-გან-მარტებებს, ხოლო შემდეგ სასამართლო მოისმენს მოპასუხისა და მის მხარეზე მონაწილე მესამე პირის ახსნა-განმარტებებს. მოსამართლე მხარეს სიტყვისათვის ან/და საქმის განხილვის თითოეული ეტაპისათვის განუსაზღვრავს დროს. განსაკუთრებულ შემთხვევაში, საქმის სირთულიდან გამომდინარე, სასამართლო უფლებამოსილია, მხარეს განუსაზღვროს დამატებითი დრო, რომელიც არ გამოიწვევს საქმის განხილვის გაჭიანურებას. დაჩქარებული წესით საქმის განხილვის დროს კი, მოსამართლეს, მხარეთა ახსნა-განმარტების მოსმენის ნაცვლად, საქმეზე მოხსენების შემდეგ უფლება აქვს მხარეებს დაუსვას შეკითხვები, რომლებიც ხელს შეუწყობს საქმისათვის მნიშვნელოვან ფაქტობრივ გარემოებათა დადგენას და ამ გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულებების გამოკვლევას. სასამართლოს ნებართვით თითოეულ მხარეს შეუძლია შეკითხვა დაუსვას მოწინააღმდეგე მხარეს და მის წარმომადგენელს სადავო ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით. მტკიცებულებათა გამოქვეყნება სავალდებულო არ არის. საქმის განხილვა მთავრდება პაექრობით და რეპლიკით.

ამდენად, საქმის მოხსენების შემდეგ, სასამართლო წყვეტს, თუ რამდენად საჭიროებს საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები დადგენას და ამ გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულებები გამოკვლევას, და ამის შესაბამისად სვამს კითხვებსა და აძლევს მხარეებს უფლებას, თავადაც დაუსვან ერთმანეთს კითხვები. მტკიცებულებათა გამოქვეყნება სავალდებულო არ არის, რაც იმას ნიშნავს, რომ აღნიშნულ საკითხსაც მოსამართლე თავის შეხედულებისამებრ წყვეტს. მხარეთა პაექრობისა და რეპლიკის ეტაპი დაჩქარებული სამართლნარმოების დროსაც სავალდებულოა.

**საქმის განხილვის ეტაპები ჩვეულებრივი
სასამართლო წარმოების შემთხვევაში:**



**საქმის განხილვის ეტაპები დაჩრდარებული
სასამართლო წარმოების შემთხვევაში:**



მაგისტრატი მოსამართლის მიერ საქმის მთავარ სხდომაზე განხილვასთან დაკავშირებით დაზუსტებას საჭიროებს კიდევ ერთი საკითხი, კერძოდ, სასამართლო სხდომის დარბაზში წესრიგის დაცვის უზრუნველყოფი ღონისძიებების გატარების მექანიზმები:

თუ სასამართლო სხდომაზე პირის ქმედება მიმართულია პროცესის ჩაშლისაკენ ან იგი გამოხატავს აშკარა ან/და უხეშ უპატივცემულობას მოსამართლის, პროცესის მონაწილის ან მხარის მიმართ, მაგისტრატი მოსამართლის მითითებით, სასამართლოს მანდატური უზრუნველყოფს პირის დაკავებას და დაკავების ოქმის შედგენას, ამასთანავე, მაგისტრატი მოსამართლე ადგენს მიმართვას, რომელშიც აღწერს დარღვევას და უგზავნის იმ რაიონული (საქალაქო) სასამართლოს თავმჯდომარეს, რომლის შემადგენლობაშიცაა ეს მაგისტრატი მოსამართლე. დაკავებული პირი დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 24 საათისა, უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს (მოსამართლეს), რომელსაც გაეგზავნა მიმართვა და რომელიც უფლებამოსილია გამოიტანოს განკარგულება ამ პირის 30 დღე-დამემდე ვადით პატიმრობის შესახებ. თუ სასამართლო დაადგენს, რომ პირს ერთხელ უკვე შეფარდებული ჰქონდა ამ ნაწილით გათვალისწინებული პატიმრობა, იგი უფ-

ლებამოსილია გამოიტანოს განკარგულება ამ პირის არა უმეტეს 60 დღემდე პატიმრობის შესახებ. თუ დაპატიმრების შესახებ განკარგულება გამოტანილ იქნა პროცესის მონაწილის მიმართ, სასამართლო სხდომა შეიძლება გადაიდოს აღნიშნული ვადით. განკარგულება გამოიტანება ზეპირი მოსმენის საფუძველზე, დაკავებული პირის წარდგენიდან დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 24 საათისა. სასამართლოში წესრიგის დარღვევის, სასამართლოს მიმართ უპატივცემულობის ან სასამართლოს ნორმალური ფუნქციონირებისათვის ხელის შეშლის შემთხვევაში სასამართლოს მანდატური უფლებამოსილია დააკავოს წესრიგის დამრღვევი პირი, რის შესახებაც ადგენს დაკავების ოქმს. სასამართლოს მანდატური ვალდებულია დაკავებული პირი დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 24 საათისა, წარუდგინოს იმავე სასამართლოს თავმჯდომარეს (ამ შემთხვევაში იგულისხმება, რომ დარღვევას ადგილი ჰქონდა მაგისტრატ მოსამართლესთან), ანუ იმ რაიონული (საქალაქო) სასამართლოს თავმჯდომარეს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც მაგისტრატი მოსამართლე თავის უფლებამოსილებას ახორციელებს. სასამართლოს თავმჯდომარე დაკავებული პირის წარდგენიდან არა უგვიანეს 24 საათისა, უფლებამოსილია დამრღვევი პირის მიმართ გამოიყენოს ზემოაღნიშნული უფლებამოსილებანი. პატიმრობის შესახებ განკარგულება დაუყოვნებლივ შედის ძალაში და იგი შეიძლება გაასაჩივროს პირმა, რომლის მიმართაც გამოიყენებულ იქნა პატიმრობა, სათანადო წესით მისთვის განკარგულების ასლის ჩაბარებიდან 48 საათის ვადაში. პირველი ინსტანციის სასამართლოს თავმჯდომარის განკარგულება ერთჯერადად საჩივრდება სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარესთან. საჩივარი განიხილება ზეპირი მოსმენის გარეშე და მისი განხილვის ვადა საჩივრის შეტანიდან 24 საათს არ უნდა აღემატებოდეს.

განკარგულება პროცესის მონაწილის ან/და სხდომაზე დამსწრის დაჯარიმების ან/და სხდომის დარბაზიდან გაძევების შესახებ, მაგისტრატ მოსამართლეს გამოაქვს პირადად. მაგისტრატი მოსამართლის განკარგულება პროცესის მონაწილის ან/და სხდომაზე დამსწრის დაჯარიმების ან/და სხდომის დარბაზიდან გაძევების შესახებ არ საჩივრდება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 26-ე თავი (დაუსწრებელი გადაწყვეტილება), 27-ე თავი (სასამართლო გადაწყვეტილება), 28-ე თავი (სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერი ძალა, გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულება), 29-ე თავი (საქმის წარმოების დამთავრება გადაწყვეტილების გამოტანის გარეშე), 30-ე თავი (საქმის წარმოების შეჩერება), 31-ე თავი (სასამართლო განჩინება), 32-ე თავი (სასამართლო ოქმი) მაგისტრატი მოსამართლის განსჯად საქმეებზე გამოიყენება ჩვეულებისამებრ.

5.8 მაგისტრატი მოსამართლის განსჯადი საქმეების საპელაციო და საპასაციო წესით გასაჩივრებასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ მაგისტრატი მოსამართლის გადაწყვეტილებები (განჩინებები) საჩივრდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 48-ე თავის შესაბამისად, იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნულ საქმეებზე ბაჟი ნახევრდება და ნაცვლად დავის საგნის ღირებულების 4%-სა, დავის საგნის ღირებულების 2% გადაიხდევინება. იგივე შეიძლება ითქვას საკასაციო წესით საქმის გასაჩივრებაზე, გადასახდელი ბაჟი ნახევრდება და ნაცვლად საკასაციო საჩივრის ღირებულების 5%-სა, 2,5% გადაიხდევინება. ასევე გასათვალისწინებელია ის გარემოქანა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლის შესაბამისად, საპელაციო საჩივარი ქონებრივ-სამართლებრივ

დავაში დასაშვებია, თუ დავის საგნის ღირებულება 1000 ლარს აღემატება. ეს ღირებულება განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ გასაჩივრებული გადაწყვეტილების რა ზომით შეცვლაზე შეაქვს საჩივარი მხარეს. ამდენად, ვინაიდან მაგისტრატი მოსამართლები იხილავენ ქონებრივ დავებს, რომელთა ღირებულება 2000 ლარს არ აღემატება, ხოლო საპელაციო საჩივარი ქონებრივ დავებზე 1000 ლარზე მეტი ღირებულების დავის საგნის არსებობის შემთხვევაშია დასაშვები, ამიტომ მაგისტრატმა მოსამართლემ ისეთ საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანისას, რომლის დავის საგნის ღირებულება 1000 ლარს არ აღემატება, სარეზოლუციო ნაწილში უნდა მიუთითოს მისი საპელაციო წესით გასაჩივრების დაუშვებლობის თაობაზე, ანუ იმის თაობაზე, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება. საინტერესოა საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გადაწყდეს ბაჟის საკითხი, თუ მაგისტრატი მოსამართლის განსჯადი საქმე რაიონულმა (საქალაქო) სასამართლომ განიხილა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 39-ე მუხლის მე-2 ნაწილის ფორმულირების თანახმად, მაგისტრატი მოსამართლის განსჯად საქმეებზე სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ყველა ინსტანციის სასამართლოში შეადგენს ამ მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი ოდენობის ნახევარს, ამიტომ, თუ საქმე მაგისტრატი მოსამართლის განსჯადია, მიუხედავად იმისა, იგი მაგისტრატმა მოსამართლემ განიხილა თუ რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლემ, ბაჟის ოდენობა ყველა ინსტანციაში მაინც ნახევრდება.

მაგისტრატი მოსამართლეების განსჯადი საქმეები საკასაციო წესით სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად არსებითად განსახილველად დაიშვება, თუ:

1. საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის;
2. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან;
3. სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე;
4. გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე.

ამდენად, თუ მაგისტრატი მოსამართლის განსჯადი ქონებრივი დავა არ აკმაყოფილებს ზემოჩამოთვლილ რომელიმე პირობას, მაშინ საკასაციო საჩივარი არ დაიშვება. რაც შეეხება არაქონებრივ დავებს, ამგვარი კატეგორიის დავები მაგისტრატი მოსამართლის განსჯადობას განეკუთვნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოიშვა. ამდენად, იმისათვის, რომ საოჯახოსამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილი არაქონებრივი დავა საკასაციო წესით არსებითად განსახილველად იქნეს დაშვებული, მან უნდა დააკმაყოფილოს ზემოჩამოთვლილ პირობათაგან ერთ-ერთი მაინც.

თავი II. უდავო და გამართივებული ნისტი საქმითა განხილვის სპეციფიკა

6. უდავო ნარმოება

6.1 ზოგადი წესები უდავო ნარმოების შესახებ

უდავო წარმოება არის სამოქალაქო სამართალწარმოების ერთ-ერთი სახე, რომლის დროსაც სასამართლო ადასტურებს იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტებისა და გარემოებების არსებობა-არარსებობას, რომელზედაც დამოკიდებულია მოქალაქეთა პირადი და ქონებრივი უფლებების წარმოშობა, შეცვლა ან შეწყვეტა.

მოქალაქეთა უფლებებისა და ინტერესების დაცვის აუცილებლობა წარმოიშობა არა მარტო იმ შემთხვევაში, როდესაც ეს უფლებები და ინტერესები ირღვევა ან სადაც ხდება სხვა პირთა მიერ, არამედ ხშირად იგი დაკავშირებულია ფაქტებისა და გარემოებების დადგენის აუცილებლობასთან, რომლებიც წარმოადგენენ მოქალაქეთა უფლებების განხორციელების საფუძველს.

ხშირად, პირს, რომელსაც გააჩნია გარკვეული უფლება, არ შეუძლია მისი განხორციელება, ვინაიდან ფაქტები, რომლებიც ადასტურებენ ამ უფლებას, არ არის ნათლად დადგენილი, საჭიროებს შემოწმებასა და შესაბამისი მტკიცებულებებით სასამართლოს მიერ დადასტურებას. აქედან გამომდინარე, სამოქალაქო პროცესი შეიცავს სამართალწარმოების ისეთ სახეს, რომელიც საშუალებას აძლევს დაინტერესებულ პირს სასამართლო წესით დაადგინოს იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტები.

უდავო წარმოება განსხვავდება სასარჩელო წარმოებისაგან, რომლის ძირითად საფუძველს წარმოადგენს დავა მატერიალურ-სამართლებრივ უფლებაზე, ეს ძირითადი განსხვავება საფუძვლად უდევს მთელ რიგ პროცესუალურ თავისებურებებს, რომელიც დამახასიათებელია უდავო წარმოებისათვის.

უდავო წარმოების დროს არ იხილება დავა უფლებაზე, შესაბამისად, სასარჩელო წარმოებისაგან განსხვავებით, არ არიან განსხვავებული იურიდიული ინტერესის მქონე მოდავე მხარეები (მოსარჩელე და მოპასუხე) და არც მესამე პირები. უდავო წარმოების დროს არ გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო სამართლის ისეთი ინსტიტუტები, როგორიცაა შეგებებული სარჩელის შეტანა, სარჩელის უზრუნველყოფა, რამდენიმე სასარჩელო მოთხოვნის გაერთიანება და გამოყოფა და ა.შ. თუმცა, გამონაკლისის სახით, მხოლოდ იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენის შესახებ განცხადების შეტანისას, შესაძლებელია განმცხადებელმა მოითხოვოს რამდენიმე იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენა ერთდროულად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 182-ე მუხლის შესაბამისად, თუ ეს ფაქტები ერთგვაროვანია. სხვა შემ-თხვევაში დაუშვებელია უდავო წარმოების წესით საქმეთა განხილვის შესახებ განცხადების გაერთიანება სხვა სასარჩელო თუ არასასარჩელო მოთხოვნებთან.

უდავო წარმოება არის ცალმხრივი წარმოება, რომელშიც არ არსებობს დავა უფლებაზე და არ არის ერთი პირის მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნა მეორეს მიმართ. უდავო წარმოებას სხვაგვარად არასასარჩელო წარმოებასაც უწოდებენ.

განმცხადებელი უდავო წარმოების დროს სარგებლობს მხარეთათვის სამოქალაქო საპროცესო კოდექსით მინიჭებული ყველა უფლებებით ცალკეული გამონაკლისების გარდა. განმცხადებელი იწყებს საქმის წარმოებას სასამართლოში განცხადების შეტანით, თვითონ განსაზღვრავს მოთხოვნის ხასიათს, თვითონვე იღებს გადაწყვეტილებას განცხადებაზე უარის შესახებ და ა.შ.

უდავო წარმოების დროს არ მოქმედებს შეჯიბრობითობის პრინციპი, დისპოზიციურობის პრინციპიც ვლინდება ნაწილობრივ, ვინაიდან არ გამოიყენება მხარეთა მორიგების, სარჩელზე უარის თქმისა და მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობის შესახებ ნორმები.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის შესაბამისად, განმცხადებელი ვალდებულია წარუდგინოს სასამართლოს ფაქტებისა და გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულებები.

აღსანიშნავია, რომ სასარჩელო წარმოება ეფუძნება მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპს, შესაბამისად, ერთი მხარის მიერ მითითებული გარემოებებისა თუ წარდგენილი მტკიცებულებების საპირისპირო შესაგებლის წარდგენა შეუძლია მეორე მხარეს, რაც იძლევა საქმეზე ობიექტურობის დადგენის საშუალებას. ვინაიდან უდავო წარმოების დროს სასარჩელო წარმოებისაგან განსხვავებით არ გვყავს მეორე მხარე, მოსამართლე უფლებამოსილია საკითხის სრულყოფილად გარკვევისათვის თავისი ინიციატივით მიმართოს ცალკეულ ღონისძიებებს, ანუ შეიძლება ითქვას, რომ საქმის გარემოებების გამოსარკვევად, მოსამართლე უდავო წარმოების დროს ეფრო მეტი უფლებამოსილებითაა აღჭურვილი ვიდრე სასარჩელო წარმოების დროს. მოსამართლე უფლებამოსილია თავისი ინიციატივით გამოიკვლიოს ცალკეული საკითხები, მოიწვიოს დაინტერესებული პირები, გამოჰკითხოს სათანადო ორგანოებს და მოუსმინოს ყველა პირს ვისაც შეუძლია ნათელი მოპფინოს საკითხის გარკვევას.

უდავო წარმოების წესით მაგისტრატი მოსამართლეები განიხილავენ საქმეებს:

1. იურიდიული ნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენის შესახებ;

2. მოქალაქის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებისა და გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ;
3. მოქალაქის შეზღუდულ ქმედუნარიანად და ქმედუუნაროდ აღიარების შესახებ;
4. დაკარგულ საწარმომდგენლო ფასიან ქაღალდსა და საორდერო ფასან ქაღალდზე უფლების აღდგენის შესახებ;
5. ქონების უპატრონოდ ცნობის შესახებ.

უდავო წარმოება მჭიდროდაა დაკავშირებული სამოქალაქო სამართალწარმოების სხვა სახეებთან და ეფუძნება სამოქალაქო საპროცესო სამართლის ზოგად პრინციპებს, რომლებიც განსაზღვრავენ სამოქალაქო საქმეთა განხილვისა და გადაწყვეტის წესს. გარდა ამისა, უდავო წარმოების წესით საქმის განხილვის დროს ის გადის ყველა იმ სტადიას, რასაც ყველა სამოქალაქო საქმე. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 311-ე მუხლის თანახმად, უდავო წარმოების წესით საქმეებს სასამარ-თლო განიხილავს ამ კოდექსით დადგენილი წესებით, იმ ცვლილებებისა და დამატებების გათვალისწინებით, რომლებიც გათვალისწინებულია **XXXV-XLII** თავებით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 311-ე მუხლის თანახმად, უდავო წარმოების წესით საქმის განხილვისას სასამართლო იწვევს ამ საქმის განხილვით დაინტერესებულ პირებს.

შესაბამისად, უდავო წარმოების წესით საქმეთა განხილვაში მონაწილეობენ განმცხადებელი და დაინტერესებული პირები.

დაინტერესებული პირები სასამართლო სხდომაზე შესაძლოა მოწვეულ იქნენ განმცხადებლის მოთხოვნით ან სასამართლოს ინიციატივით. დაინტერესებულ პირთა წრე ძირითადათ უნდა გაირკვეს საქმის მომზადების ეტაპზე, რაც ხელს შეუწყობს უპირველეს ყოვლისა დროისა და ხარჯების დაზოგვას. დაინტერესებული პირების მოწვევა სასამართლოზე წარმოებს განჩინების საფუძველზე.

უდავო წარმოების წესით საქმეთა განხილვის დროს კოდექსი ადგენს განსჯადობის განსხვავებულ წესებს (314-ე, 317-ე, 322-ე მუხლის მე-3 ნაწილი, 328-ე მუხლის მე-2 ნაწილი, 337-ე, 349-ე მუხლები).

სასამართლო მიიღებს წარმოებაში და უდავო წარმოების წესით განიხილავს განცხადებას ფაქტებისა და გარემოებების დადგენის შესახებ, თუ აღნიშნული არ მიეკუთვნება უფლებასთან დაკავშირებულ დავას, რომელიც სასამართლოს უწყებრივად ექვემდებარება.

თუ უდავო წარმოების წესით საქმის განხილვისას აღიძვრება დავა ისეთი უფლების შესახებ, რომელიც სასამართლოს უწყებრივად ექვემდებარება, სასამართლო განცხადებას განუხილველად დატოვებს და დაინტერესებულ პირებს განუმარტავს, რომ მათ უფლება აქვთ წარმოადგინონ სარჩელი საერთო საფუძვლით (311-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

თუ უდავო წარმოების წესით საქმის განხილვისას აღიძვრის დავა ისეთი უფლების შესახებ, რომელიც სასამართლოს უწყებრივად ექვემდებარება და შესაბამისად, მოხდება სარჩელის აღდვრა საერთო წესის მიხედვით, დაინტერესებული პირები საქმეში შესაძლოა ჩაებან მოპასუხებად ან მესამე პირებად.

უდავო წარმოების წესით საქმის განხილვა იწყება არა სარჩელის შეტანით, რომელიც მიმართულია კონკრეტული მოპასუხის მიმართ, არამედ მოქალაქის მიერ განცხადების შეტანით, რომელიც შეიცავს მოთხოვნას სასამართლოს მიმართ ამა თუ იმ ფაქტებისა და გარემოებების (რომლებსაც იურიდიული მნიშვნელობა აქვთ) დადასტურების შესახებ.

6.2. იურიდიული მიიღველობის მქონე ფაქტის დადგენა



უდავო წარმოებით განსახილველ საქმეთა შორის ყველაზე ხშირია განცხადება იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენის შესახებ. იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების არსებობა-არარსებობაზე დამოკიდებულია მოქალაქეთა (იურიდიულ პირთა) პირადი და ქონებრივი უფლებების წარმოშობა, შეცვლა და შეწყვეტა. იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტები, როგორც წესი დასტურდება შესაბამისი დოკუმენტებით, წერილობითი აქტებით, თუმცა შესაძლებელია აღნიშნული დოკუმენტები დაიკარგოს, განადგურდეს და ა.შ ან ზოგ შემთხვევაში არ იყოს საჭირო მათი რეგისტრაცია (მაგალითად, პირის კმაყოფაზე ყოფნის ფაქტის რეგისტრაცია არ არის საჭირო, ამიტომ ამის დამადასტურებელი დოკუმენტიც არ არსებობს). შესაბამისად, აუცილებელი ხდება მათი სასამართლო წესით დადგენა.

აღსანიშნავია, რომ სასამართლო დაადგენს იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტებს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ:

1. მისი დადგენა განმცხადებლისათვის გარკვეული სამართლებრივი შედეგის მომტანია (მაგალითად, აღნიშნული ფაქტის დადგენის შემდეგ მიიღებს მემკვიდრეობას, სარჩოს და ა.შ.);
2. აღნიშნული ფაქტების დამადასტურებელი საბუთის სხვა გზით მიღება ან აღდგენა შეუძლებელია, რაც დადასტურებული უნდა იყოს შესაბამისი მტკიცებულებებით (მაგალითად, ნოტარიუსის უარი სამკვიდროს მოწმობის გაცემაზე, კანონით დადგენილ ვადაში მემკვიდრეობის მიღების ფაქტის დაუდასტურებლობის გამო; შესაბამისი ორგანოს უარი დოკუმენტის გაცემის ან აღდგენის შეუძლებლობის შესახებ მისი დაკარგვის, განადგურების გამო და ა.შ.);
3. არ ეხება დავას უფლებაზე, ანუ არ არის დაკავშირებული ისეთ საკითხთან, რისი განხილვაც სასამართლოს უწყებრივად ექვემდებარება;

თუ განცხადებაში არ არის აღნიშნული ზემოთ მითითებულ პირველ და მე-2 პუნქტში მოცემული საკითხები სასამართლო განცხადებელს დაუდგენს ხარვეზს მის შესავსებად და მათი შეუვსებლობის შემთხვევაში უარს ეტყვის განცხადების წარმოებაში მიღებაზე.

თუ სასამართლო განცხადების დასაშვებობის ეტაპზე გამოარკვევს, რომ ადგილი აქვს დავას უფლებაზე, მაშინ უარს ეტყვის განცხადებელს განცხადების წარმოებაში მიღებაზე, ხოლო თუ აღნიშნული წარმოიშვა საქმის განხილვისას - განცხადებას განუხილველად დატოვებს და დაინტერესებულ პირებს განუმარტავს, რომ მათ უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს საერთი წესით.

სასამართლო ადგენს შემდეგ იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტებს:

1. პირთა ნათესაური კავშირის დადგენა;
2. პირის კმაყოფაზე ყოფნის ფაქტის დადგენა;
3. უფლების დამდგენი საბუთის იმ პირისადმი კუთვნილების ფაქტის დადგენა, რომლის სახელი, მამის სახელი ან გვარი, რაც საბუთებშია აღნიშნული, არ ემთხვევა მის პასპორტში ან დაბადების მოწმობაში აღნიშნულ სახელს, მამის სახელს ან გვარს;
4. შვილად აყვანის, ქორწინების და განქორწინების ფაქტის ადგენა;
5. მემკვიდრეობის მიღების ფაქტისა და მემკვიდრეობის გახსნის ადგილის დადგენა.

6.2.1 პირთა ნათესაური კავშირის დადგენა

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 312-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" ქვეპუნქტის თანახმად, გარკვეულ შემთხვევებში სასამართლოს მიერ შესაძლებელია დადგინდეს იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტი, პირთა შორის ნათესაური კავშირის არსებობის შესახებ და ეს მოთხოვნა განიხილება უდავო არასასარჩელო ცალმხრივი წარმოების წესით.

ნათესაური კავშირის დადგენის მოთხოვნით აღძრული განცხადების ავტორი შეიძლება იყოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 79-ე მუხლით გათვალისწინებული ნებისმიერი სუბიექტი, ნებისმიერი დაინტერესებული პირი (მათ შორის იურიდიული პირიც კი). ნათესაური კავშირის დადგენის შესახებ სასამართლოში შეტანილი განცხადება უნდა აკმაყოფილებდეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის იმ მუხლების მოთხოვნებს, რომლითაც განსაზღვრულია სასამართლოს იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენის მოთხოვნით აღძრული განცხადებების წარმოებაში მიღების რამდენიმე პირობა. კერძოდ, ვინაიდან სსსკ-ის 312-ე მუხლი ამომწურავად განსაზღვრავს იმ იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების წრეს, რომელთა დადგენაც გათვალისწინებულია საპროცესო კოდექსით, მნიშვნელოვანია, რომ განცხადების ავტორმა ნათლად და გარკვევით ჩამოაყალიბოს საკუთარი მოთხოვნა პირთა შორის გარკვეული სახის ნათესაური კავშირის დადგენის შესახებ.

ამასთან, დაუშვებელია იმ ხარისხის ნათესაური კავშირის დადგენა, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობა არ იცნობს. შესაბამისად, ყურადღება უნდა მიექცეს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ნათესავთა წრეს (მაგალითისთვის იხილეთ სამოქალაქო კოდექსის 1336-ე მუხლით განსაზღვრული ნათესავთა წრე).

განცხადების ავტორმა, ასევე უნდა წარმოადგინოს მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ განმცხადებლის მიერ სათანადო დოკუმენტების მიღების ან აღდგენის შეუძლებლობას. აქ იმ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, როდესაც სასამართლოს მიერ იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის გარდა, განცხადებლის მიერ მიზნის მიღწევა სხვა საშუალებით შეუძლებელია.

განცხადებას თან უნდა დაერთოს სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 312-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" ქვეპუნქტის შესაბამისად ჩამოყალიბებული მოთხოვნა, მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ განმცხადებლის მიერ სათანადო საბუთების მიღების ან დაკარგული საბუთების აღდგენის შეუძლებლობას, იურიდიული ინტერესის არსებობის დასაბუთება და სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა განაპირობებენ ამგვარი განცხადებების სასამართლოს მიერ წარმოებაში მიღების შესაძლებლობას. ზემოთჩამოთვლილი ერთ-ერთი პირობის არარსებობისას სასამართლო გამოიტანს განჩინებას განცხადების ხარვეზიანობის შესახებ და მის ავტორს დაუნიშნავს გონივრულ ვადას მის შესავსებად. ხარვეზის აღმოფხვრის შემდეგ განცხადება სასამართლოს მიერ წარმოებაში მიიღება. ყველა სხვა შემთხვევაში, სასამართლო სსსკ-ის 185-ე მუხლის შესაბამისად, გამოიტანს განჩინებას განცხადების მიღებაზე უარის თქმის შესახებ, რომლის გასაჩივრებაც შესაძლებელია ზემდგომ სასამართლოში.

ბუნებრივია, ნათესაური ურთიერთობები გარკვეულ შემთხვევებში იურიდიულ შედეგებს წარმოშობს, ხოლო ყველაზე ხშირად ნათესაური კავშირის დადგენა განმცხადებელს სჭირდება მისი, როგორც მემკვიდრის, უფლებების რეალიზაციისთვის. ამ კუთხით მნიშვნელოვანია განიმარტოს, რომ სასამართლო ადგენს არა ფაქტებს ზოგადად, არამედ ისეთ ფაქტებს, რომლებსაც იურიდიული მნიშვნელობა აქვთ, ანუ, რომელთა დადგენის მიმართაც დაინტერესებულ პირს გარკვეული ინტერესი გააჩნია და რომლებიც დაკავშირებულია დაინტერესებული პირის პირადი ან ქონებრივი უფლებების წარმოშობასთან, შეცვლასთან ან შეწყვეტასთან. იურიდიული ინტერესის არსებობა წარმოადგენს იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენის მიზანს, რის შესახებაც მითითებული უნდა იყოს სასამართლოში შეტანილ განცხადებაში.

პირთა შორის ნათესაური კავშირი, ჩვეულებრივ, "სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესით შესრულებული სათანადო ჩანაწერით დასტურდება. ასე მაგალითად, მშობლისა და შვილის ნათესაური კავშირი დასტურდება შვილის დაბადების მოწმობაში არსებული მშობლის ვინაობის მითითებით, დასა და ძმას შორის ნათესაური ურთიერთობა კი, მათი დაბადების მოწმობებით ირკვევა, თუ ამ დოკუმენტებში მშობლების გრაფაში აღნიშნული პირები იდენტურადაა მითითებული და ა. შ.

მიგვაჩნია, რომ ნათესაური კავშირის დადგენის აუცილებლობა შეიძლება მხოლოდ ორ შემთხვევაში წარმოიშვას, ერთი, როდესაც გარკვეული პირის დაბადების სააქტო ჩანაწერში (შესაბამისად დაბადების მოწმობაში) მშობლის ან შვილის მონაცემები (სახელი, გვარი, მამის სახელი, დაბადების წელი) შეცდომითაა მითითებული და მეორე, როდესაც ამა თუ იმ მიზეზის გამო არ არის დაცული (შემონახული) რომელიმე პირის დაბადების სააქტო ჩანაწერი.

ნათესაური კავშირის დადგენა შესაძლებელია, როგორც უშუალოდ განცხადების ავტორსა და მის მიერ მითითებულ პირს შორის, ასევე სხვა, მათ-შორის გარდაცვლილ პირებს შორისაც, თუკი განცხადების ავტორის მიერ ამ ფაქტის დადგენის იურიდიული ინტერესი დასაბუთებულია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 311-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, უდავო წარმოების წესით საქმეებს სასამართლო განიხილავს ამ კოდექსით დადგენილი წესებით და უდავო წარმოების მარეგულირებელი ნორმების თავისებურებების გათვალისწინებით. ამრიგად, ნათესაური კავშირის დადგენის შესახებ სასამართლოში შეტანილი განცხადების განხილვისას სასამართლო იყენებს სამოქალაქო პროცესში დამკიდრებულ პრინციპებსაც, როგორიცაა მაგალითად, დისპოზიციურობა და სხვა, ხოლო თავად განცხადების განხილვა სამოქალაქო პროცესის სტადიების დაცვით მიმდინარეობს.

როგორც აღინიშნა, უდავო წარმოების წესით საქმეთა განხილვის საპროცესო თავისებურებაა ურთიერთდაპირისპირებული ინტერესების მქონე მოდავე მხარეთა არარსებობა, თუმცა, თავად დასადგენი იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის რეალობის მტკიცების ტვირთი განცხადების ავტორს აწევს. მართალია, თავად მხარის ახსნა-განმარტება მტკიცებულების ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს, მაგრამ უდავო წარმოების წესით აღძრული მოთხოვნის განხილვისას იგი ვერ იქნება ერთადერთი მტკიცებულება, რომლითაც შესაძლებელია მოთხოვნის დაკმაყოფილება.

ზოგადად, პირთა შორის ნათესაური კავშირის არსებობის შესახებ განცხადების განხილვისას, სასამართლო უფლებამოსილია გამოიყენოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განსაზღვრული ნებისმიერი მტკიცებულება. ასეთი შეიძლება იყოს გარკვეულ პირთა ერთსა და იმავე მისამართზე რეგისტრაცია, საბინაო ორდერში არსებული ოჯახის წევრთა ჩამონათვალი, მოწმეთა ჩვენები, პირადი ხასიათის წერილები, ანდერძი, სადაც მოანდერძე მემკვიდრეს ნათესავად მოიხსენიებს და სასაფლაოს სურათიც კი, სადაც ახლო ნათესავები ერთად განისვენებენ.

საერთოდ ნათესაური კავშირის დადგენისას სასამართლოს მიერ გამოსაყენებელი მტკიცებულებების წრის ზუსტად და ამომწურავად განსაზღვრა შეუძლებელია, ხოლო ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში პირის მოთხოვნა ნათესაური კავშირის დადგენის შესახებ, განხილულ უნდა იქნეს განცხადების ავტორის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების სასამართლო სხდომაზე შემოწმებისა და შეპირისპირების გზით.

პირთა შორის ნათესაური კავშირის დადგენის შესახებ განცხადების განხილვისას აუცილებელია იმ პირთა მაქსიმალურად ზუსტი იდენტიფიკაცია, რომელთა შორისაც სასამართლო დაადგენს რომელიმე ხარისხის ნათესაური კავშირის არსებობას, რაც გულისხმობს ამ პირთა სახელის, გვარის, მამის სახელის, დაბადების და/ან გარდაცვალების წლების მითითებას, წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლო გადაწყვეტილება შესაძლოა თავად განცხადების ავტორისთვისაც უსარგებლო აღმოჩნდეს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ განსხვავებით უფლების დამდგენი საბუთის პირისადმი კუთვნილების შესახებ იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენისაგან, როდესაც უფლების დამდგენი საბუთის კუთვნილება უნდა დადგინდეს პირის მიმართ ისე, როგორადაც ეს პირი აღინიშნება მის პასპორტში ან დაბადების მოწმობაში, 312-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" ქვეპუნქტი ამგვარ შეზღუდვას არ იცნობს. შესაბამისად, ნათესაური კავშირის დადგენა შესაძლებელია პირთა დაბადების ან პირადობის მოწმობების წარმოდგენის გარეშეც, მაგალითად, გარდაცვალების მოწმობებში აღნიშვნულ პირებს შორისაც, რადგან გარდაცვალების მოწმობაში ფიქსირდება პირის ის სახელი, რომელიც მის პასპორტში ან დაბადების მოწმობაში იყო აღნიშნული.

თუმცა, უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ნათესაური კავშირის დადგენა მხოლოდ იმგვარ დოკუმენტებში აღნიშნულ პირებს შორისაა შესაძლებელი, რომლებშიც ამ პირთა მონაცემები მითი-

თებულია მათი დაბადების, ან პირადობის მოწმობების, ან პასპორტის მონაცემთა მიხედვით, რაც საქმის განმხილველმა სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს.

უნდა აღვნიშნოთ, რომ სასამართლო გადაწყვეტილებაში აუცილებელია ზუსტად აღინიშნოს ნათე-საობის რა ხარისხი არსებობს იმ პირთა შორის, რომელთა ნათესაური კავშირიც დადგენილ იქნა.

სსსკ-ის 311-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, უდავო წარმოების წესით საქმის განხილვი-სას სასამართლო იწვევს ამ საქმის განხილვით დაინტერესებულ პირებს, ანუ მათ ვის უფლებებ-ზეც შეიძლება აისახოს სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება. ყველაზე ხშირ შემთხვევაში ნათესაური კავშირის დადგენისას დაინტერესებულ პირებად მოიწვევიან იმავე რი-გის მემკვიდრეები, ვინაიდან იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენით, ბუნებრივია, მემკვიდრეთა რიცხვი იზრდება.

დაინტერესებული პირები მოიწვევიან, როგორც განცხადების ავტორის, ასევე სასამართლოს ინი-ციატივითაც, დაინტერესებული პირების არსებობის საკითხი სასამართლომ უნდა გაარკვიოს თა-ვად განცხადების ავტორის, მოწმეთა გამოკითხვისა და დოკუმენტური მტკიცებულებების შესწავლის შედეგად.

დაინტერესებული პირები სასამართლო სხდომაზე მოიწვევიან სსსკ-ის 70-78-ე მუხლებით დად-გენილი წესების დაცვით, ამავდროულად, მათ უნდა გადაეგზავნოთ წარმოდგენილი განცხადება და მტკიცებულებები, რომლითაც განცხადების ავტორი ადასტურებს საკუთარ მოთხოვნას. ყუ-რადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ განცხადების ზეპირი განხილვისას, დაინტერესებუ-ლი პირების სათანადო წესით მოწვევის შემთხვევაში, მათი სხდომაზე გამოუცხადებლობა არ წარმოადგენს განცხადების განხილვისა და არსებული მტკიცებულებების საფუძველზე გადაწყ-ვეტილების მიღების დამაბრკოლებელ გარემოებას.

დაინტერესებული პირების წრის დადგენის და სასამართლო სხდომაზე გამოცხადების შემთხვე-ვაში, სასამართლო გამოარკვევს მათ პოზიციას განსახილველი საკითხის შესახებ. თუ დადგინდა, რომ დაინტერესებული პირი განცხადების ავტორის მოთხოვნის დაკმაყოფილების წინააღმდეგია, სასამართლო სსსკ-ის 311-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, წარმოდგენილ განცხადებას დატო-ვებს განუხილველად და მხარეებს განუმარტავს საერთო საფუძველზე სარჩელის აღძვრის უფ-ლებას. საყურადღებოა, რომ სასამართლომ განსახილველი განცხადება, ამავე მუხლის გამოყენებით, განუხილველად უნდა დატოვოს იმ შემთხვევაშიც, როდესაც დადგინდება განცხა-დების განხილვის შედეგით დაინტერესებული პირების არსებობა და თუ განცხადების ავტორი უარს ამბობს, გაამჟღავნოს მათი ადგილსამყოფელი (მისამართი), რათა ხელი შეუძლებელია დაინტერესებული პირის მისამარ-თის გარკვევა.

6.2.2 უფლების დამდგენი საბუთის იმ პირისადმი კუთვნილების ფაქტის დადგენა, რომლის სახელი, მამის სახელი ან გვარი, რაც საბუთებშია აღნიშნული, არ ემთხვევა მის პასპორტში ან დაბადების მოწმობაში აღნიშნულ სახელს, მამის სახელს ან გვარს.

უდავო წარმოების წესით სასამართლო, ასევე იხილავს საქმეებს უფლების დამდგენი საბუთის იმ პირისადმი კუთვნილების ფაქტის დადგენის შესახებ, რომლის სახელი, მამის სახელი ან გვარი, რაც საბუთებშია აღნიშნული, არ ემთხვევა მის პასპორტში ან დაბადების მოწმობაში აღნიშნულ

სახელს, მამის სახელს ან გვარს (სსკ-ის 312-ე მუხლის მე-2 ნაწილის "დ" ქვეპუნქტი).

სსკ-ის 315-ე მუხლი განსაზღვრავს ზოგად მოთხოვნებს, რაც პირის მიერ შესაბამისი იურიდიული ფაქტის დადგენის მოთხოვნით სასამართლოში წარდგენილ განცხადებას ეხება. კერძოდ, მასში უნდა აღინიშნოს, რა მიზნით სჭირდება განმცხადებელს იურიდიული მნიშვნელობის ფაქტის დადგენა. აღნიშნული აუცილებელია, რათა გამოირკვეს, უკავშირდება თუ არა შესაბამისი ფაქტის დადგენას პირის პირადი ან ქონებრივი უფლებების წარმოშობა, შეცვლა ან მოსპობა. ამასთან, წარმოდგენილი უნდა იყოს მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს განმცხადებლის მიერ სათანადო საბუთების მიღების ან დაკარგული საბუთების აღდგენის შეუძლებლობას. (აღნიშნული საკითხებისა და ბაჟის საკითხის გარკვევა განცხადების დასაშვებობის ეტაპზე იხილება).

მაშასადამე, კონკრეტულ შემთხვევაში, სასამართლომ განცხადების წარმოებაში მიღების ეტაპზე უნდა გამოარკვიოს რამდენად შესაბამება განმცხადებლის მოთხოვნა ზემოაღნიშნულ დანაწესს. უფრო ზუსტად, კი: 1. არის თუ არა შესაბამისი ფაქტის დადგენაზე დამოკიდებული პირადი ან ქონებრივი უფლებების წარმოშობა და 2. არსებობს თუ არა მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებს განმცხადებლის მიერ სათანადო საბუთის მიღების ან დაკარგული საბუთის აღდგენის შეუძლებლობას.

განმცხადებლის მიერ განცხადებაში მითითებული უნდა იყოს, რა სამართლებრივ შედეგს გამოიწვევს და კონკრეტულად, რომელ პირად ან ქონებრივ უფლებებს წარმოშობს მისთვის შესაბამისი ფაქტის დადგენა. განმცხადებლის მიერ, ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ განმცხადებლის მიერ სათანადო საბუთების მიღების ან დაკარგული საბუთების აღდგენის შეუძლებლობას. მტკიცებულებების ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს უარი, შესაბამისი ფაქტის დადგენასთან დაკავშირებით. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, პირმა შესაბამისი ფაქტის დადგენის მოთხოვნით უნდა მიმართოს არა ნებისმიერ ადმინისტრაციულ ორგანოს, არამედ შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს. ბუნებრივია, ისმის კითხვა, რომელია ეს შესაბამისი ორგანო.

შესაბამის ორგანოს მიეკუთვნება უპირველესად ის ორგანო, რომლის მიერაც არის გაცემული კონკრეტული საბუთი. სწორედ იმ ორგანომ უნდა უზრუნველყოს მის მიერ გაცემულ საბუთში არსებული უსწორობის გასწორება. თუ აღნიშნული შეუძლებელი აღმოჩნდება, მხოლოდ ამის შემდეგ უნდა მიმართოს პირმა სასამართლოს. საბუთის გამცემმა ორგანომ უნდა გამოარკვიოს რის საფუძველზე, რამდენად სრულად და სწორად იქნა გაცემული მის მიერ საბუთი. თუ გამოირკვევა, რომ საბუთის გაცემის საფუძველი შეესაბამება საბუთში აღნიშნულ მონაცემებს, იგი უარს ეტყვის პირს მის მიერ გაცემული საბუთის შესწორებაზე. (მაგალითად, მიწის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტის გაცემის საფუძველი გახდა საკრებულოს შესაბამისი დადგენილება, სადაც პირის გვარი მითითებულია "დევნოზაშვილი". საჯარო რეესტრი უარს ეუბნება პირს უფლების განხორციელებაზე-საკუთრების უფლების რეგისტრაციაზე, რადგან მისი გვარი პირადობის მოწმობის მიხედვით არის "დევნოზაშვილი"). პირმა უპირველესად უნდა მიმართოს შესწორების მოთხოვნით მიღება-ჩაბარების აქტის გამცემ ორგანოს, რომელმაც უნდა გამოარკვიოს რამდენად შეესაბამება მის მიერ გაცემული საბუთი მასში მითითებულ საფუძველს, კონკრეტულ შემთხვევაში უნდა მოიძიოს საბუთის გაცემის საფუძვლად მითითებული დადგენილება, თუ გამოარკვევს, რომ სწორად აქვს საბუთი გაცემული, უარს ეტყვის პირს. ასეთ შემთხვევაში პირმა, ვიდრე ის სასამართლოს მიმართავს, უნდა მიმართოს შესწორების მოთხოვნით უკვე იმ ორგანოს, რომლის მიერ მიღებული დადგენილებაც დაედო საფუძვლად შესაბამის საბუთს. თუ ის

ორგანოც უარს ეტყვის, მხოლოდ ამის შემდეგ უნდა მიმართოს პირმა სასამართლოს. სუბიექტი, ანუ ვინც შეიძლება მიმართოს სასამართლოს შესაბამისი ფაქტის დადგენის მოთხოვნით, შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი, რომელიც საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით, აღჭურვილია შესაბამისი საპროცესო უფლებაუნარიანობითა და ქმედუნარიანობით. თუმცა, სასამართლოს მიერ ასევე უნდა იყოს დადგენილი მატერიალურ-სამართლებრივად რამდენად წარმოშობს შესაბამისი პირისათვის ფაქტის დადგენა პირად ან ქონებრივ უფლებებს. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ეს შეიძლება არ იყოს უშუალოდ ის პირი, ვის მიმართაც გაცემულია შესაბამისი საბუთი. შეიძლება ის პირი გარდაცვლილიც კი იყოს. ასეთ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, სასამართლოსათვის ამოსავალია, რამდენად წარმოშობს შესაბამისი საბუთი ამ პირისათვის პირად ან ქონებრივ უფლება-მოვალეობებს. მაგალითად, თუ მიწის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტშია შეცდომა, მისი შესწორება შეიძლება მოითხოვოს პირის მემკვიდრემ, თუ შესაბამისი პირი გარდაცვლილა.

ობიექტს რაც შეეხება, აქ სასამართლოს მიერ ასევე რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი უნდა იქნეს გამორკვეული. მათ შორის მნიშვნელოვანია, საბუთი, რომლის კუთვნილების დადგენასაც ითხოვს განმცხადებელი, წარმოადგენს თუ არა უფლებადამდგენ საბუთს და კონკრეტულად მას რომელი პირადი ან ქონებრივი უფლებების წარმოშობა უკავშირდება. ასეთი შეიძლება იყოს, მაგალითად, მიწის ნაკვეთის მი-ლება-ჩაბარების აქტი, უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების დამადასტურებელი დიპლომი, შრომის წიგნაკი და ა.შ. ეს უნდა იქნეს გადაწყვეტილი ყველა კონკრეტულ შემთხვევაში იმის გათვალისწინებით, რამდენად უკავშირდება მისი კუთვნილების დადგენას პირისათვის სამართლებრივად მნიშვნელოვანი პირადი ან ქონებრივი უფლებების წარმოშობა.

მნიშვნელოვანი დანაწესია, რომ შესაბამისი საბუთის კუთვნილების დადგენა ხდება მხოლოდ დაბადების მოწმობასთან ან პასპორტთან/პირადობის მოწმობასთან მიმართებაში. ეს განპირობებულია იმით, რომ დაბადების მოწმობა და პასპორტი/პირადობის მოწმობა წარმოადგენს პირის პიროვნების დამადასტურებელ ძირითად დოკუმენტებს. სწორედ ამის გამო, ყველა სხვა საბუთში მითითებული სახელი, გვარი, მამის სახელი უნდა შეესაბამებოდეს მის დაბადების მოწმობაში ან პასპორტში/პირადობის მოწმობაში მითითებულ სახელს, გვარს, მამის სახელს.

აქ, ასევე საყურადღებოა რამდენიმე საკითხი, კერძოდ:

1. თუ პირს არ გააჩნია არც დაბადების მოწმობა და არც პასპორტი/პირადობის მოწმობა, ასეთ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, ჯერ დადგენილ უნდა იქნეს მისი დაბადების რეგისტრაციის ან გარკვეულ დროსა და ვითარებაში დაბადების ფაქტი, ამდენად, ასეთ შემთხვევაში, პირმა სასამართლომდე შესაბამისი ადმინისტრაციული წარმოებით უნდა ისარგებლოს;
2. როდესაც პირი გარდაცვლილია და წარმოდგენილია მისი გარდაცვალების მოწმობა, ეს არის მეტად კონკრეტული და სპეციფიკური შემთხვევა. როდესაც პირის გარდაცვალების მოწმობიდან აშკარაა, რომ იგი გაცემულია პასპორტის/პირადობის მოწმობის საფუძველზე (როგორც წესი პირის გარდაცვალების მოწმობის აღებისას ბარდება მისი პასპორტი/პირადობის დამადასტურებელი მოწმობა), ასეთ შემთხვევაში სასამართლომ შესაბამისი საბუთის კუთვნილება უნდა დაადგინოს გარდაცვალების მოწმობასთან მიმართებაში.

საკმაოდ ხშირია შემთხვევები, როდესაც დაბადების მოწმობასა და პირადობის მოწმობაში/პას-

პორტში მითითებული შესაბამისი მონაცემები (სახელი, გვარი ან მამის სახელი) არ ემთხვევა ერთმანეთს და პირი ითხოვს დადგინდეს, რომ დაბადების მოწმობა ეკუთვნის მას ან პირიქით, რომ პირადობის მოწმობა ეკუთვნის მას.

ასეთ შემთხვევაში სასამართლომ უარი უნდა უთხრას განმცხადებელს და არ უნდა დაადგინოს შესაბამისი ფაქტი. გასათვალისწინებელია, რომ დაბადების მოწმობა არის პირველადი დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც გაიცა პირადობის მოწმობა. მათში მითითებული მონაცემები თავისთვად უნდა იყოს ურთიერთშესაბამისობაში. თუ მაინც განსხვავდება ერთმანეთისაგან, სასამართლომ კი არ უნდა დაადგინოს დოკუმენტის კუთვნილების ფაქტი, არამედ ადმინისტრაციული წარმოების შედეგად უნდა დადგინდეს შესაბამისი იურიდიული ფაქტი. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია დაბადების მოწმობის საფუძველზე გასცეს პირადობის მოწმობა, დაბადების მოწმობის შესაბამისი რეკვიზიტებით, თუ, რა თქმა უნდა, დაბადების სააქტო ჩანაწერში არის იგივე რეკვიზიტები, რაც დაბადების მოწმობაში. სხვა შემთხვევაში, მისი უარი იქნება დაუსაბუთებელი. სხვა საკითხია და ცალკე გამოსარკვევია, რით არის გამოწვეული აღნიშნული განსხვავებები, რატომ გაიცა პირზე განსხვავებული მონაცემების მქონე პასპორტი/პირადობის მოწმობა ან დაბადების მოწმობა. აღნიშნულის გარკვევამ ხელი არ უნდა შეუშალოს პირის კანონიერი უფლებების რეალიზაციას. მასზე შესაბამისი დოკუმენტები უნდა გაიცეს, იმის მიხედვით, რაც არის აღნიშნული დაბადების მოწმობაში ან, შესაბამისად, დაბადების სააქტო ჩანაწერში (თუ ვერ ხდება დაბადების სააქტო ჩანაწერის მოძიება, უნდა დადგინდეს არა დოკუმენტის კუთვნილება, არამედ დაბადების რეგისტრაციის ფაქტი). დაბადების მოწმობის, პირადობის მოწმობის არსებობა, თავისთვად ადასტურებს პირის დაბადების რეგისტრაციას, რაც გამორიცხავს პირის გარკვეულ დროსა და ვითარებაში დაბადების ფაქტის დადგენას). ამის შემდეგ უნდა გაირკვეს და სხვა საკითხია, რით არის გამოწვეული განსხვავება, თუ ეს არის პირის ბრალი, მას ცალკე წესით უნდა დაეკისროს შესაბამისი პასუხისმგებლობა, თუ შეცდომა გამოწვეულია ადმინისტრაციული ორგანოს ბრალით, მის მიერვე უნდა მოხდეს შეცდომის გასწორება.

შესაბამისი პირის მიერ განცხადება საბუთის კუთვნილების შესახებ იურიდიული ფაქტის დადგენასთან დაკავშირებით შეიტანება სასამართლოში განმცხადებლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

განსჯადობის საკითხის გასარკვევად, გადამწყვეტი მნიშვნელობა არ გააჩნია იმ ტერიტორიას/მისამართს, სადაც შესაბამისი საბუთი გაიცა. განმცხადებელმა უნდა მიმართოს სასამართლოს, მისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ეს ეხება იმ შემთხვევასაც, როდესაც განმცხადებელსა და იმ პირს, რომელთა სახელზეც საბუთია გაცემული, სხვადასხვა მისამართები გააჩნიათ.

სსკ-ის 316-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს გადაწყვეტილება იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის შესახებ, რომელიც რეგისტრირებულ უნდა იქნეს მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციის მითითებული სახელი ან სხვა ორგანოში, წარმოადგენს საფუძველს ასეთი რეგისტრაციისა და გაფორმებისათვის, მაგრამ ვერ შეცვლის ამ ორგანოების მიერ გასაცემ დოკუმენტებს. მაგალითად, სასამართლომ დაადგინა, რომ კონკრეტული საბუთი, ვთქვათ დიპლომი, რომელშიც მითითებული სახელი არ ემთხვევა პირის პირადობის მოწმობაში მითითებულ სახელს, ეკუთვნის კონკრეტულ პირს. ასეთ შემთხვევაში, აღნიშნული გადაწყვეტილება, რა თქმა უნდა, ვერ შეცვლის შესაბამის დიპლომს, თუმცა მისი გამცემი ორგანო ვალდებულია სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე გასცეს ახალი დიპლომი.

თუმცა, ეს საკითხი განსხვავებულად უნდა მოწესრიგდეს, როცა საბუთის გამცემი ორგანო აღარ არსებობს და უფლებამონაცვლეც არ ჰყავს. ამ შემთხვევაში, შესაბამისი გადაწყვეტილება უნდა იყოს ის, რის საფუძველზეც პირმა უნდა მოახდინოს თავისი პირადი ან ქონებრივი უფლებების რეალიზაცია.

6.2.3 პირის კმაყოფაზე ყოფნის ფაქტის დადგენა

კმაყოფაზე ყოფნის ფაქტის დადგენის შესახებ განცხადებები საკმაოდ იშვიათად გვხდება სასამართლო პრაქტიკაში. ეს გარემოება იმით შეიძლება აიხსნას, რომ მატერიალური სამართალი მეტად შეზღუდულ შემთხვევებში უკავშირებს კმაყოფაზე ყოფნის ფაქტებს გარკვეულ იურიდიულ შედეგს. თავად კმაყოფაზე ყოფნის ფაქტის, როგორც იურიდიულად მნიშვნელობის მქონე ფაქტის, დადგენის აუცილებლობა განპირობებული იყო ჯერ კიდევ საბჭოური სამოქალაქო სამართლის კოდექსის 547-ე მუხლით, რომლითაც მამკვიდრებლის რჩენაზე მყოფი პირი ანდერძისმიერი მემკვიდრეების შემთხვევაში სავალდებულო წილზე აცხადებდა პრეტენზიას.

დღევანდელ დღეს, იმის გამო, რომ აღნიშნული ნორმა მოქმედ სამოქალაქო კოდექსში აღარ არის, შემცირდა იმ შემთხვევების ოდენობა, როდესაც შესაძლოა, რომ კმაყოფაზე ყოფნის ფაქტს რაიმე იურიდიული მნიშვნელობა ჰქონდეს. ასეთ შემთხვევებს შეიძლება მივაკუთვნოთ სამოქალაქო კოდექსის 1006-ე მუხლი, რომლითაც დაზარალებულის გარდაცვალების შემთხვევაში ზიანის მიმყენებელმა სარჩოს დაწესებით უნდა აუნაზღაუროს ზიანი იმ პირებს, რომელთა რჩენა დაზარალებულს ევალებოდა, აგრეთვე, "სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 30-ე მუხლის პირველი პუნქტის "ვ" ქვეპუნქტი, რომლითაც "წვევამდელს გაწვევა გადაუვადდება, თუ იგი პატრონობს შრომისუნარო, მის კმაყოფაზე მყოფ ბებიას ან პაპას, თუ მას არა ჰყავს სხვა კანონისმიერი მომვლელი, რომელსაც მისი მოვლა-პატრონობა შეუძლია".

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 312-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტის სუბიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ ფიზიკური პირი, ვინაიდან წარმოუდგენელია იურიდიულ პირი ვინმეს კმაყოფაზე იმყოფებოდეს. ამასთან, განცხადების წარმოებაში მიღების ეტაპზევე მოსამართლემ უნდა შეამოწმოს, თუ რამდენად შესაძლებელია ამ ფაქტის დადგენით განმცხადებლის მიერ დასახელებული მიზნის მიღწევა, მაგალითად, სარჩოს მიღება ან გაწვევის გადავადება.

რაც შეეხება მტკიცებულებებს, რომლებიც ადასტურებს განმცხადებლის მიერ სათანადო საბუთების მიღების ან დაკარგული საბუთების აღდგენის შეუძლებლობას, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში იმ ორგანოს უარი უნდა იქნეს წარმოდგენილი, რომლის კომპეტენციაშიც შედის ამ საკითხის გადაწყვეტა. მაგალითად, თუ პირს ამ ფაქტის დადგენა სამხედრო სამსახურის გადადებისთვის ესაჭიროება და თუ იგი ჯერ არაა გაწვეული სამხედრო სამსახურში, მან უნდა წარმოადგინოს გაწვევაზე პასუხისმგებელი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს პასუხი, ხოლო თუ იგი უკვე გაწვეულია, მაშინ - თავდაცვის სამინისტროს წერილობითი პასუხი.

კმაყოფაზე ყოფნის ფაქტის დადასტურება შესაძლებელია სხვადასხვა მტკიცებულებით, მაგალითად, მოწმეთა ჩვენებით, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ გაცემული ცნობებით, სხვა წერილობითი მტკიცებულებებით, განმცხადებლისა და დაინტერესებული პირების თანმხედრი ახსნა-განმარტებებით და ა.შ.

რაც შეეხება დაინტერესებულ პირებს, უნდა აღინიშნოს, რომ დაინტერესებულ პირად ჩაბმული

უნდა იქნეს ყველა ის პირი, რომლის უფლებებსა და ვალდებულებებზეც შეიძლება გავლენა იქონიოს მოთხოვნილი ფაქტის დადგენამ. მაგალითად, თუ პირს კმაყოფაზე ყოფნის ფაქტის დადგენა ესაჭიროება გაწვევის გადავადებისთვის, მაშინ დაინტერესებულ პირად მოწვეულ უნდა იქნეს თავდაცვის სამინისტრო, თუ პირი უკვე გაწვეულია, ხოლო თუ ჯერ არაა გაწვეული - მაშინ შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო.

სასამართლომ მტკიცებულებათა გამოკვლევისას უნდა შეამოწმოს ნამდვილად იმყოფებოდა თუ არა პირი კმაყოფაზე, ჰყავს თუ არა განმცხადებელს სხვა პირები, რომლებიც მას განცხადების შემოტანის მომენტში არჩენენ, არიან თუ არა პირები, რომლებსაც შესაძლოა სასარჩელო წესით მოეთხოვოთ განმცხადებლის რჩენა ალიმენტის გადახდით და ა.შ.

6.2.4 მემკვიდრეობის მიღების ფაქტის დადგენა

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 312-ე მუხლის მე-2 ნაწილის "თ" ქვეპუნქტი უშვებს სასამართლოების მიერ ა) მემკვიდრეობის მიღების ფაქტისა და ბ) მემკვიდრეობის გახსნის ადგილის დადგენის შესაძლებლობას.

აღნიშნული ფაქტების სასამართლოს მიერ დადგენის აუცილებლობა გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ სამოქალაქო კოდექსის 1421-ე მუხლის მე-2 ნაწილი სამკვიდროს მიღების ერთ-ერთ საშუალებად მემკვიდრის მიერ სამკვიდროს ფაქტობრივად დაუფლებას ითვალისწინებს. სამწუხაროდ, ამგვარი მოქმედების (ანუ სამკვიდროს დაუფლების) დადგენას სანოტარო ორგანო მხოლოდ მაშინ ახდენს, როცა მამკვიდრებლის მიერ დატოვებული უძრავი ქონების მისამართი ემთხვევა მემკვიდრის საცხოვრებელი რეგისტრაციის ადგილს. სხვა შემთხვევაში ან თუ სამკვიდროში მოძრავი ნივთები (ან უფლებები) შედის, მემკვიდრე იძულებული ხდება სასამართლოს მიმართოს, ვინაიდან სანოტარო ორგანოს უსაფუძვლო უარის გასაჩივრება დამატებით დროსთანაა დაკავშირებული.

ამ მუხლის მოქმედების სუბიექტი შეიძლება იყოს ყველა ის პირი, რომელიც არის მემკვიდრე, მათ შორის იურიდიული პირიც, თუმცა პრაქტიკაში ისეთი შემთხვევა, რომ იურიდიულ პირს სასამართლოსთვის სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობით მიღების ფაქტის დადგენის შესახებ მიემართოს, ჯერ არ ყოფილა. ამდენად, გადამწყვეტია ის, რომ პირი მემკვიდრე იყოს, სხვა შემთხვევაში იგი ამ მუხლის მოქმედების სუბიექტი ვერ იქნება. შესაბამისად, სასამართლომ ეს გარემოება წარმოებაში მიღების ეტაპზევე უნდა გადაამოწმოს, ვინაიდან თუ პირი მემკვიდრე არაა, მაშინ მას, ბუნებრივია, ამ ფაქტის დასადგენად არც 315-ე მუხლით განსაზღვრული იურიდიული მნიშვენლობის მქონე მიზანი ექნება. ამდენად, აშკარაა რომ განმცხადებლის მიზანს

შეიძლება მხოლოდ სამკვიდროს მიღება წარმოადგენდეს (თუმცა ეს მიზანი განმცხადებელმა შეიძლება სხვადასხვა სიტყვიერი გამოხატულებით წარმოაჩინოს, მაგალითად განმარტოს, რომ მას ესაჭიროება სამკვიდრო მოწმობის აღება, ნოტარიუსთან საბუთების შეგროვება და ა.შ.). თუ მიზანზე ცხადად არა მი-თითებული, განმცხადებელს მიეცემა ვადა ხარვეზის შესავასებად. განცხადება წარმოებაში მიიღება მხოლოდ აღნიშნული ხარვეზის შევსების შემდეგ.

ვინაიდან არცერთი სხვა ადმინისტრაციული ორგანო არ არის აღჭურვილი უფლებამოსილებით,

იმსჯელოს სამკვიდრო მოწმობის გაცემაზე, განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი ნოტარიუსის უარი, რომლითაც შესაძლოა გაირკვეს, რომ ნოტარიუსმა: а) შეამოწმა მისი ქმედუ-ნარიანობა; ბ) შეამოწმა, რომ ეს პირი მართლაც მემკვიდრეა; გ) დაადგინა, რომ ყველა გარემოება ხელს უწყობს პირს, მიეღო სამკვიდრო, გარდა იმისა, რომ გაშვებული აქვს სამკვიდროს მიღების ვადა. ამდენად, სანოტარო ორგანოს უარით განსახილველი საკითხის ირგვლივ შეიძლება გარკ-ვეული ინფორმაცია იქნეს მოპოვებული. ამდენად, ასეთი უარი დასადგენ საკითხზე გარკვეულ მტკიცებულებას წარმოადგენს.

მტკიცებულებებთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ძირითად მტკიცებულებებს ამ შემთხ-ვევაში წარმოადგენენ მოწმეთა ჩვენებები, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ძალზედ რთულია რა-იმე სახის წერილობითი მტკიცებულების შედგენა სამკვიდროს ფაქტობრივ ფლობასთან დაკავშირებით. ამასთან, უმჯობესია, თუ მოწმედ გამოვა განმცხადებლის მეზობელი, რომელიც უშუალოდ, ყოველდღიურად აკვირდებოდა განმცხადებლის მიერ სამკვიდროს მიღებას და არა მი-სი მეგობარი ან ნათესავი.

განსაკუთრებით ყურადღება უნდა მიექცეს სამკვიდროს მიღების ექვსთვიანი ვადის დაცვას. ამას-თან, ეს ვადა საერთოა როგორც საბჭოური სამოქალაქო სამართლის კოდექსში, ისე დღეს მოქმე-დი კოდექსში. ამდენად, თუ მამკვიდრებელი გარდაიცვალა 1995 წლის 18 თებერვალს სასამართლომ უნდა გამოარკვიოს მისი მემკვიდრეები ფაქტობრივად დაუფლნენ თუ არა სამკ-ვიდროს 1995 წლის 18 თებერვლიდან 1995 წლის 18 აგვისტომდე. თუ მოწმემ უჩვენა, რომ მემკ-ვიდრემ ფაქტობრივი ფლობა დაიწყო მხოლოდ 1995 წლის 19 აგვისტოს, ეს იმას ნიშნავს, რომ მას ექვსი თვის განმავლობაში სამკვიდრო არ მიუღია.

სამკვიდროს დაუფლება სხავადსხვა გზით შეიძლება განხორციელდეს. ყველაზე გავრცელებულ შემთხვევას წარმოადგენს, იმავე უძრავ ქონებაში ცხოვრება, სადაც მამკვიდრებელი ცხოვრობ-და. თუმცა შესაძლებელია ასევე გაირკვეს, რომ მემკვიდრემ პირველი ექვსი თვის განმალობაში ბინაში რემონტი ჩაატარა, გარკვეული გაუმჯობესებები განახორციელა, ბინა გააქირავა, ბინიდან მამკვიდრებლის მოძრავი ნივთები (მაგალითად, ავეჯი ან ანტიკვარიატი და სხვა) გაიტანა. ეს სა-კითხები ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საქმის თავისებურებიდან გამომდინარე უნდა შეფას-დეს.

რაც შეეხება წერილობით მტკიცებულებებს, ძირითადად მხარეები წარმოადგენენ კომუნალური მომსახურების გადასახადების (ელექტროენერგიის, წყლის, გაზის და ა.შ.) გადახდის ქვითრებს. ამ ქვითრებს ერთი სპეციფიკა გააჩნია - როგორც წესი, მათში გადამხდელად კვლავ მამკვიდრე-ბელი ფიქსირდება. ამდენად, ძნელია გაირკვეს, თუ რეალურად ვინ გადაიხადა ეს თანხები, შესა-ბამისად, ამ სახის მტკიცებულებები მხოლოდ ირიბ მტკიცებულებებად თუ გამოდგება.

მეტად მნიშვნელოვანია, რომ სასამართლომ ამ საკითხით დაინტერესებული სხვა პირები მოიძი-ოს და ისინი საქმეში დაინტერესებულ პირებად ჩააბას. დაინტერესებული პირები შეიძლება იყ-ნენ სხვა მემკვიდრეები. ხშირ შემთხვევებში, თავად განმცხადებლები მიუთითებენ ამ პირების ვინაობას, მაგრამ არცთუ ისე იშვიათია შემთხვევები, როცა არაკეთილსინდისიერი განმცხადე-ბლები მაღავენ სხვა მემკვიდრეების არსებობის ფაქტს. ამ შემთხვევაში სასამართლომ სხვაგვარად უნდა მოახერხოს მემკვიდრეთა არსებობაარარსებობის გამორკვევა. კერძოდ, ყველაზე გავრცე-ლებული მეთოდია ასეთი ინფორმაციის დასაკითხი მოწმებისაგან ან/და დაინტერესებული პი-რებისაგან გაგება. მაგალითად, თუ მამკვიდრებელი არის განმცხადებლის მშობელი, მაშინ ყოველ მოწმეს უნდა დაესვას კითხვა: ა) ჰყავთ თუ არა განმცხადებელებს ძმები ან დები? ბ) თუ რომელი-მე მათგანი მამკვიდრებლის გარდაცვალებამდე გარდაიცვალა, მაშინ დარჩათ თუ არა მათ თავი-

ანთი საკუთარი მემკვიდრეები? გ) ხომ არ ყოფილა მამკვიდრებელი სხვა ქორწინებაში და ხომ არ ჰყავდა ასეთი ქორწინებიდან კიდევ სხვა შვილები? დ) ხომ არ ჰყოლია მამკვიდრებელს ვინმე ნაშვილები და ა.შ. პრაქტიკაში მეტად ხშირად ყოფილა შემთხვევები, როცა ასეთ კითხვებზე მიღებული პასუხებით გამოვლენილან დაინტერესებული პირები. მაგალითად, ერთ-ერთ საქმეზე მოწმის დაკითხვის შედეგად გაირკვა, რომ მამკვიდრებელ ხანდაზმულ ქალს აშშ-ში ჰყავდა შვილი, მაშინ როცა მამკვიდრებლის მეორე შვილი განცხადებაში ამტკიცებდა, თითქოს იგი ერთადერთი მემკვიდრე იყო. ერთ-ერთ სხვა საქმეზე კი გაირკვა, რომ მამკვიდრებელი ქალბატონი სხვა ქორწინებაში იმყოფებოდა, საიდანაც სხვა შვილი ჰყავდა შეძენილი.

დაინტერესებული პირის გამოვლენას ის მნიშვნელობა აქვს, რომ მან შეიძლება სადაცო გახადოს განცხადებაში მოყვანილი ფაქტი და ამდენად, საკითხი უნდა გადაწყდეს არა უდავო, არამედ სასარჩელო წესით. შესაბამისად, გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 311-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

პრაქტიკული თვალსაზრისით ძალზედ საინტერესოა სამკვიდრო მასაში შემავალი უფლებების მიღების საკითხების გადაწყვეტის მოწესრიგება. მაგალითად, მამკვიდრებელი ქალბატონი 1995 წელს გარდაიცვალა და დარჩა უძრავი ქონება, საცხოვრებელი ბინა, რომელიც მის სახელზე ბინის ორდერით ირიცხებოდა. ამასთან, ამ პერიოდში (ანუ 1992-1995 წლებში) ბინის ორდერის მფლობელები აღჭურვილნი იყვნენ უფლებით, მოეხდინათ ბინების პრივატიზაცია. ამდენად, გარდაცვლილ ქალბატონს, ფაქტობრივად, სამკვიდრო მასაში პრივატიზაციის უფლება დარჩა. ბუნებრივია, სამკვიდრო ქონება 1328-ე მუხლით მოიცავს როგორც აქტივებს, ისე პასივებს. ამდენად, განმცხადებელი (მამკვიდრებლის შვილი) დაინტერესებული იყო სამკვიდროს ფაქტობივი ფლობის ფაქტის დადასტურებით. ასეთ შემთხვევებში, სამკვიდრო მასაში შემავალი სხვა რაიმე მატერიალური ქონების (ნივთის, თუნდაც მოძრავის) ფლობის ფაქტი უნდა დადასტურდეს იმავე გზით, როგორც სხვა შემთხვევებში.

საინტერესო საკითხი წარმოიშვება პრაქტიკაში იმ შემთხვევებში, როცა სამკვიდრო უძრავი ქონება მამკვიდრებლის სახელზე აღრიცხულია არა საჯარო რეესტრში, არამედ მის შექმნამდე არსებულ ტექბიურობის. ასეთ შემთხვევაში, სამოქალაქო კოდექსის 1514-ე მუხლის საფუძველზე უნდა ჩაითვალოს, რომ ქონება მამკვიდრებლის საკუთრებაშია და შესაბამისად შედის სამკვიდრო მასაში.

6.2.4.2 სამკვიდროს გახსნის ადგილის დადგენა

სამკვიდროს გახსნის ადგილს შეიძლება გარკვეული იურიდიული მნიშვნელობა გააჩნდეს, ვინაიდან სამკვიდრო მოწმობის გაცემა სანოტარო ორგანოს მიერ ამ ადგილის მიხედვით ხდება, თუმცა სამკვიდროს გახსნის ადგილის დადგენის შესახებ განცხადებები მეტად იშვიათია სასამართლოს პრაქტიკაში. ეს გარემოება შეიძლება იმით აიხსნას, რომ სამოქალაქო კოდექსის 1324-ე მუხლით, სამკვიდროს გახსნის ადგილად ითვლება მამკვიდრებლის საცხოვრებელი ადგილი, ხოლო თუ იგი ცნობილი არ არის - სამკვიდროს ადგილსამყოფელი. აქედან გამომდინარე სამოქალაქო კოდექსის მე-20 მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, მამკვიდრებლის რეგისტრაციის ადგილი (ანუ მისამართი, რომელიც მის პირადობის მოწმობაშია აღნიშნული) ითვლება მისი სამკვიდროს გახსნის ადგილად, ხოლო თუ ეს მისამართი ცნობილი არაა (რაც პრაქტიკაში თითქმის არ გვხვდება), მაშინ სამკვიდროს ადგილსამყოფელი. მაგალითად, თუ სამკვიდრო შედგება უძრავი ქონებისაგან (მიწის ნაკვეთისაგან) და ეს ქონება ბათუმში მდებარეობს და მამკ-

ვიდრებლის საცხოვრებელი ადგილი უცნობია, მაშინ სამკვიდროს გახსნის ადგილი იქნება ბათუმი, თუნდაც მამკვიდრებლის გარდაცვალების ადგილი სხვა ქალაქი იყოს.

ამ ტიპის განცხადების განხილვისას განმცხადებელმა აუცილებლად უნდა აღნიშნოს, თუ რა კონკრეტული, იურიდიული მნიშვნელობის მქონე მიზნის მისაღწევად ესაჭიროება მას ამ ფაქტის დადგენა. განცხადების

წარმოებაში მიღების ეტაპზე სასამართლომ უნდა შეამოწმოს, ამ ფაქტის დადგენით მართლაც მიაღწევს თუ არა განმცხადებელი მისთვის სასურველ, იურიდიული მნიშვნელობის მქონე მიზანს. რაც შეეხება მტკიცებულებებს, სამკვიდროს გახსნის ადგილი შეიძლება დადგინდეს მამკვიდრებლის პირადობის მოწმობის ასლიდან, სადაც აღნიშნული იქნება მისი მისამართი. თუ მოწმობა უკვე ჩაბარებულია სამოქალაქო რეესტრის სააგენტოში გარდაცვალების მოწმობის აღების მიზნით, მაშინ შეიძლება წარმოდგნილ იქნეს, ასევე პირადობის მოწმობის გაცემისას გაკეთებულ შესაბამისი სააქტო ჩანაწერის ასლი, რასაც გაცემული პირადობის მოწმობა ემყარებოდა. მეორე შემთხვევაში, როცა მამკვიდრებლის საცხოვრებელი ადგილი უცნობია და სამკვიდრო შედგება უძრავი ქონებისაგან, მაშინ წარმოდგენილი უნდა იყოს მამკვიდრებელზე რიცხული ქონების შესახებ ამონაწერი საჯარო რეესტრიდან ან საჯარო რეესტრის ცნობა, რომელიც მამკვიდრებლის მიერ უძრავი ქონების საკუთრების უფლებით ფლობას დაადასტურებდა. სწორედ ამ ამონაწერში აღნიშნული მისამართი გახდება სამკვიდროს გახსნის ადგილი.

6.2.5 შვილად აყვანის, ქორწინებისა და განქორწინების ფაქტის დადგენა

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 312-ე მუხლის მე-2 ნაწილის "გ" ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო განიხილავს საქმეებს შვილად აყვანის, ქორწინების და განქორწინების ფაქტის დადგენის შესახებ.

აღნიშნული ნორმის თავდაპირველი რედაქციით, სასამართლო ადგენდა არა თვითონ შვილად აყვანის და ა.შ. ფაქტს, არამედ მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციის ორგანოებში მათი რეგისტრაციის ფაქტს, ანუ სასამართლოს უნდა დაედგინა ფაქტი იმის შესახებ, რომ დაბადება, გარდაცვალება, შვილად აყვანა, განქორწინება და ქორწინება იყო რეგისტრირებული, მაგრამ ჩანაწერები რეგისტრაციის შესახებ განადგურდა ომიანობის, ხანძრისა თუ რაიმე სტიქიური უბედურების გამო. განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, დაბადებისა და გარდაცვალების რეგისტრაციის ფატების დადგენა სასამართლოს კომპეტენცია აღარაა, ამასთან, ნორმის მიღებული ფორმულირება ქმნის შთაბეჭდილებას, რომ ამ შემთხვევაში სასამართლო ადგენს უშუალოდ ფაქტს, მიუხედავად იმისა, იყო თუ არა იგი რეგისტრირებული, თუმცა 312-ე მუხლის მე-2 ნაწილის "გ" ქვეპუნქტის უფრო ღრმა ანალიზი ცხადყოფს, რომ სასამართლოს როლი არსებითად არ შეცვლილა: სამოქალაქო კანონმდებლობა იცნობს რეგისტრირებულ ქორწინებას და ფაქტობრივ საქორწინო ურთიერთობას. მოცემულ შემთხვევაში გაუგებარია, კანონმდებელს ორივე მათგანის არსებობის ფაქტის დადგენა აქვს თუ არა მხედველობაში, თუმცა თუ მკაცრად მივყვებით ნორმის ფორმულირებას, სასამართლომ რეგისტრირებული ქორწინების ფაქტი უნდა დაადგინოს, რადგანაც მატერიალური კანონმდებლობა ტერმინ "ქორწინებას" ამ უკანასკნელთან მიმართებით იყენებს, შესაბამისად, სასამართლოს მაინც მოუწევს რეგისტრაციის ფაქტის დადგენა.

ანალოგიური ვითარებაა განქორწინების შემთხვევაშიც: განსხვავებით ქორწინების ფაქტობრივად შეწყვეტისაგან, განქორწინება ყოველთვის დოკუმენტურად დადასტურებულია (არსებობს სასამართლოს გადაწყვეტილება ქორწინების შეწყვეტის შესახებ ან რეგისტრირებულია სააგენტოს ტერიტორიული სამსახურის მიერ), შესაბამისად, სასამართლოს კვლავაც ამგვარი დოკუმენტების არსებობის ფაქტზე უწევს მსჯელობა.

რაც შეეხება შვილად აყვანას, აღნიშნული კანონმდებლობით განსაზღვრული პროცედურის ზუსტი დაცვით ხორციელდება. ბავშვის მხოლოდ კონკრეტულ პირებთან ცხოვრების ფაქტი შვილად აყვანას არ უტოლდება და შესაბამის შედეგებს არ იწვევს, ამდენად, სასამართლომ უნდა დაადგინოს, არსებობდა თუ არა გადაწყვეტილება შვილად აყვანის თაობაზე.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 315-ე მუხლში მოცემულია დანაწესი, რომელ-საც უნდა შეესაბამებოდეს იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის თაობაზე სასამართლოში წარდგენილი განცხადება, რომელშიც უნდა აღინიშნოს, რა მიზნით სჭირდება განმცხადებელს იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენა. აღნიშნული აუცილებელია, რათა გაირკვეს დასადგენ ფაქტს უკავშირდება თუ არა ის შედეგი, რომლის დადგომაც სურს განმცხადებელს. აღნიშნული ფაქტის დადგენა სასამარ-თლოს მიერ ხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ სასამართლოს მიერ დადგინდება, რომ ამ ფაქტის დადგენაზეა დამოკიდებული პირთა პირადი ან ქონებრივი უფლებების წარმოშობა, შეცვლა ან მოსპობა და ამასთან, თუ შეუძლებელია მათი მიღება ან აღდგენა სხვა გზით, რის დასადასტურებლადაც წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისი მტკიცებულებები.

განცხადების წარდგენისას მნიშვნელობა არა აქვს მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციის იმ ორგანოს ადგილმდებარეობას, სადაც განხორციელდა რეგისტრაცია, განცხადება იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის შესახებ შეიტანება სასამართლოში განმცხადებლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

სასამართლო გადაწყვეტილება შვილად აყვანის, ქორწინების, განქორწინების ფაქტის დადგენის შესახებ არ ცვლის მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციის ჩანაწერს, იგი წარმოადგენს შესაბამისი ჩანაწერის აღდგენის საფუძველს.

შესაბამისი ფაქტის დადგენის მოთხოვნით სასამართლოს შეუძლია მიმართოს არა მხოლოდ იმ პირმა ვის შესახებაც განხორციელდა მოქალაქეობრივი მდგომარეობის ორგანოში რეგისტრაცია, არამედ ნებისმიერმა დაინტერესებულმა პირმა, ვისთვისაც დასახელებული ფაქტის დადგენა წარმოშობს, ცვლის ან წყვეტს პირად ან ქონებრივ უფლებებს. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ შვილად აყვანის, ქორწინების და განქორწინების ფაქტის დადგენის მოთხოვნით დაინტერესებული პირები განცხადებით იშვიათად მომართავენ სასამართლოს.

6.3 მოქალაქის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება და გარდაცვლილად გამოცხადება

6.3.1 განცხადების შეტანა

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 317-ე მუხლის თანახმად, განცხადება მოქალაქის უგზოუკვლოდ დაკარგულად აღიარების ან მოქალაქის გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ შეიტანება სასამართლოში დაინტერესებული პირის მიერ განმცხადებლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

მოცემული კატეგორიის საქმეთა მნიშვნელობა ძალზე დიდია, რამეთუ მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე პირის ხანგრძლივად არყოფნამ ისეთ შემთხვევებში, როცა მისი ადგილსამყოფელი უცნობია, შესაძლოა ხელყოს იმ პირთა ინტერესები, რომლებიც უგზო-უკვლოდ დაკარგულთან გარკვეული სამართალურთიერთობებით არიან დაკავშირებული. სწორედ ამიტომ, აღნიშნული უფლებების (ინტერესების) დასაცავად კანონი ითვალისწინებს მოქალაქის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების ან გარდაცვლილად გამოცხადების შესაძლებლობას. უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება ან გარდაცვლილად გამოცხადება მხოლოდ სასამართლო წესითაა შესაძლებელი.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 21-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე ფიზიკური პირი შეიძლება სასამართლოს გადაწყვეტილებით აღიარებულ იქნეს უგზო-უკვლოდ დაკარგულად, თუ მისი ადგილსამყოფელი უცნობია და ორი წლის მანძილზე იგი არ გამოჩენილა თავის საცხოვრებელ ადგილას.

სასამართლოს მიერ პირის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების წილაკი:

პირის ადგილსამყოფელი უცნობია

პირი ორი წლის მანძილზე არ გამოჩენილა თავის საცხოვრებელ ადგილას

სასამართლოში შეტანილ იქნა დაინტერესებული პირის განცხადება

ამავე კოდექსის 22-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, პირი შეიძლება სასამართლოს წესით გამოცხადდეს გარდაცვლილად, თუ მის საცხოვრებელ ადგილს ხუთი წლის განმავლობაში არ მოიპოვება ცნობები ამ პირის ადგილსამყოფელის შესახებ, აგრეთვე, თუ იგი უგზო-უკვლოდ დაიკარგა ისეთ გარემოებაში, რომელიც მას სიკვდილს უქადდა ანდა სავარაუდოა მისი დაღუპვა რაიმე უბედური შემთხვევის გამო და ასეთი ცნობები ექვსი თვის განმავლობაში არ მოიპოვება. ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, სამხედრო მოსამსახურე ან სხვა პირი, რომელიც უგზო-უკვლოდ დაიკარგა საომარ მოქმედებასთან დაკავშირებით, შეიძლება სასამართლო წესით გამოცხადდეს გარდაცვლილად არა უადრეს ორი წლის გასვლისა საომარი მოქმედების დამთავრების დღიდან.

**სასამართლოს მიერ პირის შეიძლება გამოცხადდეს
გარდაცვლილად, თუ**

მის საცხოვრებელ ადგილას 5 წლის განმავლობაში არ მოიპოვება
ცნობები ამ პირის ადგილსამყოფელის შესახებ

**სასამართლოს მიერ პირი
შეიძლება გამოცხადდეს გარდაცვლილად, თუ:**

მის საცხოვრებელ ადგილას 5 წლის განმავლობაში არ მოიპოვება ცნობები
ამ პირის ადგილსამყოფელის შესახებ

**სასამართლოს მიერ პირი
შეიძლება გამოცხადდეს გარდაცვლილად, თუ:**

იგი უგზო-უკვლოდ დაიკარგა ისეთ გარემოებაში,
რომელიც მას სიკვდილს უქადდა

ასეთი ცნობები ექვსი თვის განმავლობაში არ მოიპოვება

**სასამართლოს მიერ პირი
შეიძლება გამოცხადდეს გარდაცვლილად, თუ:**

სავარაუდოა მისი დაღუპვა რაიმე უბედური შემთხვევის გამო

ასეთი ცნობები ექვსი თვის განმავლობაში არ მოიპოვება

**სასამართლოს მიერ სამხედრო მოსამახურე შეიძლება გამოცხადდეს
გარდაცვლილად, თუ:**

უგზო-უკვლოდ დაიკარგა საომარ მოქმედებასთან დაკავშირებით

საომარი მოქმედების დამთვარების დღიდან გასულია 2 წელი


მოცემული კატეგორიის საქმეთა წარმოების სამართლებრივი მიზნები და შედეგები იურიდიული მნიშვნელობის ფაქტების დადგენის მსგავსია. ამ კატეგორიის საქმეთა განხილვის მიზანია, იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენა და არა შესაბამისი იურიდიული უფლების შესახებ დავის გადაწყვეტა. ამიტომ მოცემული კატეგორიის საქმეებში განმცხადებელი არ აცხადებს რაიმე მატერიალურ-სამართ-ლებრივ მოთხოვნას, რის გამოც არ გვყავს მოპასუხე.

ფიზიკური პირის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების ან ფიზიკური პირის გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ განცხადების შეტანა შეუძლიათ დაინტერესებულ პირებს. ამასთან, კანონში მითითებული არაა, თუ ვინ ითვლებიან დაინტერესებულ პირებად. ამ საკითხის გასარკვევად სასამართლომ უნდა გამოარკვიოს განმცხადებლის იურიდიული ინტერესი.

სამოქალაქო კოდექსის 21-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ კანონით მემკვიდრეები მოიპოვებენ უფლებამოსილებას, უკვალოდ დაკარგულის ქონება მართონ მინდობილი საკუთრების სახით, მათ შორის, მიიღონ მისგან სარგებელი. ამ ქონებიდან მიეცემა სარჩო უგზო-უკვლოდ დაკარგულის რჩენაზე მყოფ პირებს და დაიფარება ვალები.

ფიზიკური პირის გარდაცვლილად გამოცხადება იწვევს იგივე სამართლებრივ შედეგებს, რასაც პირის ფიზიკური სიკვდილი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ფიზიკური პირის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების ან გარდაცვლილად გამოცხადების იურიდიული ინტერესი შეიძლება ჰქონდეთ იმ პირებს, რომელსაც შეუძლიათ მიიღონ ქონება მემკვიდრეობით (მემკვიდრეებს), უგზო-უკვლოდ დაკარგულის რჩენაზე მყოფ პირებს, ასევე კრედიტორებს.



სამოქალაქო კოდექსის 1343-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ არც კანონით და არც ანდერძით მემკვიდრეები არ არიან, ან არც ერთმა მემკვიდრემ არ მიიღო სამკვიდრო, ანდა, როცა ყველა მემკვიდრეს ჩამოერთვა მემკვიდრეობის უფლება, უმკვიდრო ქონება გადადის სახელმწიფოზე; ხოლო თუ მამკვიდრებელი მოხუცთა, ინვალიდთა, სამკურნალო, აღმზრდელობით და სოციალური დაცვის სხვა დაწესებულებათა რჩენაზე იმყოფებოდა, მაშინ - მათ საკუთრებაში. ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, უმკვიდრო ქონება სამეწარმეო საზოგადოებაში ან კოოპერატივში წილის, აქციის ან პაის სახით გადადის მათ ხელში, თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

აქედან გამომდინარე, მოქალაქის გარდაცვლილად გამოცხადების იურიდიული ინტერესი შეიძლება ჰქონდეთ და, შესაბამისად, პირის გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ განცხადება სა-

სამართლოში შეიძლება შეიტანონ სახელმწიფომ, მოხუცთა, ინვალიდთა, სამკურნალო, აღმზრ-დელობითი და სოციალური დაცვის სხვა დაწესებულებებმა, იურიდიულმა პირებმა.

**მოქალაქის გარდაცვლილად გამოცხადების იურიდიული ინტერესი
ასევე შეიძლება ჰქონდეს**

სახელმწიფოს	
მოხუცთა, ინვალიდთა, სამკურნალო, აღმზრდელობით და სოციალური დაცვის სხვა დაწესებულებებს	
იურიდიულ პირებს	
და. ა. შ.	

სსკ-ის 317-ე მუხლი განსაზღვრავს მოქალაქის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებისა ან მოქალაქის გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ განცხადების შეტანის ადგილს. კერძოდ, ამ ნორმის თანახმად, განცხადება სასამართლოში შეიტანება განმცხადებლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, თუ განმცხადებელი ფიზიკური პირია, ხოლო თუ განმცხადებელი იურიდიული პირია, მაშინ განცხადება სასამართლოში შეიტანება მისი ადგილსამყოფელის (იურიდიული მისამართის) მიხედვით (სსკ-ის 27-ე მუხლი).

6.3.2 განცხადების შინაარსი

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 318-ე მუხლის თანახმად, განცხადებაში უნდა აღინიშნოს, რა მიზნისათვის სჭირდება განმცხადებელს მოქალაქის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება და მისი გარდაცვლილად გამოცხადება, აგრეთვე გარემოებანი, რომელითაც დასტურდება მოქალაქის უგზოუკვლოდ დაკარგვა, ანდა რომელიც უგზო-უკვლოდ დაკარგულს სიკვდილის საფრთხეს უქმნიდნენ, ან საფუძველს იძლევიან მისი დაღუპვის ვარაუდისათვის გარკვეული უბედური შემთხვევის შედეგად.

მოქალაქის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებისა და მისი გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ განცხადების შინაარსი უნდა პასუხობდეს, როგორც საერთო მოთხოვნებს, რაც ზოგადად წაეყენება ნებისმიერ განცხადებას, ასევე სსკ-ის 318-ე მუხლით განსაზღვრულ სპეციალურ მოთხოვნებს.

პირის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებისა და გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ გან-ცხადებაში უნდა აღინიშნოს:

- სასამართლოს დასახელება, რომელშიც შეაქვთ განცხადება;
- განმცხადებლის, წარმომადგენლის (თუ განცხადება შეაქვს წარმომადგენელს) სახელი,
გვარი
(სახელწოდება), მისამართი, ასევე არსებობის შემთხვევაში, სამუშაო ადგილის მისამართი,

- ტელეფონი, მათ შორის, მობილური, ელექტრონული ფოსტა, ფაქსი;
- გ. განმცხადებლის მოთხოვნა;
- დ. მიზანზე მითითება, რისთვისაც სჭირდება განმცხადებელს პირის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება ან გარდაცვლილად გამოცხადება;
- ე. გარემოებანი, რომლებითაც დასტურდება მოქალაქის უგზო-უკვლოდ დაკარგვა, ანდა რომლებიც უგზო-უკვლოდ დაკარგულს სიკვდილის საფრთხეს უქმნიდნენ, ან საფუძველს იძლევიან მისი დაღუპვის ვარაუდისათვის გარკვეული უბედური შემთხვევის შედეგად;
- ვ. მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ ამ გარემოებებს;
- ზ. განცხადებისათვის დართული საბუთების ნუსხა.

განცხადებლის მიერ გადახდილი უნდა იქნეს ასევე სახელმწიფო ბაჟი.

განცხადებაში აუცილებლად უნდა მიეთითოს, თუ რა მიზნით (რისთვის) არის აუცილებელი განცხადებლისათვის პირის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება ან გარდაცვლილად გამოცხადება.

სასამართლოსადმი მიმართვის მიზნის მითითება, პირველ ყოვლისა, საშუალებას გვაძლევს შემოწმდეს, აქვს თუ არა განცხადებელს იურიდიული ინტერესი; მეორე მხრივ, ეს გვეხმარება განვსაზღვროთ დაინტერესებულ პირთა წრე, რომლებიც ჩართულ უნდა იქნენ საქმეში მონაწილეობის მისაღებად.

როგორც წესი, მოცემული კატეგორიის საქმეებზე განცხადება შეიტანება (საქმე აღიძვრება) განქორწინების მიზნით (უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება) ან ქორწინების შეწყვეტის მიზნით (გარდაცვლილად გამოცხადება). ამ საქმეთა აღძვრა ხდება აგრეთვე მარჩენალის დაკარგვის გამო პენსიის მიღების (დანიშვნის), სამკვიდროს ან უგზო-უკვლოდ დაკარგულის ქონებიდან სარჩიოს მიღების, ვალის გადახდის მოთხოვნის მიზნით და სხვ.

განცხადებაში გარდა მიზნისა, მითითებული უნდა იყოს ისეთ გარემოებებზე, რომლებიც ადასტურებენ პირის უგზო-უკვლოდ დაკარგვას ან გარდაცვალებას. განცხადებაში აღინიშნება (მიეთითება), ასევე უგზოუკვლოდ დაკარგვის ვადა, განცხადებლის მიერ მიღებული ზომები პირის მოსაძებნად.

თუ განცხადება არ პასუხობს ზემოთაღნიშნულ მოთხოვნებს ან/და სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, განმცხადებელს ეძლევა ვადა ამ ხარვეზის გამოსასაწორებლად (სსკ-ის 185-ე მუხლი). თუ სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული სასამართლო გამოიტანს განჩინებას განცხადების მიღებაზე უარის თქმის შესახებ (სსკ-ის 186-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "თ" ქვეპუნქტი).

6.3.3 განცხადების განხილვის წესი და სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანა

უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებისა და გარდაცვლილად გამოცხადების პირობები (საფუძვლები) განსაზღვრულია მეტერიალური სამოქალაქო კოდექსით (21-22-ე მუხლები).

სკ-ის 21-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე, ფიზიკური პირი შეიძლება სასამართლოს გადაწყვეტილებით აღიარებულ იქნეს უგზო-უკ-

ვლოდ დაკარგულად, თუ მისი ადგილსამყოფელი უცნობია და ორი წლის მანძილზე იგი არ გამოჩენილა თავის საცხოვრებელ ადგილას. გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ კანონით მემკვიდრეები მოიპოვებენ უფლებამოსილებას, უკვალოდ დაკარგულის ქონება მართონ მინდობილი საკუთრების სახით, მათ შორის, მიიღონ მისგან სარგებელი. ამ ქონებიდან მიეცემა სარჩეო უგზო-უკვლოდ დაკარგულის რჩენაზე მყოფ პირებს და დაიფარება ვალები.

აღნიშნული ნორმის შესაბამისად სასამართლო გამოიტანს გადაწყვეტილებას ფიზიკური პირის უგზოუკვლოდ დაკარგულად აღიარების შესახებ იმ შემთხვევაში, თუ დარწმუნდება ფიზიკური პირის ძებნის უშედეგობასა და მის შესახებ ცნობების არარსებობაში მის მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე მატერიალური კანონით დადგენილი ვადის განმავლობაში. ამ ფაქტს მოჰყვება მნიშვნელოვანი სამართლებრივი შედეგები: განქორწინების შესაძლებლობა გამარტივებული წესით, ქონებაზე მეურვეობის დაწესება, პენსიის მიღების (დანიშვნის) უფლება მარჩენალის დაკარგვის გამო და სხვა.

სამოქალაქო კოდექსი განსაზღვრავს, ასევე ფიზიკური პირის გარდაცვლილად გამოცხადების კანონიერ საფუძველს (სკ-ის 22-ე მუხლი). პირი შეიძლება სასამართლოს წესით გამოცხადდეს გარდაცვლილად, თუ მის საცხოვრებელ ადგილას ხუთი წლის განმავლობაში არ მოიპოვება ცნობები ამ პირის ადგილსამყოფელის შესახებ. ექსტრემალურ გარემოებებში პირის გაუჩინერების დროს, რომელიც მას სიკვდილს უქადდა (წყალდიდობა, მიწისძვრა, ავიაკატასტროფა და ა.შ.), სასამართლოს უფლება აქვს პირი გამოაცხადოს გარდაცვლილად ექვსი თვის გასვლის შემდეგ. უგზო-უკვლოდ დაკარგვა სამხედრო მოქმედებებთან და კავ-შირებით, უფლებას აძლევს სასამართლოს პირი გარდაცვლილად გამოაცხადოს მხოლოდ საომარი მოქმედების (ომის) დამთავრების დღიდან ორი წლის გასვლის შემდეგ. საჭირო არ არის წინასწარ ჯერ უგზოუკვლოდ დაკარგულად აღიარება.

ფიზიკური პირის გარდაცვლილად გამოცხადება იწვევს იგივე სამართლებრივ შედეგებს, რასაც იწვევს ფიზიკური სიკვდილი ე.ი. ქორწინების შეწყვეტას, სამკვიდროს გახსნას, წარმოშობს სარჩენთა უფლებას მიიღონ პენსია და სხვა.

განცხადების წარმოებაში მიღების შემდეგ მოსამართლე იწყებს საქმის მომზადებას, რისთვისაც ხელმძღვანელობს, როგორც სსკ-ის 319-ე მუხლით, ასევე სსკ-ის 203-ე მუხლით დადგენილი საერთო (ზოგადი) ნორმებით იმ ზომით, რა ზომითაც ისინი შეიძლება გამოყენებულ იქნენ უდავო წარმოებაში. საქმის მომზადება სავალდებულოა და თუ ეს წესი დარღვეულია, მაშინ შესაძლოა ამან გამოიწვიოს დაუსაბუთებელი და უკანონო გადაწყვეტილების გამოტანა. საქმის მომზადებისას მოსამართლემ საქმეში უნდა ჩააბას მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებული პირი; მიიღოს ზომები იმ მტკიცებულებათა შესაკრებად, რომლებიც დაადასტურებენ პირის არყოფნას თავის მუდმივ საცხოვრებელ ადგილას. დაინტერესებულ პირთა ჩაბმა საქმეში მონაწილეობის მისაღებად იმითაა განპირობებული, რომ პირის აღიარება უგზოუკვლოდ დაკარგულად ან მისი გამოცხადება გარდაცვლილად წარმოშობს გარკვეულ უფლება-მოვალე-ობებს არა მხოლოდ განმცხადებლისათვის, არამედ სხვა პირთათვისაც.

სსკ-ის 319-ე მუხლის შესაბამისად, მოსამართლე საქმის მომზადებისას არკვევს, თუ რომელ პირებს შეუძლიათ მიაწოდონ ცნობები დაკარგულის შესახებ, აგრეთვე გამოჰყითხავს სათანადო ორგანოებს დაკარგული პირის შესახებ მისი უკანასკნელი საცხოვრებელი ან სამუშაო ადგილის მიხედვით. იმ პირებში, რომლებსაც შეუძლიათ სასამართლოს მიაწოდონ ცნობები დაკარგულის შესახებ, იგულისხმებიან ნათესავები, თანამშრომლები და სხვა, ხოლო სათანადო ორგანოებში იგულისხმება ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოები, პოლიციის ორგანოები, რომელთაც შეუძლიათ მიაწოდონ სასამართლოს დაკარგულის შესახებ მათ ხელთ არ-

სებული ცნობები. მანამ, სანამ მოსამართლე არ მიიღებს პასუხს მის ყველა შეკითხვაზე შესაბამისი ორგანოებიდან, არ უნდა დანიშნოს სასამართლო სხდომაზე საქმის განხილვა.

როგორც აღინიშნა, უგზო-უკვლოდ დაკარგულად პირის ასაღიარებლად სასამართლომ უნდა დაადგინოს, რომ ეს პირი თავის მუდმივ საცხოვრებელ ადგილას არ იმყოფება ორი წლის განმავლობაში და არ არსებობს ცნობები მისი ადგილსამყოფელის შესახებ. ორნლიანი ვადა დენას იწყებს უგზო-უკვლოდ დაკარგულის შესახებ უკანასკნელი ცნობების მიღების დღიდან.

კანონით დადგენილ შემთხვევებში პირის გარდაცვლილად გამოცხადება ხდება შემცირებულ ვადებში (6 თვის განმავლობაში). ვთქვათ, პირი უკვალოდ დაიკარგა (დაიღუპა) ავიაკატასტროფის დროს. ასეთ შემ-თხვევებში სასამართლოს ამოცანაა, რომ მიიღოს მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ, რომ პირი, რომელზეც აღძრულია საქმე გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ, ნამდვილად იმყოფებოდა იმ სატრანსპორტო საშუალების მგზავრთა შორის, რომელმაც კატასტროფა განიცადა. ექვსთვიანი ვადის დენის მომენტად უნდა ჩაითვალოს უბედური შემთხვევის დღე ან ის დღე, როცა მოხდა ის გარემოება, რომელიც პირს სიკვდილს უქადდა. ასეთ გარემოებებს სასამართლო ადგენს დოკუმენტების ან მოწმეთა ჩვენებების საფუძველზე, რაც შეეხება საომარი მოქმედებების დროს პირის უგზო-უკვლოდ დაკარგვას და ამის საფუძველზე მის გარდაცვლილად გამოცხადებას, საომარი მოქმედებების დამთვარების დღე უნდა დადგინდეს შესაბამისი სამხედრო ან სახელმწიფო ორგანოების ცნობით, ხოლო თუ ეს დღე საყოველთაოდ ცნობილია, სასამართლოს შეუძლია ეს ფაქტი საყოველთაოდ ცნობილად მიიჩნიოს. მაგალითად, იმ ფიზიკურ პირთა მიმართ, რომლებიც უგზო-უკვლოდ დაიკარგნენ საომარი მოქმედებების დროს, მათ ახლობლებს შეუძლიათ დააყენონ საკითხი დაკარგულთა გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ მხოლოდ მას შემდეგ, რაც საომარი მოქმედებების დამთავრების ვადა ოფიციალურად დადგინდება. იმ შემთხვევაში, თუ პირი უგზო-უკვლოდ დაიკარგა ისეთ გარემოებებში, რაც მას სიკვდილს უქადდა, სასამართლოს შეუძლია სიკვდილის დღედ აღიაროს მისი სავარაუდო დაღუპვის დღე.

ორივე კატეგორიის საქმეთა განხილვა მთავრდება გადაწყვეტილების გამოტანით. გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში სასამართლომ უნდა მიუთითოს: ფიზიკური პირის გვარი, სახელი, მამის სახელი; მისი დაბადების წელი და ადგილი; უკანასკნელი ცნობილი საცხოვრებელი ადგილი; უგზო-უკვლოდ დაკარგვისა და ფიზიკური პირის გარდაცვალების თარიღი, თუ ის ცნობილია.

სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც მოქალაქე გამოცხადებულია გარდაცვლილად, წარმოადგენს საფუძველს იმისათვის, რომ სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანომ შეიტანოს ჩანაწერი ამ მოქალაქის გარდაცვალების შესახებ მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციის წიგნში. კანონით დადგენილი წესით გარდაცვლილად გამოცხადებულის გარდაცვალების რეგისტრაციის დროს, გარდაცვალების დროდ გარდაცვალების შესახებ სააქტო ჩანაწერში მიეთითება სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის თარიღი.

6.3.4 უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებულის ან გარდაცვლილად გამოცხადებულის გამოჩენის ან მისი ადგილსამყოფელის აღმოჩენის შედეგები

საქართველოს სსკ-ის 321-ე მუხლის თანახმად, უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებული ან გარდაცვლილად გამოცხადებული მოქალაქის გამოჩენის ან მისი ადგილსამყოფელის აღმოჩენის შემთხვევაში სასამართლო ახალი გადაწყვეტილებით აუქმებს თავის წინანდელ გადაწყვეტილე-

ბას. ახალი გადაწყვეტილება წარმოადგენს მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციის წიგნში გარდაცვალების შესახებ ჩანაწერის გაუქმების საფუძველს.

მოქალაქის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება ან მისი გარდაცვლილად გამოცხადება ყოველთვის ეფუძნება პრეზუმუციას (ვარაუდს). ამიტომ აღნიშნული მუხლი უშვებს ამ ვარაუდის გაქარწყლების შესაძლებლობას. გაქარწყლება კი, შესაძლებელია დაკარგულის ან გარდაცვლილად გამოცხადებულის გამოჩენით ან მისი ადგილსამყოფელის აღმოჩენით. აღნიშნული გარემოებები უნდა დადასტურდეს უტყუარად სასამართლოს წინაშე თვითონ ამ პირის გამოცხადებით ან ოფიციალური ცნობით მისი ადგილსამყოფელის შესახებ.

სასამართლოს განცხადებით შეიძლება მიმართოს იმ პირმა, ვისი განცხადებითაც პირი გამოცხადდა უგზოუკვლოდ დაკარგულად ან გარდაცვლილად, სხვა დაინტერესებულმა პირმა (სსკ-ის 317-ე მუხლი) და, ცხადია, თვითონ იმ პირმა, რომელიც გამოცხადებული იყო დაკარგულად ან გარდაცვლილად.

სსკ-ის 321-ე მუხლში არ არის მითითებული, თუ რა წესით, რა კონკრეტული პროცედურის დაცვით უნდა მოხდეს ახალი გადაწყვეტილების გამოტანა. ცხადია, რომ მითითებულ მუხლში აღნიშნულ "წინანდელ გადაწყვეტილებაში" იგულისხმება სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული შესაბამისი გადაწყვეტილება.

სსკ-ის 265-ე მუხლის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმება ან შეცვლა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში და იმ წესით, რაც დადგენილია ამ კოდექსით.

კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმების ან შეცვლის გზაა საქმის წარმოების განახლება გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო (სსკ-ის 421-ე მუხლი). ამასთან, სსკ-ის 321-ე მუხლი ადგენს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმების ისეთ შემ-თხვევას, რაც სსკ-ის LII თავით (განცხადება საქმის წარმოების განახლების შესახებ და მისი განხილვის წესი) არ არის გათვალისწინებული. სსკ-ის 321-ე მუხლის თანახმად, პირის გარდაცვლილად გამოცხადების ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების შესახებ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ახალი გადაწყვეტილებით გაუქმების საფუძველია უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებული ან გარდაცვლილად გამოცხადებული პირის გამოჩენა მის საცხოვრებელ ადგილას ან მისი ადგილსამყოფელის აღმოჩენა. საქმის წარმოების განახლების ასეთ საფუძველს არ შეიცავს სსკ-ის 422-423-ე მუხლები. გარდა ამისა, სსკ-ის 430-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ გამოირკვევა, რომ საქმის წარმოების განახლების მოთხოვნა საფუძვლიანია, მაშინ გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას სასამართლო გააუქმებს თავისი განჩინებით, რის შემდეგაც საქმე თავიდან უნდა იქნეს განხილული საქმეთა განხილვის შესახებ ამ კოდექსით დადგენილი წესით. აღნიშნულისგან განსხვავებულ წესს ადგენს სსკ-ის 321-ე მუხლი, რომლის თანახმად, თუ დაინტერესებული პირის განცხადება საფუძვლიანი აღმოჩნდება, სასამართლო ახალი გადაწყვეტლებით (და არა განჩინებით) აუქმებს თავის წინანდელ გადაწყვეტილებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, დაინტერესებული პირის განცხადება (პირის გარდაცვლილად გამოცხადების ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების შესახებ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ახალი გადაწყვეტილებით გაუქმების თაობაზე) განხილულ უნდა იქნეს პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვის საერთო წესების დაცვით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად, უდავო წარმოების საქმეებზე გათვალისწინებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდა. დაკარგულად ან გარდაცვლილად გამოცხადებული პირის გამოჩენის ან მისი ადგილსამყოფელის დადგენის შესახებ განცხადებაზე სახელმწიფო ბაჟის

გადახდა საჭირო არაა, ვინაიდან ამ განცხადებით ხდება არა უდავო წარმოებით საქმის აღძვრა, არამედ ადრე უკვე აღძრული და გადაწყვეტილი საქმის განახლება.

სასამართლოს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც გაუქმდა მანამდე გამოტანილი გადაწყვეტილება, მინდობილ საკუთრებად გადაცემული ქონების უფლებამოსილი პირისათვის დაბრუნებისა და მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციის წიგნში გარდაცვალების შესახებ ჩანაწერის გაუქმების საფუძველია (სსკ-ის 321-ე მუხლი). სხვა შედეგები გათვალისწინებულია მატერიალური სამოქალაქო კოდექსით. კერძოდ, უფლებამოსილ პირს უფლება აქვს მოითხოვოს თავისი იმ ქონების დაბრუნება, რომელიც უსასყიდლოდ გადაეცათ სხვა პირებს. ის ქონება, რომელიც სასყიდლიანი გარიგებით გადავიდა (გადაეცა) სხვა პირთა საკუთრებაში, ბრუნდება იმ შემთხვევაში, თუ შემძენისათვის ცნობილი იყო, რომ გარდაცვლილად გამოცხადებული მესაკუთრე ცოცხალია. თუ ქონება მემკვიდრეობის უფლებით გადაეცა სახელმწიფოს (ხაზინას) და რეალიზებულია, მაშინ მესაკუთრეს უბრუნდება რეალიზაციიდან მიღებული თანხა (სკ-ის 23-ე მუხლი).

6.4 მოქალაქის შეზღუდულ ქმედუნარიანად და ქმედუუნაროდ აღიარება

6.4.1 ზოგადი წესები მოქალაქის შეზღუდულ ქმედუნარიანად და ქმედუუნაროდ აღიარების შესახებ

სამოქალაქო კოდექსის მე-12 მუხლის მიხედვით ფიზიკური პირის უნარი, თავისი ნებითა და მოქმედებით სრული მოცულობით შეიძინოს და განახორციელოს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები (ქმედუნარიანობა) წარმოიშობა სრულწლოვანების მიღწევისთანავე. სრულწლოვანია პირი, რომელმაც მიაღწია თვრამეტი წლის ასაკს.

სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს მოქალაქის ქმედუნარიანობის (სრული ან ნაწილობრივი) შეზღუდვის შემთხვევებს გარკვეული გარემოებების არსებობისას.

მოქალაქის შეზღუდულ ქმედუნარიანად ან ქმედუუნაროდ აღიარება შესაძლებელია მხოლოდ სასამართლოს მიერ.

სამოქალაქო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სასამართლოს მიერ პირი შესაძლოა გამოცხადდეს შეზღუდულ ქმედუნარიანად, თუ იგი ბოროტად იყენებს ალკოჰოლს ან ნარკოტიკულ ნივთიერებებს და ამის გამო თავის ოჯახს მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში აყენებს.

მოქალაქის შეზღუდულ ქმედუნარიანად აღიარება გულისხმობს მოქალაქისათვის კანონით მინიჭებული უფლებების შეზღუდვას სხვა პირის (მზრუნველი, კანონიერი წარმომადგენელი) თანხმობის გარეშე განახორციელოს მისთვის კანონით მინიჭებული მოქმედებები (ქონების ყიდვა, გაყიდვა, დაგირავება, თხოვება, ჩუქება, ანდერძით სხვა პირისათვის დატოვება, გაცვლა, ასევე ნებისმიერი სხვა მოქმედების განხორციელება, რაც დაკავშირებულია ქონების განკარგვასთან).

შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირის მიერ გარიგების დადებისათვის აუცილებელია კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა. ამასთან, ცალკეულ შემთხვევებში იგი უფლებამოსილია დამოუკიდებლადაც დადოს გარიგებები. მაგალითად, სამოქალაქო კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, გარიგება, რომლითაც შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირი იღებს სარგებელს, არ მო-

ითხოვს კანონიერი წარმომადგენლის თანხმობას. ნამდვილია, ასევე ისეთი გარიგებები, როდესაც შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირები განკარგავენ იმ სახსრებს, რომლებიც მას გადასცა კანონიერმა წარმომადგენლებმა ან კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით - მესამე პირებმა (სსკ. 65-ე მუხლი). ყველა სხვა სახის გარიგების დადებისათვის აუცილებელია კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა, თუმცა ასეთი გარიგებები წარმოადგენენ საცილოდ ბათილ გარიგებებს და შესაბამისად, კანონიერი წარმომადგენლის მიერ მათი მოწონების შემთხვევაში ისინი ითვლება ნამდვილად.

სამოქალაქო კოდექსის მე-14 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირი, თავის ქმედუნარიანობაში უთანაბრდება არასრულწლოვანს.


მოქალაქის შეზღუდულ ქმედუნარიანად აღიარება ემსახურება არა მარტო ოჯახის ინტერესებს, არამედ თვით მოქალაქის ინტერესებსაც და იცავს მის უფლებებს.

სამოქალაქო კოდექსის 1275-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, მეურვეობა და მზრუნველობა წესდება, აგრეთვე იმ სრულწლოვანი პირის პირადი და ქონებრივი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად, რომელსაც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეუძლია დამოუკიდებლად განახორციელოს თავისი უფლებები და შეასრულოს თავისი მოვალეობანი.

ამავე კოდექსის 1277-ე მუხლის მიხედვით, მზრუნველობა წესდება სრულწლოვან ქმედუნარიან პირზე მისი თხოვნით, თუ მას თავისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეუძლია დამოუკიდებლად განახორციელოს თავისი უფლებები და შეასრულოს თავისი მოვალეობანი. აღნიშნული მუხლის მიხედვით მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო უფლებამოსილია დაუწესოს პირს, ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, მზრუნველობა მისი თხოვნის საფუძველზე და ამისათვის არ არის საჭირო სასამართლოს გადაწყვეტილება.

ქმედუნარიანობის შეზღუდვა გამოიყენება 18 წელს მიღწეული პირების მიმართ, ვინაიდან 7 წლიდან 18 წლამდე არასრულწლოვნები კანონის თანახმად ითვლებიან შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონედ. თუმცა, არცთუ იშვიათად ალკოჰოლისა და ნარკოტიკების ბოროტად გამოყენებას ადგილი აქვს არასრულწლოვნებშიც.

გაცეხადებით მიმართვის უფლება აქვთ:



სამოქალაქო კოდექსის მე-12 მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით, ქმედუნაროდ მიიჩნევა პირი, რომელიც ჭკუასუსტობის ან სულით ავადმყოფობის გამო სასამართლოს მიერ ასეთად არის აღიარებული. აღსანიშნავია, რომ ფიზიკური ნაკლი არ შეიძლება გახდეს პირის ქმედუნაროდ ან შეზღუდულ ქმედუნარიანად აღიარების საფუძველი.


ქმედუნარო პირი მოკლებულია შესაძლებლობას კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის გარე-

შე დადოს რაიმე სახის გარიგებები.

განცხადების შეტანა პირის ქმედუუნაროდ აღიარების შესახებ შესაძლებელია სრულწლოვანის, არასრულწლოვანის (7-დან 18 წლამდე), ასევე ემანსიპირებული არასრულწლოვანის მიმართ.



6.4.2 განცხადება მოქალაქის შეზღუდულ ქმედუნარიანად და ქმედუუნაროდ აღიარების შესახებ



სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით მოქალაქის შეზღუდულ ქმედუნარიანად და ქმედუუნაროდ აღიარების შესახებ განცხადებას სასამართლო განიხილავს უდავო წარმოების წესით.

განცხადება მოქალაქის შეზღუდულ ქმედუნარიანად და ქმედუუნაროდ აღიარების შესახებ უნდა შეესაბამებოდეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე და 323-ე მუხლების მოთხოვნებს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 322-ე მუხლის თანახმად, განცხადება იმ მოქალაქის შეზღუდულ ქმედუნარიანად აღიარების შესახებ, რომელიც ეძალება ალკოჰოლს ან ნარკოტიკულ ნივთიერებებს, რის გამოც თავის ოჯახს მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში აყენებს, შესაძლოა შეიტანონ: მოქალაქის ოჯახის წევრებმა ან მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებმა.

ოჯახის წევრებში უნდა ვიგულისხმოთ მეუღლე, გერი, აღმავალი ხაზის, დაღმავალი ხაზის ან გვერდითი ხაზის ნათესავები, ასევე ის პირები, რომლის სრულ ან ნაწილობრივ კმაყოფაზე იმყოფება ეს პირი ან პირიქით, რომლებიც იმყოფებიან ამ პირის სრულ ან ნაწილობრივ კმაყოფაზე.

ოჯახის წევრები, რომლებიც ცხოვრობენ განცალკევებით, არ არიან უფლებამოსილი მიმართონ სასამართლოს პირის შეზღუდულ ქმედუნარიანად აღიარების შესახებ, თუ ამ უკანასკნელის მოქმედებები არ აყენებს მითითებულ პირებს მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში.

აღსანიშნავია, რომ ალკოჰოლის ან ნარკოტიკული ნივთიერებების გამოყენება, მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება გახდეს სასამართლოს მიერ პირის შეზღუდულ ქმედუნარიანად აღიარების საფუძველი, თუ მათი გამოყენება ხდება ისეთი სისტემატიურობით, რომ წინააღმდეგობაში მოდის ოჯახის ინტერესებთან და იწვევს ოჯახის სახსრების დიდი ოდენობით ხარჯვას, რაც მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში აყენებს მას.

მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებს უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს მოქალაქის შეზღუდულ ქმედუნარიანად აღიარების შესახებ, თუ ფლობენ ინფორმაციას პირის მიერ ალკოჰოლის ან ნარკოტიკული ნივთიერებების გამოყენების შესახებ, რაც მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში აყენებს მის ოჯახს ან ამ პიროვნებას. ინფორმაცია მოქალაქის ზემოაღნიშნულ ქმედებებზე შესაძლებელია მიღებულ იქნეს, როგორც ოჯახის წევრებისაგან, ისე სხვა პირებისაგან. მაგალითად, მცირენლოვანის ან არასრულწლოვანის ინტერესების დასაცავად, რომელსაც დამოუკიდებლად არ შეუძლია მიმართოს სასამართლოს, განცხადება შეიძლება წარადგინოს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებმა, თუ მცირენლოვანის ან არასრულწლოვანის ოჯახის წევრი ეტანება ალკოჰოლსა და ნარკოტიკულ ნივთიერებებს და ამით მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში აყენებს მას.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 323-ე მუხლის მიხედვით, განცხადებაში მოქალაქის შეზღუდულ ქმედუნარიანად აღიარების შესახებ მითითებული უნდა იქნეს გარემოებებზე, რომლებიც ადასტურებენ, რომ პირი ეძალება ალკოჰოლს ან ნარკოტიკულ ნივთიერებებს, რითაც მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში აყენებს თავის ოჯახს.


ამასთან, მტკიცებულებების წარუდგენლობა არ წარმოადგენს განცხადების წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის საფუძველს. განცხადების შეტანისას აუცილებელია მხოლოდ იმ გარემოებებზე მითითება, რომლებსაც იგი ეფუძნება.

მოქალაქის შეზღუდულ ქმედუნარიანად აღიარების დროს მტკიცებულებად შესაძლოა წარმოდგენილი იქნეს მოწმეთა ჩვენებები, სამართალდამცავი ორგანოების აქტები, სამედიცინო დაწესებულებების მიერ გაცემული ცნობები, ადმინისტრაციის ბრძანება პირის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ სამსახურში ნასვამ მდგომარეობაში გამოცხადების გამო, დოკუმენტები ოჯახის ხარჯების შესახებ და სხვა მტკიცებულებები.

პირის ქმედუნაროდ აღიარების შესახებ განცხადებით სასამართლოს შესაძლოა მიმართოს ოჯახის წევრებმა, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებმა, აგრეთვე ფსიქიატრიულ-სამკურნალო დაწესებულებებმა.

ოჯახის წევრებს მოქალაქის ქმედუნაროდ აღიარების შესახებ განცხადებით მიმართვის უფლება აქვთ იმის მიუხედავად, ცხოვრობენ თუ არა ისინი ამ პირთან.

განცხადებით მიმართვის უფლება აქვთ:



"ფსიქიატრიული დახმარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის შესაბამისად, ფსიქიატრიული დაწესებულების ადმინისტრაცია ვალდებულია მიმართოს სასამართლოს პაციენტის ქმედუნაროდ აღიარებისა და მისთვის კანონიერი წარმომადგენლის დანიშვნის მოთხოვნით, თუ ექიმ-ფსიქიატრთა კომისია მიიჩნევს, რომ პაციენტს ფსიქიკური აშლილობის გამო არ შეუძლია განაგოს თავისი მოქმედება და შეიგნოს მისი მნიშვნელობა.

ამავე მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, ფსიქიატრიული დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ სასამარ-თლოსათვის მიმართვის ფაქტის შესახებ დაუყონებლივ უნდა ეცნობოს პაციენტის კანონიერ წარმომადგენელს, ხოლო მისი არარსებობის შემთხვევაში - ნათესავს.

ზემოაღნიშნული კანონის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მხოლოდ სამსახურეობრივი ან ოჯახური კონფლიქტი, შეუთავსებლობა საზოგადოებაში არსებულ მორალურ, რელიგიულ, კულტურულ ან პოლიტიკურ შეხედულებებთან არ შეიძლება გახდეს პირისათვის ფსიქიკური აშლილობის დიაგნოზის დადგენის საფუძველი.

წარსულში ფსიქიატრიულ დაწესებულებაში მკურნალობის ფაქტი არ ჩაითვლება გადამწყვეტ ფაქტორად პირის ამჟამინდელი ფსიქიკური მდგომარეობის შეფასებისას.

კოდექსის მიხედვით 7-დან 18 წლამდე არასრულწლოვნები ითვლებიან შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონედ, შესაბამისად მათ მიმართ შესაძლებელია შეტანილ იქნეს განცხადება მხოლოდ ქმედუნაროდ აღიარების შესახებ.

განცხადებაში მოქალაქის ქმედუნაროდ აღიარების შესახებ უნდა აღინიშნოს გარემოებანი, რომლებიც ადასტურებენ ფსიქიკურ აშლილობას, რის გამოც მას არ შეუძლია შეიგნოს თავისი მოქმედების მნიშვნელობა ან განაგოს იგი.

მოქალაქის ქმედუნაროდ აღიარების დროს მტკიცებულებად შესაძლოა წარმოდგენილ იქნეს ავადმყოფობის ისტორიიდან ამონაწერი, პირის ფსიქიატრიულ-სამკურნალო დაწესებულებაში ყოფნის შესახებ ინფორმაცია, პირველადი ფსიქიატრიული გამოკვლევის შესახებ ფსიქიატრიული დაწესებულების დასკვნები, ტრამვების შესახებ ინფორმაცია, რომელსაც შეეძლო გამოეწვია პირის სულით ავადმყოფობა, სასამართლოს განაჩენი სისხლის სამართლის საქმეზე, პირის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებისა და სპეციალურ სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსების შესახებ, მოწმეთა ჩვენებები, რომლებიც ადასტურებენ, რომ პირის ქმედებები არ შეესაბამება ნორმალური, ჯანმრთელი ადამიანის ქცევას.

აღნიშნულ საქმეთა განსჯადობისათვის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ადგენს განსხვა-

ვებულ წესს. განცხადება მოქალაქის შეზღუდულ ქმედუნარიანად ან ქმედუუნაროდ აღიარების შესახებ შეტანილ უნდა იქნეს სასამართლოში ამ მოქალაქის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო თუ ეს პირი მოთავსებულია ფსიქიატრიულ-სამკურნალო დაწესებულებაში, მაშინ - სამკურნალო დაწესებულების ადგილმდებარეობის მიხედვით.

მოქალაქის ქმედუნარიანობის შეზღუდვისა თუ ქმედუუნარობის შესახებ მტკიცების ტვირთი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის შესაბამისად ეკისრება განმცხადებელს.

თუ განცხადება მოქალაქის შეზღუდულ ქმედუნარიანად, ან ქმედუუნაროდ აღიარების შესახებ წარადგინა არაუფლებამოსილმა პირმა, მოსამართლე 186-ე მუხლის შესაბამისად გამოიტანს განჩინებას განცხადების წარმოებაში მიღებაზე უარის შესახებ. თუ აღნიშნული გარემოება გამოვლინდა საქმის სასამართლო სხდომაზე განხილვის დროს, მოსამართლეს შეუძლია უფლებამოსილი განმცხადებლის თანხმობით, საქმის შეუწყვეტლად შეცვალოს თავდაპირველი განმცხადებელი სათანადო განმცხადებლით. თუ ზემოაღნიშნული პირები უარს განაცხადებენ შეცვლაზე, მაშინ დადგება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 84-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგები.

თუ განცხადება შეტანილია არაგანსჯად სასამართლოში, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 186-ე მუხლის პირველი ნაწილის "ე" პუნქტის თანახმად, სასამართლომ უარი უნდა უთხრას განმცხადებელს განცხადების წარმოებაში მიღებაზე და ამავე კოდექსის 187-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, განჩინებაში უნდა მიუთითოს განსჯადი სასამართლო.

თუ არაგანსჯადობა სასამართლოსთვის ცნობილი გახდება განცხადების წარმოებაში მიღების შემდეგ, სასამართლომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, განუხილველად უნდა დატოვოს განცხადება, რასაც უკავშირდება ამავე კოდექსის 278-ე მუხლით დადგენილი შედეგები.

6.4.3 მოქალაქის შეზღუდულ ქმედუუნარიანად და ქმედუუნაროდ აღიარების შესახებ განცხადების განხილვა

განცხადების წარმოებაში მიღება წარმოებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 183-ე, 185-ე, 186-ე, მუხლების შესაბამისად.

განცხადების წარმოებაში მიღების შემდეგ მოსამართლე ამზადებს საქმეს სასამართლო სხდომაზე განსახილველად ამავე კოდექსის 203-ე და 324-ე მუხლების მიხედვით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 324-ე მუხლის თანახმად, თუ არსებობს საკმაო ცნობები მოქალაქის ფსიქიკური აშლილობის შესახებ, განმცხადებელს უფლება აქვს საქმის მომზადების სტადიაზე სასამართლოს წარუდგინოს მის მიერ მოწვეული ფსიქიატრიული ექსპერტის დასკვნა ამ მოქალაქის ფსიქიკური მდგომარეობის თაობაზე. განსაკუთრებულ შემთხვევებში, თუ პირი რომლის მიმართაც აღძრულია საქმე მისი ქმედუუნაროდ აღიარების შესახებ, აშკარად თავს არიდებს საექსპერტო შემოწმებას, განმცხადებლის თხოვნით, სასამართლოს თავის სხდომაზე ფსიქიატრის მონაწილეობით შეუძლია გამოიტანოს განჩინება ფსიქიატრიული ექსპერტიზისათვის მოქალაქის იძულებით გაგზავნის შესახებ. ექსპერტიზა სასამართლოს

მიერ ინიშნება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 162-176-ე მუხლების შესაბამისად.

სასამართლო ვალდებულია ექსპერტის წინაშე დასვას კონკრეტული კითხვები, კერძოდ, არის თუ არა პირის ფსიქიკური მდგომარეობა შეუსაბამო ნორმალური ადამიანის ფსიქიკასთან? არის თუ არა პირის ფსიქიკური მდგომარეობა ქრონიკული? შეუძლია თუ არა მას განავოს მისი მოქმედებები და შეიგნოს მათი მნიშვნელობა? აღნიშნულ კითხვებზე უარყოფითი პასუხის შემთხვევაში სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას პირის ქმედუუნაროდ აღიარების შესახებ. ამასთან, გასათვალისწინებელია ისიც, რომ დაუშვებელია ექსპერტისათვის ისეთი კითხვების დასმა, რომლის გადაწყვეტაც სასამართლოს კომპეტენციას განეკუთვნება, მაგალითად, კითხვა პირის ქმედუუნარობის და არა მისი დაავადების ხასიათისა და ხარისხის შესახებ.

თუკი მოქალაქე სასამართლოს მიერ ექსპერტიზის შესახებ განჩინების გამოტანის შემთხვევაშიც თავს აარიდებს ექსპერტიზას, შესაბამისად, ფსიქიატრიული დაწესებულების პერსონალისა და პოლიციის მეშვეობით მოხდება მისი იძულება.

საქმეს მოქალაქის ქმედუუნაროდ აღიარების შესახებ სასამართლო განიხილავს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წარმომადგენლის სავალდებულო მონაწილეობით. მოქალაქეს, რომელიც აღიარებული უნდა იქნეს ქმედუუნაროდ, დაიბარებენ სასამართლო სხდომაზე, თუ ეს შესაძლებელია მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის მიხედვით.

დასკვნას იმის შესახებ შეუძლია თუ არა მოქალაქეს სხდომაზე დასწრება, იძლევა ექსპერტი, მოქალაქის ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე.

მოქალაქის შეზღუდულ ქმედუუნარიანად აღიარების შესახებ საქმის განხილვისას კოდექსი არ ითვალისწინებს ექსპერტიზის დანიშვნის აუცილებლობას. თუმცა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 162-ე მუხლი აძლევს საშუალებას მოსამართლეს, თუ საჭიროდ ჩათვლის, ნებისმიერ დროს დანიშნოს ექსპერტიზა.

საქმის ობიექტურად და სამართლიანად გადაწყვეტის მიზნით, კოდექსის მიხედვით, საქმეს მოქალაქის შეზღუდულ ქმედუუნარიანად აღიარების შესახებ სასამართლო განიხილავს ამ მოქალაქის და მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წარმომადგენლის სავალდებულო მონაწილეობით.

სასამართლომ საქმის განხილვისას უნდა გამოარკვიოს შემდეგი გარემოებების არსებობა:

1. ნამდვილად იყენებს თუ არა პირი ალკოჰოლსა და ნარკოტიკულ ნივთიერებებს;
2. იმყოფება თუ არა მისი ოჯახი მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში;
3. არსებობს თუ არა მიზეზობრივი კავშირი პირის მიერ ალკოჰოლისა და ნარკოტიკული ნივთიერებების გამოყენებასა და ოჯახის მძიმე მატერიალურ მდგომარეობას შორის.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 325-ე მუხლის თანახმად, საქმეს მოქალაქის შეზღუდულ ქმედუუნარიანად აღიარების შესახებ სასამართლო განიხილავს ამ მოქალაქის და მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წარმომადგენლის სავალდებულო მონაწილეობით.

სასამართლომ უნდა უზრუნველყოს, რომ შესაძლებლობის მიხედვით ყველა ოჯახის წევრმა მიიღოს მონაწილეობა სასამართლო სხდომაზე, ვინაიდან საკითხი ეხება ოჯახის ყველა წევრის ინტერესებს.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ერთ-ერთი ოჯახის წევრის წინააღმდეგობა, რომ მოქალაქე გამოცხადდეს შეზღუდულ ქმედუუნარიანად, იმ შემთხვევაში, როდესაც განცხადება შეიტანა სხვა

ოჯახის წევრმა, არ წარმოადგენს განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს. იმ შემთხვევაში, როდესაც განმცხადებელი უარს იტყვის თავის მოთხოვნაზე, (მოქალაქე გა-მოცხადდეს შეზღუდულ ქმედუნარიანად) სასამართლომ უნდა შეწყვიტოს საქმის წარმოება 272-ე მუხლის "გ" ქვეპუნქტის შესაბამისად. თუმცა, ეს არ გამორიცხავს პირის შესაძლებლობას კვლავ მიმართოს სასამართლოს განცხადებით მისი ოჯახის წევრის შეზღუდულ ქმედუნარიანად აღია-რების შესახებ, თუ მოქალაქე საქმის წარმოების შეწყვეტის შემდეგ კვლავ გააგრძელებს ალკო-ჰოლისა და ნარკოტიკული ნივთიერებების გამოყენებას, რითაც მძიმე მდგომარეობაში ჩააყენებს მის ოჯახს.

ამასთან, განმცხადებლის მიერ თავის მოთხოვნაზე უარის თქმა, არ ართმევს შესაძლებლობას, კო-დექსში მითითებულ სხვა პირებს მიმართონ სასამართლოს იმავე მოქალაქის შეზღუდულ ქმედუ-ნარიანად აღიარების შესახებ.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 326-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლი-თაც მოქალაქე აღიარებულია შეზღუდულ ქმედუნარიანად, წარმოადგენს საფუძველს მე-ურვეობისა და მზრუნველობის ორგანოსათვის მზრუნველის დასანიშნად.

სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც მოქალაქე აღიარებულია ქმედუუნაროდ, წარმოად-გენს საფუძველს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოსათვის მეურვის დასანიშნად.

ამასთან, უდავო წარმოების წესით სასამართლო წყვეტის მხოლოდ პირის შეზღუდულ ქმედუნარი-ანად ან ქმედუუნაროდ აღიარების საკითხს, რაც შეეხება მზრუნველისა და მეურვის დანიშვნას, სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე ამას ახორცილებს მეურვეობისა და მზრუნველო-ბის ორგანოები.

დაუშვებელია მოქალაქის შეზღუდულ ქმედუნარიანად ან ქმედუუნაროდ აღიარების შესახებ გან-ცხადების გაერთიანება სხვა სასარჩელო თუ არასასარჩელო მოთხოვნასთან. მაგალითად, დაუშ-ვებელია მოქალაქის ქმედუუნაროდ აღიარებისა და ალიმენტის დაკისრების შესახებ დავის ერთად გადაწყვეტა.

სასამართლო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი უნდა შეესაბამებოდეს კოდექსის 243-263-ე მუხლის მოთხოვნებს, ამასთან უნდა მიეთითოს მოქალაქის (რომელიც ცხადდება შეზღუ-დულ ქმედუნარიანად, თუ ქმედუუნაროდ) მონაცემები, კერძოდ, სახელი, გვარი, დაბადების წელი, თვე და რიცხვი.

სასამართლო ვალდებულია კოდექსით დადგენილ ვადაში გადაწყვეტილება გაუგზავნოს მეურვე-ობისა და მზრუნველობის ორგანოებს.

სამოქალაქო კოდექსის 1280-ე მუხლის მიხედვით, სასამართლო, რომელმაც გამოიტანა გადაწყ-ვეტილება პირის ქმედუუნაროდ აღიარების თაობაზე, მოვალეა გადაწყვეტილების კანონიერ ძა-ლაში შესვლიდან არა უგვიანეს სამი დღისა, აცნობოს ამის შესახებ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებს იმ პირის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, რომელიც ქმედუუნა-როდ აღიარების გამო საჭიროებს მეურვეს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 325-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, განმცხადებელი შეზღუდულ ქმედუნარიანად ან ქმედუუნაროდ აღიარების შესახებ განთავისუფლებულია საქმის განხილვასთან დაკავშირებული სასამართლო ხარჯების გადახდისაგან.

6.4.4 გადაწყვეტილება მოქალაქის ქმედუნარიანად აღიარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-14 მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, ქმედუნარიანობის შეზღუდვა უქმდება მაშინ, როცა აღარ არის ის საფუძველი, რომლის გამოც პირს შეეზღუდა ქმედუნარიანობა.

ამავე კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ქმედუნარიანობის სრულად აღდგენა იწვევს მზრუნველობის გაუქმებას.

სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირის ქმედუნარიანად აღიარებისათვის აუცილებელია მისი სრული გამოჯანმრთელება.

განცხადების შეტანის უფლება მოქალაქის შეზღუდულ ქმედუნარიანად აღიარების შესახებ გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნით აქვს თვით ამ მოქალაქეს, მისი ოჯახის წევრსა და მზრუნველს. ამ დროს იწყება დამოუკიდებელი წარმოება და მოსამართლე საქმეს ამზადებს და განიხილავს სასამართლო სხდომაზე კოდექსით დადგენილი საერთო წესების შესაბამისად.

სამოქალაქო კოდექსის მე-12 მუხლის მე-6 ნაწილის შესაბამისად, ქმედუნაროდ აღიარებული პირის განკურნების ან ჯანმრთელობის მნიშვნელოვნად გაუმჯობესების შემთხვევაში სასამართლო აღიარებს მოქალაქეს ქმედუნარიანად. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 327-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, განცხადების შეტანის უფლება აქვთ მეურვეს, ფსიქიატრიულ-სამკურნალო დანესებულებას, ოჯახის წევრებს.

სამოქალაქო კოდექსის 1292-ე მუხლის მიხედვით, სულით ავადმყოფის მეურვე სამეურვეო პირის გამოჯანმრთელების შემთხვევაში მოვალეა დაუყონებლივ აღძრას შუამდგომლობა სამეურვეო პირის ქმედუნარიანად აღიარებისა და მისთვის მეურვეობის მოხსნის შესახებ.

სასამართლო ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე გამოიტანს გადაწყვეტილებას გამოჯანმრთელებული პირის ქმედუნარიანად აღიარების შესახებ.

ამასთან, კოდექსის მიხედვით პირის სრული გამოჯანმრთელება არ არის აუცილებელი. მთავარია მისი მდგომარეობა იძლეოდეს იმის საშუალებას, რომ მოხდეს მასზე დაწესებული მეურვეობის გაუქმება.

სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე უქმდება აღნიშნულ პირზე დაწესებული მეურვეობა. მოცემულ შემთხვევაშიც იწყება დამოუკიდებელი წარმოება და საქმე იხილება კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად.

6.5 დაკარგულ ან განადგურებულ საწარმდგენლო ფასიან ქაღალდსა და საორდერო ფასიან ქაღალდზე უფლების აღდგენა (გამოწვევითი წარმოება)

6.5.1 განცხადების შეტანა

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 328-ე მუხლის თანახმად, პირს, საწარმდგენლო ფასიანი ქაღალდის ან საორდერო ფასიანი ქაღალდის დაკარგვის ან განადგურებისას,

კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში შეუძლია სთხოვოს სასამართლოს დაკარგული ან განადგურებული ფასიანი ქაღალდის ბათილად ცნობა და მათზე უფლების აღდგენა.

ამ მუხლის სუბიექტები შეიძლება იყვნენ, როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირები, აგრეთვე ორგანიზაციები, რომლებიც არ არიან იურიდიული პირები. ამა თუ იმ პირის ამ მუხლის სუბიექტად მიჩნევისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მის მიერ საწარმდგენლო ან საორდერო ფასიანი ქაღალდის ფლობასა და მის შემდეგ დაკარგვას ან განადგურებას.

ამ მუხლს ორი ობიექტი გააჩნია 1. საწარმდგენლო ფასიანი ქაღალდი; 2. საორდერო ფასიანი ქაღალდი. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კანონმდებლობა ორი სახის საკანონმდებლო აქტით - კანონით - ანესრიგებს ფასიანი ქაღალდების ბრუნვის საკითხს: ა) სამოქალაქო კოდექსის 911-ე - 932-ე მუხლებითა და ბ) საქართველოს კანონით "ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ". ეს უკანასკნელი მიღებულია სამოქალაქო კოდექსის ძალაში შემდეგ და ამდენად, უფრო დეტალურად ანესრიგებს მთელი რიგი ფასიანი ქაღალდების ბრუნვის საკითხებს, მაშინ როცა სამოქალაქო კოდექსი განსაზღვრავს ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებულ ზოგად პრინციპებს.

ვინაიდან კანონმდებლობა არ განსაზღვრავს საწარმდგენლო ან საორდერო ფასიანი ქაღალდების ამომწურავ ჩამონათვალს, წარმოიშობა საკითხი იმის თაობაზე, თუ რომელი კონკრეტული ფასიანი ქაღალდები შეიძლება მოხვდნენ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXXIX თავის მოქმედების რეჟიმში. ამ კითხვაზე პასუხს სცემს სამოქალაქო კოდექსი და საქართველოს კანონი "ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ".

სამოქალაქო კოდექსის 911-ე მუხლის პირველი პუნქტი აყალიბებს საწარმდგენლო ფასიანი ქაღალდების შემდეგ ცნებას - "თუ ვინმე გასცემს დოკუმენტს, რომლითაც ის დოკუმენტის მფლობელს გადახდას ჰპირდება, მაშინ მფლობელს შეუძლია მოითხოვოს გადახდა დაპირების თანახმად, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მას ამის უფლება არ ჰქონდა". ასეთი სახის ფასიან ქაღალდებად შეიძლება მიჩნეულ იქნეს წარმომდგენზე გაცემული ობლიგაცია, თამასუქი, ჩეკი, საბანკო ანაბრის წიგნაკი ან სერტიფიკატი, ვარანტი, კონოსამენტი და სხვა. ესა თუ ის დოკუმენტი წარმოდგენს თუ არა საწარმდგენლო ფასიან ქაღალდს, უნდა შეფასდეს ორი ძირითადი ნიშნის არსებობით - ა) ფასიანი ქაღალდით შესაძლებელი უნდა იყოს ფულის ან ნივთის გადაცემა და ბ) იგი გაცემული უნდა იყოს წარმომდგენზე, ანუ მისი მფლობელი არ უნდა იყოს კონკრეტულად აღნიშნული ფასიან ქაღალდში.

ამდენად, თუ ფასიან ქაღალდს გააჩნია ზემოაღნიშნული ნიშნები, მაშინ ის საწარმდგენლო ფასიან ქაღალდად ითვლება და ექცევა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXXIX თავის მოქმედების რეჟიმში.

რაც შეეხება საორდერო ფასიან ქაღალდებს, სამოქალაქო კოდექსის 922-ე მუხლის პირველი ნაწილით "სავალო დოკუმენტი, რომლითაც ემიტენტი დოკუმენტის წარდგენისას გადახდას ჰპირდება დასახელებულ პირს, შეიძლება გაიცეს საორდერო ფასიანი ქაღალდის სახით". ამდენად, ცხადია, რომ საორდერო ფასიან ქაღალდს საწარმდგენლო ფასიან ქაღალდთან შედარებით გააჩნია ის თავისებურება, რომ იგი კონკრეტული პირის სახელზე გაიცემა, თუმცა, განსხვავებით პირადი ფასიანი ქაღალდებისაგან (მუხლი 928), საორდერო ფასიანი ქაღალდი (და შესაბამისად მისგან გამომდინარე უფლებები) შეიძლება გადაეცეს მესამე პირს ინდოსამენტის მეშვეობით.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მე-4 აბზაცში აღნიშნული ნებისმიერი ფასიანი ქაღალდი შეიძლება იყოს, როგორც საწარმდგენლო, ასევე საორდერო. ფასიანი ქაღალდის საორდეროდ მიჩნევისთვის აუცილებელია ორი სავალდებულო და ერთი ფაკულტატური ნიშნის არსებობა - ა) ფასიანი ქაღალდით შესაძლებელი უნდა იყოს ფულის ან ნივთის გადაცემა და ბ) იგი გაცემულ უნდა იყოს კონკრეტულ ფიზიკურ ან იურიდიულ პირზე. რაც შეეხება ფაკულტატურ ნიშანს, მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს ფასიან ქაღალდზე იმის მითითება, რომ მისი ინდოსირება დაშვებულია.

საქართველოს კანონი "ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" ფასიანი ქაღალდების სრულიად განსხვავებულ ცნებას გვთავაზობს. კერძოდ, მე-2 მუხლის 32-ე პუნქტით, "ფასიანი ქაღალდი არის მიმოქცევადი ფინანსური ინსტრუმენტები და უფლებები, რომელთა საჯარო შეთავაზებაც შესაძლებელია ნილობრივი თუ სასესხო ფასიანი ქაღალდების სახით, ან რომლებიც შეიძლება გარდაიქმნას ასეთებად, ან რომლებიც არიან ასეთებზე ხელისმონერისა თუ შეძენის უფლების მატარებლები, საინვესტიციო ხელშეკრულებები და ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული სხვა ინსტრუმენტები და უფლებები. ამ კანონით, შემდეგი ინსტრუმენტები არ განიხილება და არ რეგულირდება, როგორც ფასიანი ქაღალდები - ა) ბანკების ვალდებულებები, დაკავშირებული დეპოზიტებთან ან სხვა ფიქსირებულ ვადიან ფინანსირებასთან, რომლებსაც წარმოქმნის კლიენტთა პირდაპირი, შუამავლების გარეშე მომსახურება და რომლებისთვისაც დამახასიათებელი არ არის საჯარო მიმოქცევა; ბ) ნებისმიერი სადაზღვევო პოლისი ან ენუიტური კონტრაქტი, გამოშვებული დაზღვევის შესახებ კანონმდებლობის შესაბამისად მოქმედი იურიდიული პირების მიერ; გ) ჩეკები (რეგულირდება საქართველოს კანონით "ჩეკების შესახებ"); დ) კომისიის წესებით განსაზღვრული გამონაკლისი ხელშეკრულებები ან ფინანსური ინსტრუმენტები, რომელთა რეგულირებაც შესაბამისად ხორციელდება ამ ან სხვა კანონით.

როგორც ვხედავთ, საქართველოს კანონი "ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" ფასიანი ქაღალდების სრულიად განსხვავებულ ცნებას ითვალისწინებს და ძალზედ აკონკრეტებს მას, აგრეთვე მოჰყავს მეტად კონკრეტული გამონაკლისები, რომლებიც ამ კანონით არ ითვლებიან ფასიან ქაღალდებად. ამდენად, შეიძლება ჩავთვალოთ, რომ ფასიანი ქაღალდი, რომელიც ამ კანონით არ განიხილება ასეთად, შეიძლება ჩაითვალოს სამოქალაქო კოდექსის დებულებებით განსაზღვრულ ფასიან ქაღალდად და, შესაბამისად, მოექცეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **XXXIX** თავის მოქმედების რეჟიმში. მაგალითად, წარმომდგენზე გახსნილი საბანკო ანაბარის წიგნაკი ან სერტიფიკატი. ამავე დროს, "ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი ცნების განხილვისას უცილობლად უნდა გამოვიდეთ თვით "ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" კანონის მიზნიდან და გამოყენების სფეროდან, რომლებიც მოცემულია მის შესავალსა და პირველი მუხლის მე-4 პუნქტში და ასეთად ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზებისა და მიმოქცევის, ფასიანი ქაღალდების ბაზრის ფორმირებას მიიჩნევს. ამდენად, საქართველოს კანონს "ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" სრულიად სხვა დანიშნულება გააჩნია და იგი ვერ შეცვლის სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული ფასიანი ქაღალდების ფუძემდებლურ ცნებებსა და პრინპიციპებს. ეს კანონები მხოლოდ ავსებენ ერთმანეთს, მაგრამ მათი კოლიზიის შემთხვევაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **XXXIX** თავით განსაზღვრული წარმოებისას სასამართლო უნდა გამოვიდეს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი ცნებებიდან.

შენიშვნა: ფასიანი ქაღალდები ამ სახით (ანუ საწარმდგენლო ან საორდერო სახით) პრაქტიკაში ძალზედ იშვიათად გაიცემა, ვინაიდან უფრო მოსახერხებელია მათი სახელობით გაცემა ან ჩანაწერით ფლობა, რაც პრაქტიკაში გაცილებით გავრცელებულია. ამასვე ადასტურებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXXIX თავთან მიმართებით სასამართლო პრაქტიკის არარსებობა.

6.5.2 განცხადების შეტანის ადგილი

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 328-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, განცხადება შეტანილ უნდა იქნეს სასამართლოში ამ მუხლში მითითებული საბუთის გამცემი დაწესებულების ადგილმდებარეობის მიხედვით. აღნიშნული წესი ადგენს გამოწვევითი წარმოების განსაჯადობის საკითხს. განსჯადობის საკითხი ამ მუხლით მეტად სპეციფიკურად რეგულირდება და განსხვავდება უდავო წარმოების წესით განსახილველი სხვა საქმეების განსჯადობისაგან. იმპერატიულადაა განსაზღვრული, რომ განცხადება შეიტანება სასამართლოში საბუთის გამცემი დაწესებულების ადგილმდებარეობის მიხედვით. საბუთის გამცემ დაწესებულებაში უცილობლად იგულისხმება ემიტენტი ანუ დაწესებულება, რომელმაც ფასიანი ქაღალდი გამოუშვა. მაგალითად, თუ აქცია გამოშვებულ იქნა სს "გურჯაანის ღვინის ქარხნის" მიერ და მისი მფლობელია ქუთაისში მდებარე შპს "ორიონი", განცხადება შეტანილ უნდა იქნეს გურჯაანის რაიონულ სასამართლოში. კიდევ ერთი მაგალითი, სს "ფოთის პორტის" მიერ გაცემული საწარმდგენლო ვარანტი, რომელსაც ფლობდა ბათუმში მცხოვრები დავით დიასამიძე, დაიკარგა. ასეთ შემთხვევაში დავით დიასამიძემ განცხადებით უნდა მიმართოს ფოთის საქალაქო სასამართლოს.

6.5.3 განცხადების შინაარსი

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 329-ე მუხლის თანახმად, განცხადებაში უნდა აღინიშნოს, დაკარგული ან განადგურებული საბუთის განმასხვავებელი ნიშნები, საბუთის გამცემი დაწესებულების სახელწოდება, აგრეთვე საბუთის დაკარგვის გარემოებანი. ამ მუხლის შინაარსის გაცნობისას ცხადი ხდება, რომ სასამართლოში წარდგენილი განცხადება მთელ რიგ აუცილებელ რეკვიზიტებს უნდა შეიცავდეს. ამ რეკვიზიტების განცხადებაში მიუთითებლობა ხარვეზის დადგენის საფუძველია. კერძოდ, აუცილებლად უნდა აღინიშნოს: ა) საბუთის განმასხვავებელი ნიშნები (მაგალითად, საბუთი შესრულებულია A4-ის ფორმატის ქაღალდზე, აქვს თუ არა მას დამცავი ნიშნები, აქვს თუ არა მას მკაცრი აღრიცხვის ნომერი და ა.შ.); ბ) საბუთის გამცემი დაწესებულების სახელწოდება, ანუ უნდა აღინიშნოს ემიტენტი დაწესებულება; გ) საბუთის დაკარგვის გარემოებანი. აქ შესაძლებელია აღინიშნოს, რომ დაკარგვა განპირობებული იყო მფლობელისგან მისი გატაცებით, ქურდობით, ხოლო განადგურება გამოიწვია ხანძარმა, სტიქიურმა მოვლენებმა და ა.შ.

მართალია, ზემოხსენებულ მუხლში არა მითითებული, მაგრამ განცხადება აუცილებელად უნდა შეიცავდეს განმცხადებლის მოთხოვნას. ეს გამომდინარეობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის არა XXXIX თავიდან, არამედ ამავე კოდექსის 311-ე მუხლის პირველი ნაწილიდან და 178-ე მუხლის პირველი ნაწილის "გ" ქვეპუნქტიდან. მოთხოვნაში უნდა აისახოს ის, თუ რას ითხოვს სასამართლოსაგან განმცხადებელი, ანუ საწარმდგენლო ან საორდერო ფასიანი ქაღალდის ძალადაკარგუ-

ლად გამოცხადებას და მასზე განმცხადებლის უფლების აღდგენას. ანალოგიურად უნდა გადაწყვეტის განცხადებაზე დასართავი დოკუმენტების საკითხი, ანუ მართალია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 329-ე მუხლი ამის შესახებ არაფერს ამბობს, მაგრამ ამავე კოდექსის 311-ე და 178-ე მუხლებიდან გამომდინარე, განცხადებას უნდა დაერთოს ყველა ის დოკუმენტი, რომლითაც განმცხადებელი ცდილობს დაამტკიცოს ფასიანი ქაღალდის არსებობისა და მისი შემდგომი დაკარგვის ან განადგურების გარემოები.

6.5.4 მოსამართლის მოქმედება განცხადების მიღების შემდეგ

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 330-ე მუხლის თანახმად, მოსამართლე განცხადების მიღების შემდეგ გამოიტანს განჩინებას საბუთის გამცემი დაწესებულებისათვის (პირისათვის) ამ საბუთით ყოველგვარი გადახდისა და გაცემის აკრძალვის, აგრეთვე განმცხადებლის ხარჯზე ადგილობრივ პრესაში პუბლიკაციის შესახებ. ასეთი განჩინების გამოტანაზე უარი შეიძლება გასაჩივრდეს კერძო საჩივრით.

ზემოხსენებული მუხლიდან ცხადად ჩანს, რომ წარმოებაში მიღების განჩინების გამოტანის შემდეგ სასამართლომ უნდა გამოსცეს განჩინება საბუთის გამცემი დაწესებულებისათვის (პირისათვის) ამ საბუთით ყოველგვარი გადახდისა და გაცემის აკრძალვის, აგრეთვე განმცხადებლის ხარჯზე ადგილობრივ პრესაში პუბლიკაციის შესახებ. თუმცა გაურკვეველია, რა ვადა უნდა გავიდეს ამ ორი განჩინების გამოტანის მომენტებს შორის. ამდენად, გაურკვევლობის თავიდან აცილების მიზნით, მიზანშენონილად უნდა ჩაითვალოს წარმოებაში მიღების დღესვე მეორე განჩინების გამოტანაც, რომლითაც საბუთის გამცემ დაწესებულებას აეკრძალება ამ საბუთით გადახდისა და გაცემის განხორციელება. ეს აკრძალვა ერთგვარად წააგავს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებას და, აქედან გამომდინარე, სარჩელის უზრუნველყოფის მსგავსად მეტად შემჭიდროვებულ ვადაში უნდა იქნეს განხილული, რათა სწრაფად და ეფექტურად მოხდეს განმცხადებლის უფლებების დაცვა.

რაც შეეხება ასეთი განჩინების გამოტანაზე უარის თქმის განჩინებას, იგი გასაჩივრებას ექვემდებარება კერძო საჩივრით, ანუ ზემდგომი სასამართლო შეამოწმებს მის დასაშვებობასა და დასაბუთებულობას სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 414-ე - 420-ე მუხლების შესაბამისად. ასეთი განჩინების გასაჩივრების შესაძლებლობა გამომდინარეობს იქიდან, რომ შესაძლებელია პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად ვერ შეაფასოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები, რის გამოც განმცხადებელს უნდა მიეცეს ზემდგომი სასამართლოსთვის მიმართვის უფლება.

6.5.5 პუბლიკაცია

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 331-ე მუხლის თანახმად, პუბლიკაცია უნდა შეიცავდეს:

- ა) იმ სასამართლოს დასახელებას, რომელშიც შეტანილია განცხადება საბუთის დაკარგვის შესახებ;
- ბ) განმცხადებლის დასახელებასა და მის საცხოვრებელ ადგილს;
- გ) საბუთის დასახელებასა და განმასხვავებელ ნიშნებს;

დ) წინადადებას იმ საბუთის ხელთმქონის მიმართ, რომლის დაკარგვის შესახებაც შეტანილია განცხადება, რომ მან პუბლიკაციის დღიდან სამი თვის განმავლობაში შეიტანოს განცხადება სასამართლოში ამ საბუთზე თავისი უფლების შესახებ.

პუბლიკაციის მნიშვნელობა განისაზღვრება იმ ფაქტით, რომ განმცხადებლისთვის უცნობია საბუთის ხელ-თმქონის ვინაობა და ამ გზით შესაძლებელია გარკვეულ იქნეს მისი ამჟამინდელი მფლობელი. თუმცა, ამისდა მიუხედავად, კანონი მაინც უშვებს სამი თვის ვადით საქმეზე წარმოების შეჩერებას, რაც ეწინააღმდეგება სამოქალაქო საქმეთა 2 თვის ვადაში განხილვის კანონით დადგენილ წესს. ამდენად, სასურველია, ამ ტიპის განცხადების წარმოებაში მიღების განჩინებითვე მისი განხილვის ვადა 5 თვემდე გაგრძელდეს. გვანცხადების პუბლიკაცია ხდება ადგილობრივ პრესაში.

6.5.6 საბუთის ხელთმქონის განცხადება

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 332-ე მუხლის თანახმად, იმ საბუთის ხელთმქონე, რომლის დაკარგვის შესახებ განცხადებულია, ვალდებულია პუბლიკაციის დღიდან 3 თვის ვადის გასვლამდე განჩინების გამომტან სასამართლოში შეიტანოს განცხადება საბუთზე თავისი უფლების შესახებ და ამასთან ერთად წარადგინოს საბუთის დედანიც. განსახილველი მუხლის შინაარსი მეტად ნათელია. თუ პუბლიკაციამ შედეგი გამოიღო და საბუთის ხელთმქონემ გაიგო იმის თაობაზე, რომ მის საბუთზე გამოწვევითი წარმოება მიმდინარეობს, მას წარმოეშობა ვალდებულება განჩინების გამოქვეყნებიდან 3 თვის ვადაში განცხადება წარადგინოს სასამართლოში ამის თაობაზე და ამავე დროს წარადგინოს საბუთის დედანიც. ფაქტიურად ამგვარი განცხადების წარდგენა ერთგვარად უთანაბრდება გადახდის ბრძანებაზე პროტესტის შეტანას, ვინაიდან ორივე მათგანის მიზანი ერთია - დაფიქსირებულ იქნეს იმ მხარის პოზიცია, რომლის მოსაზრების გაგებაც მანამდე შეუძლებელი იყო.

6.5.7 მოსამართლის მოქმედება საბუთის ხელთმქონისაგან განცხადების მიღების შემდეგ

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 333-ე მუხლის თანახმად, თუ საბუთის ხელთმქონემ პუბლიკაციის დღიდან 3 თვის ვადის გასვლამდე შეიტანა სასამართლოში განცხადება, სასამართლო განცხადებას საბუთის დაკარგვის შესახებ განუხილველად დატოვებს და დაადგენს ვადას, რომლის განმავლობაშიც საბუთის გამცემ დაწესებულებას (პირს) აუკრძალავს ანარმოოს ამ საბუთით გადახდა და გაცემა. ეს ვადა არ შეიძლება აღემატებოდეს 2 თვეს. იმავდროულად სასამართლო განუმარტავს განმცხადებელს მის უფლებას, აღძრას სარჩელი საბუთის გამოთხვის შესახებ საერთო წესით იმ პირის მიმართ, ვისაც ხელთ აქვს საბუთი, ხოლო ამ უკანასკნელს - მის უფლებას, გადაახდევინოს განმცხადებელს ზარალი, რაც გამოწვეულია აკრძალვის ღონისძიებებით. სასამართლოს განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა.

ზემოთმოყვანილი დებულება უდავო წარმოების წესით განსახილველი საქმეების სპეციფიკის კლასიკურ ნიმუშთან ერთად ასახავს გამოწვევითი წარმოების არსს. ეს უკანასკნელი იმაში გამოიხატება, რომ ამ სახის წარმოებით მოძიებულ იქნეს საბუთის ხელთმქონე. ასეთი პირის მოძიების შემთხვევაში მოქმედებას იწყებს უდავო წარმოების წესით განსახილველი საქმეებისათვის დამასასიათებელი ზოგადი წესი, რომელიც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 311-ე მუხლის მე-2 პუნქტშია ასახული - "თუ უდავო წარმოების წესით საქმის განხილვისას აღიძვრის დავა ისეთი

უფლებების შესახებ, რომლებიც სასამართლოს უწყებრივად ექვემდებარება, სასამართლო განცხადებას განუხილველად დატოვებს და დაინტერესებულ პირებს განუმარტავს, რომ მათ უფლება აქვთ წარმოადგინონ სარჩელი საერთო საფუძვლებზე".

საბუთის ხელთმქონის აღმოჩენის შემთხვევაში დგინდება იმ პირის ვინაობა, ვის მფლობელობა-შიც იმყოფება საბუთი და ასეთ შემთხვევაში, უდავო წარმოების გაგრძელება საფუძველს მოკლებული ხდება. განმცხადებელმა უკვე სარჩელით უნდა მიმართოს სასამართლოს, რათა უდავო წარმოების წაცვლად დაიწყოს სასარჩელო წარმოება, რომელიც უზრო უკეთ უზრუნველყოფს პირთა უფლებების დაცვას, ვიდრე უდავო წარმოება. ცხადია, რომ სასარჩელო წარმოების დაწყების შემთხვევაში სარჩელი წარდგენილ უნდა იქნეს საერთო განსაჯადობის წესების მიხედვით. ტექნიკური თვალსაზრისით, მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს ამ უფლების (ანუ უფლებისა, რომ მხარეებს შეუძლიათ იდავონ სასარჩელო წესით) განმარტება იმავე განჩინების სარეზოლუციო წაწილში, რომლითაც განცხადება განუხილველად დარჩა ან იმავე საოქმო განჩინებაში, თუ განცხადება განუხილველად ზეპირი მოსმენისას დარჩა.

6.5.8 საქმის დანიშვნა განსახილველად

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 334-ე მუხლის თანახმად, საქმეს დაკარგული საბუთების ბათილად ცნობის შესახებ სასამართლო განიხილავს პუბლიკაციის დღიდან 3 თვის გასვლის შემდეგ, თუ საბუთის ხელთმქონისაგან არ შემოვიდა 332-ე მუხლში მითითებული განცხადება. თუ ვერ მოხდა გამოწვევითი წარმოების მიზნის მიღწევა, ანუ საბუთის ხელთმქონის აღმოჩენა, მაშინ სასამართლო უკვე უფლებამოსილი ხდება შეუდგეს საქმის არსებით განხილვას, მხოლოდ იმ აუცილებელი პირობის დაცვით, რომ უნდა გავიდეს სამთვიანი ვადა პუბლიკაციის დღიდან. როგორც ზემოთ აღინიშნა, პულიკაციის დღე შეიძლება არ დაემთხვეს პუბლიკაციის შესახებ განჩინების გამოტანის დღეს. ამისდა მიუხედავად, ყველა შემთხვევაში გადამწყვეტია სწორედ პუბლიკაციის დღე. ამდენად, სამ თვიანი ვადა პუბლიკაციის დღიდან უნდა აითვალოს.

რა შეიძლება მოხდეს იმ შემთხვევაში, თუ საბუთის ხელთმქონისაგან განცხადება შემოტანილი იქნება სამთვიანი ვადის გასვლის შემდეგ, მაგრამ სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე? ასეთ შემთხვევას კანონი პირდაპირ არ არეგულირებს, თუმცა გამოწვევითი წარმოების არსიდან გამომდინარე (რაც იმაში მდგომარეობს, რომ მოძიებულ იქნეს საბუთის ხელთმქონე) მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს განცხადების განუხილველად დატოვება და სარჩელის წარდგენის შესაძლებლობის განმარტება მოსარჩელისათვის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 333-ე მუხლის ანალოგიურად.

6.5.9 სასამართლოს გადაწყვეტილება განცხადების გამო

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 335-ე მუხლის თანახმად, განმცხადებლის თხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში სასამართლო გამოიტანს გადაწყვეტილებას, რომლითაც ბათილად ცნობს დაკარგულ საბუთს. ეს გადაწყვეტილება უფლებას აძლევს განმცხადებელს მიიღოს ანაბარი ან ახალი საბუთი ბათილად ცნობილი საბუთის ნაცვლად. თუ პუბლიკაციის მეშვეობით ვერ იქნება დადგენილი საბუთის ხელთმქონე, მაშინ სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით აკმაყოფილებს განცხადებას და დაკარგულ საბუთს ბათილად ცნობს. თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ეს ავტომატურად უნდა მოხდეს მას შემდეგ, რაც პუბლიკაცია უშედეგოდ ჩაივლის. როგორც

ზოგადად ხდება უდავო წარმოების დროს, სასამართლომ თავად უნდა დაადგინოს და საკუთარი ინიციტივით მოიწვიოს დაინტერესებული პირები და მიიღოს მათგან მაქსიმალურად მეტი ინფორმაცია განსახილველი საკითხის შესახებ. მაგალითად, საბუთის გამცემი დაწესებულების მოწვევამ შეიძლება მნიშვნელოვანი ფაქტები გახადოს ცნობილი სასამართლოს-თვის, ისევე როგორც მოწმეების დაკითხვამ, საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებების გამოკვლევამ და

ა.შ. თუ ყველა ამ გარემოების გამოკვლევის შედეგად სასამართლო მივა იმ დასკვამდე, რომ საბუთი მარ-თლაც განმცხადებელს ეკუთვნოდა, მაშინ იგი ბათილად ცნობს დაკარგულ საბუთს. ამას-თან, სასურველია, რომ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში აისახოს 335-ე მუხლის მეორე წინადადების შინაარსიც, ვინაიდან საბუთის გამცემმა დაწესებულებამ ან სხვა ორგანომ გადაწყვეტილების შინაარსის გაცნობისას ზუსტად აღიქვას თავისი ვალდებულება გასცეს ახალი საბუთი დაკარგულის სანაცვლოდ და არ შეუქმნას ზედმეტი ხელოვნური დაბრკოლება განმცხადებელს.

6.5.10 საბუთის ხელთმქონის უფლება აღძრას სარჩელი ქონების უსაფუძვლოდ შეძენის შესახებ

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 336-ე მუხლის თანახმად, საბუთის ხელთმქონეს, რომელსაც რაიმე მიზეზით დროულად არ განუცხადებია თავისი უფლება ამ საბუთზე, დაკარგული საბუთის ბათილად ცნობის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, შეუძლია აღძრას სარჩელი ქონების უსაფუძვლოდ შეძენის ან დაზოგვის თაობაზე იმ პირის მიმართ, რომელსაც დაკარგულის ნაცვლად მიენიჭა ახალი საბუთის მიღების უფლება. ამ მუხლში განხილულია ის შემთხვევა, როდესაც საბუთის ხელთმქონემ სამთვიანი ვადის გასვლისა და სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ გაიგო გადაწყვეტილების შესახებ. ასეთ შემთხვევაში მას უფლება ეძლევა სასარ-ჩელო წესით დაიცვას თავისი უფლება და უსაფუძვლო გამდიდრების შესახებ ნორმებით (სამოქალაქო კოდექსის 976-991 მუხლები) ედავოს იმ პირს, რომელსაც სასამართლომ მისცა უფლება მიეღო ახალი საბუთი. ამ ნორმის მიზანია შესაძლებლობა მისცეს საბუთის ხელთქმონეს, რომელმაც ვერ შეძლო სამ-თვიან ვადაში განცხადების გაკეთება, დაიცვას თავისი უფლება და ამტკიცოს საბუთზე მისი უფლებები. ამასთან, სასარჩელო წარმოება, აღჭურვილი დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის ელემენტებით, საუკეთესო საშუალებაა მისი უფლების დასაცავად.

საგულისხმოა ის გარემოება, რომ განხილული წარმოება მთლიანად გადმოღებულია ძველი საბჭოთა სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსიდან (1964 წ.), რასაც ადასტურებს ამ სახის წარმოების იდენტურობა იმდროინდელ ანალოგიურ წარმოებასთან, აგრეთვე ტერმინის - "ქონების უსაფუძვლოდ შეძენის ან დაზოგვის" - გამოყენება, რაც დამახასიათებელი იყო საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსისთვის (1964 წ., მუხლები 486-487).

6.6 ქონების უპატრონოდ ცნობა

6.6.1 განცხადება ქონების უპატრონოდ ცნობის შესახებ

საკუთრების უფლება გულისხმობს მესაკუთრის შესაძლებლობას თავისუფლად ფლობდეს, ანუ

რეალურად ფლობდეს ქონებას, სარგებლობდეს (არ ისარგებლოს ქონებით), ანუ მიიღოს მისგან ნაყოფი - შემოსავალი, ნამატი ან უპირატესობა და განკარგოს იგი, ანუ განსაზღვროს მისი იურიდიული ბედი, კერძოდ, გაასხვისოს, გააჩუქოს, გააქირავოს, დატვირთოს, ამასთან არ დაუშვას სხვა პირის მიერ ამ ქონებით სარგებლობა.

აღსანიშნავია, რომ მესაკუთრის მიერ ქონების განკარგვა გულისხმობს მის უფლებას, უარი თქვას მასზე, ანუ მიატოვოს იგი. ამასთან, განსხვავებულია უძრავ და მოძრავ ნივთებზე საკუთრების მიტოვების წესი. მოძრავი ქონების მიტოვებისათვის არ არის აუცილებელი რაიმე ფორმალობების დაცვა, რაც შეეხება უძრავ ნივთებს, უძრავ ქონებაზე საკუთრების შეძენის თავისებურებიდან გამომდინარე, უძრავ ქონებაზე საკუთრების ან სხვა უფლების მისატოვებლად, აუცილებელია უფლებამოსილი პირის განცხადება ამ უფლების მიტოვების შესახებ და ამ განცხადების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. განცხადება უნდა ჩაპეარდეს რეესტრის სამსახურს. მხოლოდ ამის შემდეგ იძენს უფლების მიტოვების განცხადება სავალდებულო ძალას (სსკ 184-ე მუხლი).

ქონების უპატრონოდ ცნობა და მისი იმ პირის მფლობელობაში გადაცემა, რომელიც დაეუფლა მას, წარმოადგენს საკუთრების შეძენის ერთ-ერთ საშუალებას. ამასთან, უდავო წარმოების წესით შესაძლებელია მხოლოდ მოძრავი ნივთების უპატრონოდ ცნობა, რაც შეეხება უპატრონო უძრავ ნივთებს, მათზე საკუთრების უფლებას იძენს სახელმწიფო.

აღსანიშნავია, რომ ქონების უპატრონოდ ცნობის სამართლებრივი საფუძვლები მოცემულია სამოქალაქო კოდექსში, რომლის მიხედვითაც უპატრონოდ ითვლება ქონება, რომელსაც არ ჰყავს მესაკუთრე, ან მისი მესაკუთრე უცნობია, ან/და ნივთი, რომლის მესაკუთრემაც საკუთრებაზე უარის თქმის მიზნით მიატოვა ნივთის მფლობელობა.

ერთება უპატრონოდ ითვლება თუ:

არ ჰყავს მესაკუთრე	მესაკუთრე უცნობია	მესაკუთრემ უარი თქვა საკუთრებაზე
--------------------	-------------------	----------------------------------

უპატრონოდ ითვლება ისეთი მოძრავი ნივთები, როგორიცაა გადაგდებული ნივთები, ნაპოვარი, უმეთვალყურეო ცხოველები, განძი და სხვ.

სამოქალაქო კოდექსის 190-ე მუხლის თანახმად, თუ პირი მფლობელობაში იღებს უპატრონო მოძრავ ნივთს, იგი იძენს საკუთრებას ნივთზე, თუკი მისი მითვისება კანონით არ არის აკრძალული ან, თუ მითვისებით არ არის დარღვეული იმ პირის უფლებები, რომელსაც ამ ნივთის მითვისების უფლება ჰქონდა.

მოძრავი ნივთი უპატრონოდ ითვლება, თუკი უნინდელი მესაკუთრე საკუთრებაზე უარის თქმის მიზნით ნივთის მფლობელობას მიატოვებს.

სამოქალაქო კოდექსის 191-ე მუხლის თანახმად, დაკარგული ნივთის მპოვნელმა დაუყონებლივ უნდა განუცხადოს ამის შესახებ ნივთის დამკარგავს, მესაკუთრეს, უფლებამოსილ პირს ან თუ მათი ვინაობა უცნობია - პოლიციას ან სხვა ადგილობრივ ორგანოს და გადასცეს ეს ნივთი.

განცხადების გაკეთებიდან ერთი წლის გასვლის შემდეგ მპოვნელი იძენს საკუთრებას ნაპოვარზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მისთვის ცნობილი გახდა მესაკუთრე ან მესაკუთრის უფლება ნივთზე პო-

ლიციაში უკვე გაცხადებული იყო, საკუთრების უფლების მოპოვებასთან ერთად ქარწყლდება ყველა სხვა უფლება ამ ნივთზე.

ამავე მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით, თუ ნაპოვარია ცხოველები, მალეუჭებადი ან ისეთი ნივთები, რომელთა შენახვაც დიდ ხარჯებს მოითხოვს, მაშინ ერთწლიანი ვადა არ გამოიყენება, ხოლო მესაკუთრეს უბრუნდება მათი გასხვისებით მიღებული თანხა.

ამავე კოდექსის 192-ე მუხლის თანახმად, თუ აღმოჩენილია საგანი, რომელიც ისე დიდხანს იყო დაფლული, რომ შეუძლებელია მისი მესაკუთრის დადგენა (განძი), მაშინ საკუთრება სანახევროდ გადადის აღმოჩენზე და იმ მესაკუთრეზე, რომლის ნივთშიც იქნა განძი ნაპოვნი.

თუ პირს, რომელიც დაეუფლა მოძრავ ნივთს, აქვს იურიდიული ინტერესი ასეთი აღიარების მიმართ, შეუძლია სასამართლოს მიმართოს განცხადებით ქონების უპატრონოდ ცნობის შესახებ.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 337-ე მუხლის მიხედვით, განცხადება ქონების უპატრონოდ ცნობის შესახებ სასამართლოში შეაქვს იმ პირს, ვინც დაეუფლა ქონებას ფიზიური პირის საცხოვრებელი ადგილის ან იურიდიული პირის ადგილსამყოფელის მიხედვით.

განცხადება ქონების უპატრონოდ ცნობის შესახებ უნდა შესაბამებოდეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლის მოთხოვნებს და დამატებით უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

1. მითითებას იმ ქონებაზე, რომლის უპატრონოდ ცნობასაც მოითხოვს განმცხადებელი;
2. ქონების დახასიათებას, მის განმასხვავებელ ნიშნებზე მითითებას;
3. მტკიცებულებებს, რომლებიც ადასტურებენ მესაკუთრის მიერ ქონების მიტოვების ფაქტს ამ ქონებაზე საკუთრების უფლების შენარჩუნების განზრახვის გარეშე;
4. მტკიცებულებებს, რომლებიც ადასტურებენ, რომ განმცხადებელი დაეუფლა ქონებას, რომლის მითვისებაც კანონით არ იკრძალება და არ ირლვევა იმ პირის უფლებები, რომელსაც ამ ნივთის მითვისების უფლება ჰქონდა (338-ე მუხლი).

6.6.2 ქონების უპატრონოდ ცნობის შესახებ განცხადების განხილვა

განცხადების მიღების შემდეგ, სასამართლო ახორციელებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ ღონისძიებებს, კერძოდ, 183-ე მუხლის შესაბამისად, თუ მოსამართლე გამოარკვევს, რომ განცხადება შეტანილია კოდექსის მოთხოვნების დაცვით, (177-ე, 338-ე მუხლები) 5 დღის განმავლობაში გამოიტანს განჩინებას განცხადების წარმოებაში მიღების შესახებ. განცხადება მიღებულად ჩაითვლება მისი მიღების შესახებ განჩინების გამოტანის დღიდან, ხოლო თუ აღნიშნულ ვადაში განჩინება გამოტანილი არ იქნება, მაშინ - ამ ვადის გასვლის შემდეგ. შესაბამისად, თუ განცხადება არ აკმაყოფილებს კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, მო-სამართლე გამოიტანს ხარვეზის შესახებ განჩინებას და დაუნიშნავს განმცხადებელს ვადას მის შესავსებად. თუ განმცხადებელი დანიშნულ ვადაში შეავსებს განჩინებაში მითითებულ ხარვეზს, მოსამართლე გამოიტანს განცხადების წარმოებაში მიღების შესახებ განჩინებას, წინააღმდეგ შემთხვევაში, უარს ეტყვის განმცხადებელს განცხადების წარმოებაში მიღებაზე, რაზედაც შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა. ასეთი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟი ექვემდებარება მთლიანად დაბრუნებას.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით, განცხადების შეტანაზე უფლებამოსილი პირი არის ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც დაეუფლა ქონებას. შესაბამისად, თუ განცხადება ქონების

უპატრონოდ ცნობის შესახებ წარადგინა არაუფლებამოსილმა პირმა, მოსამართლე, 186-ე მუხლის შესაბამისად, გამოიტანს განჩინებას განცხადების წარმოებაში მიღებაზე უარის შესახებ. თუ აღნიშნული გარემოება გამოვლინდა საქმის სასამართლო სხდომაზე განხილვის დროს, მოსამართლეს შეუძლია უფლებამოსილი განმცხადებლის თანხმობით, საქმის შეუწყვეტლად შეცვალოს თავდაპირველი განმცხადებელი სათანადო განმცხადებლით. თუ ზემოაღნიშნული პირები უარს განაცხადებენ შეცვლაზე, მაშინ დადგება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 84-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგები.

თუ განცხადება შეტანილია არაგანსჯად სასამართლოში, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 186-ე მუხლის პირველი ნაწილის "ე" ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლომ უარი უნდა უთხრას განმცხადებელს განცხადების წარმოებაში მიღებაზე და ამავე კოდექსის 187-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, განჩინებაში უნდა მიუთითოს განსჯადი სასამართლო.

თუ არაგანსჯადობა სასამართლოსთვის ცნობილი გახდება განცხადების წარმოებაში მიღების შემდეგ, სასამართლომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, განუხილველად უნდა დატოვოს განცხადება, რასაც უკავშირდება ამავე კოდექსის 278-ე მუხლით დადგენილი შედეგები.

განცხადების წარმოებაში მიღების შემდეგ მოსამართლე ამზადებს საქმეს სასამართლო სხდომაზე განსახილველად 203-ე და 339-ე მუხლების შესაბამისად.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 339-ე მუხლის თანახმად, განცხადების წარმოებაში მიღების შემდეგ სასამართლო ადგილობრივ გაზეთში აქვეყნებს ცნობას, რომელიც უნდა შეიცავდეს:

1. სასამართლოს დასახელებას, რომელმაც უნდა მიიღოს გადაწყვეტილება ქონების უპატრონოდ ცნობის შესახებ;
2. განმცხადებლის ვინაობას;
3. ქონების აღნერას, რომელიც უნდა გამოცხადდეს უპატრონოდ;
4. მოთხოვნას, იმ პირთა მიმართ, რომელთაც შეიძლება ჰქონდეთ პრეტენზია ქონებაზე, რომელიც უპატრონოდ უნდა გამოცხადდეს, რათა მათ განაცხადონ სასამართლოში თავიანთი უფლებების შესახებ 3 თვის განმავლობაში დღიდან პუბლიკაციისა.

საქმის მომზადების დროს მოსამართლემ უნდა გამოარკვიოს იმ პირთა ვინაობა, რომელთაც შეუძლიათ მიაწოდონ სასამართლოს ინფორმაცია ქონების და მისი მესაკუთრის შესახებ და გამოიძახოს ისინი სასამართლო სხდომაზე ჩვენების მისაცემად. მოსამართლემ, ასევე უნდა გამოითხოვოს ცნობები შესაბამისი სახელმწიფო ორგანოებიდან.

ქონების უპატრონოდ ცნობის შესახებ მტკიცების ტვირთი საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის შესაბამისად ეკისრება განმცხადებელს.

მტკიცებულებად შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს მოწმეთა ჩვენებები და ყველა სხვა მტკიცებულება, რომელიც დაშვებულია სამოქალაქო საპროცესო სამართალში.

საქმის მომზადების სტადიაზე სასამართლომ უნდა გამოარკვიოს, ხომ არ ეკუთვნის ქონება გარდაცვლილ ან გარდაცვლილად გამოცხადებულ პირს, რომელსაც არ ჰყავს მემკვიდრეები, ან ყველა მემკვიდრემ უარი განაცხადა მემკვიდრეობის მიღებაზე თუ არა, ანდა ყველა მემკვიდრეს ჩამორთმეული აქვს მემკვიდრეობის უფლება თუ არა. დაუშვებელია ასეთი ქონება ცნობილი იქნეს უპატრონოდ უდავო წარმოების წესით და გადაეცეს საკუთრებაში განმცხადებელს. სამოქალაქო კოდექსის 1343-ე მუხლის მიხედვით, თუ არც კანონით და არც ანდერძით მემკვიდრეები არ არიან, ან არც ერთმა მემკვიდრემ

არ მიიღო სამკვიდრო, ან/და, როცა ყველა მემკვიდრეს ჩამოერთვა მემკვიდრეობის უფლება, უმკვიდრო ქონება გადადის სახელმწიფოზე; ხოლო თუ მამკვიდრებელი მოხუცთა, ინვალიდთა, სამკურნალო, აღმზრდელობით და სოციალური დაცვის სხვა დაწესებულებათა რჩენაზე იმყოფებოდა, მაშინ - მათ საკუთრებაში.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, უმკვიდრო ქონება სამეწარმეო საზოგადოებაში ან კოოპერატივში წილის, აქციის ან პაის სახით გადადის მათ ხელში, თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

დაუშვებელია, ასევე უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებული პირის ქონების უპატრონოდ გამოცხადება. უგზო-უკვლოდ დაკარგული პირის ქონება სამოქალაქო კოდექსის მიხედვით მინდობილი საკუთრების სახით სამართავად გადაეცემათ მის მემკვიდრეებს.

სამოქალაქო კოდექსის 21-ე მუხლის თანახმად, პირის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების შესახებ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, კანონით მემკვიდრეები მოიპოვებენ უფლებამოსილებას, უკვალოდ დაკარგულის ქონება მართონ მინდობილი საკუთრების სახით.

თუ კოდექსით დადგენილ ვადაში სასამართლოში შემოვა განცხადება ქონებაზე უფლების შესახებ, მაშინ სასამართლო თავისი განჩინებით განუხილველად დატოვებს განცხადებას ქონების უპატრონოდ ცნობის შესახებ და წინადადებით მიმართავს განმცხადებელს, აღძრას აღიარებითი სარჩელი იმ პირის მიმართ, რომელმაც განაცხადა თავისი უფლება ქონებაზე.

თუ დანიშნული ვადის გასვლამდე სასამართლოში არ შემოვა განცხადება ქონებაზე უფლების შესახებ, მოსამართლე 207-ე მუხლის თანახმად, გამოიტანს განჩინებას სასამართლოს მთავარ სხდომაზე საქმის არსებითად განხილვის დანიშვნის შესახებ.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 340-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლო განიხილავს საქმეს, გამოჰკითხავს იმ პირებს, რომელთაც შეუძლიათ ცნობების მიწოდება ქონების კუთვნილების შესახებ, აგრეთვე გამოითხოვს ცნობებს შესაბამისი ორგანოებიდან.

საქმის განხილვისას სასამართლო უნდა დარწმუნდეს, რომ განმცხადებელმა ყველა ზომას მიმართა მესაკუთრის დასადგენად.

აღსანიშნავია, რომ თუკი მესაკუთრე სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ შეიტყობს მისი ქონების შესახებ, მას შეუძლია აღძრას ვინდიკაციური სარჩელი უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის შესახებ.

6.6.3 გადაწყვეტილება ქონების უპატრონოდ ცნობის შესახებ

თუ სასამართლო ცნობს, რომ ქონებას არ ჰყავს მესაკუთრე ან ეს ქონება მიტოვებულია მესაკუთრის მიერ იმ განზრახვის გარეშე, რომ შეინარჩუნოს ამ ქონებაზე საკუთრების უფლება, მას გამოაქვს გადაწყვეტილება მოძრავი ქონების უპატრონოდ ცნობისა და მისი იმ პირის საკუთრებაში გადაცემის შესახებ, რომელიც დაეუფლა ამ ქონებას (341-ე მუხლი).

თუ საქმეში არსებული მტკიცებულებები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ ქონება მიჩნეულ იქნეს უპატრონოდ, მოსამართლე გადაწყვეტილებით უარს ეტყვის განმცხადებელს განცხადების დაკმაყოფილებაზე, რომელზედაც დასაშვებია სააპელაციო და საკასაციო საჩივრების შეტანა.

7. გამარტივებული ნარმობა

7.1 ზოგადი დეპულებები გამარტივებული ნარმობის შესახებ

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით განსაზღვრულია სამოქალაქო საქმეთა უწყებრივი ქვემდებარეობის ზოგადი წესი, რომლის მიხედვითაც, საქართველოს საერთო სასამართლოები სამოქალაქო საქმეებს განიხილავენ ამ კოდექსით დადგენილი წესების მიხედვით. მე-2 მუხლით კი უზრუნველყოფილია ყოველი პირის უფლება - თავისი დარღვეული, თუ სადაცოდ ქცეული უფლების, კანონით გათვალისწინებული ინტერესების დასაცავად მიმართოს სასამართლოს.

სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილია სასამართლოსადმი უფლების დასაცავად მიმართვის საპროცესო ფორმა. კერძოდ, ესენია სარჩელი და განცხადება. დისპოზიციურობის პრინციპიდან გამომდინარე (სსკ-ის მე-3 მუხლი), მხარეები თვითონ იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის ან განცხადების სასამართლოში შეტანის შესახებ და თავად განსაზღვრავენ დავის საგანს. საქმის სასამართლოში წარმოება კი, მხარეებმა უნდა დაიწყონ სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესების შესაბამისად.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მეხუთე კარით (292-3097-ე მუხლები) რეგლამენტირებულია სასამართლოში საქმის წარმოების გამარტივებული წესი, კერძოდ, გამარტივებული სამართალწარმოებით მაგისტრატი მოსამართლის მიერ შეიძლება განხილულ იქნეს სამი სახის მოთხოვნა: - а) თამასუქისა და ჩეკის თაობაზე აღძრული სარჩელები; ბ) გარკვეული ფულადი თანხის დავალიანების გადახდევინების შესახებ საქმეები და გ) ლიზინგის საგნის გამცემის მფლობელობაში ლიზინგის საგნის დაბრუნების შესახებ საქმეები.

მაგისტრატი მოსამართლის მიერ გამარტივებული ნარმობის ნისით განიხილავა:

თამასუქისა და ჩეკის თაობაზე აღძრული სარჩელები	ფულადი თანხის დავალიანების გადახდევინების შესახებ საქმეები	ლიზინგის საგნის გამცემის მფლობელობაში ლიზინგის საგნის დაბრუნების შესახებ საქმეები

7.2 დავალიანების გადახდევინების შესახებ განცხადების შინარსი

იმისათვის, რომ ფიზიკურმა თუ იურიდიულმა პირმა ფიზიკური თუ იურიდიული პირისაგან მოითხოვოს გარკვეული ფულადი დავალიანების გადახდევინება გამარტივებული წარმოების წესით (სსკ-ის XXXIV თავი, 302-309-ე მუხლები), საჭიროა, რომ მან სასამართლოს მიმართოს სათანადო წესითა და ფორმით შედგენილი წერილობითი განცხადებით. მოსამართლე განცხადებას განიხილავს ერთპიროვნულად და თუკი განცხადება აკმაყოფილებს ამ კანონით დადგენილ მოთხოვნებს, მას გამოაქვს გადახდის ბრძანება მოვალის წინააღმდეგ მისგან ფულადი თანხის ამოღების შესახებ. გადახდის ბრძანება წარმოადგენს მოსამართლის აქტს, გადაწყვეტილების სახეს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 303-ე მუხლით განსაზღვრულია, თუ რა მოთხოვნებს უნდა პასუხობდეს განცხადება გამარტივებული წესით ფულადი დავალიანების გადახდევინების შესახებ და რა მონაცემებს უნდა შეიცავდეს იგი.

განცხადებაში მოცემული უნდა იყოს განმცხადებლის მოთხოვნა ამ წესით საქმის განხილვის თაობაზე და იგი მიზნად უნდა ისახავდეს სასამართლოს მიერ გადახდის ბრძანების მიღებას (303-ე მუხლის პირველი ნაწილი). ამ ნორმის მეორე ნაწილით განსაზღვრულია განცხადების შინაარსი - თუ რა მონაცემებს უნდა შეიცავდეს დავალიანების გადახდევინების შესახებ განცხადება. კერძოდ, განცხადებაში აღნიშნული უნდა იყოს:

1. სასამართლოს დასახელება, რომელშიც შეაქვთ განცხადება;
2. მხარეებისა და მათი წარმომადგენლების (თუ განცხადება შეაქვს წარმომადგენელს) დასახელება, მისამართი;
3. განცხადებას ხელს უნდა აწერდეს განმცხადებელი ან მისი წარმომადგენელი (თუ განცხადება შეაქვს წარმომადგენელს).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თუ განცხადება სასამართლოში შეაქვს წარმომადგენელს, განცხადებას უნდა ერთვოდეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 96-ე მუხლის შესაბამისად გაცემული წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი საპუთი (მინდობილობა), რომლითაც წარმომადგენელს უფლება ექნება მარწმუნებლის სახელით მიმართოს სასამართლოს (სსკ-ის 98-ე მუხლი - სპეციალური უფლებამოსილება).

უნდა ითქვას, რომ აქ ჩამოთვლილი რეკვიზიტები, საერთოა სასამართლოსადმი მიმართული ყველა განცხადებისათვის, მაგრამ გადახდის ბრძანების მიღების შესახებ განცხადება, გარდა აღნიშნულისა, უნდა შეიცავდეს სხვა სპეციფიკურ მონაცემებსაც, კერძოდ, ესენია:

1. მონაცემები იმის შესახებ, თუ რომელი ძირითადი და დამატებითი ვალდებულებიდან გამოდინარე მოთხოვნებია წამოყენებული;
2. გადახდის ბრძანების შესახებ განცხადება უნდა შეიცავდეს წამოყენებული პრეტენზიის დასაბუთებას. განცხადებაში მითითებული მტკიცებულებების შესაბამისი დოკუმენტები დამოწმებული სახით უნდა იქნეს წარმოდგენილი;

2. გადახდის ბრძანების შესახებ განცხადება უნდა შეიცავდეს მითითებას იმის შესახებ, რომ აღძრული მოთხოვნა არ არის დამოკიდებული განმცხადებლის მხრივ რაიმე საპასუხო (სანაცვლო) ვალდებულების შესრულებაზე ან რომ მის მიერ ასეთი ვალდებულების შესრულება უკვე განხორციელდა.

უპირველესად უნდა აღინიშნოს, რომ მოთხოვნას უნდა გააჩნდეს ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი. ამიტომ განცხადებაში მითითებული უნდა იყოს რომელ ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძვლებს ემყარება მოთხოვნა. ამასთან, მხარეთა ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა შეიძლება შედგებოდეს არა მარტო ძირითადი, არამედ დამატებითი ვალდებულებისაგან, მაგალითად, სასესხო ურ-თიერთობის დროს (სამოქალაქო კოდექსის 623-ე მუხლი) სესხის თანხის მოთხოვნა არის ძირითადი ვალდებულებიდან გამომდინარე მოთხოვნა, ხოლო მხარეთა შეთანხმებით სესხისათვის გათვალისწინებული პროცენტის შესახებ მოთხოვნა (სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლი) არის დამატებითი ვალდებულებიდან გამომდინარე მოთხოვნა. ასევე დამატებითი ვალდებულებიდან გამომდინარე მოთხოვნებია ფულადი თანხის გადახდის ვადის გადაცილებისას მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული პროცენტის (სამოქალაქო კოდექსის 403-ე მუხლი) და პირგასამტებლოს (სამოქალაქო კოდექსის 417-ე მუხლი) გადახდის მოთხოვნაც.

გადახდის ბრძანება შეიძლება გაიცეს მხოლოდ მაშინ, როცა მოთხოვნა დამყარებულია სათანადო დოკუმენტებზე (მტკიცებულებებზე), მაგრამ მტკიცებულებებზე მხოლოდ მითითება არ არის საკმარისი, არამედ ეს მტკიცებულებები განცხადებას თან უნდა ერთვოდეს და თანაც, მტკიცებულებები უნდა იყოს მხოლოდ წერილობითი სახის. ამასთან, მოთხოვნის (პრეტენზიის) დასაბუთებისათვის შეიძლება გამოყენებული იყოს ისეთი წერილობითი მტკიცებულება, რომელიც სათანადოდ გაფორმებული და დამოწმებული სახითაა წარდგენილი სასამართლოში, მაგალითად, სესხის ურთიერთობის დროს, ამგვარი დოკუმენტი შეიძლება იყოს სანოტარო წესით დადასტურებული სესხის ხელშეკრულება ან/და სხვა დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს მოვალის (მოპასუხის) მხრიდან ფულადი ვალდებულების შეუსრულებლობას ან გარიგების არსებობას (მაგ: ვალის არსებობის აღიარების ხელნერილი (სამოქ. კოდექსის 341-ე მუხლი), უშუალოდ მხარეთა მიერ ან სანოტარო წესით დამოწმებული მხარეთა შედარების აქტი დავალიანების არსებობის შესახებ). დასაშვებია მხოლოდ სათანადოდ გაფორმებული წერილობითი დოკუმენტები. მაგალითად, თუ ძირითადი ვალდებულება ემყარება სესხის ხელშეკრულებას, განცხადებას უნდა ერთვოდეს ეს ხელშეკრულება, ასევე, თუ დამატებითი ვალდებულება (მაგალითად, პროცენტების სახით) ემყარება მხარეთა შორის შეთანხმებას, ეს შეთანხმება წერილობითი სახით უნდა იყოს წარმოდგენილი.

განმცხადებელმა დამაჯერებლად უნდა მიუთითოს, რომ მას მოვალის მიმართ რაიმე სანაცვლო (საპასუხო) ვალდებულება არ გააჩნია, რომელზეც დამოკიდებული იქნება მისი მოთხოვნის შესრულება ან უნდა მიუთითოს, რომ მას გააჩნდა ასეთი ვალდებულება, მაგრამ იგი უკვე შესრულებული აქვს. ხოლო თუკი მოვალეს აქვს უფლება განმცხადებლისაგან (კრედიტორისაგან) მოითხოვოს საპასუხო ვალდებულების შესრულება, მაშინ განმცხადებელს არ შეუძლია მოითხოვოს გამარტივებული წესით საქმის განხილვა, ანუ გამარტივებული წარმოება შეიძლება გამოყენებული იქნეს მაშინ, თუ განმცხადებელი მოითხოვს ორმხრივი ხელშეკრულების შესრულებას, როდესაც მოვალემ კანონის ან მხარეთა შეთანხმების თანახმად, წინასწარ უნდა შეასრულოს თავისი მოვალეობა ან კრედიტორმა უკვე შეასრულა თავისი მოვალეობა.

**გამარტივებული წარმოება გამოიყენება, თუ გაცეცხადებას მოითხოვს
ორმხრივი ხელშეკრულების შესრულებას და თუ:**

**მოვალემ წინასწარ უნდა შეასრულოს
თავისი მოვალეობა**

ან

**კრედიტორმა უკვე შეასრულა
თავისი მოვალეობა**

თუკი განცხადება სასამართლოში წარდგენილია განსჯადობის წესების დაცვით (304-ე მუხლი), აკმაყოფილებს დასაშვებობის პირობებს (302-ე მუხლი) და შეიცავს მის ყველა სავალდებულო რეკვიზიტს (303-ე მუხლი), მაშინ სასამართლო აკმაყოფილებს განცხადებას და გამოაქვს გადახდის ბრძანება.

7.2.2 ფულადი თანხის გადახდევინების შესახებ განცხადების შეტანის ადგილი

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 304-ე მუხლის თანახმად, საქმეს გამარტივებული წესით ფულადი დავალიანების გადახდევინების შესახებ განიხილავს სასამართლო მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ამდენად, გადახდის ბრძანების მიღების შესახებ განცხადებაზე ვრცელდება განსჯადობის საერთო წესები და იგი შეიტანება სასამართლოში მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, მართალია, ამ ნორმაში მოხსენიებული არ არის, თუ რომელი სასამართლო განიხილავს საქმეს იურიდიული პირის მიმართ გამარტივებული წესით დავალიანების გადახდევინების შესახებ, მაგრამ განსჯადობის საერთო წესების მიხედვით, ამგვარი განცხადება იურიდიული პირის წინააღმდეგ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფელის მიხედვით. იურიდიული პირის ადგილსამყოფელი კი განსაზღვრულია მისი წესდებით და დგინდება სამეწარმეო რეესტრის ამონაწერით.

7.2.3 დავალიანების გადახდევინების შესახებ განცხადების დასაშვებობის წინაპირობები

იმისათვის, რომ სასამართლომ მიიღოს და განიხილოს განცხადება გამარტივებული წარმოების წესით ფულადი დავალიანების გადახდევინების შესახებ, უპირველესად, იგი უნდა პასუხობდეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 302-ე მუხლით გათვალისწინებულ დასაშვებობის წინაპირობებს, კერძოდ:

- 1) განმცხადებელი მოპასუხისაგან უნდა მოითხოვდეს მხოლოდ ფულადი თანხის დავალიანების გადახდევინებას (302-ე მუხლის 1-ლი ნაწილი), რაც იმას ნიშნავს, რომ თუ განმცხადებელი მოპასუხისაგან მოითხოვს არა ფულადი თანხის გადახდევინებას, არამედ ნივთის (ქონების) გადაცემას, მაშინ ამ განცხადების განხილვა სსკ-ის XXXIV თავით (302-309-ე მუხლებით) გათვალისწინებული წესებით დაუშვებელია და განმცხადებელს უარი უნდა ეთქვას განცხადების მიღებაზე. თუმცა გამარტივებული წარმოების წესით შესაძლებელია განხილული იქნეს ქონების გადაცემის მოთხოვნაც, როგორიცაა მოთხოვნა ლიზინგის საგნის გამცემის მფლობელობაში ლიზინგის საგნის დაბრუნების შესახებ, მაგრამ ეს ურთიერთობა მოწესრიგებულია არა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 302-309-ე მუხლებით, არამედ 309-3097-ე მუხლებით.

ამჯერად კი, საუბარი შეეხება ფულადი დავალიანების გადახდევინების შესახებ მოთხოვნის განხილვის გამარტივებულ წესს.

2) დასაშვებობის მეორე წინაპირობა, რასაც უნდა აკმაყოფილებდეს გამარტივებული წარმოების წესით ფულადი დავალიანების გადახდევინების შესახებ აღძრული მოთხოვნა, არის ის, რომ მოთხოვნის წარმოენება დამოკიდებული არ უნდა იყოს განმცხადებლის მხრიდან მოპასუხის მიმართ (მის წინაშე) ჯერ კიდევ შეუსრულებელ საპასუხო (სანაცვლო) გადახდაზე (302-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" ქვეპუნქტი). აღნიშნული ნიშნავს იმას, რომ შესაძლებელია განმცხადებელსა და მოპასუხეს ერთმანეთის მიმართ გააჩნდეთ ორმხრივი ვალდებულებები და, თუკი, მათ შორის არსებული ურთიერთობიდან გამომდინარე, ფულადი დავალიანების გადახდის ვალდებულება მოპასუხეს წარმოეშობა მას შემდეგ, რაც განმცხადებელი შეასრულებს გარკვეულ ვალდებულებას მოპასუხის წინაშე, მაშინ განცხადების გამარტივებული წარმოების წესით განხილვა ამ შემთხვევაშიც დაუშვებელია. სახელდობრ:

სამოქალაქო კოდექსის 50-ე მუხლის მიხედვით, გარიგება არის ცალმხრივი, ორმხრივი და მრავალმხრივი ნების გამოვლენა, რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ. 317-ე მუხლში მოცემულია ვალდებულების წარმოშობის საფუძვლები, რომლებიც შეიძლება იყოს - ხელშეკრულება, ზიანის მიყენების ფაქტი (დელიქტი), უსაფუძვლო გამდიდრება ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძველი. 361-ე მუხლით დადგენილია ვალდებულების არსებობის პრეზუმაცია - ყოველი შესრულება გულისხმობს ვალდებულების არსებობას. ასევე, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას.

ორმხრივი ხელშეკრულების დროს ხელშეკრულების ორივე მხარეს გააჩნია, როგორც უფლებები, ისე მოვალეობები, ანუ თითოეული მათგანი კრედიტორიცაა და მოვალეც. სამოქალაქო კოდექსის 369-ე მუხლით, იმ პირს, რომელსაც ვალდებულება აკისრია ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე, შეუძლია უარი თქვას ვალდებულების შესრულებაზე საპასუხო მოქმედების განხორციელებამდე, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა იგი ვალდებული იყო თავისი ვალდებულება წინასწარ შეესრულებინა. ხოლო 406-ე მუხლის პირველი ნაწილით, თუ ორმხრივ ხელშეკრულებაში მოვალეს უფლება აქვს უარი თქვას მისთვის დაკისრებულ ვალდებულებაზე, და გარემოება, რომელიც მას აძლევს ამის უფლებას, გამოწვეულია კრედიტორის ბრალით, მაშინ იგი ინარჩუნებს საპასუხო შესრულების მიღების უფლებას. შესაძლებელია, რომ მხარეები ვალდებული იყვნენ ურთიერთშესრულება განახორციელონ ერთდროულად ან შესრულება ჯერ ერთმა მხარემ უნდა განახორციელოს და მხოლოდ ამის შემდეგ წარმოეშობა საპირისპირო შესრულების ვალდებულება მეორე მხარეს, მაგრამ გამარტივებული წესით ფულადი დავალიანების გადახდევინების შესახებ აღძრული მოთხოვნის განხილვისას მთავარია ის, რომ პირს, რომელიც მიმართავს სასამართლოს გამარტივებული წარმოების წესით მოპასუხისაგან ფულადი დავალიანების გადახდევინების შესახებ მოთხოვნით, მოპასუხის მიმართ არ უნდა გააჩნდეს შეუსრულებელი საპასუხო ვალდებულება, რომელზეც დამოკიდებული იქნება მოპასუხის მიმართ ფულადი დავალიანების გადახდევინების შესახებ მოთხოვნის წარმოყენება (მაგალითად, წარდობის ხელშეკრულება შეიძლება ითვალისწინებდეს, რომ დამკვეთმა მენარდეს ანაზღაურება გადაუხადოს მას შემდეგ, რაც მენარდე შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამუშაოს).

3) ფულადი დავალიანების გადახდევინების შესახებ აღძრული მოთხოვნის (განცხადების) გამარ-

ტივებული წარმოების წესით განხილვის დასაშვებობის შემდეგი წინაპირობაა, რომ ცნობილი უნდა იყოს მოპასუხის ადგილსამყოფელი, რათა მას ჩაჰებარდეს გადახდის ბრძანება.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე მუხლები განსაზღვრავენ მხარე-თათვის სასამართლო უწყების (გზავნილის) ჩაბარების წესს. 78-ე მუხლით დადგენილია, რომ თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის სასამართლო უწყების ჩაბარება სხვაგვა-რად ვერ ხერხდება სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. საჯარო შეტყობინება ხორციელდება იმ გა-ზეთის საშუალებით, რომელიც მასობრივადა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგი-ლის შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში. მხარე უფლებამოსილია, სასამართლო განჩინების საფუძველზე, თავისი ხარჯებით განახორციელოს საჯარო შეტყო-ბინება ინფორმაციის სხვა საშუალებებით. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში სასამართლო უწყება მხარისათვის ჩაბარებულად ითვლება გაზეთში გამოქვეყ-ნებიდან მე-7 დღეს.

ამდენად, თუ მოპასუხის ადგილსამყოფელი უცნობია, და მას სასამართლოს გადაწყვეტილე-ბის შესახებ შეიძლება ეცნობოს მხოლოდ საჯარო (ოფიციალური) გამოცხადების გზით, სასა-მართლომ არ უნდა მიიღოს წარმოებაში განცხადება.

- 4) გადახდის ბრძანების მიღების შესახებ განცხადება არ დაიშვება, თუ იგი არ პასუხობს სამო-ქალაქო საპროცესო კოდექსის 303-ე მუხლის მოთხოვნებს. ამ შემთხვევაში საუბარია, თუ რა მოთხოვნებს უნდა პასუხობდეს განცხადება და რა მონაცემებს უნდა შეიცავდეს იგი, რაზეც დაწვრილებით საუბარი იქნება ამ მუხლის კომენტირებისას.
- 5) სსკ-ის 302-ე მუხლში აღნიშნული არ არის იმ შემთხვევაზე, როცა განმცხადებელს გადახდი-ლი არ აქვს სახელმწიფო ბაჟი და ისე მომართავს სასამართლოს გადხდის ბრძანების მიღების მოთხოვნით. უნდა ითქვას, რომ განცხადებას თან უნდა ერთვოდეს სახელმწიფო ბაჟის გადახ-დის დამადასტურებელი დოკუმენტები. ამასთან, გადახდის ბრძანების მიღების შესახებ გან-ცხადება და თანდართული მასალები სასამართლოს უნდა წარედგინოს იმდენი ასლით, რამდენიც მოპასუხება.

7.2.4 დავალიანების გადახდევინების განცხადების მიღებაზე უარის თქმა

დავალიანების გადახდევინების შესახებ განცხადების დასაშვებობის წილაპირობები

მოთხოვნის ობიექტი უნდა იყოს მხოლოდ ფულადი თანხა	მოთხოვნა დამოკი-დებული არ უნდა იყოს განმცხადებლის მხრიდან მოპასუხის მიმართ (მის წინაშე) ჯერ კიდევ შეუსრუ-ლებელ საპასუხო გადახდაზე	ცნობილი უნდა იყოს მოპასუხის ადგილსამყოფელი	უნდა პასუხობდეს სსკ-ის 303-ე მუხლის მოთხოვნებს	სახელმწიფო ბაჟი უნდა იყოს გადახდილი
--	---	--	--	-------------------------------------

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 305-ე მუხლით განსაზღვრულია შემთხვევები, როცა სასა-მართლო განმცხადებელს განჩინებით უარს ეუბნება განცხადების მიღებაზე. სასამართლოს ასე-თი განჩინება დასაბუთებული უნდა იყოს და განჩინებაში აღნიშნული უნდა იყოს საფუძველი, თუ

რის გამო ეთქვა უარი განმცხადებელს განცხადების მიღებაზე. ესენია:

1. განცხადება არ უპასუხებს 302-303-ე მუხლებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს (305-ე მუხლის პირველი ნაწილის "ა" ქვეპუნქტი, დასაშვებობა, განცხადების ფორმა და შინაარსი). ამ ნორმებზე დაწვრილებით ზემოთ იყო მსჯელობა;
2. განცხადებაში ჩამოყალიბებული მოთხოვნის საფუძველი (303-ე მუხლის მეორე ნაწილის "დ" ქვეპუნქტი) ვერ ასაბუთებს ამ მოთხოვნას (305-ე მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტი).


აღნიშნული ნიშნავს იმას, რომ განცხადებაში მოთხოვნის ფაქტობრივ საფუძველზე მხოლოდ მითითება საკმარისი არ არის. განმცხადებლის მოთხოვნა დასაბუთებული უნდა იყოს, როგორც ფაქტობრივად, ანუ წარმოდგენილი უნდა იყოს დამოწმებული დოკუმენტური მტკიცებულებები, ისე - იურიდიულად (სამართლებრივად), ანუ განცხადებაში მითითებული მოთხოვნის საფუძველი იურიდიულად უნდა ამართლებდეს მოთხოვნას. კანონი ამ ფაქტობრივ გარემოებებს უნდა უკავშირებდეს იმ შედეგს, რისი დადგომაც სურს განმცხადებელს. იურიდიულ მართებულობაში იგულისხმება ის შემთხვევა, როდესაც სამართლით დაცული მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნა განცხადებაში მითითებული გარემოებებიდან გამომდინარეობს.

განცხადების მიღებაზე უარის თქმის განჩინების გასაჩივრების შესაძლებლობას სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს. განმცხადებელს, რომელსაც უარი ეთქვა გადახდის ბრძანების მიღების შესახებ განცხადების მიღებაზე, შეუძლია სასამართლოს მიმართოს საერთო სასარჩელო წარმოების წესით ანდა, თუკი იგი აღმოფხვრის იმ დამაბრკოლებელ გარემოებებს, რის გამოც უარი ეთქვა განცხადების მიღებაზე, განმეორებით შეუძლია მიმართოს სასამართლოს გადახდის ბრძანების მიღების მოთხოვნით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 305-ე მუხლის მე-2 ნაწილი ითვალისწინებს შესაძლებლობას, როცა სასამართლო უფლებამოსილია განმცხადებელს დაუნიშნოს ვადა განცხადებაში და თანდართულ მასალებში არსებული ხარვეზების შესავსებად, კერძოდ, თუკი განმცხადებლის მიერ მოთხოვნის წამოყენება დამოკიდებულია მისი მხრივ ჯერ კიდევ შეუსრულებელ საპასუხო გადახდაზე ან გადახდის ბრძანება მოპასუხეს უნდა ეცნობოს საჯარო (ოფიციალური) გამოცხადების გზით (სსკ-ის 302-ე მუხლი), მაშინ სასამარ-თლომ უპირობოდ უნდა უთხრას უარი განმცხადებელს განცხადების მიღებაზე, ხოლო თუკი განცხადება არ შეიცავს სსკ-ის 303-ე მუხლით გათვალისწინებულ ყველა მონაცემს, მაშინ სასამართლოს შეუძლია განმცხადებელს დაუნიშნოს ვადა ხარვეზების შესავსებად, რომელშიც განმცხადებლისათვის გასაგებად უნდა იყოს აღნიშნული, რა მიიჩნია სასამართლომ ხარვეზად.

305-ე მუხლის მე-2 ნაწილში არაფერია ნათქვამი სხვა შემთხვევბზე, როცა სასამართლოს შეუძლია ხარვეზის გამოსასწორებლად ვადა მისცეს განმცხადებელს, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ თუკი სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი (ან გადახდილია არასრულად), ან მასალებს არ ერთვის წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი საბუთი, ან წარმოდგენილი არ არის მოპასუხისათვის გადასაცემი განცხადებისა და თანდართული მასალების ასლები, სასამართლოს ამ შემთხვევაშიც შეუძლია დაუნიშნოს ვადა განმცხადებელს ხარვეზის შევსებისათვის. ამასთან, ხარვეზის შევსების განჩინებაში უნდა მიეთითოს დანიშნულ ვადაში ხარვეზის შეუვსებლობის სამართლებრივ შედეგებზე - რომ ამ შემთხვევაში სასამარ-თლო არ მიიღებს განცხადების სამართლებრივ შედეგებზე.

ბას და განმცხადებელს დაუბრუნდება სასამართლოში შემოტანილი საბუთები. ამგვარი განჩინება არ გასაჩივრდება, ხოლო თუ განმცხადებელს გადახდილი აქვს სახელმწიფო ბაჟი, იგი უნდა დაუბრუნდეს სრულად.



მართალია, სსკ-ის 305-ე მუხლში საუბარია განცხადების მიღებაზე უარის თქმის კონკრეტულ საფუძვლებზე, მაგრამ მიზანშეწონილია, რომ სასამართლომ იმ საფუძვლებითაც უთხრას უარი განმცხადებელს განცხადების მიღებაზე, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 186-ე მუხლით.

ზემოთ ითქვა, რომ თუკი განცხადება და თანდართული საბუთები აკმაყოფილებს მათვის წაყენებულ კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, სასამართლო აკმაყოფილებს განცხადებას და გამოაქვს გადახდის ბრძანება მოპასუხეზე ფულადი დავალიანების დაკისრების (გადახდევინების) შესახებ. გადახდის ბრძანებას სასამართლო ღებულობს მოპასუხის მოსმენისა და მისგან ახსნა-განმარტების მიღების გარეშე, ანუ განცხადება განიხილება მხარეთა ზეპირი მოსმენის გარეშე და სასამართლო სხდომა არ მოიწვევა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 306-ე მუხლში ჩამოთვლილია სავალდებულო რეკვიზიტები, რასაც უნდა შეიცავდეს გადახდის ბრძანება. ესენია:

1. გადახდის ბრძანების მიმღები სასამართლოს დასახელება;
2. მხარეების და მათი წარმომადგენლების დასახელება;
3. გადახდის ბრძანებაში უნდა აღინიშნოს, თუ რომელი ძირითადი და დამატებითი ვალდებულებებიდან გამომდინარე მოთხოვნები დააკმაყოფილა სასამართლომ;
4. რომელ წერილობით მასალებს დაეყრდნო სასამართლო გადახდის ბრძანების მიღებისას;
5. გადახდის ბრძანებაში უნდა მიეთითოს, რომ აღძრული მოთხოვნა არ არის დამოკიდებული განმცხადებლის მხრივ რაიმე საპასუხო (სანაცვლო) ვალდებულების შესრულებაზე, ან რომ მის მიერ ასეთი ვალდებულება უკვე შესრულებულია. (306-ე მუხლის 1-ლი ნაწილი);
6. გადახდის ბრძანება მიიღება მხარეთა ზეპირი მოსმენის გარეშე. ამიტომ სასამართლო არ ამოწმებს აქვს თუ არა განმცხადებელს აღძრული მოთხოვნის უფლება, რის შესახებაც ასევე უნდა მიეთითოს გადახდის ბრძანებაში. (306-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ა" ქვეპუნქტი) აქ იგულისხმება მოთხოვნის უფლება ზოგადად მატერიალურ-სამართლებრივი თვალ-

- საზრისით, ხოლო ამ უფლების დაკმაყოფილებისას სასამართლო ხელმძღვანელობს მხოლოდ განცხადებაში მითითებული მონაცემებით ყოველგვარი მოტივაციის გარეშე (განსხვავებით ჩვეულებრივი სასამართლო გადაწყვეტილებისაგან);
7. გადახდის ბრძანება უნდა შეიცავდეს მითითებას სასამართლო ხარჯების განაწილების თაობაზე. სასამართლო ხარჯები კი მხარეთა შორის უნდა განაწილდეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-55-ე მუხლების შესაბამისად;
 8. გადახდის ბრძანებაში მოპასუხეს უნდა განემარტოს, რომ, თუკი იგი განმცხადებლის მიერ აღძრულ მოთხოვნას (პრეტენზიას) მართებულად (დასაბუთებულად) მიიჩნევს, მაშინ გადახდის ბრძანების მიღებიდან (ჩაბარებიდან) 10 დღის ვადაში უნდა გადაიხადოს გადახდის ბრძანებით დაკისრებული დავალიანება პროცენტების და ხარჯების ჩათვლით, ხოლო, თუკი განმცხადებლის პრეტენზია არ მიაჩნია მართებულად (დასაბუთებულად), მაშინ ამავე ვადაში სასამართლოში უნდა წარმოადგინოს (უფლება აქვს წარმოადგინოს) წერილობითი შესაგებელი გადახდის ბრძანების წინააღმდეგ (306-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტი);
 9. გადახდის ბრძანებაში უნდა მიეთითოს, რომ თუკი მოპასუხე გადახდის ბრძანების მისთვის გადაცემიდან 10 დღის ვადაში სასამართლოში არ წარმოადგენს წერილობით შესაგებლს, მაშინ, განმცხადებლის მოთხოვნით, გადახდის ბრძანებაზე გაიცემა სააღსრულებო ფურცელი (306-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "გ" ქვეპუნქტი).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლით, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება ქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველი დარჩება.

ამდენად, თუ მოპასუხე ზემოთ აღნიშნულ 10 დღიან ვადაში არ წარმოადგენს შესაგებელს, გადახდის ბრძანება შედის კანონიერ ძალაში და იგი აღარ გასაჩივრდება (გაპროტესტდება), მაგრამ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 65-ე მუხლის საფუძველზე, შესაძლებელია სასამართლომ აღადგინოს გაპროტესტების ვადა, რაზეც აღნიშნული იქნება ქვემოთ.

7.2.5 გადახდის ბრძანება

გადახდის ბრძანება და თანდართული მასალები მოპასუხეს გადაეცემა სასამართლოს ინიციატივით (306-ე მუხლის მე-2 ნაწილი), ანუ სასამართლო ვალდებულია ისინი გადასცეს მოპასუხეს, რათა არ დაირღვეს მისი უფლება და ჰქონდეს შესაძლებლობა გაეცნოს მის წინააღმდეგ გამოტანილ გადახდის ბრძანებას და თუკი არ ეთანხმება, გააპროტესტოს იგი. თუ გადახდის ბრძანება მოპასუხეს არ ჩაბარდება, იგი კანონიერ ძალაში ვერ შევა და მასზე სააღსრულებო ფურცელი ვერ გაიცემა.

სასამართლო, ამავე დროს, ვალდებულია, რომ განმცხადებელს შეატყობინოს მოპასუხისათვის (მოვალისათვის) გადახდის ბრძანების გადაცემის (ჩაბარების) თაობაზე (306-ე მუხლის მე-3 ნაწილი). აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ განმცხადებელს შესაძლებლობა ჰქონდეს გაიგოს, როდიდან აითვალოს გადახდის ბრძანების მოპასუხისათვის ჩაბარების ათ დღიანი ვადა, ვინაიდან თუ ეს უკანასკნელი არ გააპროტესტებს გადახდის ბრძანებას, განმცხადებელმა მო-

ითხოვოს სააღსრულებო ფურცლის გაცემა და აღსრულების დაწყება, ხოლო გაპროტესტების შემთხვევაში კი, მისთვის ცნობილი იყოს, რომ მისი მოთხოვნის განხილვა გაგრძელდება სასარჩელო წარმოების საერთო წესით.

მოვალეს (მოპასუხეს) შეუძლია არ დაეთანხმოს, არ ცნოს გადახდის ბრძანება და მის წინააღმდეგ სასამართლოში შემოიტანოს წერილობითი შესაგებელი (პროტესტი) 10 დღის ვადაში (სსკ-ის 307-ე მუხლი). ამ ვადის ათველა იწყება მოპასუხისათვის გადახდის ბრძანების გადაცემიდან, რისი დასტურიც წარმოდგენილი უნდა იყოს საქმეში. აღსანიშნავია, რომ მოპასუხეს შეუძლია საერთოდ (მთლიანად) არ ცნოს გადახდის ბრძანება ან იგი ცნოს ნაწილობრივ (მაგალითად, შეიძლება ცნოს ძირითადი ვალდებულების გადახდის ნაწილში, მაგრამ არ ცნოს დამატებითი ვალდებულების გადახდის ნაწილში).

7.2.6 მოპასუხის შესაგებელი (პროტესტი)

შესაძლოა, რომ მოპასუხემ გადახდის ბრძანება გააპროტესტოს 10 დღიანი ვადის გასვლის შემდეგაც (307-ე მუხლის მე-2 წინადადება), მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ ვადის გაშვება საპატიო მიზეზით მოხდა. აღნიშნული მიზეზის მტკიცების ტვირთი კი ეკისრება მოპასუხეს (სსკ-ის 102-ე მუხლი). მან დამაჯერებლად უნდა ამტკიცოს გაპროტესტების ვადის გაშვების საპატიოობა. გაპროტესტების ვადის გაშვება შეიძლება საპატიოდ იქნეს მიჩნეული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული გარემოებების არსებობისას. ამ გარემოებათა არსებობა კი, როგორც უკვე ითქვა, უნდა დაადასტუროს მოპასუხემ.

იმ შემთხვევაში, თუკი მოპასუხის მიერ გაპროტესტების ვადის გაშვებას სასამართლო საპატიოდ მიჩნევს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 65-ე მუხლის საფუძველზე, სასამართლოს გამოაქვს განჩინება ამ ვა-დის აღდგენის შესახებ, რაც არ გასაჩივრდება.

ამ შემთხვევაში ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ კანონით დადგენილი ვა-დის აღდგენა სასამართლოს ინიციატივით დაუშვებელია (განსხვავებით სასამართლოს მიერ დანიშნული ვადისაგან, როდესაც შესაძლებელია სასამართლომ თავისი ინიციატივითაც გააგრძელოს ეს ვადა). ვადის აღდგენის მოთხოვნით მოპასუხემ უნდა მიმართოს გადახდის ბრძანების გამომტან სასამართლოს (სსკ-ის 66-ე მუხლი). განცხადება წარდგენილი უნდა იყოს წერილობით და მასში მითითებული უნდა იყოს მიზეზები, რომლებმაც განაპირობეს პროტესტის ვადაში წარუდგენლობა, ასევე ამ მიზეზების დამადასტურებელი მტკიცებულებები (67-ე მუხლი). ვადის აღდგენის შესახებ განცხადებას სასამართლო განიხილავს მხარეთათვის შეუტყობინებლად და თუ არ აკმაყოფილებს მას, ამის შესახებ გამოაქვს განჩინება, რომელიც შეიძლება გასაჩივრდეს კერძო საჩივრით (68-ე მუხლი).

ამდენად, გაპროტესტების ვადის გასვლის შემდეგ პროტესტის წარდგენისას მოპასუხემ გადახდის ბრძანების გაუქმებასთან ერთად უნდა მოითხოვოს, გაპროტესტების ვადის გაშვების საპატიოდ მიჩნევა და გაპროტესტების ვადის აღდგენაც. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვადის აღდგენის საკითხს სასამართლო თავისი ინიციატივით არ განიხილავს.

7.2.7 საქმის განხილვა დავის სასარჩელო წარმოების წესით

დადგენილ ვადაში მოპასუხის მიერ შესაგებლის (პროტესტის) წარდგენას შედეგად მოსდევს ის, რომ მოსამართლე თავისი განჩინებით აუქმებს (შესაბამისად მთლანად ან ნაწილობრივ) გადახდის ბრძანებას, რის შემდეგაც საქმე განიხილება სასარჩელო წარმოების საერთო წესით, ანუ ფაქტიურად გამარტივებული წარმოება გადაიზრდება სასარჩელო წარმოებაში. ამ შემთხვევაში საქმის სასარჩელო წარმოების წესით განხილვის ვადის ათვლა იწყება იმ დღიდან, როცა სასამართლომ მიიღო განჩინება გადახდის ბრძანების გაუქმებისა და საერთო სასარჩელო წესით განხილვის თაობაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 307-ე მუხლში მითითებულია, რომ მოპასუხის შესაგებელი (პროტესტი) უნდა იყოს მოტივირებული, მაგრამ აღნიშნული არ არის იმ შემთხვევაზე, როცა შესაძლოა მოპასუხებ სრულიად უსაფუძვლო (არამოტივირებული) შესაგებლით მომართოს სასამართლოს (მაგალითად, მოპასუხე მხოლოდ მიუთითებს, რომ არ ცნობს გადახდის ბრძანებას და არ აღნიშნავს, თუ რა საფუძვლით არ ცნობს). სსკ-ის მე-4 მუხლის პირველი ნაწილით და 102-ე მუხლის პირველი ნაწილით კი, მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა დადასტურდეს ეს ფაქტები; ასევე, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებები, რომლებზეც ამყარებს თავის მოთხოვნასა და შესაგებელს.

უნდა აღინიშნოს, რომ ვინაიდან 307-ე მუხლი მიუთითებს და აქცენტს აკეთებს მოპასუხის მოტივირებულ შესაგებელზე, ამიტომ მართებული იქნებოდა, რომ ამავე ნორმით ყოფილიყო განსაზღვრული, რომ თუკი სასამართლო მოპასუხის შესაგებელს (პროტესტს) მიიჩნევდა უსაფუძვლოდ (არამოტივირებულად), თავისი განჩინებით, სათანადო დასაბუთებით, უარი უნდა ეთქვა მოპასუხისათვის გადახდის ბრძანების გაუქმებაზე და, ამასთან, დადგინდებოდა ამ განჩინების გასაჩივრების წესი, ვინაიდან პრაქტიკაში არც თუ იშვიათად არის შემთხვევები, როცა მოპასუხის ვალდებულება უდავოა, მაგრამ მას პროტესტი შემოაქვს გადახდის (ვალდებულების შესრულების) გაჭიანურების მიზნით, მაგრამ რამდენადაც მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს წესს, თუ როგორ უნდა იმოქმედოს სასამართლომ მოპასუხის მიერ

ე.წ. "ფორმალური" პროტესტის წარდგენის შემთხვევაშიც, ამიტომ უნდა გაუქმდეს გადახდის ბრძანება და საქმის განხილვა დაინიშნოს საერთო სასარჩელო წესით.

ამასთან, შესაძლოა პრაქტიკაში იყოს ისეთი შემთხვევაც, როცა გამარტივებული წარმოების წესით ფულადი დავალიანების გადახდევინების შესახებ მოთხოვნა მიმართული იყოს ერთდროულად რამდენიმე სოლიდარული მოვალის მიმართ (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 86-ე მუხლი - თანამნაწილეობა, სამოქალაქო კოდექსის 463-ე მუხლი - სოლიდარული ვალდებულება). ამ შემთხვევაში ფულადი დავალიანების გადახდა, გადახდის ბრძანებით, მოვალეებს უნდა დაეკისროთ სოლიდარულად, მაგრამ შესაძლებელია, რომ გადახდის ბრძანებაზე შესაგებელი წარადგინოს მხოლოდ ერთმა (და არა ყველა) სოლიდარულმა მოვალემ (სამოქალაქო კოდექსის 466-ე მუხლი). ამ შემთხვევაში გადახდის ბრძანება უნდა გაუქმდეს მთლიანად - ყველა სოლიდარული მოვალის და არა მხოლოდ იმ სოლიდარული მოვალის მიმართ, რომელმაც შესაგებლით მიმართა სასამართლოს.

პრაქტიკაში შესაძლოა, ასევე იყოს შემთხვევა, როცა განმცხადებლის მიერ წამოყენებული პრეტენზია (მოთხოვნა) ნაწილობრივ დასტურდებოდეს მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით

(მტკიცებულებებით). ამ დროს მიზანშენონილია, რომ სასამართლომ თავისი განჩინებით, სათანადო დასაბუთებით, განმცხადებელს უარი უთხრას გადახდის ბრძანების გამოტანაზე და განუმარტოს, რომ მას უფლება აქვს მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად სასამართლოს მომართოს საერთო სასარჩელო წესით.

7.2.8 გადახდის ბრძანების აღსრულება

გადახდის ბრძანების კანონიერ ძალაში შესვლის შემთხვევაში, მისი აღსრულების მიზნით, განმცხადებლის მოთხოვნის საფუძველზე, გაიცემა სააღსრულებო ფურცელი, რის შესახებაც სასამართლომ უნდა შეატყობინოს მოპასუხეს (სსკ-ის 309-ე მუხლი).

გადახდის ბრძანება აღსრულდება სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებისათვის დადგენილი წესით - "სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად (მე-2 მუხლის "ე" ქვეპუნქტი), მაგრამ შესაძლებელია იყოს ისეთი შემთხვევა, როცა მოპასუხემ 10 დღიან ვადაში არ შეიტანა პროტესტი, სასამართლომ გასცა სააღსრულებო ფურცელი და გადახდის ბრძანება მიექცა იძულებით აღსასრულებლად, მაგრამ შემდგომ აღმოჩნდა, რომ მოპასუხეს საპატიოდ აქვს გაშვებული გასაჩივრების ვადა, რის გამოც სასამართლომ მას აღუდგინა ეს ვადა, რაც არის გადახდის ბრძანების გაუქმების და საქმის საერთო სასარჩელო წესით განხილვის საფუძველი. ამ შემთხვევაში აღსრულება უნდა შეწყდეს "სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონის 34-ე მუხლის "დ" ქვეპუნქტის საფუძველზე.

7.3 თამასურისა და ჩეკის თაობაზე აღძრული სარჩელების განხილვა

7.3.1 ზოგადი დებულებები

გამარტივებული სამართალწარმოებით სასამართლოები განიხილავენ, ასევე, თამასუქისა და ჩეკის თაობაზე აღძრულ სარჩელებს (292-301-ე მუხლები). ამგვარ დავაში მონაწილე მხარეები იწოდებიან მოსარჩელედ და მოპასუხედ და მოთხოვნის უფლების მქონე პირი სასამართლოს მიმართავს სარჩელით (განხილვის ფულადი დავალიანების გადახდევინების შესახებ აღძრული მოთხოვნის განხილვისაგან, რა დროსაც მოთხოვნის უფლების მქონე პირი სასამართლოს მიმართავს განცხადებით).

საერთოდ, გამარტივებული წარმოების არსი იმაში მდგომარეობს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, ფორმალური თვალსაზრისით - მატერიალურ-სამართლებრივი კუთხით, უდავოა ხოლმე მოსარჩელის მოთხოვნა, კერძოდ, მისი მოთხოვნა დასაბუთებულია შესაბამისი დოკუმენტაციით, რაც უტყუარობის მაღალი ხარისხით ადასტურებს ამ მოთხოვნის უდავობას, ხოლო მოწინააღმდეგე გე მხარეს - მოპასუხეს კი, არ შეუძლია სარჩელის წინააღმდეგ წამოაყენოს შესაგებელი.

სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის დისპოზიციურობის პრინციპიდან გამომდინარე, მხარე თვითონ ირჩევს სასამართლოსადმი მიმართვის ფორმას, კერძოდ, საერთო სასარჩელო წარმოების წესით მიმართოს სასამართლოს, თუ გამარტივებული წარმოებით მოითხოვოს საქმის განხილვა. გამარტივებული სამართალწარმოების ბუნება და არსი იმაში მდგომარეობს, რომ ამ შემთხვევაში საქმე განიხილება დაჩქარებული წესით (სწრაფად), მისი განხილვა გამოირჩევა სიმარტივით, უზრუნველყოფილია მართლმსაჯულების ეკონომიურობა და, ამავე დროს, გარანტი-

რებულია მხარეთა უფლებების დაცვა.

7.3.2 დასაშვებობა

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 292-ე მუხლი აწესრიგებს თამასუქიდან გამომდინარე სარჩელის დასაშვებობის სპეციალურ წინაპირობებს, რომლის მიხედვითაც გამარტივებული წარმოების წესით შეიძლება განხილული იქნეს დავა, რომელიც გამომდინარეობს თამასუქის შესახებ საქართველოს კანონმდებლობიდან. აღნიშნული კი არის საქართველოს კანონი "თამასუქის შესახებ", რომელიც აწესრიგებს თამასუქის გაცემის, გადახდის, გამოყენების, გადაცემის წესს, აგრეთვე სხვა საკანონმდებლო აქტებთან ერთად - თამასუქიდან გამომდინარე შედეგებსა და პრეტენზიებს. 292-ე მუხლის თანახმად, გამარტივებული წესით სასამართლო მხოლოდ მაშინ განიხილავს თამასუქიდან გამომდინარე პრეტენზიას, თუ ამას ითხოვს მოსარჩელე, ანუ არსებობს დასაშვებობის ორი სპეციალური წინაპირობა:

- პრეტენზია (მოთხოვნა) უნდა გამომდინარეობდეს თამასუქის შესახებ საქართველოს კანონმდებლობიდან;
- მოსარჩელე უნდა ითხოვდეს საქმის განხილვას გამარტივებული წესით - და მხოლოდ ამ შემთხვევაში გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXXIII თავის (292-301-ე მუხლების) წესები.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თამასუქიდან გამომდინარე სარჩელი უნდა აკმაყოფილებდეს იმ ზოგად მოთხოვნებსაც, რაც დადგენილია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლით. ამასთან, გადახდილი უნდა იყოს სახელმწიფო ბაჟი. თუკი სარჩელი შეტანილია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა დარღვევით (გადახდილი არ არის სახელმწიფო ბაჟი, სარჩელისა და თანდართული საბუთების ასლები წარმოდგენილი არ არის მოპასუხეთა რაოდენობის შესაბამისად, სარჩელს არ ერთვის წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი საბუთი და ა.შ), სასამართლომ მოსარჩელეს უნდა მისცეს ვადა ხარვეზის შესავსებად, რომლის შეუვსებლობის შემთხვევაში, სასამართლო უარს ეტყვის მას სარჩელის წარმოებაში მიღებაზე (სსსკ-ის 185-186-ე მუხლები).

7.3.3 განსჯადობა

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 294-ე მუხლით სპეციალურადაა განსაზღვრული გამარტივებული წარმოების წესით თამასუქის თაობაზე აღძრული დავების განსჯადობის წესები. კერძოდ, აღნიშნული ნორმა უშვებს ალტერნატიულ განსჯადობას, რომლის მიხედვითაც ამგვარი სარჩელი შეიძლება ალიძრას როგორც მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით სასამართლოში, ისე იმ სასამართლოში, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც უნდა მოხდეს გადახდა, ხოლო თუ თამასუქვალდებული (მოპასუხე) რამდენიმე პირია და სარჩელი მათ მიმართ ერთობლივადა მიმართული, მაშინ სარჩელი შეიძლება წარდგენილი იქნეს როგორც თამასუქის გადახდის ადგილის მიხედვით სასამართლოში, ისე ერთ-ერთი მოპასუხის (თამასუქვალდებულის) საცხოვრებელი ადგილის მიხედვით სასამართლოში. გადახდის ადგილის გარკვევა სირთულეს არ წარმოადგენს, ვინაიდან, "თამასუქის შესახებ" საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის თანახმად, გადახდის ადგილი მითითებული უნდა იყოს თამასუქში და ის შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი. ამდენად, სასამართლოს არჩევა დამოკიდებულია მოსარჩელის შეხედულებაზე და იგი ამ არჩევანში შეზღუდული არ არის (თავისუფალია).

7.3.4 თამასუქი და მისი სახეები

თამასუქი არის ფასიანი ქაღალდი (დოკუმენტი), რომლითაც მისი გამცემი კისრულობს უპირობო ვალდებულებას გადაიხადოს თამასუქში ნაჩვენები თანხა პირადად, ან მის გადახდას ავალებს სხვა პირს. თამასუქი შეიძლება იყოს გადასაპირებელი (ტრატა) და მარტივი (სოლო თამასუქი) და იგი შეიძლება გასცეს როგორც ფიზიკურმა, ისე იურიდიულმა პირმა. გადასაპირებელი თამასუქით, მისი გამცემი პირი ავალებს სხვა პირს გადაუხადოს თამასუქში ნაჩვენები თანხა თამასუქში მითითებულ პირს, ხოლო სოლო (მარტივი) თამასუქით - მისი გამცემი თავად კისრულობს ვალდებულებას გადაიხადოს თამასუქში მითითებული თანხა.

თამასუქი არის წერილობითი სავალო დოკუმენტი გარკვეული ფულადი თანხის გადახდის თაობაზე, მისი საგანი ყოველთვის ფულია და ადასტურებს განსაზღვრული ფულადი თანხის გადახდის ვალდებულებას. მის წინააღმდეგ არ შეიძლება წამოყენებული იქნეს სხვა ვალდებულებიდან გამომდინარე შესაგებელი ("თამასუქის შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლი). თამასუქის გაცემით მისი გამცემი კისრულობს უპირობო ვალდებულებას გადაიხადოს თამასუქში მითითებული თანხა პირადად ან სხვას ავალებს მის გადახდას. თამასუქის მფლობელს (ვისზედაც არის თამასუქი გამოწერილი) მინიჭებული აქვს უდავო უფლება მოვალეს მოთხოვოს თამასუქში მითითებული თანხის გადახდა (განაღდება) იმ ვადის ამონურვის-თანავე, რა ვადითაც თამასუქია გაცემული. გადახდის ვადებს კი, განსაზღვრავს "თამასუქის შესახებ" საქართველოს კანონის 29-ე მუხლი.

ამავე კანონის 37-ე მუხლით განსაზღვრულია, თუ ვის მიმართ და რა შემთხვევებში შეუძლია წარადგინოს თამასუქის მფლობელმა სარჩელი. სარჩელი შეიძლება წარედგინოს ინდოსანგს, თამასუქის გამცემს და სხვა ვალდებულ პირებს (ავალისტი ანუ თავდები), თუ დამდგარია გადახდის ვადა ან თანხის გადაუხდელობისას. სარჩელის წარდგენა გადახდის ვადის დადგომამდე შესაძლებელია 37-ე მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილ შემთხვევებში. თუმცა აღნიშნული გარემოებები წარმოადგენს თამასუქიდან გამომდინარე სარჩელის (მოთხოვნის) დაკმაყოფილების საფუძველს და არა მისი აღძვრის ან სარჩელის წარმოებაში მიღების წინაპირობებს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 293-ე მუხლის მიხედვით, სავალდებულოა, რომ თამასუქი-დან გამომდინარე სარჩელს ერთვოდეს თამასუქის ასლი, ხოლო მისი დედანი კი მოსარჩელემ უნდა წარადგინოს სასამართლო სხდომაზე საქმის ზეპირი განხილვის დროს. შედარებისათვის უნდა აღინიშნოს, რომ საერთო სასარჩელო წარმოების დროს სარჩელზე მტკიცებულების დართვა სავალდებულო არ არის. 178-ე მუხლის მიხედვით, სარჩელის აღძვრის დროს მოსარჩელემ მხოლოდ უნდა მიუთითოს გარემოებებზე, რომლებზეც ამყარებს მოთხოვნას და ამ გარემოებათა დამადასტურებელ მტკიცებულებებზე. გამარტივებული წარმოებით თამასუქიდან გამომდინარე სარჩელის აღძვრის დროს კი, სარჩელზე თამასუქის ასლის დართვა წარმოადგენს სარჩელის წარმოებაში მიღების ერთ-ერთ წინაპირობას, ანუ თუ სარჩელს არ ერთვის თამასუქის ასლი, მოსარჩელეს უნდა განესაზღვროს ვადა მის წარმოსადგენად (ხარვეზის შევსებისათვის), ხოლო თუ იგი სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში არ წარმოადგენს თამასუქის ასლს, სასამართლო უარს ეტყვის სარჩელის წარმოებაში მიღებაზე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 185-ე მუხლის საფუძველზე. თუ რა პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს თამასუქის ასლი, აღნიშნული მოცემულია "თამასუქის შესახებ" საქართველოს კანონის მე-60 მუხლში.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 293-ე მუხლის დანაწესიდან გამომდინარე, შეიძლება პარალელი გაკეთდეს ამავე კოდექსის მე-4 და 134-135-ე მუხლებთან მიმართებაში. მე-4 მუხლის პირ-

ველი ნაწილის მიხედვით, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის შეჯიბრებითობის პრინცი-პიდან გამომდინარე, მხარეები თვითონ განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს სა-ფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა დადასტურდეს ეს ფაქტები. 134-ე მუხლის მე-2 ნაწილით, წერილობით მტკიცებულებებს სასამართლოს წარუდგენენ მხარე-ები. თამასუქი კი არის წერილობითი მტკიცებულება მოთხოვნის არსებობის შესახებ, რომლის წარდგენის ვალდებულება (სარჩელის აღძვრისას ასლის, ხოლო საქმის ზეპირი განხილვის დროს - დედნის) მოსარჩელეს აკისრია. 135-ე მუხლით დადგენილია, რომ წერილობითი მტკიცებულე-ბა, როგორც წესი, წარდგენილი უნდა იქნეს დედნის სახით, ანუ აღნიშნული ნიშნავს, რომ წერი-ლობითი მტკიცებულება შეიძლება წარდგენილი იქნეს ასლის სახითაც, მაგრამ ამავე ნორმის მიხედვით, სასამართლოს თავისი ინიციატივით ან მხარეთა შუამდგომლობით, შეუძლია მოითხო-ვოს საბუთის დედნის წარდგენა. 293-ე მუხლის თანახმად კი, საქმის ზეპირი განხილვის დროს თა-მასუქის დედნის წარდგენას კანონი მოსარჩელისაგან იმპერატიულად მოითხოვს.

ამდენად, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ თუკი მოსარჩელე სასამართლოს არ წარუდგენს თა-მასუქის დედანს, აღნიშნული შეიძლება გახდეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის სა-ფუძველი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ როგორც გადასაპირებელი (ტრატა), ისე მარტივი (სოლო) თამასუქი უნდა შეიცავდეს "თამასუქის შესახებ" საქართველოს კანონის პირველი და 68-ე მუხ-ლებით დადგენილ სავალდებულო რეკვიზიტებს.

7.3.5 ვადა უწყების ჩაბარებიდან სასამართლო სხდომამდე

ზემოთ აღინიშნა, რომ თამასუქიდან გამომდინარე სარჩელის გამარტივებული წესით განხილვის მიზანია სასამართლო პროცესის ეკონომიურობა და დაჩქარებულობა. ამ დროს არ არსებობს საქ-მის წინასწარი სასამართლო განხილვისათვის მომზადების (წერილობითი შეჯიბრის) ეტაპი. სარ-ჩელის დაჩქარებული წესით განხილვის გამოვლინებაა, რომ ამ კატეგორიის საქმეებზე კანონით ზუსტადაა განსაზღვრული სასამართლო უწყების ჩაბარებიდან სასამართლო სხდომის გამართ-ვამდე დრო.

უკვე ითქვა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 294-ე მუხლის მიხედვით, თამასუქიდან გა-მომდინარე სარჩელი გამარტივებული წესით განსაზილველად შეიძლება წარდგენილი იქნეს, რო-გორც გადახდის ადგილის მიხედვით სასამართლოში, ისე სასამართლოში მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. აღნიშნულიდან გამომდინარე, სხვადასხვაგვარია უწყების მხარეთათვის ჩაბარებიდან სხდომის გამართვამდე დროც. კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო კო-დექსის 295-ე მუხლის თანახმად, თუ მხარეები ცხოვრობენ სასამართლოს ადგილსამყოფელის მიხედვით, მათ უწყება უნდა ჩაპბარდეთ ყსასამართლოს სხდომის დაწყებამდე არანაკლებ 24 სა-ათით ადრე, ხოლო თუკი უწყება ბარდება სხვა ადგილზე (როცა მხარეები ცხოვრობენ არა სასა-მართლოს ადგილმდებარეობის მიხედვით), მაშინ მათ უწყება უნდა ჩაპბარდეთ სასამართლოს სხდომამდე მინიმუმ სამი დღით ადრე. შედარებისათვის შეიძლება მოვიყვანოთ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის მიხედვითაც, საერთო სასარჩელო წარ-მოების დროს, მხარეებს სასამართლო უწყება უნდა ჩაპბარდეთ იმ ვარაუდით, რომ მათ ჰქონ-დეთ სასამართლოში დროულად გამოცხადებისა და საქმის მომზადებისათვის გონივრული ვადა, ანუ თამასუქიდან გამომდინარე სარჩელის გამარტივებული წესით განხილვისას კანონით მკაც-რადა რეგლამენტირებული უწყების მხარე-თათვის ჩაბარებიდან სასამართლო სხდომის გამარ-

თვამდე დროის მონაკვეთი.

7.3.6 მტკიცებულებები

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 296-ე მუხლი განსაზღვრავს, თუ რა სახის მტკიცებულებები შეიძლება იყოს დაშვებული თამასუქიდან გამომდინარე საქმის გამარტივებული წარმოების პროცესში. საერთო სასარჩელო წარმოების დროს მტკიცებულებათა დასაშვებობას და მათ სახეებს განსაზღვრავს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის მიხედვითაც, საქმის ფაქტობრივი გარემოებები შეიძლება დადასტურდეს მხარეთა (მესამე პირთა) ახსნა-განმარტებებით, მოწმეთა ჩვენებებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებითა და ექსპერტთა დასკვნებით. ამავე კოდექსის 296-ე მუხლით კი, მტკიცებულებათა წრე შეზღუდულია. კერძოდ, ესენი შეიძლება იყოს მხოლოდ დოკუმენტები (წერილობითი მტკიცებულებები) და მხარეთა ახსნა-განმარტებები. ამასთან, დოკუმენტური დადასტურება შესაძლებელია მხოლოდ შესაბამისი დოკუმენტის წარდგენით. შედარებისათვის ისევ შეიძლება მოვიყვანოთ სსკ-ის 102-ე მუხლის მესამე ნაწილი, რომლის თანახმად, საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით.

ამდენად, გამარტივებული წარმოების დროს თამასუქიდან გამომდინარე მოთხოვნა შეიძლება დადასტურდეს მხოლოდ წერილობითი მტკიცებულებებით (დოკუმენტებით) და მხარეთა ახსნა-განმარტებებით.

7.3.7 გამარტივებული წესით საქმის განხილვაზე უარის თქმა

როგორც ზემოთ აღინიშნა, თამასუქიდან გამომდინარე მოთხოვნის გამარტივებული წარმოების წესით განხილვის ერთ-ერთი (და მთავარი) ნინაპირობაა, რომ საქმის გამარტივებული წესით განხილვას უნდა ითხოვდეს თავად მოსარჩელე, მაგრამ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დისპოზიციურობის პრინციპითან გამომდინარე (მე-3 მუხლი), მას შეუძლია საქმის განხილვა თავიდანვე მოითხოვოს არა გამარტივებული, არამედ საერთო სასარჩელო წესით. თუმცა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 297-ე მუხლი უშვებს შესაძლებლობას, რომ საქმის გამარტივებული წესით განხილვის პროცესში, გადაწყვეტილების მისაღებად მოსამართლის სათათბირო ოთახში გასვლამდე, მოსარჩელემ უარი თქვას საქმის გამარტივებული წესით განხილვაზე და მოითხოვოს საერთო სასარჩელო წესით განხილვა. ამასთან, აღნიშულში იგი შეზღუდული არ არის, არც მოპასუხის პოზიციით და, არც სასამართლოს მოსაზრებით. იგი თავად ღებულობს ასეთ გადაწყვეტილებას, რაშიც მოპასუხის თანხმობა არ სჭირდება. ამ შემთხვევაში სასამართლომ უნდა გამოიტანოს განჩინება გამარტივებული წესით საქმის წარმოების შეწყვეტის (და არა მთლიანად საქმის წარმოების შეწყვეტის) და საქმის საერთო სასარჩელო წესით განხილვის შესახებ. ამგვარ შემთხვევაში საქმის წარმოება გამარტივებულიდან გადაიზრდება ჩვეულებრივ საერთო სასარჩელო წარმოებაში, რომლის წინასწარი მომზადება და განხილვა უნდა წარიმართოს საერთო სასარჩელო წარმოების წესების შესაბამისად და სამართლომ საქმე განსახილველად უნდა დანიშნოს სასამართლოს მთავარი სხდომაზე.

7.3.8 სარჩელების შეერთებისა და შეგებებული სარჩელის აღძვრის დაუშვებლობა

თამასუქიდან გამომდინარე სარჩელების გამარტივებული წარმოების წესით განხილვის თავისებურება იმაშიც მდგომარეობს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 298-ე მუხლით, დაუშვებელია ამგვარ მოთხოვნასთან ერთად სხვა სახის პრეტენზიების (მოთხოვნის) გამო აღძრული სარჩელების შეერთება (გაერთიანება) და, აგრეთვე, შეგებებული სარჩელის აღძვრა, როგორც ეს დასაშვებია საერთო სასარჩელო წარმოების დროს. მაგალითად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 182-ე მუხლის 1-ლი და მე-4 ნაწილების მიხედვით, მოსარჩელეს შეუძლია ერთ სარჩელში გააერთიანოს ამ სასამართლოს განსჯადი რამოდენიმე მოთხოვნა ერთი და იმავე მოპასუხის მიმართ, იმისგან დამოუკიდებლად, ერთსა და იმავე საფუძვლებს ემყარება თუ არა ეს მოთხოვნები, ხოლო მე-4 ნაწილით დაშვებულია სასამართლოს წარმოებაში არსებული რამოდენიმე ერთგვაროვანი და სამართლებრივად დაკავშირებული საქმეების გაერთიანების შესაძლებლობა. 188-ე მუხლით კი, საერთო სასარჩელო წარმოების დროს, დაიშვება შეგებებული სარჩელის აღძვრა.

298-ე მუხლით დადგენილი აკრძალვის არსი თამასუქიდან გამომდინარე სარჩელის განხილვის (პროცესის) გამარტივებულობაში მდგომარეობს.

7.3.9 საქმის დამატებითი წარმოება

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მოპასუხეს შეუძლია ცნოს სარჩელი, რაც მისი დაკმაყოფილების საფუძველია. ამდენად, თუკი მოპასუხე გამარტივებული წარმოების დროს ცნობს სარჩელს და აღიარებს თამასუქიდან გამომდინარე მოთხოვნას, სარჩელი დაკმაყოფილდება. შესაძლებელია მოპასუხემ არ აღიაროს მოთხოვნა, მაგრამ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, სასამართლომ მაინც დააკმაყოფილოს სარჩელი, თუმცა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 299-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ამ შემთხვევაში გადაწყვეტილება გამოტანილი უნდა იქნეს დათქმით, რაც გულისხმობს, გადაწყვეტილების გამოტანის შემდგომ, მოპასუხის უფლებას მოითხოვოს საქმის დამატებითი წარმოება თავისი უფლების განხორციელების მიზნით, ანუ მოპასუხეს, რომელიც გამარტივებული წარმოების დროს უარყოფს მის წინააღმდეგ წაყენებულ მოთხოვნას, გადაწყვეტილების გამოტანის შემდგომ ყველა შემთხვევაში შეუძლია მოითხოვოს საქმის დამატებითი წარმოება თავისი უფლების განხორციელების მიზნით, რის შესახებაც უნდა აღინიშნოს გადაწყვეტილებაში.

ამდენად, მოპასუხე, რომელიც სასამართლო სხდომაზე უარყოფს მის წინააღმდეგ აღძრულ მოთხოვნას, არ ეთანხმება მის საწინააღმდეგოდ გამოტანილ გადაწყვეტილებას და მიიჩნევს, რომ გამარტივებული წარმოების პროცესში მან სრულად ვერ შეძლო თავის დაცვა, უფლებამოსილია გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს მიმართოს წერილობითი შესაგებლით (პროტესტით) და მოითხოვოს საქმის დამატებითი წარმოება. ამ შემთხვევაში სასამართლომ უნდა გამოიტანოს განჩინება საქმის დამატებითი წარმოების შესახებ და განიხილოს მოპასუხის პრეტენზია. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 299-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დათქმით გამოტანილ გადაწყვეტილებაზე მოპასუხის მიერ შესაგებლის (პროტესტის) შეტანა და დამატებითი წარმოების მოთხოვნა ვერ შეაჩერებს დათქმული გადაწყვეტილების აღსრულებას და იგი არ შეჩერდება, ვიდრე დამატებითი წარმოება არ დასრულდება. აღინიშნულთან მიმართებაში უნდა ითქვას, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის 1-ლი ნა-

ნილის "ვ" ქვეპუნქტის თანახმად, თამასუქისა და ჩეკის თაობაზე გამოტანილი გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ აღსასრულებელ გადაწყვეტილებათა კატეგორიას განეკუთვნება.

ასევე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ დათქმული გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა კანონით სპეციალურად დადგენილი არ არის. ამიტომ იგი შეიძლება გასაჩივრდეს საბოლოო გადაწყვეტილების გასაჩივრებისათვის დადგენილ ვადებში (14 დღე).

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-300 მუხლი განსაზღვრავს საქმის დამატებითი წარმოების წესს. მას შემდეგ, რაც სასამართლო მიიღებს განჩინებას საქმის დამატებითი წარმოების თაობაზე, საქმე უნდა მომზადდეს და დაინიშნოს განსახილველად საერთო წესების შესაბამისად. სასამართლომ უნდა განიხილოს საქმე, მოისმინოს მხარეთა განმარტებები და, თუ დადგინდა, რომ მოპასუხის პროტესტი უსაფუძვლოა და გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მაშინ სასამართლოს გამოაქვს განჩინება გამარტივებული წარმოების წესით მიღებული გადაწყვეტილების გაუქმებაზე უარის თქმისა და გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების შესახებ, ხოლო თუკი დადგინდება, რომ სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ გამარტივებული წარმოების წესით მიღებული გადაწყვეტილება არასწორია, მაშინ სასამართლომ უნდა გააუქმოს მის მიერვე მიღებული გადაწყვეტილება და მოსარჩელეს ამავე გადაწყვეტილებით უარი უნდა უთხრას სარჩელის დაკმაყოფილებაზე. გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების შესახებ განჩინებაც და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებაც საჩივრდება აპელაციის წესით, თუ, რა თქმა უნდა, სააპელაციო საჩივრის დასშვებობის სხვა პირობებთან ერთად დავის საგნის ღირებულება აღემატება 1000 ლარს (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 264-ე და 365-ე მუხლები).

თუ მოსარჩელეს უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე, მაშინ სასამართლო ხარჯები უნდა განაწილდეს ჩვეულებრივად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-55-ე მუხლების შესაბამისად. ამასთან, მე-300 მუხლის მე-2 ნაწილით, მოსარჩელეს ევალება იმ ზარალის ანაზღაურება, რომელიც მიადგა მოპასუხეს გადაწყვეტილების აღსრულების ან ასეთი აღსრულებისათვის ხელისშემსლელი ქმედების შედეგად. მოპასუხეს, ასევე, შეუძლია დავის სასამართლო განხილვის პროცესში წამოაყენოს მოთხოვნა ზარალის ანაზღაურების თაობაზე, ანუ იმ შემთხვევაში, თუკი გამარტივებული წარმოების წესით გამოტანილი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ უკვე აღსრულებულია, ხოლო დამატებითი წარმოების შედეგად იგი გაუქმდა და სარჩელი არ დაკმაყოფილდა, მაშინ გადაწყვეტილების აღსრულების შებრუნება უნდა მოხდეს (სსსკ-ის 2672-ე მუხლი).

ნიშანდობლივია აღინიშნოს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 876-ე მუხლით, აკრედიტივის გახსნით საკრედიტო დაწესებულება (გამხსენელი ბანკი) ვალდებულია, კლიენტის (აკრედიტივის დავალების მიმცემის) თხოვნით და განკარგულებით, მითითებული დოკუმენტის სანაცვლოდ გაანალიზოს რემიტენტისაგან გადმოპირებული თამასუქი, მოახდინოს აქცეპტი. აკრედიტივის დროს მხარეები დოკუმენტების საფუძველზე ახდენენ ანგარიშსწორებას. აკრედიტივის გამხსენელ ბანკს მისი კლიენტის ბრძანებით ევალება არა მარტო გადაიხადოს ფულადი თანხა, არამედ თუ საჭიროა, გაანაღდოს რემიტენტისაგან გადმოპირებული თამასუქი (ტრატა) ან მოახდინოს განაღდებისათვის აუცილებელი აქცეპტის გაცემა.

ასევე საყურადღებოა, რომ სამოქალაქო კოდექსის 1294-ე მუხლის მიხედვით, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წინასწარი თანხმობის გარეშე, მეურვეს უფლება არ აქვს სამეურვეო პირის სახელით დადოს გარიგება, ხოლო მზრუნველს - სამზრუნველო პირის სახელით დათანხმ-

დეს გარიგების დადებაზე, რომელიც შეეხება სავალო ვალდებულებათა გაცემას და იმ გარიგებათა დადების საკითხს, რომელიც ეხება თამასუქთან დაკავშირებულ უფლებებს.

7.3.10 ჩეკი

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 301-ე მუხლით განსაზღვრულია ჩეკის თაობაზე აღძრული სარჩელების წარმოების წესი, რომლის მიხედვითაც, ჩეკის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად წამოყენებული მოთხოვნების განხილვისას გამოიყენება თამასუქის თაობაზე აღძრული საქმეების წარმოების წესი. მხოლოდ უნდა აღინიშნოს, რომ ჩეკის გაცემის, მოქმედების, ინდოსირების, თავდებობის, გადახდისა და აქედან გამომდინარე შედეგების, აგრეთვე მასთან დაკავშირებული პრეტენზიების წარდგენის წესს აწესრიგებს საქართველოს კანონი "ჩეკის შესახებ". კანონის მიხედვით, ჩეკი არის დადგენილი ფორმის სახელობითი ფასიანი ქაღალდი, რომელიც შეიცავს ჩეკის გამცემის წერილობით დავალებას საბანკო დაწესებულებისადმი გაანალიზოს ჩეკში აღნიშნული თანხა.

ჩეკი გამოიყენება, როგორც გადახდის საშუალება. იგი მზადდება ერთიანი ნიმუშის მიხედვით და არის მკაცრი აღრიცხვის ბლანკი. "ჩეკის შესახებ" საქართველოს კანონის პირველი მუხლით დადგენილია ჩეკის ფორმა და ის სავალდებულო რეკვიზიტები, რასაც უნდა შეიცავდეს ჩეკი. ჩეკთან დაკავშირებული ურთიერთობის მონაწილე არის სამი პირი:

- ა) მისი გამცემი პირი (იურიდიული თუ ფიზიკური);
- ბ) ჩეკის მიმღები (ვის სახელზეც არის ჩეკი გაცემული);
- გ) ჩეკის გამნაღდებელი (საბანკო დაწესებულება).

კანონის მე-2 მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულია, რომ ჩეკი შეიძლება გამოწერილი იქნეს მხოლოდ იმ საბანკო დაწესებულებაზე, რომელშიც ინახება ჩეკის გამომწერის სახსრები, რაც მას აძლევს უფლებას საერთო წესით განკარგოს ეს სახსრები ჩეკის საშუალებით. ჩეკის გამცემი პასუხისმგებელია ჩეკის განაღდებისათვის. ჩეკი შეიძლება გამოიყენონ როგორც იურიდიულმა, ისე ფიზიკურმა პირებმა.

კანონის მე-3 მუხლით, ჩეკი შეიძლება გამოიწეროს გასანაღდებლად კონკრეტული პირის სახელზე ან აღნიშნულის მითითების გარეშე, ასევე - წარმდგენზე. ჩეკი უნდა განაღდდეს მისი წარდგენისთანავე (24.1 მუხლი).

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 865-ე მუხლის მიხედვით, სათანადო შეთანხმებისას საკრედიტო დაწესებულება მოვალეა აქტივის ფარგლებში აანაზღაურის ანგარიშის მფლობელის მიერ ხელმოწერილი ჩეკი ჩეკის შესახებ კანონის შესაბამისად. 866-ე მუხლით, შეიძლება მოხდეს ჩეკის ინკასირებაც, რაც ნიშნავს ანგარიშის მფლობელის მიერ თავისი საკრედიტო დაწესებულებისადმი მიცემულ დავალებას, რათა მან უზრუნველყოს თავისი კლიენტის გაუნაღდებელი ჩეკების მიხედვით სხვა პირებისაგან ამ სახსრების მიღება.

ჩეკის გაუნაღდებლობასთან დაკავშირებული პრეტენზიების წარდგენის საფუძვლებს ადგენს "ჩეკის შესახებ" საქართველოს კანონის 31-ე მუხლი. 35-ე მუხლით განსაზღვრულია ჩეკის განაღდებისათვის პასუხისმგებლობა, რომლის მიხედვითაც, ჩეკით ვაღდებული ყველა პირი სოლიდარულად აგებს პასუხს ჩეკის მფლობელის წინაშე. ეს უკანასკნელი უფლებამოსილია წარუდგინოს სარჩელი, როგორც ყველა ამ პირს, ასევე ერთ მათგანს ან რამოდენიმეს ერთდროულად. ჩეკით

ვალდებული ერთ-ერთი პირის მიმართ სარჩელის წარდგენა არ არის დაბრკოლება სხვა პირთა-გან სახდელის გადახდევინებისათვის.

ამავე კანონის 36-ე მუხლით დადგენილია ჩეკის მფლობელის უფლება - სარჩელის წარდგენით მოითხოვოს მისი განაღდება. ამასთან, 38-ე მუხლით ჩეკის გამნაღდებელ ნებისმიერ ვალდებულ პირს, რომლის მიმართაც შეიძლება წარდგენილი იქნეს სარჩელი, ჩეკის განაღდების შემდეგ უფლება აქვს მოითხოვოს ჩეკის დაბრუნება პროტესტით. 43-ე მუხლით დადგენილია ჩეკის მფლობელის მიერ სარჩელის შეტანის ხანდაზმულობის სპეციალური ვადა, რაც შეადგენს ჩეკის წარდგენის დღიდან ექვს თვეს.

7.4 ლიზინგის საგნის გამცემის მფლობელობაში ლიზინგის საგნის დაბრუნების თაობაზე საქმის განხილვის გამარტივებული წესი

7.4.1 ლიზინგის ცნება

გამარტივებული სამართალწარმოებით სასამართლომ შესაძლოა განიხილოს სამოქალაქო საქმე, რომელიც გამომდინარეობს ლიზინგის საგნის გამცემის მფლობელობაში ლიზინგის საგნის დაბრუნების თაობაზე აღძრული მოთხოვნიდან (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 3091-3097-ე მუხლები).

ლიზინგის ცნებას განსაზღვრავს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 576-ე მუხლი, რაც ნიშნავს ლიზინგის საგნის მფლობელის მიერ ქონების დროებით, ხელშეკრულებით დათქმული ვადით, მეორე პირისათვის სარგებლობაში სასყიდლიან გადაცემას ისე, რომ ლიზინგის საგნის მფლობელი ქონებაზე ინარჩუნებს საკუთრების უფლებას. ლიზინგის ხელშეკრულებით ლიზინგის გამცემი ვალდებულია დაამზადოს ან შეიძინოს განსაზღვრული ქონება და სასყიდლიან სარგებლობაში გადასცეს მის მიმღებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადით. ლიზინგის ხელშეკრულების მხარეები არიან ლიზინგის საგნის გამცემი (ქონების მესაკუთრე) და ლიზინგის საგნის მიმღები. ლიზინგის ხელშეკრულებით ლიზინგის გამცემი ვალდებულია დაამზადოს ან შეიძინოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქონება და გადასცეს იგი ლიზინგის მიმღებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადით. მაგალითად, არის შემთხვევები, როცა პირს (ლიზინგის სავარაუდო მიმღებს) სჭირდება გარკვეული სახის ნივთი, მაგრამ არ გააჩნია საკმარისი ფინანსური სახსრები მისი შეძენისათვის, რის გამოც იგი უკვეთავს სალიზინგო კომპანიას (ლიზინგის საგნის გამცემს), რათა ამ უკანასკნელმა მისთვის დაამზადოს ან შეიძინოს ეს ნივთი და გადასცეს დროებით სარგებლობაში.

ლიზინგის ხელშეკრულების საგანი შეიძლება იყოს როგორც მოძრავი ქონებაც (მაგალითად, მოძრავი ქონება - საგზაო, საპარტო, საზღვაო ტრანსპორტი, ვაგონები, კონტეინერები, ტექნიკა, სამშენებლო ტექნიკა; უძრავი ქონება - სავაჭრო ან კანტორის მოსაწყობი შენობა, საწყობები, სამენარმეო დანიშნულების დაწესებულებები, ქარხნები).

ლიზინგი შესაძლოა იყოს, როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი. პირდაპირია ლიზინგი, როცა მისი გამცემი თვითონ არის ლიზინგის საგნის მესაკუთრე ან მწარმოებელი (დამამზადებელი), ხოლო არაპირდაპირია ლიზინგი, როცა ლიზინგის გამცემი თავად კი არ ამზადებს ლიზინგის სა-

განს, არამედ მას შეიძენს და გადასცემს ლიზინგის მიმღებს.

ზემოთ აღინიშნა, რომ ლიზინგის საგანი უნდა დაბრუნდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში. ამასთან, ლიზინგის მიმცემი ვალდებულია გადაიხადოს ლიზინგის საზღაური ხელშეკრულებით დადგენილი პერიოდულობით. ხელშეკრულებით შეიძლება განისაზღვროს, ასევე, პირგასამტეხლოც.

სამოქალაქო კოდექსის 577-ე მუხლის მიხედვით, ლიზინგის ხელშეკრულება უნდა დაიდოს წერილობით. მასში მითითებული უნდა იყოს ხელშეკრულების მთლიანი ფასი, ლიზინგის საზღაურის ოდენობა და მისი გადახდის ვადები, საბოლოო გადახდის თანხა, ხოლო ხელშეკრულების ვადამდე შესრულებისას, მისი გამოთვლის წესი. თუ ლიზინგის საგანი უძრავი ნივთია, მაშინ ხელშეკრულება აუცილებლად უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით და რეგისტრაციაში უნდა გატარდეს საჯარო რეესტრში (ლიზინგის ურთიერთობასთან დაკავშირებით საყურადღებოა საქართველოს კანონი "სალიზინგო საქმიანობის ხელშეწყობის შესახებ").

ამდენად, ლიზინგის საგანი შეიძლება იყოს მოძრავი ან უძრავი ქონება, რომელსაც მისი მფლობელი (მესაკუთრე) დროებით სარგებლობაში გადასცემს მას მიმღებს, ხოლო ეს უკანასკნელი ვალდებულია ქონების სარგებლობისათვის გადაიხადოს ხელშეკრულებით შეთანხმებული საზღაური და ქონება დააბრუნოს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში. ლიზინგის მიმართ გამოიყენება ქირავნობის ხელშეკრულების წესები, რომლებიც არ ეწინააღმდეგებიან 576-579-ე მუხლებს.

ნათელია, რომ ლიზინგის საგნის მიმღებს ლიზინგის საგნის მისი მფლობელისათვის დაპრუნების ვალდებულება სამოქალაქო კოდექსით (ხელშეკრულებით) აკისრია, მაგრამ სამოქალაქო საპროცესო კოდექსი განსაზღვრავს ამ მოთხოვნის განხილვის გამარტივებულ წესს.

7.4.2 განცხადება ლიზინგის საგნის გამცემის მფლობელობაში ლიზინგის საგნის დაპრუნების თაობაზე

ლიზინგის საგნის გამცემის მფლობელობაში ლიზინგის საგნის დაპრუნების თაობაზე საქმის გამარტივებული წარმოების დროს პირი (განმცხადებელი) სასამართლოს მიმართავს განცხადებით (და არა სარჩევლით), რომლის მიზანი უნდა იყოს სასამართლოს მიერ ბრძანების მიღება ლიზინგის საგნის გამცემის მფლობელობაში ლიზინგის საგნის დაპრუნების თაობაზე (მოთხოვნა). ისევე, როგორც ფულადი დავალიანების გადახდევინების შესახებ გადახდის ბრძანების მიღების დროს, ამ შემთხვევაშიც სასამართლოს გამოაქვს ბრძანება (მაგრამ არა გადახდის ბრძანება, არამედ ბრძანება).

საქმის განხილვის გამარტივებულობა მდგომარეობს იმაში, რომ მოთხოვნა განიხილება დაჩქარებული წესით, არც ამ შემთხვევაში არსებობს საქმის წინასწარი განხილვისათვის მომზადების (წერილობითი შეჯიბრის) ეტაპი და, მეტიც, მკაცრადაა განსაზღვრული სასამართლოს მიერ ბრძანების მიღების ვადა (სამი დღე). მოსამართლეს ბრძანება გამოაქვს ერთპიროვნულად - მხარეთა ზეპირი მოსმენის გარეშე. ამასთან, ბრძანება ექვემდებარება დაუყოვნებლივ აღსრულებას.

3092-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილია, თუ რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს განცხადების შინაარსი და რა რეკვიზიტებს უნდა შეიცავდეს იგი. კერძოდ, მასში აღნიშნული უნდა იყოს

სასამართლოს, ასევე მხარეთა და წარმომადგენელთა დასახელებები, განმცხადებლის მოთხოვნა, ვალდებულება, რომლის საფუძველზეც წამოყენებულია მოთხოვნა და ამ მოთხოვნის დამადასტურებელი მტკიცებულება. განცხადებას უნდა ერთვოდეს სახელმწიფო ბაჟის გადხდის დამადასტურებელი დოკუმენტები (ქვითარი). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ განცხადება, ასევე, უნდა შეიცავდეს იმ მონაცემებსაც, რაც მითითებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლში. კერძოდ, მასში აღნიშნული უნდა იყოს მხარეთა და წარმომადგენელთა მისამართები, დავის საგნის ფასი, განცხადებაზე დართული საბუთების ნუსხა, განცხადებას ხელს უნდა აწერდეს განმცხადებელი ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენელი. წარმოდგენილი უნდა იყოს განცხადებისა და მასზე დართული საბუთების ასლები მოწინააღმდეგ მხარისათვის (მოპასუხისათვის) გადასაცემად.

უნდა ითქვას, რომ ლიზინგის საგნის მისი მფლობელისათვის დაბრუნების შესახებ მოთხოვნის გამარტივებული წესით განხილვის დროს, განცხადებაში მითითებული უნდა იყოს არა მხოლოდ წამოყენებული მოთხოვნის დამადასტურებელ მტკიცებულებაზე, არამედ მიზანშეწონილია, რომ ეს მტკიცებულება (ხელ-შეკრულება) განცხადებას თან ერთვოდეს, ვინაიდან ამ მოთხოვნის გადაწყვეტისათვის სწორედ ეს მტკიცებულებაა ცენტრალური და გადამწყვეტი.

განსახილველ შემთხვევებში სასამართლომ ყურადღება უნდა მიაქციოს დავის საგნის ფასის განსაზღვრის წესს, კერძოდ:

შესაძლებელია, რომ ლიზინგის საგნის გამცემი ლიზინგის საგნის დაბრუნებას ითხოვდეს იმ საფუძვლით, რომ გასულია ლიზინგის ხელშეკრულების მოქმედების ვადა, ხოლო ლიზინგის საგნის მიმღები კი არ უბრუნებს ლიზინგის საგანს, რითაც ეს უკანასკნელი არღვევს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას (სამოქალაქო კოდექსის 559-ე მუხლის პირველი ნაწილი). ამ შემთხვევაში სასამართლომ დავის საგნის ფასი უნდა განსაზღვროს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 41-ე მუხლის პირველი ნაწილის "კ" ქვეპუნქტის შესაბამისად. ხოლო, თუკი განმცხადებელი (ლიზინგის საგნის გამცემი) ლიზინგის საგნის დაბრუნებას (ხელშეკრულების მოშლას) მოითხოვს ხელშეკრულების ვადის გასვლამდე იმ საფუძვლით, რომ ლიზინგის მიმღები მნიშვნელოვნად აზიანებს ლიზინგის საგანს, ან ქმნის მნიშვნელოვანი დაზიანების რეალურ საშიშროებას, ან არ იხდის ლიზინგის საზღაურს (სამოქალაქო კოდექსის 557-558-ე მუხლები, 559-ე მუხლის მე-3 ნაწილი), მაშინ დავის საგნის ფასი უნდა განისაზღვროს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 41-ე მუხლის პირველი ნაწილის "ზ" ქვეპუნქტის შესაბამისად.

3092-ე მუხლის მე-3 ნაწილით მკაცრად არის დადგენილი, რომ განცხადების განხილვის ვადა არის სამი დღე, ანუ განცხადების წარმოებაში მიღებიდან სასამართლომ სამ დღეში უნდა გამოიტანოს ბრძანება ლიზინგის საგნის მფლობელისათვის ლიზინგის საგნის დაბრუნების შესახებ.

7.4.3 განსჯადობა

3093-ე მუხლით დადგენილია, რომ ლიზინგის საგნის მისი მფლობელის სარგებლობაში დაბრუნების შესახებ განცხადება სასამართლოში შეიტანება სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით. აღნიშნული ნიშნავს, რომ ამ შემთხვევაში გამოყენებული უნდა იქნეს განსჯადობის შესახებ საერთო წესები (მე-13-მე-15-ე მუხლები), თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ კატეგორიის დავა შეეხება ლიზინგის საგნის დაბრუნებას, რომელიც გამომდინარეობს ლიზინ-

გის ხელშეკრულებიდან, რომლის პირობები (ვადა, შესრულების ადგილი და ა.შ) მხარეთა მიერ წინასწარ არის განსაზღვრული. ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნების განსჯადობის წესი კი განსაზღვრულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილით. ამიტომ, თუკი მოსამართლე გამოარკვევს, რომ განცხადება სხვა სასამართლოს განსჯადია, მაშინ განმცხადებელს უარი უნდა ეთქვას მის მიღებაზე - სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 186-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ე" ქვეპუნქტის საფუძველზე და უნდა მიეთითოს, თუ რომელ სასამართლოს უნდა მიმართოს განმცხადებელმა. (სსსკ-ის 187-ე მუხლი)

7.4.4 ლიზინგის საგნის გამცემის მფლობელობაში ლიზინგის საგნის დაბრუნების თაობაზე განცხადების უმოძრაოდ დატოვება და განცხადების მიღებაზე უარის თქმა

ისევე, როგორც ნებისმიერი სარჩელი თუ განცხადება, ლიზინგის საგნის მისი მფლობელისათვის გამარტივებული წესით დაბრუნების შესახებ განცხადებაც უნდა აკმაყოფილებდეს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნებს. 3094-ე მუხლით პირადპირაა განსაზღვრული, რომ, თუკი განცხადება არ აკმაყოფილებს 3092-ე მუხლის მოთხოვნებს, სასამართლომ თავისი განჩინებით განმცხადებელს უნდა მისცეს ვადა ხარვეზის შესავსებად, რაზეც კერძო საჩივარი არ დაიშვება. ხარვეზის შევსების შემთხვევაში სასამართლო განცხადებას მიიღებს წარმოებაში, ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში მას დატოვებს უმოძრაოდ და დაუბრუნებს განმცხადებელს, რაზეც შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა. (შედარებისათვის შეიძლება მოვიხმოთ სსსკ-ის 185-ე მუხლი, რა დროსაც ხარვეზის შეუვსებლობის შემთხვევაში სასამართლო უმოძრაოდ კი არ ტოვებს სარჩელს, არამედ მოსარჩელეს უარს ეუბნება მის წარმოებაში მიღებაზე).

ზემოთ აღინიშნა, რომ განცხადებაში უნდა აღინიშნოს (უმჯობესია განცხადებას ერთვოდეს) ლიზინგის საგნის დაბრუნების შესახებ მოთხოვნის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომელიც უნდა ასაბუთებდეს წამოყენებულ მოთხოვნას, ხოლო, თუკი ეს მტკიცებულება ვერ ადასტურებს მოთხოვნას, მაშინ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 3095-ე მუხლის თანახმად, მოსამართლემ უნდა გამოიტანოს განჩინება - ლიზინგის საგნის გამცემის მფლობელობაში ლიზინგის საგნის დაბრუნების თაობაზე განცხადების მიღებაზე უარის თქმის შესახებ, რაც შეიძლება გასაჩივრდეს კერძო საჩივრით.

7.4.5 ლიზინგის საგნის გამცემის მფლობელობაში ლიზინგის საგნის დაბრუნების შესახებ ბრძანება

თუკი განცხადება - ლიზინგის საგნის დაბრუნების შესახებ აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ წინაპირობას და, ამასთან, მოთხოვნა დასტურდება შესაბამისი მტკიცებულებებით, მაშინ სასამართლომ განცხადება უნდა მიიღოს წარმოებაში და გამოიტანოს - ბრძანება ლიზინგის საგნის გამცემის მფლობელობაში ლიზინგის საგნის დაბრუნების შესახებ (3096-ე მუხლი). ამგვარი ბრძანება ექვემდებარება დაუყოვნებლივ აღსრულებას, რის შესახებაც უნდა აღინიშნოს ბრძანებაში და მისი გამოტანისთანავე უნდა გაიცეს სააღსრულებო ფურცელი. ბრძანებაში უნდა მიეთითოს, ასევე მისი გასაჩივრდების წესი და ვადა. კერძოდ, 3097-ე მუხლით განსაზღვრულია, რომ ლიზინგის საგნის გამცემის მფლობელობაში ლიზინგის საგნის დაბრუნების შესახებ ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კერძო საჩივრით, მაგრამ საჩივრის შეტანა ვერ შეაჩერებს ბრძანების აღსრულებას. მოწინააღმდეგე მხარეს (ლიზინგის საგნის მიმღებს) უნდა გადაეცეს ბრძანება, განცხადება და მასზე დართული საბუთები.

8. მაგისტრატ მოსახართლებათა განსაზღვივებელი საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობიდან ურთიერთობიდან გამომდინარე დავაძი

8.1 ზოგადი დეპულებები

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-14 მუხლის .გ "ქვეპუნქტის თანახმად, მაგისტრატი მოსამართლეები პირველი ინსტანციით განიხილავენ საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე დავაძს, გარდა შვილად აყვანის, მშობლის უფლების ჩამორთმევის, მამობის დადგენის და განქორწინების საქმეებისა, თუ მეუღლეებს შორის არსებობს დავა ბავშვის მიკუთვნების თაობაზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 354-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სა-ოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილი საქმეები არ შეიძლება განიხილებოდეს სხვა ხასიათის მოთხოვნების შესახებ აღძრულ საქმეებთან ერთად. მოსარჩელეს საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილი დავაძის დროს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 182-ე მუხლის შესაბამისად, შეუძლია გააერთიანოს რამდენიმე მოთხოვნა მხოლოდ იმ პირობით, თუ ეს მოთხოვნები საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოიშობა, ხოლო სხვა კატეგორიის საქმეები არ შეიძლება განიხილებოდეს ამ საქმეებთან ერთად.

თუ არსებობს საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილი რამდენიმე სასარჩელო მოთხოვნა, რომელთაგან ერთ-ერთი არ განეკუთვნება მაგისტრატი მოსამართლის განსჯად საქმეს (მაგალითად, განქორწინება და ბავშვის მიკუთვნება), საქმეს განიხილავს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს სხვა მოსამართლე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-19 მუხლის თანახმად, სარჩელი ქორწინების შეწყვეტის შესახებ შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში მეუღლეების ერთობლივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. თუ სარჩელის შეტანის დროისათვის ასეთი ადგილი არ არსებობს, მაშინ სარჩელი შეიძლება შეტანილ იქნეს მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო თუ მას არ გააჩნია საცხოვრებელი ადგილი საქართველოში, მაშინ საქმეს განიხილავს სასამართლო მოსარჩელის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

თუ მოსარჩელესთან ცხოვრობენ არასრულწლოვანი შვილები, რაც აძნელებს მის გამოცხადებას სასამართლოში მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, საქ-

მე შეიძლება მოსარჩელის თხოვნით გაირჩეს სასამართლოში მისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

სარჩელი ალიმენტის გადახდევინების შესახებ შეიძლება წარდგენილ იქნეს სასამართლოში მოსარჩელის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

სახელმწიფო ბიუჯეტის სასამართლოდ სასამართლო ხარჯების გადახდისაგან თავისუფლდებიან მოსარჩელები ალიმენტის გადახდევინების სარჩელებზე (სსკ-ის 46-ე მუხლი).

საოჯახო საქმეთა განხილვისას სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით განსაზღვროს დასადგენ გარემოებათა წრე და მხარეთა ახსნა-განმარტების შემდეგ თვითონ გამოითხოვოს მტკიცებულებები, რომლებზედაც მხარეებს არ მიუთითებიათ (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 354-ე მუხლის პირველი ნაწილი).

საოჯახო-სამართლებრივი დავის განხილვისას სასამართლოს მინიჭებული აქვს უფლებები თვითონ, თავისი ინიციატივით მიიღოს ყველა ზომა, რათა დაადგინოს საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები, კერძოდ: ა) სასამართლოს შეუძლია თვითონ განსაზღვროს მტკიცების საგანი ე.ი. იმ

გარემოებათა წრე, რომელთა დადგენის გარეშე შეუძლებელია საქმის სწორად გადაწყვეტა. მხარეთა მიერ მითითებული გარემოებებით, სასამართლო ამ შემთხვევაში, შებოჭილი არაა; ბ) თვითონ თავისი ინიციატივით გამოითხოვოს არა მარტო ის მტკიცებულებები, რომლებზეც მიუთითებენ მხარეები, არამედ რომლებზეც მხარეები არ მიუთითებენ, მაგრამ, რომლებსაც მნიშვნელობა აქვთ მტკიცების საგანში შემავალდასადგენ გარემოებათა დასადასტურებლად.

მხარეთა შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს შეუძლია მიიღოს დროებითი განკარგულება, რათა მოაწესრიგოს:

- ა) შვილის მიმართ მშობელთა ზრუნვის საკითხები;
- ბ) ერთ-ერთი მშობლის ურთიერთობა ბავშვთან;
- გ) მცირენლოვანი ბავშვის შენახვის ვალდებულება;
- დ) საკითხი ერთ-ერთი მეუღლის მიერ მეორე მეუღლისათვის მატერიალური დახმარების გაწევის შესახებ;
- ე) საოჯახო მეურნეობისა და ბინით სარგებლობის შესახებ;
- ვ) საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილი საქმეების განხილვასთან დაკავშირებით ხარჯების ავანსის სახით გადახდევინების საკითხი (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 355-ე მუხლი).

8.2 განქორწინება

განქორწინების საქმეებს სასამართლო განიხილავს სასარჩელო წარმოების წესით, რომელიც დადგენილია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით. სასამართლოსადმი მიმართვა სასარჩელო განცხადებით ქორწინების შეწყვეტის შესახებ შეიძლება, თუ მეუღლეებს შორის არსებობს დავა, სხვა შემთხვევაში განქორწინება ხდება სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში. დავა შეიძლება იყოს, როგორც ქონებრივი, ისე პირადი ხასიათისა.

მეუღლებს უფლება აქვთ აღძრან სარჩელი განქორწინების შესახებ ნებისმიერ დროს. სამოქალაქო კოდექსის 1123-ე მუხლი ითვალისწინებს გამონაკლისა ამ საერთო წესიდან. კერძოდ, ცოლის ორსულობის დროს და ბავშვის დაბადებიდან ერთი წლის განმავლობაში ქმარს უფლება არა აქვს ცოლის თანხმობის გარეშე აღძრას სარჩელი განქორწინებაზე. ამდენად, ცოლს ნებისმიერ დროს აქვს სარჩელის შეტანის უფლება, ხოლო ქმარს, ცოლის ორსულობის დროს და ბავშვის დაბადებიდან ერთი წლის განმავლობაში, მხოლოდ ცოლის თანხმობის შემთხვევაში შეუძლია აღძრას სარჩელი. თუ ცოლი არ არის თანახმა და ქმარმა მაინც აღძრა სარჩელი, მას უარი უნდა ეთქვას სარჩელის მიღებაზე, ხოლო თუ სარჩელი უკვე მიღებული იყო, სასამართლო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად სარჩელს დატოვებს განუხილველად.

განცხადებაში განქორწინების შესახებ აღნიშნული უნდა იყოს განქორწინების მიზეზები. მიზეზი შეიძლება იყოს ღალატი, ლოთობა, მშობლების ჩარევა, მეუღლეთა პირადი ღირსების შელახვა და სხვა. განქორწინების საქმის განხილვისას სასამართლო ვალდებულია შეისწავლოს ის მიზეზები, რომლებსაც მეუღლეები განქორწინების საფუძვლად თვლიან და იღებს ზომებს მეუღლეთა შესარიგებლად. ამ მიზნით სასამართლომ უნდა გადადოს საქმის განხილვა და მეუღლეებს დაუნიშნოს ვადა შესარიგებლად, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს ექვს თვეს (სკ-ის 1127-ე მუხლის მე-2 ნაწილი). თუ სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში მეუღლეები შერიგდებიან, მაშინ საქმე წარმოებით წყდება. როდესაც ყოფილ მეუღლეებს ფაქტიურად შექმნილი აქვთ ახალი ოჯახები, ასეთ შემთხვევაში არ არის აუცილებელი შესარიგებლად ვადის მიცემა.

თუ სასამართლო დაადგენს, რომ განქორწინების საფუძველი უმნიშვნელოა, მოსარჩელეს უარი უნდა ეთქვას სარჩელზე.

სასამართლო მეუღლეებს შორის შეწყვეტს ქორწინებას, თუ დაადგენს, რომ შეუძლებელია მეუღლეთა ერთად ცხოვრება და ოჯახის შენარჩუნება, მიუხედავად შესარიგებლად მიღებული ზომებისა. გადაწყვეტილების გამოტანისას სასამართლო როცა აუცილებელია, იღებს ზომებს მცირენლოვანი შეიძლებისა და შრომისუნარო მეუღლის ინტერესების დასაცავად (სკ-ის 1127-ე მუხ. მე-3 და მე-4 ნაწ.). გადაწყვეტილების გამოტანისას სასამართლო განსაზღვრავს, თუ რომელმა მეუღლემ უნდა გადაიხდოს კანონით განსაზღვრული ბაჟი, ასევე თუ საჭიროდ მიიჩნევს, რომ ბაჟი უნდა გადახდეს ორივე მეუღლეს, იგი განსაზღვრავს თითოეული მეუღლის მიერ გადასახდელ თანხას(სკ-ის 1131-ე მუხ.). ბაჟის ოდენობის განსაზღვრისას სასამართლო მხედველობაში იღებს ორ ფაქტორს: მხარეთა მატერიალურ მდგომარეობას და იმ მეუღლის ბრალეულ მოქმედებას, რამაც განაპირობა განქორწინება. მატერიალური მდგომარეობის გათვალისწინებით, შეიძლება ერთ-ერთ მეუღლეს შეუმცირდეს ბაჟის გადახდა ან საერთოდ გათავისუფლდეს მისგან მეორე მეუღლის უკეთესი პირობების ხარჯზე. თუ ორივე მეუღლეს უჭირს მატერიალურად, მაშინ მათ მინიმალური ოდენობის ფარგლებში დაეკისრებათ ბაჟის გადახდა. თუ ერთ-ერთი მეუღლისადმი ბაჟის დაკისრება განპირობებულია განქორწინების გამომომწვევი ბრალეული მოქმედებით, მეორე მეუღლე საერთოდ თავისუფლდება ბაჟის გადახდისაგან.

განქორწინების შესახებ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება აღსრულდება ერთერთი ან ორივე მეუღლის მოთხოვნით, გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან არა უგვიანეს 3 წლისა, სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში რეგისტრაციის საშუალებით. ქორწინება შეწყვეტილად ითვლება სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში განქორწინების რეგისტრაციის მომენტიდან (სკ-ის 1132-ე მუხ.). სამწლიანი ვადის გასვლის გამო, განქორწინების რე-

გისტრაციის უფლება ისპობა და მეუღლეებს, თუ ადრინდელი პოზიცია არ შეუცვლიათ, კვლავ შეუძლიათ მიმართონ სასამართლოს განქორწინების თაობაზე.

8.3 ქორწინების ბათილობა (სამოქალაქო კოდექსის 1140-1150 მუხლები)

ქორწინების ბათილად ცნობა უნდა განვასხვავოთ ქორწინების შესახებ ჩანაწერის ბათილად ცნობისაგან. ეს ისეთი შემთხვევაა, როცა ქორწინების რეგისტრაცია ხდება დადგენილი წესების დარღვევით. (მაგალითად, დასაქორწინებელი ერთ-ერთი პირის ნაცვლად სხვა ღებულობს მონაწილეობას რეგისტრაციაში, ხელმოწერის გაყალბებით, ქორწინების რეგისტრაცია არაუფლებამოსილი პირის მიერ და სხვა). ასეთ ქორწინებაში გაჩენილი ბავშვი ითვლება ქორწინების გარეშე გაჩენილად, აქედან გამომდინარე სამართლებრივი შედეგებით.

ქორწინების გაბათილება, ასევე, განსხვავდება განქორწინებისაგან. განქორწინების დროს მეუღლეთა შორის სამართლებრივი ურთიერთობანი წყდება მომავალი დროისათვის. ქორწინების ბათილობა წარმოადგენს იმ იურიდიული შედეგების გაუქმებას, რომელსაც კანონი წამდვილ ქორწინებასთან აკავშირებს. განქორწინებისაგან განსხვავებით, რაც მომავალში საქორწინო და საოჯახო სამართლებრივ ურთიერთობათა შეწყვეტას ედება საფუძვლად, ქორწინების ბათილობას უკუცევითი ხასიათი გააჩნია. ბათილად ცნობილი ქორწინება ბათილად ითვლება ქორწინების რეგისტრაციის დღიდან და არ წარმოშობს მეუღლეთა უფლებებსა და მოვალეობებს.

იმ პირთა ქონებრივი ურთიერთობები, რომელთა ქორწინებაც ბათილად იქნა ცნობილი, წესრიგდება საერთო საკუთრების შესახებ სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით (სკ-ის 173-ე მუხლი).

ქორწინების ბათილად ცნობის შესახებ გადაწყვეტილების გამოტანისას სასამართლოს უფლება აქვს, იმ მეუღლეს, რომელმაც არ იცოდა და არც შეეძლო სცოდნოდა ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებების არსებობის შესახებ, მიაკუთვნოს მეორე მეუღლისაგან სარჩოს მიღების უფლება სამოქალაქო კოდექსის 1182-ე და 1186-ე მუხლების მიხედვით, ხოლო ქორწინების ბათილად ცნობამდე შეძენილი ქონების გაყოფისას გამოიყენოს 1158-ე და 1171-ე მუხლებით გათვალისწინებული წესები. კეთილსინდისიერ მეუღლეს, რომელსაც ქონებრივი ზიანი მიადგა იმ ქორწინების შედეგად, რომელიც ბათილად იქნა ცნობილი, უფლება აქვს მოითხოვოს ამ ზიანის ანაზღაურება.

თუ მეუღლეებმა დაქორწინებისას არ იცოდნენ ქორწინების დამაბრკოლებელი იმ გარემოების შესახებ, რომელიც მათი ქორწინების ბათილობის საფუძველია, ქორწინება წყდება სასამართლოში ამ გარემოების დადგენის მომენტიდან, მაგრამ ამ დრომდე ქორწინება წარმოშობს ყველა იმ სამართლებრივ შედეგს, რასაც წამდვილი ქორწინება (სკ-ის 1141-ე მუხლი).

ქორწინების ბათილად ცნობა არ ხელყოფს ასეთი ქორწინების შედეგად დაბადებულ ბავშვთა უფლებებს.

ერთ-ერთ მეუღლის გარდაცვალება, ჩვეულებრივ, ქორწინების შეწყვეტას იწვევს. ცოცხალ მეუღლეს უფლება აქვს დააყენოს ქორწინების გაბათილების საკითხი. ასეთი ქორწინებისათვის ზუსტი კვალიფიკაციის მიცემა ცოცხალი მეუღლის ღირსების დაცვის, ან სხვა პირადი, ან ქონებრივი ინტერესებით შეიძლება იყოს ნაკარნახევი, ხოლო ორივე მეუღლის გარდაცვალების შემთხვევაში, მესამე პირების მიერ არ შეიძლება მოთხოვნილ იქნეს ქორწინების გაბათილება, ვინაიდან ქორწი-

ნება ფაქტობრივად და იურიდიულადაც არ არსებობს, არ არსებობენ საქორნინო-სამართლებრივ ურთიერთობათა სუბიექტები, რომელთა ინტერესებთანაც უნდა ყოფილიყო დაკავშირებული ქორნინების გაბათილება.

ქორნინება შეიძლება ცნობილ იქნეს ბათილად, თუ დარღვეულია 1107-ე, 1108-ე და 1120-ე მუხლებით დაწესებული პირობები და თუ ქორნინების რეგისტრაცია მიზნად არ ისახავდა ოჯახის შექმნას (ფიქციური ქორნინება).

ქორნინება შეიძლება ბათილად ცნოს მხოლოდ სასამართლომ.

სამოქალაქო კოდექსის 1142-ე მუხლის თანახმად, იმ პირთან ქორნინება, რომელსაც საქორნინო ასაკისათვის არ მიუღწევია და არც საქორნინო ასაკი ჰქონია შემცირებული, შეიძლება ცნობილ იქნეს ბათილად, თუ ამას მოითხოვს იმ მეუღლის ინტერესები, რომელიც დაქორნინდა საქორნინო ასაკის მიღწევამდე. ამ საფუძვლით ქორნინების ბათილად ცნობის მოთხოვნის უფლება აქვს არასრულწლოვან მეუღლეს, მის მშობლებს ან მეურვეს (მზრუნველს), აგრეთვე მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს.

თუ საქმის განხილვის მომენტისათვის არასრულწლოვანმა მეუღლემ საქორნინო ასაკს მიაღწია ან ორსულადაა, მაშინ ქორნინება შეიძლება ცნობილ იქნეს ბათილად მხოლოდ მისი მოთხოვნით.

სამოქალაქო კოდექსის 1108-ე მუხლის თანახმად, საქორნინო ასაკად დაწესებულია თვრამეტი წელი. გამონაკლის შემთხვევებში თექვსმეტი წლის ასაკიდან დაქორნინება დაიშვება მშობლების ან სხვა კანონიერი წარმომადგენლების წინასწარი წერილობითი თანხმობით. თანხმობაზე მშობლების ან სხვა კანონიერი წარმომადგენლების უარის შემთხვევაში პატივსადები მიზეზების არსებობისას დასაქორნინებელ პირთა განცხადების საფუძველზე დაქორნინების ნებართვა შეიძლება გასცეს სასამართლომ. პატივსადები მიზეზი შეიძლება იყოს ფაქტობრივი ქორნინება, ორსულობა, ბავშვის გაჩენა და სხვა. სასამართლოს გადაწყვეტილება სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში ქორნინების რეგისტრაციის საფუძველია.

სამოქალაქო კოდექსის 1143-ე მუხლის თანახმად, ქორნინება, რომელიც გაფორმდება 1120-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დარღვევით, სასამართლომ შეიძლება ცნოს ბათილად.

კერძოდ, სასამართლომ შეიძლება ბათილად ცნოს ისეთი ქორნინება, რომელიც გაფორმდა:

ა) იმ პირთა შორის, რომელთაგან თუნდაც ერთი დაქორნინებულია სხვასთან. ამ დროს არა აქვს მნიშვნელობა ამის შესახებ მეორემ იცოდა თუ არა. ასეთ შემთხვევაში ყოველთვის მეორე ქორნინება უნდა გაბათილდეს და არა პირველი; ბ) პირდაპირ აღმავალი და დამავალი შტოს ნათე-სავებს შორის, თუნდაც დაქორნინების დროს ამის შესახებ მათ არ სცოდნოდათ;

გ) ღვიძლ და არაღვიძლ და-ძმას შორის, არა აქვს მნიშვნელობა იმას, იცოდნენ თუ არა ამის შესახებ;

დ) მშვილებლებსა და ნაშვილებს შორის;

ე) იმ პირებს შორის, რომელთაგანაც თუნდაც ერთ-ერთი სულით ავადმყოფობის ან ჭკუასუსტობის გამოსასამართლოს მიერ ცნობილია ქმედუუნაროდ. პირის ქმედუუნაროდ აღიარება წინ უნდა უსწრებდეს დაქორნინებას.

აღნიშნული საფუძვლებით ქორნინების ბათილად ცნობის მოთხოვნის უფლება აქვთ მეუღლეებს და იმ პირებს, რომელთა უფლებებიცაა დარღვეული ამ დაქორნინებით (ნათესავი, შვილები, ყოფილი მეუღლე და სხვა), აგრეთვე მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებს. სულით ავადმ

ყოფობის ან ჭკუასუსტობის გამო ქმედუუნაროდ ცნობილ პირთან ქორწინების ბათილობის საქმის განხილვისას აუცილებელია საქმეში მონაწილეობის მისაღებად მეურვის ჩაბმა.

სასამართლოს უფლება აქვს და არაა ვალდებული ყველა შემთხვევაში გააბათილოს ქორწინება. ეს უნდა გააკეთოს, როცა დარწმუნდება გაბათილების აუცილებლობაში. თუ საქმის განხილვის მომენტისათვის აღარ არსებობს დაქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებები, სასამართლოს შეუძლია ქორწინება ცნოს ნამდვილად ამ გარემოებათა მოსპობის მომენტიდან. მაგალითად, თუ პირველი ქორწინება შეწყდა მეორე ქორწინების პერიოდში, ეს უკანასკნელი უნდა გაბათილდეს მისი რეგისტრაციის მომენტიდან, რადგან იმ მომენტში ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოება პირველი ქორწინების სახით სახეზე იყო. მეორე ქორწინება ნამდვილად უნდა ჩაითვალოს პირველი ქორწინების შეწყვეტის მომენტიდან.

ქორწინების გაბათილების ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს მექორწინეთა ნებაყოფლობის პრინციპის დარღვევა (სკ-ის 1144-ე მუხლი). იძულების შედეგად მომხდარი დაქორწინების შემთხვევაში მეუღლეს (მეუღლეებს) შეუძლია ალძრას სარჩელი ქორწინების ბათილად ცნობის შესახებ. იძულება შეიძლება გამოიხატოს, როგორც პირდაპირ ძალადობაში, ისე ფსიქიკაზე ზემოქმედებაშიც. ფსიქიკაზე ზემოქმედება მუქარის გზით, უნდა იყოს კანონსაწინააღმდეგო ხასიათისა და მიმართული დასაქორწინებელი პირის ანდა მისი ახლო ნათესავის სიცოცხლის, ჯანმრთელობის ან პატივისა და ღირსების წინააღმდეგ. იძულებით დაქორწინების გავრცელებული ფორმაა ქალის მოტაცება. იძულებითი დაქორწინება არ გულისხმობს მხოლოდ ქალის ნებაზე კანონსაწინააღმდეგო ზემოქმედებას. შესაძლებელია ზემოქმედება მოხდეს მამაკაცის ნებაზეც. ამიტომ ყველა შემთხვევაში იძულებითი ქორწინების ფაქტი უნდა დაადგინოს სასამარ-თლომ. მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა დარწმუნდება სასამართლო, რომ დაქორწინება მოხდა იძულებით, რამაც მნიშვნელოვნად შელახა ერთ-ერთი ან ორივე მეუღლის ინტერესები და დაინტერესებული მხარე მოითხოვს ქორწინების გაბათილებას, იგი ვალდებულია გამოიტანოს გადაწყვეტილება ასეთი ქორწინების გაბათილების შესახებ.

ქორწინების გაბათილების ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს, ასევე, ისეთი ქორწინება, რომელიც მიზნად არ ისახვს ოჯახის შექმნას (ფიქციური ქორწინება (სკ-ის 1145-ე მუხლი)). ასეთ დროს ქორწინებისათვის აუცილებელი ფორმალური მოთხოვნები ზუსტადაა შესრულებული, ოღონდ მექორწინეთა შინაგანი ნება და მისი გარეგანი გამოხატულება ერთმანეთს არ ემთხვევა. ისინი ცდილობენ დაქორწინება გამოიყენონ სულ სხვა მიზნებისათვის, ვიდრე ოჯახის შექმნაა. თუ ერთ-ერთ მათგანს გულწრფელად ჰქონდა ოჯახის შექმნის სურვილი და არაფერი იცოდა მეორის ნამდვილი სურვილის შესახებ, ასეთ შემთხვევაში ქორწინება არ შეიძლება ჩაითვალოს ფიქციურად, კეთილსინდისიერი მექორწინის ინტერესი უნდა იქნეს გათვალისწინებული, რადგან ის მომავალმა მეუღლემ მოატყუა. ამასთან, კეთილსინდისიერ მეუღლეს შეუძლია მოითხოვოს ქორწინების ბათილობა. როცა ორივე მეუღლეს მიზნად ჰქონდა არა ოჯახის შექმნა, არამედ რაიმე გამორჩენის მიღება, სასამართლოში სარჩელის შეტანის უფლება ქორწინების გაბათილების შესახებ გააჩნია სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურს.

ფიქციური ქორწინების გაბათილება არ შეიძლება იმ შემთხვევაში, როცა მექორწინეებმა სასამართლოს მიერ საქმის განხილვამდე ფაქტობრივად უკვე შექმნეს ოჯახი. ამ დროს ქორწინების გაბათილების საფუძველი ისპობა. არ შეიძლება ქორწინების გაბათილება იმ შემთხვევაშიც, როცა ქორწინება მოხდა არა სიყვარულისა და ურთიერთპატივისცემის საფუძველზე, არამედ ანგარებითი მოსაზრებებით.

8.4 მეუღლეთა ურთიერთობის მოვალეობა

სასამართლო წესით სარჩოს მიღების უფლება აქვს შრომისუუნარო მეუღლეს, რომელიც მატერიალურ დახმარებას საჭიროებს, - ასევე ცოლს ორსულობის პერიოდში და ბავშვის დაბადებიდან სამი წლის განმავლობაში. შრომისუუნარო მეუღლე, რომელსაც დახმარება სჭირდება მეუღლისაგან, სარჩოს მიღების უფლებას ინარჩუნებს განქორწინების შემდეგაც, თუ იგი შრომისუუნარო გახდა განქორწინებამდე ან ერთი წლის განმავლობაში განქორწინების დღიდან (სკ-ის 1182-1183 მუხლები).

მეუღლეთა ცალ-ცალკე ცხოვრება ან ქორწინების ფაქტობრივი შეწყვეტა განქორწინების ოფიციალურად გაფორმებამდე არ სპობს მეუღლეთა ვალდებულებას ურთიერთდახმარების შესახებ. თუ მეუღლეები უარს ამბობენ მატერიალური დახმარების გაწევაზე, მატერიალური დახმარების საჭიროების მქონე მეუღლეს უფლება აქვს სასამართლო წესით მოითხოვოს სარჩოს მიღება. სარჩოს მიღების შესახებ მოთხოვით სასამართლოსადმი მიმართვის უფლება აქვს მეუღლეს, რომელიც შრომისუუნაროა და მატერიალურ დახმარებას საჭიროებს. აგრეთვე, ცოლს ორსულობის პერიოდში და ბავშვის დაბადებიდან სამი წლის განმავლობაში. ერთ-ერთი მეუღლის შრომისუუნარობა და მატერიალური დახმარების საჭიროება ერთმანეთს უნდა ემთხვეოდეს. თუ მეუღლე, მართალია, შრომისუუნაროა, მაგრამ მატერიალურად არ უჭირს ან პირიქით, შრომისუუნარიანია, მაგრამ მატერიალურ დახმარებას საჭიროებს, იგი ვერ ისარგებლებს მეორე მეუღლისაგან სარჩოს მოთხოვნის უფლებით. შრომისუუნაროდ ითვლება პირი, რომელმაც მიაღწია საპენსიო ასაკს ან ინვალიდია (შეზღუდული შესაძლებლობის მქონეა), რომელსაც ჯანმრთელობის გამო არ შეუძლია იშრომოს და ამით ირჩინოს თავი. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ როდის დადგა შრომისუუნარობა - დაქორწინებამდე თუ ქორწინების პერიოდში. შრომისუუნარიანობის დროებითი დაკარგვა არ წარმოადგენს სასამართლო წესით სარჩოს მიღების საფუძველს. როცა მეუღლეს ჯერ კიდევ არ მიუღწევია საპენსიო ასაკისათვის და ჯანმრთელობის მიხედვითაც შეუძლია მუშაობა, მაგრამ არ მუშაობს იმიტომ, რომ არ მოსწონს შეთავაზებული სამუშაო, უფლება არა აქვს ოფიციალურად მოსთხოვოს სარჩო მეორე მეუღლეს.

შრომისუუნარო და მატერიალური დახმარების საჭიროების მქონე მეუღლის სარჩელის განხილვის დროს სასამართლო გაარკვევს მეორე მეუღლის მატერიალურ მდგომარეობას და, თუ მივა იმ დასკვნამდე, რომ შესაძლებელია მისგან ალიმენტის გადახდევინება, მაშინ დააკმაყოფილებს მოთხოვნას. თუ ალიმენტის დაკისრება გამოიწვევს მეორე მეუღლის მატერიალური მდგომარეობის ისეთ გაუარესებას, რომ საარსებო მინიმუმიც არ დარჩება, მაშინ, ბუნებრივია, სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

მეუღლეთა შორის საალიმენტო-სამართლებრივი ურთიერთობა შეიძლება შენარჩუნებულ იქნეს მათი განქორწინების შემდეგაც. სარჩოს სასამართლო წესით მისაღებად, ამ შემთხვევაში, აუცილებელია ტრადიციული პირობები: შრომისუუნარობა და მატერიალური დახმარების საჭიროება. ამასთან ერთად, მათ ემატებათ ახალი პირობა - თუ შრომისუუნარობა დადგა განქორწინებამდე ან განქორწინებიდან ერთი წლის განმავლობაში. სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს ის გარემოება, რომ მოსარჩელეს უფლება აქვს თავისი სრულწლოვანი შვილებისგანაც მოითხოვოს ალიმენტის გადახდა და თუ არ ითხოვს, სასამართლოს შეუძლია ჩართოს ისინი საალიმენტო ვალდებულებათა შესრულებაში ან გაითვალისწინოს ალიმენტის ოდენობის განსაზღვრის დროს.

სასამართლოს შეუძლია გაათავისუფლოს მეუღლე რჩენის მოვალეობისაგან ან განსაზღვრული ვადით შეცვალოს ეს მოვალეობა, თუ მეუღლები ქორწინებაში იმყოფებოდნენ ხანმოკლე ვადით, ანდა მატერიალური დახმარების მომთხოვნმა მეუღლემ უღირსი საქციელი ჩაიდინა სარჩოს გადამხდელის მიმართ, ან შრომისუუნარობა გამოწვეულია ალკოჰოლური სასმელების ან ნარკოტიკული ნივთიერებების გამოყენებით, ან მის მიერ განზრახი დანაშაულის ჩადენით (სკ-ის 1184-ე მუხლი).

სარჩოს ოდენობა განისაზღვრება ყოველთვიური გადასახდელი თანხის სახით მეუღლეთა მატერიალური და ოჯახური მდგომარეობის გათვალისწინებით. ერთ-ერთი მეუღლის მატერიალური ან ოჯახური მდგომარეობის შეცვლისას თითოეულ მეუღლეს აქვს უფლება სარჩელით მიმართოს სასამართლოს სარჩოს ოდენობის შეცვლის შესახებ (სკ-ის 1185-ე მუხლი).

სასამართლომ დეტალურად უნდა გამოიკვლიოს საქმესთან დაკავშირებული ყველა გარემოება. კერძოდ, რა ოდენობისაა მოპასუხე მეუღლის ხელფასი, პენსია ან სხვა შემოსავალი; გააჩნია თუ არა მას რაიმე ვალდებულება სხვა პირების მიმართ, როგორია მისი ყოფითი პირობები; როგორია მოსარჩელე მეუღლის შრომისუუნარობის ხარისხი, შეუძლია თუ არა დამოუკიდებლად მოუაროს თავის თავს; ჰყავს თუ არა სრულწლოვანი შვილები, რომლებიც ვალდებული არიან მატერიალური დახმარება გაუწიონ მას; შემოსავლის რა რეალური წყაროები გააჩნია და სხვა.

მეუღლისაგან სარჩოს მიღების უფლება მოისპობა, თუ აღარ არსებობს 1182-ე და 1183-ე მუხლებით გათვალისწინებული საფუძვლები. აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ სარჩოს მიმღები მეუღლე ხელახლა დაქორწინდა (სკ-ის 1186-ე მუხლი).

გარდა აღნიშნულისა, საალიმენტო ვალდებულება შეიძლება შეწყდეს ალიმენტის გადამხდელი პირის მატერიალური და ოჯახური მდგომარეობის მნიშვნელოვანი გაუარესებისას, რის გამოც მას არა აქვს საშუალება გადაიხადოს ალიმენტი. საალიმენტო ვალდებულების შეწყვეტას გამოიწვევს მისი მონაწილე ერთ-ერთი მხარის გარდაცვალებაც. მეუღლისაგან სარჩოს მიღების უფლების მოსპობის საფუძვლების არსებობისას, მეორე მეუღლის სარჩელის საფუძველზე სასამართლო გამოიტანს გადაწყვეტილებას საალიმენტო ვალდებულებათა შეწყვეტის შესახებ.

8.5 სარჩელები ალიმენტის გადაცვების თაობაზე (სკ-ის 1212- 1238-ე მუხლები)

მშობლები ვალდებული არიან არჩინონ თავიანთი არასრულწლოვანი და შრომისუუნარო სრულწლოვანი შვილები, რომლებიც მატერიალურ დახმარებას საჭიროებენ. ეს ვალდებულება ეკისრება როგორც დედას, ისე მამას, მიუხედავად იმისა, ისინი ერთმანეთთან ქორწინებაში იმყოფებიან, თუ მათ შორის ქორწინება უკვე შეწყვეტილია. მშობლები ვალდებული არიან აღზარდონ და არჩინონ თავიანთი შვილები სრულწლოვანებამდე. სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ შვილები კარგავენ მშობლებისაგან სარჩოს მიღების უფლებას. ამ წესიდან არავითარი გამონაკლისი არ არსებობს. სულ სხვა მდგომარეობაა მაშინ, როცა შვილი, მართალია, სრულწლოვანია, მაგრამ იგი შრომისუუნაროა და არავითარი საარსებო მატერიალური წყარო არ გააჩნია. მაგალითად, თუ ინვალიდი (შეზღუდული შესაძლებლობის მქონე) შვილი სახელმწიფოსაგან იღებს პენსიას ან დახმარებას იმ ოდენობით, რაც საკმარისი არ არის აუცილებელ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, მშობლების ვალდებულება შვილის რჩენის თაობაზე ამ უკანასკნელის

სრულწლოვანების შემდეგაც გრძელდება. სრულწლოვანი შვილისათვის ალიმენტის გადახდის ვალდებულება წარმოიშობა მხოლოდ მაშინ, როდესაც სახეზე გვაქვს ორი იურიდიული ფაქტის ერთობლიობა: სრულწლოვანი შვილის შრომისუუნარობა და ის, რომ იგი აუცილებლად უნდა საჭიროებდეს დახმარებას. სრულწლოვანი შრომისუუნარო შვილისათვის, რომელიც დახმარებას საჭიროებს, მშობლებს ალიმენტი გადახდებათ სრულწლოვანი შვილის შრომისუუნარიანობის აღდგენამდე, ხოლო თუ შვილი ინვალიდი რჩება - მაშინ სამუდამოდ. საკითხს იმის შესახებ, სრულწლოვანი შვილი საჭიროებს თუ არა მატერიალურ დახმარებას, წყვეტის სასამართლო ყველა კონკრეტული გარემოების გათვალისწინებით.

რჩენა სრულწლოვანი შრომისუუნარო შვილისა, რომელიც დახმარებას საჭიროებს, ორივე მშობლის თანა-ბარი მოვალეობაა. მაგრამ სასამართლოს, თითოეული მშობლის ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, შეუძლია დაადგინოს გადასახდელი ალიმენტის განსხვავებული ოდენობა სრულწლოვანი შრომისუუნარო შვილისათვის, რომელიც დახმარებას საჭიროებს.

შვილების რჩენის თაობაზე დავები უმთავრესად წარმოიშობა მშობელთა განქორწინებასთან დაკავშირებით. თუმცა საალიმენტო ვალდებულება შეიძლება წარმოიშვას მეუღლებს შორის ქორწინების არსებობის შემთხვევაშიც, როცა ერთ-ერთი მეუღლე უარს ამბობს ნებაყოფლობით აღმოუჩინოს მატერიალური დახმარება თავის შვილებს. ის მშობელი, რომელიც სარჩელს აღძრავს სასამართლოში მეორე მშობლისგან ალიმენტის გადახდევინების შესახებ, გამოდის შვილის წარმომადგენლად. მას არა აქვს უფლება მოითხოვოს ალიმენტის გადახდა არა შვილის, არამედ თავის სასარგებლოდ.

თუ მშობლები ვერ შეთანმხდებიან ალიმენტის ოდენობაზე, მაშინ ალიმენტის ოდენობას განსაზღვრავს სასამართლო. ალიმენტის ოდენობას სასამართლო განსაზღვრავს გონივრული, სამართლიანი შეფასების საფუძველზე. გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება შვილის ნორმალური რჩენა-აღზრდისათვის აუცილებელ მოთხოვნებს, აგრეთვე მშობლებისა და შვილის რეალურ მატერიალურ მდგომარეობას (სკ-ის 1214-ე მუხლი). გონივრული და სამართლიანი შეფასების საფუძვლად შეიძლება სხვადასხვა გარემოება იქნეს მიჩნეული. მაგალითად, სასამართლოს შეუძლია ჩვეულებრივზე უფრო ნაკლები ოდენობით დააკისროს ალიმენტის გადახდა იმ მშობელს, რომელსაც ჰყავს სხვა არასრულწლოვანი შვილები, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი შეიძლება აღმოჩნდნენ მატერიალურად უფრო ნაკლებად უზრუნველყოფილ მდგომარეობაში, ვიდრე ის შვილი, ვის სასარგებლოდაც უნდა დაეკისროს მას ალიმეტნი. ასევე, თუ U მშობელი ინვალიდია და მას არა აქვს საკმაო შემოსავალი ან მაშინ, თუ არასრულწლოვანი შვილი უკვე მუშაობს და საკმაო შემოსავალიც გააჩნია.

მშობელს, რომელიც ალიმენტს უხდის არასრულწლოვან შვილებს, შეიძლება დაეკისროს მონაწილეობა დამატებით ხარჯებში, რომელიც გამოწვეულია განსაკუთრებული გარემოებებით (ბავშვის მძიმე ავადმყოფობით, დასახიჩრებით და სხვა (სკ-ის 1215- მუხლი)).

დამატებითი ხარჯების ოდენობა უნდა განისაზღვროს ფაქტობრივად განეული ხარჯების გათვალისწინებით, მყარი თანხებით და არ შეიძლება მისი წილობრივი დაკავშირება ხელფასის ან სხვა შემოსავლის ოდენობასთან. გასაწევი ხარჯების ოდენობის განსაზღვრის შემდეგ, სასამართლო ორივე მშობლის მატერიალური მდგომარეობიდან გამომდინარე, საზღვრავს აუცილებელ ხარჯებში მათი მონაწილეობის ხარისხს და იმ სახსრების ოდენობას, რომელიც მოპასუხეს უნდა დაეკისროს. დამატებით ხარჯებში მოპასუხე მშობელი მონაწილეობს ერთჯერადი გადასახდელის

სახით ან განსაზღვრული დროით განსაზღვრული სახსრების გადახდით. თუ დამატებით ხარჯებში მეორე მშობლის განმეორებით ჩართვის აუცილებლობა წარმოიშობა, მოსარჩევეს უფლება აქვს კვლავ მიმართოს სასამართლოს. თავის მხრივ მოპასუხეს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს დამატებითი ხარჯებისაგან გათავისუფლების მოთხოვნით, თუ ბავშვის მდგომარეობა უკვე არ მოითხოვს დამატებითი ხარჯების გაღებას. სასამართლოს უფლება აქვს მშობლებს დაკისროს მონაწილეობის მიღება არა მარტო ფაქტობრივად გაღებულ, არამედ მომავალშიც აუცილებლად გასაღებ ხარჯებში.

საბაშვო დაწესებულებაში მოთავსებული შვილების შესანახი ხარჯები შეიძლება გადახდეს მშობლებს (სკ-ის 1216-ე მუხ.), ალიმენტის ოდენობა განისაზღვრება თითოეული მშობლის რეალური შემოსავლების გათვალისწინებით. ალიმენტის გადახდისაგან შეიძლება კანონით გათავისუფლდნენ მშობელთა გარკვეული კატეგორიები. მათ შეიძლება მიეკუთვნონ: მრავალშვილიანი მშობლები, ინვალიდი მშობლები, აგრეთვე მშობლები, რომელთა ბაშვების მოთავსება საბავშვო დაწესებულებაში გამოწვეულია მათი ფიზიკური ან ფსიქიკური განვითარების დეფექტებით და სხვა.

სასამართლოს მიერ განსაზღვრული ალიმენტის ოდენობა არ არის მუდმივი ხასიათის. ალიმენტის ოდენობის დადგენის შემდეგ შესაძლებელია არსებითად შეიცვალოს ალიმენტის გადამხდელი მშობლის მატერიალური და ოჯახური მდგომარეობა - გაუმჯობესდეს ან გაუარესდეს. სასამართლოს შეუძლია შეამციროს ან გაადიდოს დადგენილი ალიმენტის ოდენობა დაინტერესებული პირის სარჩელის საფუძველზე. სარჩელში მითითებული უნდა იყოს ის გარემოება, რაც საფუძვლად უნდა დაედოს ალიმენტის შემცირებას ან გადიდებას. ალიმენტის ოდენობის შეცვლას შეიძლება საფუძვლად დაედოს ალიმენტის გადამხდელი მშობლის მატერიალური და ოჯახური მდგომარეობის შეცვლა. ასეთი გარემოება შეიძლება იყოს მაგალი-თად, მეორე ქორწინებაში ბავშვის გაჩენა ან კმაყოფაზე მყოფ პირთა ოდენობის შემცირება, პენსიაზე გასვლა, ინვალიდობა და სხვა. ამდენად, ალიმენტის ოდენობის შეცვლა სასამართლოს შეუძლია მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს კანონით გათვალისწინებული შემდეგი პირობა: მშობლის მატერიალური და ოჯახური მდგომარეობის შეცვლა. ალიმენტის შესაძლო შეცვლის შესახებ საკითხის გადაწვეტისას სასამართლომ ყოველ ცალკეულ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა გაითვალისწინოს არა მარტო მოპასუხის ხელფასი, არამედ მისი ოჯახის საერთო მატერიალური მდგომარეობა.

თუ მშობელი, რომელსაც ალიმენტს ახდევინებენ ინვალიდი გახდა, იძულებულია გაიღოს ზედმეტი ხარჯები (მკურნალობისათვის, გაძლიერებული კვებისათვის და სხვა), რაც ინვალიდ მშობელს მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში აყენებს. ამასთან, მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ მშობლის ინვალიდობა თავისთავად არ წარმოადგენს ისეთ განსაკუთრებულ საფუძველს, რომ მას აუცილებლად შეუმცირონ ბავშვების სასარგებლოდ გადასახდელი ალიმენტის ოდენობა. მშობელი შეიძლება ინვალიდი იყოს, მაგრამ მატერიალურად საკმაოდ უზრუნველყოფილი. ამიტომ მშობლის ინვალიდობა ალიმენტის შემცირების საფუძველი მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს, როდესაც სასამართლო დაადგენს, რომ დამდგარ ინვალიდობასთან დაკავშირებული ხარჯები გადამხდელ მხარეს მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში აყენებს. კანონი არ ითვალისწინებს ინვალიდობის გამო მშობლის სავსებით განთავისუფლებას ალიმენტის გადახდისაგან.

შვილების მიმართ კანონი ადგენს ვალდებულებას იზრუნონ მშობლებისათვის და დაეხმარონ მათ. ასეთი ვალდებულების იძულებით შესრულება უზრუნველყოფილია სასამართლოს მეშვეობით. სრულწლოვან შრომისუნარიან შვილებს ევალებათ არჩინონ თავიანთი შრომისუნარო მშობლები, რომლებსაც დახმარება სჭირდებათ. შვილების სააღიმენტო ვალდებულება ორ გარემოებას

8. მაგისტრატ მოსახლეობა განსკაზი საოცახო-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე დავაგი ეფუძნება. ესენია - მშობლების შრომისუუნარობა და მატერიალური გაჭირვება. ერთი რომელიმე მათგანი ალიმენტის დაკისრების საფუძვლად არ გამოდგება. თანაც შვილი უნდა იყოს სრულწლოვანი და შრომისუნარიანი, რომელსაც გააჩნია გარკვეული შემოსავალი.

შრომისუუნარობ ითვლება მშობელი, რომელმაც საპენსიო ასაკს მიაღწია ან ინვალიდია. ასეთი მშობლების განსაზღვრულ ნაწილს შრომითი სტაჟის გათვალისწინებით ენიშნებათ პენსია და სხვა ოფიციალური დახმარებანი. შვილებს ალიმენტის გადახდევინება ეკისრებათ ისეთ შემთხვევებში, როცა მათ ცხოვრების მატერიალური საშუალება საერთოდ არ გააჩნიათ. მატერიალური დახმარების საჭიროების ფაქტორს სასამარ-თლო განსაზღვრავს.

სამოქალაქო კოდექსის 1219-ე მუხლის თანახმად, თითოეული შვილის მონაწილეობას იმ შრომისუუნარო მშობლის რჩენაში, რომელიც დახმარებას საჭიროებს, განსაზღვრავს სასამართლო ყოველთვიური გადასახდელი თანხის სახით, მშობლებისა და შვილების მატერიალური და ოჯახური მდგომარეობის გათვალისწინებით. ამ თანხის განსაზღვრისას სასამართლო ითვალისწინებს მშობლების ყველა სრულწლოვანი შვილის მოვალეობას, მიუხედავად იმისა, სარჩელი წარდგენილია ყველა, რამდენიმე თუ ერთი შვილის მიმართ.

მშობლებისათვის გადასახდელი ალიმენტის ოდენობას სასამართლო განსაზღვრავს მყარი თანხით ყოველ-თვიური გადასახდელის სახით. მისი ოდენობა დამოკიდებულია მხარეთა მატერიალურ და ოჯახურ მდგომარეობაზე. როცა მშობლები ერთი შვილისაგან მოითხოვენ ალიმენტს, სასამართლოს შეუძლია სხვა სრულწლოვანი და შრომისუნარიანი შვილებიც ჩართოს ვალდებულებაში ან იმ შვილის მიერ გადასახდელი ალი-მენტის ოდენობის განსაზღვრისას, რომლის მიმართაც სარჩელია წარდგენილი, გაითვალისწინოს სხვა შვილებისაგან სარჩოს მიღების შესაძლებლობა. არასწორად უნდა ჩაითვალოს შვილებისათვის ალიმენტის გადახდის დაკისრება რიგრიგობით განსაზღვრული დროის განმავლობაში. ყველა შვილმა საალიმენტო ვალდებულება მშობლების მიმართ ერთდროულად უნდა შეასრულოს. თითოეული შვილის საალიმენტო გადასახდელი შეიძლება სხვადასხვა იყოს, რადგან იგი სასამართლოს მიერ განისაზღვრება თითოეული შვილის მატერიალური მდგომარეობის გათვალისწინებით.

შვილებს შეიძლება ასევე დაეკისროთ მონაწილეობა დამატებით ხარჯებში, რომლებიც გამოწვეულია განსაკუთრებული გარემოებებით (მშობლების მძიმე ავადმყოფობით, დასახიჩრებით და სხვ). დამატებით ხარჯებში მონაწილეობის ვალდებულების საფუძვლები იგივე შეიძლება იყოს, რაც 1215-ე მუხლის გამოყენებისას. სასამართლო დამატებით ხარჯების ოდენობას განსაზღვრავს მყარი თანხებით ერთჯერადი ან ყოველთვიური გადასახდელის სახით.

მშობელი, რომელსაც ჩამორთმეული აქვს მშობლის უფლება, კარგავს შვილებისაგან ალიმენტის მოთხოვნის უფლებას. შვილები შეიძლება გათავისუფლდნენ მშობლების რჩენის მოვალეობისაგან, თუ სასამართლო დაადგენს, რომ მშობლები თავს არიდებდნენ მშობლის მოვალეობის შესრულებას (სკ-ის 1218-ე მუხ). მაგალითად, არ იხდიდნენ ალიმენტს, სასტიკად ეპყრობოდნენ შვილებს, რაც საფუძველი გახდა მათთვის მშობლის უფლების ჩამორთმევისათვის და სხვა. ასეთ შემთხვევებში სასამართლომ უნდა გამოარკვიოს მშობლის მოვალეობათა შეუსრულებლობა მშობლების ბრალეული მოქმედების შედეგია, თუ ობიექტური მიზეზებით იყო განპირობებული. მაგალითად, შესაძლებელია მძიმე ავადმყოფობის ან სხვა გარემოების გამო მშობელი ვერ ღებულობდეს მონაწილეობას თავის შვილის აღზრდასა და რჩენაში. ასეთ შემთხვევაში მშობლებს, თუ ისინი შრომისუუნაროები და მატერიალურად გაჭირვებულები არიან, უფლება აქვთ მოითხოვონ ალიმენტის

გადახდა თავიანთი შვილებისაგან.

როგორც აღინიშნა, მშობლებისათვის გადასახდელი ალიმენტის ოდენობას სასამართლო განსაზღვრავს ორივე მხარის - შვილებისა და მშობლების მატერიალური და ოჯახური მდგომარეობის გათვალისწინებით. ამ მდგომარეობის ყოველი ცვლილება შეიძლება ალიმენტის ოდენობის მომატების ან შემცირების საფუძველი გახდეს მომავალში. ალიმენტის ოდენობის მომატების ან შემცირების თაობაზე სარჩელის წარდგენა შეუძლია მშობელსაც და შვილსაც.

ოჯახის სხვა წევრთა საალიმენტო ვალდებულება ამ შემთხვევაში ატარებს დამატებითი (სუბსი-დიალური) მატერიალური უზრუნველყოფის ხასიათს ოჯახის არასრულწლოვანი ბავშვებისა და იმ სრულწლოვანი შრომისუუნარო წევრების მიმართ, რომლებიც დახმარებას საჭიროებენ. იგი წარმოიშობა მხოლოდ მაშინ, თუ მათ არ შეუძლიათ სარჩო მიიღონ მშობლებისაგან, შვილებისა-გან და მეუღლისაგან.

ოჯახის ამ სხვა წევრებში იგულისხმებიან შვილიშვილები, პაპები და ბებიები, დები და ძმები, მა-მინაცვალი და დედინაცვალი, გერები, ფაქტიური აღმზრდელები და აღსაზრდელები.

ოჯახის სხვა წევრებისათვის გადასახდელი ალიმენტის ოდენობას, ყოველ ცალკეულ შემთხვევა-ში, განსაზ-ღვრავს სასამართლო ყოველთვიურად გადასახდელი თანხით, ალიმენტის გადამხდე-ლისა და მიმღების მატერიალური და ოჯახური მდგომარეობის გათვალისწინებით.

თუ ოჯახის რჩენა ერთდროულად რამდენიმე პირის მოვალეობაა, სასამართლო მათი მატერია-ლური და ოჯახური მდგომარეობის გათვალისწინებით განსაზღვრავს თითოეულის წილის ოდე-ნობას ამ მოვალეობის შესრულებაში, ამასთან სასამართლო მხედველობაში იღებს ალიმენტის გადამხდელ ყველა პირს, იმისდა მიუხედავად, ალიმენტს სთხოვენ ყველა ამ პირს, თუ მხოლოდ ერთ ან რამდენიმე მათგანს. თუ შეიცვალა ალიმენტის გადამხდელის ან ალიმენტის მიმღების მა-ტერიალური ან ოჯახური მდგომარეობა სასამართლოს უფლება აქვს, ერთ-ერთი მათგანის სარ-ჩელის საფუძველზე შეცვალოს დადგენილი ალიმენტის ოდენობა (სკ-ის 1223-1231-ე მუხლები).

ალიმენტის გადახდის დაკისრება ხდება მხოლოდ მომავალი დროისათვის სასამართლოში სარჩე-ლის აღ-ძვრის მომენტიდან. წარსული დროის ალიმენტი შეიძლება გადახდევინებულ იქნას სამი წლის ფარგლებში, თუ სასამართლო დაადგენს, რომ სარჩელის წარდგენამდე მიღებული იყო ზო-მები სარჩოს მისაღებად, მაგრამ ალიმენტი არ იქნა მიღებული იმის გამო, რომ ვალდებული პირი თავს არიდებდა მის გადახდას.

8.6 შვილისაგან განცალკევებით მცხოვრები მშობლის სარჩელი

შვილთან ურთიერთობის თაობაზე. პაპისა და ბების

სარჩელები შვილიშვილთან ურთიერთობის თაობაზე

მშობელს, რომელიც შვილთან ერთად არ ცხოვრობს, უფლება აქვს ურთიერთობა ჰქონდეს შვილ-თან და ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს მის აღზრდაში. მშობელს, რომელთანაც შვილი ცხოვ-რობს, უფლება არა აქვს ხელი შეუმაღლოს მეორე მშობელს, ურთიერთობა იქონიოს შვილთან და მონაწილეობა მიიღოს მის აღზრდაში.

მშობლებს თანაბრად აქვთ ყველა უფლება და მოვალეობა თავიანთი შვილების მიმართ, მიუხედა-

8. მაგისტრატ მოსახურთლება განსკაზი საოცახო-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე დავები ვად იმისა, რომ ისინი განქორწინებული არიან ან ცალ-ცალკე ცხოვრობენ (სკ-ის 1202-ე მუხლი).

ერთი მშობლის მიერ მეორისათვის შვილთან ურთიერთობის აკრძალვა არა მარტო ასეთი მშობლის უფლების დარღვევაა, არამედ იგი მნიშვნელოვნად ლახავს თვით შვილის უფლებამოვალეობებს ცალკე მცხოვრებ მშობელთან ურთიერთობის სფეროში, რომ არაფერი ითქვას იმაზე, თუ რამდენად ეწინააღმდეგება ეს ბავშვის აღზრდის ინტერესებს. ამიტომ დარღვეული უფლების აღდგენის მიზნით ცალკე მცხოვრებ მშობელს შეუძლია მიმართოს სასამართლოს. ბავშვის სწორად აღზრდის ინტერესებიდან გამომდინარე სასამართლომ უნდა დააკმაყოფილოს მისი მოთხოვნა.

საქმის ფაქტობრივი გარემოებათა შესწავლის საფუძველზე სასამართლომ უნდა გამოიტანოს გადაწყვეტილება ცალკე მცხოვრები მშობლის შვილთან ურთიერთობის წესსა და მის აღზრდაში მონაწილეობის თაობაზე. გადაწყვეტილებაში მითითებული უნდა იყოს რა ვითარებაში, რა დროს (საათი, დღე, კვირა) და როგორ უნდა განხორციელდეს ცალკე მცხოვრები მშობლის ურთიერთობა შვილთან. ეს ურთიერთობა არ უნდა შემოიფარგლოს ბავშვის ხანმოკლე მონახულებით. პირიქით, ასეთი შეხვედრები უნდა იყოს ხანგრძლივი, რათა მშობელმა ნამდვილად შეძლოს განახორციელოს ბავშვის აღზრდის უფლება. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ ცალკე მცხოვრებ მშობელს უფლება აქვს მოითხოვოს შვილთან ურთიერთობა განუსაზღვრელ დროს, დაარღვიოს ბავშვის ნორმალური ცხოვრება.

თუ მშობლები ან მეურვე/მზრუნველი უარს ეუბნებიან პაპასა და ბებიას შვილიშვილებთან ურთიერთობაზე, სასამართლოს შეუძლია დაავალდებულოს მშობლები, საშუალება მისცენ პაპასა და ბებიას, ურთიერთობა იქონიონ შვილიშვილებთან სასამართლოს მიერ დადგენილი წესით, თუკი ეს ხელს არ შეუშლის ბავშვების ნორმალურ აღზრდას და ცუდ გავლენას არ მოახდენს მათზე (სკ-ის 1203-ე მუხლი).

პაპასა და ბებიას შვილიშვილებთან ურთიერთობის უფლება გააჩნიათ, არა მარტო იმ შემთხვევისათვის, როცა ისინი მშობლების თხოვნით მონაწილეობას ღებულობდნენ შვილიშვილების აღზრდაში, არამედ მაშინაც კი - როცა მათ ასეთი მონაწილეობა არ მიუღიათ. თუ ამ უფლების განხორციელებაში მშობლები ან ერთ-ერთი მათგანი ხელს შეუშლის პაპასა და ბებიას, ამ უკანასკნელთა თხოვნის საფუძველზე სასამართლო უფლებამოსილია მის მიერვე დადგენილი წესით დაავალდებულოს მშობლები საშუალება მისცენ პაპასა და ბებიას ურთიერთობა იქონიონ თავიანთ არასრულნლოვან შვილიშვილებთან, თუკი, რა თქმა უნდა, ეს ხელს არ შეუშლის ბავშვის სწორად აღზრდას. იმ შემთხვევაში, თუ პაპა და ბებია ცუდ გავლენას ახდენს შვილიშვილებზე (ცდილობენ შვილიშვილები განაწყონ თავიანთი მშობლების წინააღმდეგ და სხვა), სასამართლომ მათი თხოვნა არ უნდა დააკმაყოფილოს.

შვილიშვილებთან ურთიერთობის უფლება გააჩნიათ პაპასა და ბებიას, როგორც დედის, ისე მამის ხაზით.

8.7 მეუღლეებს შორის ქონებრივი დავები, თუ სარჩევის ფასი არ აღემატება 2000 ლარს (სკ-ის 1158-1171-ი მუხლები)

ქონება მეუღლეებს შეიძლება ეკუთვნოდეთ ინდივიდუალური ან საერთო თანასაკუთრების უფლებით.

თითოეული მეუღლის ინდივიდუალურ საკუთრებას წარმოადგენს ქონება, რომელიც თითოეულ

მათგანს ეკუთვნოდა დაქორწინებამდე და ქონება, რომელიც ქორწინების განმავლობაში მიღებულია მემკვიდრეობით ან ჩუქებით (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გამჩუქებელი ორივე მეუღლეს ასაჩუქრებს ერთობლივად), აგრეთვე ჩუქებით ან მემკვიდრეობით მიღებული სახსრებით შეძენილი საკუთრება და ქორწინების განმავლობაში შეძენილი პირადი მოხმარების ნივთები, მაგალითად, ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, საყურე, კოსმეტიკური ნივთები და სხვა. კანონი ასეთი ქონების კატეგორიიდან გამორიცხავს ერთად შეძენილ ძვირფასეულობას, თუმცა, არ აზუსტებს რომელი ნივთები მიეკუთვნება მას. პრაქტიკაში დამკვიდრებული გაგებით, ძვირფასეულობას მიეკუთვნება ისეთი ნივთები, რომლებიც არაა აუცილებელი ყოფითი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. მათ მიეკუთვნება ძვირფასი ლითონებისა და იშვიათი ქვებისაგან დამზადებული საგნები, ანტიკვარული ნივთები, ორიგინალური და ფასეული მხატვრული ნაწარმოები და სხვა. ასეთი ნივთი, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება განკუთვნილი იყოს ერთ-ერთი მათგანის ინდივიდუალური სარგებლობისათვის, მეუღლეთა თანაზიარ საკუთრებას წარმოადგენს. ამდენად, ქორწინების განმავლობაში შეძენილი ინდივიდუალური სარგებლობის ნივთები, ძვირფასეულობის გარდა, იმ მეუღლის საკუთრებაა, რომელიც სარგებლობს ამ ნივთებით. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მართალია ტანსაცმელი წარმოადგენს პირადი მოხმარების საგანს, მაგრამ თუ იგი გაწყობილია ძვირფასი თვლებით და აქედან გამომდინარე ძალიან დიდი ღირებულებისაა, ის ჩაითვლება მეუღლეთა საერთო საკუთრებად, იმისდა მიუხედავად ვინ სარგებლობდა მისით.

დავა იმის შესახებ, მიეკუთვნება ესა თუ ის ნივთი ძვირფასეულობას თუ არა, უნდა გადაწყვიტოს სასამართლომ.

თითოეული მეუღლის ინდივიდუალურ საკუთრება შეიძლება ჩაითვალოს მეუღლეთა თანასაკუთრებად, თუ დადგინდება, რომ ქორწინების განმავლობაში გაწეული ხარჯების შედეგად ამ ქონების ღირებულება მნიშვნელოვნად გადიდდა (გადაგეგმარება, მშენებლობის დასრულება, გადაკეთება და სხვა). მიმდინარე რემონტი ან ხარჯების ისეთი რაოდენობით გაწევა, რომელიც მათ ღირებულებას მნიშვნელოვნად არ ზრდის, ერთ-ერთი მეუღლის ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებული ქონების სამართლებრივ რეჟიმს არ ცვლის. მოცემული წესი არ გამოიყენება, თუ საქორწინო ხელშეკრულებით სხვა რამ იქნება გათვალისწინებული.

მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონება წარმოადგენს მათ საერთო ქონებას, თუ მათ შორის საქორწინო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის დადგენილი. ასეთ ქონებაზე მეუღლეთა თანასაკუთრების უფლება წარმოიშობა მაშინაც, თუ ერთ-ერთი მათგანი ეწეოდა საოჯახო საქმიანობას, უვლიდა შვილებს ან სხვა საპატიო მიზეზის გამო არ ჰქონია დამოუკიდებელი შემოსავალი. ასეთ ქონებას მიეკუთვნება: თითოეული მეუღლის ხელფასი, ინტელექტუალური საქმიანობის შედეგად მიღებული ანაზღაურება, მომსახურეობის გაწევიდან მიღებული საზღაური, პენსია, დახმარება და სხვა სახის ფულადი საზღაური, მაგალითად, მატერიალური დახმარების თანხები, ზიანის ანაზღაურების სახით მიღებული ანაზღაურება. საერთო საკუთრებას წარმოადგენს უძრავი და მოძრავი ქონება, ფასიანი ქაღალდები, პაი, შენატანები, წილი, საკრედიტო დაწესებულებაში შეტანილი ანაბარი, საბანკო ანგარიშები, და ნებისმიერი ქონება, რომელიც შეძენილია მეუღლეთა ერთად ცხოვრების დროს, იმისდა მიუხედავად ვის სახელზეა იგი გაფორმებული.

მეუღლეთა საერთო ქონება თითოეულ მეუღლეს ეკუთვნის თანაბრად, წილის წინასწარ განუსაზღვრელად, თუ მათ შორის შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. საერთო ქონების გაყოფა თითოეული მეუღლის მოთხოვნით შეიძლება, როგორც ქორწინების განმავლობაში,

მეუღლეთა თანასაკუთრების გაყოფის დროს სასამართლო განსაზღვრავს თითოეულიღ მეუღლის წილს საერთო საკუთრებაში და აგრეთვე იმას, თუ რომელი ნივთი რომელ მეუღლეს უნდა მიეკუთვნოს. მეუღლეთა საერთო ქონების გაყოფისას სასამართლომ ჯერ უნდა გამორიცხოს ყველა ის ნივთი, რომელიც ინდივიდუალურ საკუთრებას წარმოადგენს. შემდეგ კი უნდა დაადგინოს საერთო ქონების ოდენობა სხეულებრივი და თანხობრივი გამოხატულებით. თითოეულ მეუღლეს წილის შესაბამისად მიეკუთვნებათ საერთო საკუთრების ნივთები ნატურით ან ფულადი გამოხატულებით. პროფესიული დანიშნულების საგნები (მუსიკალური ინსტრუმენტები, საექიმო მოწყობილობა, ბიბლიოთეკა და ა. შ.), მიუხედავად იმისა, რომ ისინი მეუღლეთა საერთო სახსრებით იყო შეძენილი, გადაეცემა იმ მეუღლეს, რომელსაც ისინი თავისი საქმიანობისათვის სჭირდება. თანაზიარი ქონების ასეთმა გაყოფამ არ უნდა გამოიწვიოს მეორე მეუღლის ქონებრივი ინტერესების შელახვა. ქონების ნატურით გაყოფის დროს შესაძლებელია ცალკეული ნივთები თავისი ღირებულების მიხედვით თანაბრად არ გაიყოს და ერთ-ერთი მეუღლის წილად აღმოჩნდეს უფრო მეტი ღირებულების ნივთი, ვიდრე მისი წილის შესაბამისი იყო. ასეთ შემთხვევაში, ზედმეტად მიღებული ქონების ფულადი კომპენსაცია უნდა მიეცეს მეორე მეუღლეს. შესაძლებელია, აგრეთვე, ნამატი ღირებულების შესაბამისი სხვა ნივთის გადაცემა კომპენსაციის სახით.

სამოქალაქო კოდექსის 1168-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს შეუძლია გადაუხვიოს მეუღლეთა წილის თანაბრობის საწყისს არასრულწლოვანი შვილების ინტერესების ან ერთ-ერთი მეუღლის ყურადსალები ინტერესების გათვალისწინებით; კერძოდ, ერთ-ერთი მეუღლის წილი შეიძლება გადიდეს იმის გათვალისწინებით, რომ მასთან ცხოვრობენ არასრულწლოვანი შვილები, რომ ის შრომისუუნაროა, ანდა - თუ მეორე მეუღლე ხარჯავდა საერთო ქონებას ოჯახის ინტერესების საზიანოდ. აღნიშნული საფუძვლები ამომწურავია და სასამართლოს უფლება არა აქვს სხვა შემ-თხვევებშიც არათანაბრად გაყოს მეუღლეთა საერთო საკუთრება.

კოდექსის ზემოაღნიშნულმა ნორმამ ქონების არათანაბრად გაყოფის დროს უპირველეს ყოვლისა არასრულწლოვანი შვილების ინტერესები გაითვალისწინა, რათა მათ, გააჩნდეთ ნორმალურ პირობებში აღზრდისათვის სათანადო გარემო. შესაბამისად, ნივთები, რომლებიც განკუთვნილია არასრულწლოვანი ბავშვებისათვის, მაგალითად, მათი ტანსაცმელი, სასკოლო და სპორტული ნივთები, მუსიკალური ინსტრუმენტები, საბავშვო ბიბლიოთეკა და სხვა, გაყოფას არ ექვემდებარება და ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე გადაეცემა იმ მეუღლეს, რომელთანაც ცხოვრობენ არასრულწლოვანი შვილები. ანაბრები, რომლებიც მეუღლეთა მიერ ერთობლივად შეტანილია არასრულწლოვანი ბავშვების სახელზე ითვლება ბავშვების საკუთრებად და მეუღლეთა შორის გაყოფას არ ექვემდებარება. აღსანიშნავია, ისიც, რომ ნორმაში მითითებული სიტყვა "შვილები" არ უნდა იქნეს გაგებული სიტყვა-სიტყვითი მნიშვნელობით, რადგან ერთი შვილის შემთხვევაშიც მითითებული ნორმა სასამართლოს საშუალებას აძლევს გაითვალისწინოს არასრულწლოვანი შვილის ინტერესი და ერთ-ერთ მეუღლეს მიაკუთვნოს მეტი წილი მეუღლეთა თანასაკუთრებიდან.

ქონების არათანაბრად გაყოფის მეორე პირობას წარმოადგენს ერთ-ერთი მეუღლის შრომისუუნარობა. საერთო ქონების არათანაბრად გაყოფა შესაძლებელია, ასევე თუ მეორე მეუღლე ხარჯავდა საერთო ქონებას ოჯახის ინტერესების საზიანოდ, აქ იგულისხმება ისეთი შემთხვევა, როცა ერთ-ერთი მეუღლე ქონებას ხარჯავდა არა ოჯახის ინტერესებისათვის არამედ პირადი სიამოვნებისთვის, მაგალითად, გამართობელ თამაშებში და ა. შ.

აღნიშნული მუხლის თანახმად, სასამართლოს შეუძლია, არა მარტო არათანაბრად გაყოს მეუღლეთა საერთო საკუთრება, არამედ თანაზიარ საკუთრებად არ ჩათვალის ქონება, რომელიც ქორწინების პერიოდში, მაგრამ ცალცალკე ცხოვრების დროს ან ქორწინების ფაქტობრივი შეწყვეტის შემდეგ არის შეძენილი თითოეული მათგანის მიერ. ასეთი ქონება, როგორც მეუღლეთა ინდივიდუალურ საკუთრება, გაყოფას არ ექვემდებარება.

თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ მეუღლეთა ცალ-ცალკე ცხოვრება, რომელიც გამოწვეულია დროებითი და პატივსადები მიზეზით ქორწინების შეწყვეტის განზრახვის გარეშე არ ქმნის ქორწინების დროს შეძენილი ქონების ინდივიდუალურ საკუთრებად აღიარების საფუძველს. მაგალითად ხანგრძლივი მივლინება, ჯანმრთელობის ან ოჯახური მდგომარეობის გამო სხვა ადგილზე ხანგრძლივი ცხოვრება და ა.შ.

მეუღლეთა საერთო ვალებიც მათ შორის იყოფა საერთო ქონებაში თითოეულის კუთვნილი წილის თანაზომიერად, ხოლო ერთ-ერთი მეუღლის ვალის დასაფარავად გადახდევინება უნდა მოხდეს სკ-ის 1170-ე მუხლით დადგენილი წესით.

განქორწინებულ მეღლეთა თანასაკუთრების ქონების გაყოფის თაობაზე მოთხოვნებისათვის დადგენილია ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა. ამ ვადის დენა იწყება ქორწინების შეწყვეტის მომენტიდან, ე. ი. განქორწინების რეგისტრციის მომენტიდან.

მეუღლეებს შეუძლიათ დადონ საქორწინო ხელშეკრულება, რომლითაც განისაზღვრება მათ შორის ქონებრივი ურთიერთობების წარმოშობის, შეცვლისა და შეწყვეტის საფუძვლები. საქორწინო ხელშეკრულება მეუღლეთა შორის ქონებრივი უფლებებისა და მოვალეობების განაწილების სამართლებრივი საფუძვლის ხასიათს იძენს და უნდა პასუხობდეს ნებისმიერი ხელშეკრულებისათვის კანონით წაყენებულ ზოგად მოთხოვნებს. საქორწინო ხელშეკრულებით მეუღლეებს შეუძლიათ შეცვალონ მეუღლეთა საერთო საკუთრებისათვის კანონით დადგენილი წესი. მეუღლეებს შეუძლიათ გააერთიანონ მთელი თავიანთი ქონება, რომელშიც ჩაირიცხება, არა მარტო ინდივიდუალური საკუთრების ობიექტები, არამედ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონებაც, ანდა მთლიანად, ან ნაწილობრივ თქვან უარი ამგვარ გაერთიანებაზე და დაადგინონ თითოეულის წილობრივი ან განცალკევებული საკუთრება ქონებაზე.

საქორწინო ხელშეკრულებით არ შეიძლება ისეთი პირობების გათვალისწინება, რომლებიც მძიმე მდგომარეობაში აყენებენ ერთ-ერთ მეუღლეს. დაინტერესებული მეუღლის განცხადების საფუძველზე, პატივსადები მიზეზების არსებობისას, სასამართლოს შეუძლია შეცვალოს საქორწინო ხელშეკრულების ის პირობები, რომლებიც არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ერთ-ერთ მეუღლეს.

9. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის შედეგად შემუშავებული ძირითადი პრინციპები სახელმწიფო პაზის თაობაზე

სასამართლო სამართალწარმოების განხორციელების დროს სახელმწიფო ბაჟთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ შეიმუშავა ზოგადი ხასიათის სახელმძღვანელო პრინციპები. აღნიშნული პრინციპები საფუძვლად უდევს სასამართლოს ბაჟთან დაკავშირებით მიღებულ ყველა გადაწყვეტილებას.

ადამიანის უფლებათა ევროულმა სასამართლომ სახელმწიფო ბაჟის გადახდასთან დაკავშირებით ბევრ საქმეზე და, მათ შორის, საქმეებზე: ტელტრონიკი პოლონე-თის წინააღმდეგ (*Teltronic-CATV v. Poland*), კრეუცი პოლონეთის წინააღმდეგ (*Kreuz v. Poland*), გოლდერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Golder v. the United Kingdom*), ზეტი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Z and others v. the United Kingdom*), მუტატის მუტანდის ირლანდიის წინააღმდეგ (*Mutatis mutandis v. Ireland*), ბრუალა გომეს დე ლა ტორე ესპანეთის წინააღმდეგ (*Brualla Gomez de la Torre v. Spain*), ტოლსტოი-მილოსლავსკი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Tolstoy-Miloslavsky v. the United Kingdom*), შპს ტინელი და სონსი და სხვები და მაკელდაფი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Tinelly & Sons Ltd and Others and McElduff and Others v. the United Kingdom*) და ა. შ. განმარტა შემდეგი:

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი ნაწილი უზრუნველყოფს ყოველი ადამიანის უფლებას სასამართლო წესით დაიცვას თავისი უფლებები და მოვალეობები. სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლება "სასამართლოს უფლების" მხოლოდ ერთ-ერთ კომპონენტს წარმოადგენს. თუმცადა, აღნიშნული კომპონენტი კონვენციის ზემოხსენებული მუხლით გათვალისწინებული სხვა უფლებებით სარგებლობის გარანტიაა.

"სასამართლოს უფლება" არ არის აბსოლუტური უფლება, იგი შეიძლება სახელმწიფოს მიერ შეიზღუდოს. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი ნაწილი აძლევს რა მხარეებს თავიანთ უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად "სასამართლო ხელმისაწვდომობის უფლებას", სახელმწიფოს ამავე დროს აღნიშნული უფლების შეზღუდვის იმ საშუალებათა თავისუფალი არჩევანის გაკეთების შესაძლებლობას ანიჭებს, რომელთა მეშვეობითაც "სასამართლო ხელმისაწვდომობის უფლება" შეიძლება შეიზღუდოს, თუმცა ამავე დროს სასამართლო განმარტავს, რომ აღნიშნული შეზღუდვები უნდა ემსახურებოდეს ლეგიტიმურ მიზანს და დაცული უნდა იყოს სამართლიანი ბალანსი გამოყენებულ საშუალებებსა და დასახულ მიზნებს შორის.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ზოგიერთ საქმეზე დასაშვებად მიიჩნია ფიზიკურ პირ-თათვის სასამართლო ხელმისაწვდომობაზე გარკვეული სახის, მათ შორის, ფინანსური შეზღუდვის დაწესება. აღნიშნული შესაძლებლობა განსაკუთრებით იმ საქმეებს ეხება, სადაც საჩივრის დასაშვებობაზეა საუბარი ან სადაც მართლმსაჯულება მომჩივანისაგან იმ ხარჯების ანაზღაურებას ითხოვს, რომლებიც მეორე მხარემ გასწია.

სარჩელის ან საჩივრის დასაშვებად ცნობის ერთ-ერთ წინაპირობად სახელმწიფო ბაჟის გადახდის ვალდებულების დაწესება ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი ნაწილის შინაარსიდან გამომდინარე, არ უნდა იქნეს გაგებული სა-

სამართლოს ხელმისაწვდომობის უფლების ხელყოფად. თუმცა, სასამართლოს მიერ გამოყენებულმა შეზღუდვებმა არ უნდა დაამცროს სასამართლო ხელმისაწვდომობის უფლება იმ გზით ან იმ ფარგლებში, რაც თვით აღნიშნული უფლების (სასამართლო ხელმისაწვდომობის) არსს ხელყოფს.

სარჩელისა თუ საჩივრის დასაშვებობის შემოწმებისას სასამართლომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს შემდეგ გარემოებებს:

1. სასამართლო ბაჟის ოდენობა გამოანგარიშებულ უნდა იქნეს ყოველი კონკრეტული საქმის ფაქტობრივი გარემოებების შესაბამისად, მომჩივანის ფინანსური მდგომარეობის ჩათვლით;
2. ასევე გათვალისწინებულ უნდა იქნას სამართალწარმოების ეტაპი, როცა აღნიშნული შეზღუდვა იქნა გამოყენებული.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი ნაწილი არ ავალდებულებს მონაწილე სახელმწიფოებს სააპელაციო ან საკასაციო ინსტანციის სასამართლოების შექმნას, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ მონაწილე სახელმწიფოს გააჩნია ზემდგომი ინსტანციის სასამართლო, მაშინ აღნიშნული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული უფლებების დაცვა უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ზემდგომი ინსტაციის სასამართლოებშიც, თუმცა მოცემულ უფლებათა დაცვა ზემდგომი ინსტანციის სასამართლოებში აღნიშნული ინსტანციის სასამართლოების თავისებურებების გათვალისწინებით უნდა განხორციელდეს.

შემდგომი ისტანციის სასამართლოში ბაჟის საკითხთან დაკავშირებით ევროპულმა სასამართლომ ასევე განმარტა, რომ სააპელაციო წესით საქმის განხილვის თავისებურებებისა და ასევე იმის გათვალისწინებით, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმე არსებითად უკვე განხილულ იქნა, მონაწილე სახელმწიფო უფლებამოსილია სააპელაციო წესით საქმის განხილვის დასაშვებობაზე უფრო მკაცრი შეზღუდვები დააწესოს.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გარდა ზემოაღნიშნულისა, საკუთარი დანიშნულება გან-მარტა და მიუთითა, რომ მის ფუნქციას არ წარმოადგენს ეროვნულ დონეზე კომპეტენტური ორგანოს ნაცვლად მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მაქსიმალურად ეფექტური ზომების განსაზღვრა და არც იმ ფაქტების შეფასება, რომლებიც სასამართლო გადაწყვეტილებას დაედო საფუძვლად. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს როლი მდგომარეობს იმაში, რომ შეამოწმოს კომპეტენტური ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებით დამდგარი შედეგის შესაბამისობა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპულ კონვენციასთან.

ამასთან, სასამართლომ განმარტა ისიც, რომ მის მიერ ფაქტების კვლევა ეფუძნება კონვენციით გათვალისწინებულ პრინციპებს, დაიცვას არა თეორიული, ილუზიური უფლებები, არამედ უზრუნველყოს პრაქტიკული და ეფექტური უფლებების განხორციელება და დაცვა, სწორედ ისეთის, როგორიც დემოკრატიულ საზოგადოებაში, მისი განსაკუთრებული ადგილიდან გამომდინარე, სამართლიანი სასამართლოს უფლებაა.

კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე კრეუცი პოლონეთის წინააღმდეგ (*Kreuz v. Poland*), აღნიშნა, რომ ის ბაჟი

რაც მოცემულ საქმეში ფიზიკურ პირს დაეკისრა, გადაჭარბებულია. სასამართლოს მიერ ბაჟისა-გან გათავისუფლებაზე უარმა კი მოსარჩელე აიძულა უარი ეთქვა სარჩელზე, რის შედეგადაც მო-ცემული საქმე სასამართლო წესით აღარ განხილულა. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფ-ლებათა შესახებ ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი ნაწილით გარანტირებული "სასა-მართლოს ხელმისაწვდომობის" არსი.

სამართალნარმოების ეტაპს განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ადამიანის უფლებათა ევრო-პულმა სასამართლომ საქმეში ბრუალა გომეს დე ლა ტორე ესპანეთის წინააღმდეგ (*Brualla Gomez de la Torre v. Spain*). მოცემულ საქმეში ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ადამი-ანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი ნაწილი დარღვეულად არ მიიჩნია. როგორც საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან ირკვევა, განმცხადებელი აღნიშნულ მუხლს დარ-ღვეულად მიიჩნევდა იმის გამო, რომ მისი საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნა მიჩნეული სა-კასაციო ინსტანციის სასამართლოში. აღნიშნულთან დაკავშირებით ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ უზენაესი სასამართლო, როგორც საკასაციო ინსტანციის სასამართლო, გარკვე-ული თავისებურებებით ხასიათდება, ამიტომ სასამართლოს აღნიშნულ ინსტანციაში განხორცი-ელებული სამართალნარმოება შეიძლება უფრო ფორმალურ ხასიათს ატარებდეს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ სახელმწიფო ბაჟთან დაკავშირებით შექმნილი პრეცედენტული სამართლიდან შესაძლებე-ლია შემდეგი დასკვნის გაკეთება:

1. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო დასაშვებად მიიჩნევს სასამართლო ხელმისაწ-ვდომობაზე გარკვეული შეზღუდვების დაწესებას;
2. შეზღუდვები შეიძლება ატარებდეს ფინანსურ ხასიათს, რაც მოსარჩელისა ან განმცხადებლი-სათვის ბაჟის დაკისრებაში გამოიხატება;
3. სასამართლო ხელმისაწვდომობაზე დაწესებული შეზღუდვა, მათ შორის ფინანსურიც, შესაძ-ლებელია უფრო გამკაცრდეს ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში;
4. სასამართლო ხელმისაწვდომობაზე დაწესებული შეზღუდვა კონვენციის საწინააღმდეგო ხასი-ათს იძენს, თუ აღნიშნული შეზღუდვის შედეგად სამართალნარმოება საერთოდ არ შედგა;
5. თუ საქმე არა ერთმა, არამედ ორმა ინსტანციამ არსებითად განიხილა, ხოლო საკასაციო ინს-ტანციის სასამართლომ იგი დასაშვებობის პირობების დაუკმაყოფილებლობის გამო განუხილ-ველად დატოვა, აღნიშნული არ შეიძლება ჩაითვალოს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებუ-ლი "სასამართლო ხელმისაწვდომობის" უფლების ხელყოფად;
6. შეზღუდვები უნდა ემსახურებოდეს ლეგიტიმურ მიზანს და დაცული უნდა იყოს სამართლიანი ბალანსი გამოყენებულ საშუალებებსა და დასახულ მიზნებს შორის;
7. სასამართლო ხელმისაწვდომობაზე დაწესებული შეზღუდვა, მათ შორის, ფინანსური, არ უნდა იყოს გადაჭარბებული და არაგონივრული.

10. სახელმწიფო პატარა დაკავშირის გით საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის ანალიზი

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 179-ე, 368-ე და 396-ე მუხლების შესაბამისად, სარჩელის, სააპელაციო საჩივრისა და საკასაციო საჩივრის დასაშვებობის ერთ-ერთ წინაპირობას სახელმწიფო ბაჟის გადახდა წარმოადგენს. სახელმწიფო ბაჟის გამოთვლის მექანიზმი დაწვრილებით არის განერილი სამოქალაქო საპროცესო კოდექსა და "ბაჟის შესახებ" საქართველოს კანონში.

რაც შეეხება საქართველოს უზენაეს სასამართლოში ბაჟთან დაკავშირებით დამკვიდრებულ პრაქტიკას, უნდა აღინიშნოს, რომ საკასაციო სასამართლომ, ბაჟის გადაუხდელობის გამო, განუხილველად დატოვებული სააპელაციო საჩივრების საფუძველზე, შემოტანილ კერძო საჩივრებთან დაკავშირებით არა ერთხელ გან-მარტა შემდეგი:

"სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს, მოქალაქის ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ გაათავისუფლოს იგი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდისა-გან. აღნიშნული მუხლის საფუძველზე, ფიზიკური პირის სასამართლო ხარჯების გადახდისაგან განთავისუფლების საკითხის გადაწყვეტისას, სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს მოქალაქის ქონებრივი მდგომარეობა".

კერძო საჩივრის ავტორები საჩივარში განმარტავდნენ, რომ მოპასუხის მხრიდან მიყენებული ზიანის გამო, აღარ გააჩნდათ არავითარი მატერიალური ქონება და, შესაბამისად, საქმეში არსებულ მასალებზე დაყრდნობით, სასამართლოს უნდა გაეთავისუფლებინა სახელმწიფო ბაჟის გადახდი-საგან. აპელანტთა პოზიცია საკასაციო სასამართლომ გაიზიარა, ვინაიდან დადგენილად და უდა-ვოდ მიიჩნია, რომ ხანძრის შედეგად დაიწვა მოსარჩელეთა საცხოვრებელი სახლი და განადგურდა მათი ქონება, შესაბამისად, სასამართლო ვალდებული იყო, სახელმწიფო ბაჟის საკითხის გადაწყ-ვეტისას, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სწორი სამართლებრივი შეფასება მიეცა საქმეში არსებული მასალებისათვის და გაეთვალისწინებინა აპე-ლანტისა და სხვების ქონებრივი მდგომარეობა, მით უმეტეს, რომ აპელანტები ამას სააპელაციო საჩივარ-შივე ითხოვდნენ, ხოლო, როგორც გასაჩივრებული განჩინებიდან ირკვევა, განჩინების გამოტანისას, სასამართლომ არათუ გაითვალისწინა, არამედ საერთოდ არც კი იმსჯელა აპელან-ტთა ფინანსურ მდგომარეობაზე და, შესაბამისად, არ შეაფასა საქმეში არსებული მასალები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატამ გასაჩივრებული განჩინება გააუქმა და საქმე სა-აპელაციო საჩივრის დასაშვებობის ხელახლა შესამოწმებლად სააპელაციო პალატას დაუბრუნა.

სააპელაციო პალატამ განიხილა დავა სესხის დაბრუნების თაობაზე, რომელიც განუხილველი დარჩა ფიზიკური პირის მიერ ბაჟის გადაუხდელობის გამო. საკასაციო პალატამ მხარის მიერ წარ-მოდგენილი მასალების საფუძველზე კერძო საჩივრის ავტორი გადახდისუუნაროდ მიიჩნია და საქ-მე დასაშვებობის ხელახლა შესამოწმებლად სააპელაციო სასასამართლოში დაბრუნა. აღნიშნულ საქმეზე სააპელაციო პალატამ განმარტა:

"საქმის მასალებით დადგენილია, რომ აპელანტმა სააპელაციო პალატას მიმართა სახელმწიფო ბაჟისგან გათავისუფლების მოთხოვნით იმ საფუძვლით, რომ არის აფხაზეთიდან დევნილი, ჰყავს ავადმყოფი დედა და განიცდის უმძიმეს ქონებრივ მდგომარეობას. ამის დასადასტურებლად აპე-

ლანტრა წარმოადგინა წალენჯიხის რაიონის დევნილთა და ლტოლვილთა სამსახურის წარმომადგენლის მიერ გაცემული ცნობა, აგრეთვე წარმოადგინა ქ. ჯვარის აფხაზეთიდან დევნილთა საექიმო ამბულატორიის მთავარი ექიმის მიერ გაცემული ცნობა, რომლის მიხედვით აპელანტის დედა იმყოფება ამბულატორიულ მკურნალობაზე და წალენჯიხის რაიონული პროკურორის თანაშემნის 2004 წლის 5 აპრილის დადგენილება სისხლის სამართლის საქმის აღმდვრაზე უარის თქმის შესახებ, რომლის თანახმად, აპელანტი მიეკუთვნება უმწეო ფენათა კატეგორიას". ასევე დადგენილია, სააპელაციო პალატის განჩინებით სააპელაციო საჩივარი სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობის გამო დარჩა განუხილველად, ისე, რომ სააპელაციო სასამართლომ არ იმსჯელა აპელანტის სახელმწიფო ბაჟისაგან გათავისუფლების შუამდგომლობაზე. აღნიშნულ შუამდგომლობაზე სააპელაციო სასამართლომ იმსჯელა იმ განჩინებაში, რომლითაც სააპელაციო საჩივარი განუხილველი დარჩა შუამდგომლობის უსაფუძვლობისა და მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის დამადასტურებელი სარწმუნო დოკუმენტის წარმოუდგენლობის მოტივით.

საკასაციო პალატამ განჩინების სამოტივაციო ნაწილში განმარტა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განსაზღვრულია საპროცესო მოქმედებების შესრულების დრო და თანმიმდევრობა, რომლის დაცვასაც შესაბამისი სამართლებრივი შედეგები უკავშირდება. აღნიშნული კოდექსის 368-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სახელმწიფო ბაჟი გადახდილ უნდა იქნეს სააპელაციო საჩივრის შეტანისთანავე. ამავე კოდექსის 47-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სასამართლოს, მოქალაქის ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, შეუძლია, მთლიანად ან ნაწილობრივ გაათავისუფლოს იგი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავე კოდექსის 368-ე და 374-ე მუხლების თანახმად, თუკი სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ესა თუ ის პირობა არ არსებობს და სააპელაციო საჩივარში ხარვეზი არ არის აღმოფხვრილი, სააპელაციო სასამართლო განუხილველად ტოვებს საჩივარს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 64-ე მუხლის თანახმად კი, სასამართლოს მიერ დანიშნული ვადა სასამართლომ შეიძლება გააგრძელოს მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით.

აქედან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აპელანტის შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების შესახებ სააპელაციო სასამართლომ უნდა განიხილოს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხის შემოწმების სტადიაზე და განხილვის შედეგის გათვალისწინებით გადაწყვიტოს, გაათავისუფლოს აპელანტი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან და სააპელაციო საჩივარი მიიღოს განსახილველად, თუ არ დააკმაყოფილოს შუამდგომლობა და აპელანტს გაუგრძელოს ხარვეზის შევსების ვადა, რაც უნდა ეცნობოს აპელანტს, შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს ჯერ უნდა ემსჯელა აპელანტის სახელმწიფო ბაჟისაგან გათავისუფლების შუამდგომლობაზე და მხოლოდ მას შემდეგ, თუკი არ დააკმაყოფილებდა შუამდგომლობას, უნდა გაეგრძელებინა აპელანტისათვის ხარვეზის შევსების ვადა, ხოლო სააპელაციო საჩივარი განუხილველად უნდა დაეტოვებინა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აპელანტისათვის ცნობილი გახდებოდა მისი შუამდგომლობის განხილვის შედეგი და მიუხედავად ამისა, დანიშნულ ვადაში არ შეავსებდა ხარვეზს. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟისაგან გათავისუფლების შესახებ შუამდგომლობის მხოლოდ სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების ეტაპზე განხილვამ აპელანტს, ფაქტობრივად, წართვა უფლება, სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების სტადიაზე, საჩივრის განუხილველად დატოვებამდე სცოდნოდა თავისი შუამდგომლობის განხილვის შედეგი, ამ ეტაპზე გადაეხადა სახელმწიფო ბაჟი და თავიდან აეცილებინა სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვება.

საკასაციო სასამართლომ მოცემულ საქმეზე მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საკითხი სააპელაციო სასამართლომ გადაწყვიტა ამისათვის მნიშვნელობის მქონე წინარე საკითხების თანმიმდევრული გარკვევის გარეშე, რამაც არსებითი გავლენა მოახდინა სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვებაზე. ამასთან, საკასაციო პალატამ ჩათვალა, რომ სააპელაციო სასამართლომ არ მისცა სათანადო სამართლებრივი შეფასება აპელანტის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებს და არასაკმარისად დასაბუთა გადაწყვეტილება სახელმწიფო ბაჟისგან აპელანტის გათავისუფლებაზე უარის თქმის შესახებ.

ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატამ გასაჩივრებული განჩინება გააუქმა და საქმე სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ხელახლა შესამოწმებლად სააპელაციო პალატას დაუბრუნა.

მნიშვნელოვანია საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის განმარტება კიდევ ერთ კერძო საჩივართან დაკავშირებით. მოცემულ საქმეში, როგორც საქმის მასალებით ირკვევა, სააპელაციო პალატის განჩინებით აპელანტს დაუდგინდა ხარვეზი, კერძოდ, სახელმწიფო ბაჟის გადახდა და განესაზღვრა ვადა მის გამოსასწორებლად. აპელანტმა ხარვეზი არ გამოასწორა სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში და განცხადებით მოითხოვა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლება; სააპელაციო სასამართლოს განჩინებით აპელანტს განემარტა, რომ მის მიერ მითი-თებული გარემოება, უმუშევრობისა და ოჯახური მდგომარეობის შესახებ, ვერ გახდებოდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47-ე მუხლით გათვალისწინებული სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების საფუძველი. მან არ შეავსო ხარვეზი და არ გადაიხადა სახელმწიფო ბაჟი სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში, ამიტომ სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი დაუშვებლობის გამო. აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო პალატამ განმარტა შემდეგი:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს, მოქალაქის ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ გაათავისუფლოს იგი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამ ნორმიდან გამომდინარე, სასამართლომ მოქალაქის სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებისას პირველ რიგში მხედველობაში უნდა მიიღოს მოქალაქის ქონებრივი მდგომარეობა. როგორც საქმეში წარმოდგენილი აპელანტის განცხადებებიდან ირკვევა, მან მოითხოვა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლება ან განაწილვადება იმ საფუძვლით, რომ არის უმუშევარი და ჰყავს არასრულნლოვანი შვილები, შესაბამისად წარმოადგინა უმუშევრობის დამადასტურებელი ცნობა. მიუხედავად ამისა, სააპელაციო პალატის განჩინებით მისი მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა. აპელანტმა კვლავ მიმართა სასამართლოს განცხადებით და მოითხოვა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლება ან სახელმწიფო ბაჟის გადადება იმ საფუძვლით, რომ არის უმუშევარი, ჰყავს ასევე უმუშევარი მეუღლე და ორი არასრულნლოვანი შვილი, არანაირი ქონებრივი შემოსავალი არ გააჩნია. საქმეში წარმოდგენილია აღნიშნულის დამადასტურებელი ცნობები. საკასაციო პალატამ მოცემულ საქმესთან დაკავშირებით მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47-ე და 48-ე მუხლების შესაბამისად არ განიხილა აპელანტის მიერ წარმოდგენილი განცხადებები, მხედველობაში არ მიიღო მის მიერ მითითებული გარემოებები. მართალია, აპელანტს სააპელაციო სასამართლომ განუმარტა, რომ მის მიერ მითითებული გარემოებები, კერძოდ, მისი და მისი მეუღლის უმუშევრობა, ასევე არასრულნლოვანი შვილების ყოლა ვერ გახდებოდა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების

საფუძველი, მაგრამ არ დაუსაბუთებია, თუ რატომ არ ჩათვალა აპელანტის მიერ მითითებული გარემოებები სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47-48-ე მუხლებით გათვალისწინებულ სახელმწიფო ბაჟისგან გათავისუფლების ან გადადების საფუძვლად.

საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ საპელიტიო სასამართლოს უნდა დაესაბუთებინა, კერძო საჩივრის ავტორის მიერ მითითებული გარემოებები რატომ ვერ იქნება მიჩნეული მისი მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძვლად.

საქართველოს უზენაესი სასამართლო სასამართლო ხელმისაწვდომობის უფლების დაცვას თანაბრად უზრუნველყოფს, როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირების მიმართ. აღნიშნული მსჯელობის ნათელი მაგალითია საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებული განჩინება, რომლითაც საპელიტიო სასამართლოს ის განჩინება გაუქმდა, რომლითაც ერთ-ერთი იურიდიული პირის შუამდგომლობები არ იქნა გათვალისწინებული ბაჟის გადახდის გადავადების ან განაწილვადების თაობაზე და საპელიტიო საჩივარი განუხილველი დარჩა. მოცემულ საქმეზე საქართველოს უზენაესი სასამართლო დაეყრდნო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას და განმარტა შემდეგი:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამარ-თლოს მოქალაქის ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ გაათავისუფლოს იგი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავე კოდექსის 48-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს მხარეთა ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, შეუძლია ერთ ან ორივე მხარეს გადაუდოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდა ანდა შემციროს ამ ხარჯების ოდენობა. ამდენად, სასამართლო ხარჯების გადახდისაგან სასამართლომ შეიძლება გაათავისუფლოს მხოლოდ ფიზიკური და არა იურიდიული პირი. იურიდიული პირის მიმართ დასაშვებია მხოლოდ სასამართლო ხარჯების გადახდის გადადება ან მათი ოდენობის შემცირება. თუ არ არსებობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 49-ე მუხლით გათვალისწინებული მოსამართლის მოვალეობა მხარეებისათვის სახელმწიფო ბაჟის ოდენობის შემცირების თაობაზე, მაშინ სასამართლო ხარჯების გადახდის გადადება და მათი ოდენობის შემცირება სასამართლოს მიხედულებაზეა დამოკიდებული. სასამართლო მიხედულების ჩამოყალიბების საფუძველს კი მხარეთა ქონებრივი მდგომარეობა წარმოადგენს. ამდენად, მოსამართლეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, სახელმწიფო ბაჟის საკითხის გადაწყვეტისას, ეკისრება მხარეთა ქონებრივი მდგომარეობის ამსახველი ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლა, რათა მოსამართლემ თავისი უფლების განხორციელებისას, დააკმაყოფილოს ან არ დააკმაყოფილოს მხარის მოთხოვნა სასამართლო ხარჯების გადახდის გადადების ან მათი ოდენობის შემცირების თაობაზე, არ ხელყოს სამართლიანი ბალანსი სახელმწიფოს ინტერესებსა (მიღლოს სასამართლო ბაჟი) და მოქალაქის ინტერესებს (შეიტანოს სარჩელი სასამართლოში) შორის. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში - "იედამსკი და იედამსკა პოლონეთის წინააღმდეგ" (უედამსკი ანდ უედამსკა ვ. Pოლანდ) განმარტა, რომ სასამართლოსათვის მიმართვის უფლება არ წარმოადგენს აბსოლუტურ უფლებას, შესაბამისად, სახელმწიფოს უფლება აქვს დაადგინოს შეზღუდვები სარჩელის სასამართლო წარმოებაში მიღებასთან დაკავშირებით, თუმცა, სასამართლო დარწმუნებული უნდა იყოს, რომ შეზღუდვების ამა თუ იმ კონკრეტული გზით ან ოდენობის გამოყენებით არ მოხდება სასამართლოსათვის მიმართვის უფლების არსის ხელყოფა. გარდა ამისა, სასამართლომ აღნიშნულ საქმეში ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ სასამართლოს ხელმისაწვდომობაზე სახელმწიფოს მიერ

დაწესებული შეზღუდვები არ იქნება შესაბამისობაში ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველ პუნქტან, თუ სასამართლო ხელმისაწვდომობაზე დაწესებულ შეზღუდვებსა და შეზღუდვების განხორციელების ლეგიტიმურ მიზანს შორის არ იქნება დაცული სამართლიანი ბალანსი. სასამართლომ აღნიშნულ საქმეში, ასევე, მიუთითა, რომ ბაჟის ოდენობის განსაზღვრისას სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს კონკრეტული საქმის გარემოებები, მხარის გადახდისუნარიანობა და სასამართლო სამართალწამოების ეტაპი.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ სამართალწარმოების ეტაპზე ყურადღება გაამახვილა საქმეში "პოდბელსკი და პპუ პოლონეთის წინააღმდეგ" (*Podbielski and PPU Polpure v. Poland*), სადაც სასამართლომ აღნიშნა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ფუნდამენტური გარანტიები ვრცელდება, ასევე სააპელაციო სასამართლოზეც და კონვენციის მონაწილე სახელმწიფომ, რომელსაც სასამართლო სისტემის ფარგლებში სააპელაციო ინსტანცია გააჩნია, უნდა უზრუნველყოს მხარეთათვის მე-6 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ყველა ფუნდამენტური გარანტიის დაცვა.

როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, აპელანტმა გადაიხადა სახელმწიფო ბაჟის ნაწილი, ხოლო დარჩენილი თანხის გადახდის გადადება ითხოვა პროცესის დასრულებამდე. აღნიშნული მოთხოვნის საფუძვლად კი იმ ფინანსურ სიძნელეების ამსახველ არა ერთ დოკუმენტზე მიუთითა, რაც მტკიცებულებების სახით, როგორც სააპელაციო, ისე საკასაციო ინსტანციაში წარადგინა. საკასაციო პალატამ, ბაჟის გადაუხდელობის გამო, სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების განჩინება გააუქმა იმ საფუძვლით, რომ სააპელაციო პალატას სახელმწიფო ბაჟის საკითხის გადაწყვეტისას აღნიშნული მასალების ყოველმხრივი სამართლებრივი შეფასება და მხარის ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინება ევალებოდა .

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს უზენაესი სასამართლო, რომელიც საქართველოში საკასაციო ინსტანციის სასამართლოა და რომელიც საქართველოში სამართლის განვითარებასა და ერთგვაროვანი პრაქტიკის დანერგვას ემსახურება, ბაჟის თაობაზე მის მიერ მიღებულ ყველა განჩინებასა თუ გადაწყვეტილებაში ცალსახად ამტკიცებს ბაჟის საკითხის გადაწყვეტის აუცილებლობას მხარის ფინანსური მდგომარეობის ყოველმხრივი და ობიექტური შეფასების საფუძველზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს კანონმდებლობისა და საქართველოს უზენაეს სასამართლოში დამკვიდრებული პრაქტიკის შესაბამისად, ბაჟთან დაკავშირებული საკითხები განიხილება შემდეგ ძირითად პრინციპებზე დაყრდნობით:

1. "სასამართლო ხელმისაწვდომობის" უფლების დაცვა თანაბრად უზრუნველყოფილია, როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირებისათვის;
2. ბაჟისაგან გათავისუფლება, ბაჟის გადახდის გადადება ან მისი ოდენობის შემცირება ხდება მხარეთა შუამდგომლობის საფუძველზე;
3. ბაჟისაგან გათავისუფლების, ბაჟის გადახდის გადადების ან მისი ოდენობის შემცირების თაობაზე მხარეთა მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობა უნდა იყოს დასაბუთებული. დასაბუთებულ შუამდგომლობას თან უნდა ერთვოდეს იმ ფაქტების დამადასტურებელი მტკიცებულებები, რომელ ფაქტებსაც შუამდგომლობა ეფუძნება;

-
4. სასამართლოს წარმოდგენილი მასალების ყოველმხრივი, სამართლებრივი შეფასება და მხარის ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინება ევალება;
5. მხარეს უფლება აქვს, ხარვეზისათვის მიცემულ ვადაში მტკიცებულებათა წარმოდგენის შეუძლებლობის შემთხვევაში, შუამდგომლობით მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს ხარვეზის ვადის გაგრძელება.

სამოქალაქო სამართლის საქმეებზე სასარჩელო ხანდაზმულობასთან დაკავშირებული სასამართლო პრაქტიკის განზოგადების შედეგები

საქართველოს უზენაეს სასამართლოში განხორციელდა სამოქალაქო სამართლის საქმეებზე სასარჩელო ხანდაზმულობასთან დაკავშირებული სასამართლო პრაქტიკის განზოგადების შედეგები მნიშვნელოვან როლს შეასრულებენ მაგისტრატი მოსამართლის საქმიანობაში და სწორი და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბაბაში.

ნაცილი ॥

თავი I. სამოქალაქო სამართლის საქმეებზე სასარჩელო

ხანდაზმულობასთან დაკავშირებული სასამართლო

პრატიკის განზოგადების შეღებები

I

სასარჩელო ხანდაზმულობაში იგულისხმება დრო, რომლის განმავლობაშიც პირს, ვისი უფლებებიც დარღვეულია, შეუძლია მოითხოვოს თავისი უფლების იძულებით განხორციელება ან დაცვა.

აღნიშნული შესაძლებლობის დროში შეზღუდვა რამდენიმე ფაქტორითაა განპირობებული:

1. სასარჩელო ხანდაზმულობა უადვილებს სასამართლოს ფაქტობრივი გარემოებების დადგენას და ხელს უწყობს დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღებას;
2. სასარჩელო ხანდაზმულობა მიმართულია სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის დაცვისაკენ, არიდებს რა მის მონაწილეებს იმ გაუგებრობას, რაც აუცილებლად წარმოიშობოდა სამოქალაქო სამართლის დამრღვევ პირს დიდი ხნის მანძილზე თუ დავაყენებდით სახელმწიფო იძულების ღონისძიების გამოყენების რისკის ქვეშ;
3. დარღვეული უფლების დასაცავად ხანგრძლივი დროის მანძილზე ზომების მიუღებლობა, როგორც წესი, მეტყველებს იმაზე, რომ დაზარალებული ან არ არის საკმარისად დაინტერესებული თავისი უფლების განხორციელებით, ან არ არის დარწმუნებული მოთხოვნის საფუძვლიანობაში;
4. სასარჩელო ხანდაზმულობა ხელს უწყობს გარიგებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას, თავიანთი უფლებების რეალიზაციის თვალსაზრისით, სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეების აქტიურობის სტიმულირებას ახდენს, აგრეთვე ადლიერებს ორმხრივ კონტროლს ვალდებულების შესრულებაზე.

სიტყვა "ხანდაზმულობა" სამოქალაქო სამართალში გამოხატავს აზრს, რომ რომელიმე ურთიერთობას, მდგომარეობას, მოვლენას ადგილი ჰქონდა იმდენად დიდი ხნის წინ, რომ ხანგრძლივი დროის გასვლა გალენას ახდენს პირთა უფლებებსა და ვალდებულებებზე.

გასათვალისწინებელია, რომ კანონი ითვალისწინებს გარკვეულ სამართლებრივ ურთიერთობს, რომლებზეც ხანდაზმულობის ვადები არ ვრცელდება. კერძოდ, სამო-

ქალაქო კოდექსის 128-ე მუხლის მიხედვით, ხანდაზმულობის ვადა არ ვრცელდება:

- პირად არაქონებრივ უფლებებზე, თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;
- მეანაბრეთა მოთხოვნაზე ბანქსა და სხვა საკრედიტო დაწესებულებაში შეტანილი ანაბრების გამო.

კომენტარებში გამოთქმული მოსაზრების მიხედვით, პირად არაქონებრივ უფლებებზე ხანდაზმულობის ვადის გაუვრცელებლობის ერთადერთი მიზეზი არის ის, რომ ამ შემთხვევაში სამოქალაქო ბრუნვის ინტერესების ხელყოფა არ ხდება. რაც შეეხება მეანაბრების უფლებებს, მათზე სასარჩელო ხანდაზმულობა იმის გამო არ ვრცელდება, რომ კანონმდებელს სურს დამატებითი გარანტიებით უზრუნველყოს მეანაბრები, რაც თავის მხრივ, გაზრდის თავისუფალი თანხების საბანკო ანგარიშებზე განთავსების მიმზიდველობას. აქვეა გამოთქმული მოსაზრება, რომ თეორიული თვალსაზირისით, აღნიშნული ნორმა გამართლებული არაა. მისი არსი ისაა, რომ მენაბრეს მის მიერ ანაბარზე განთავსებული თანხის მოთხოვნა შეუძლია ნებისმიერ დროს, მიუხედავად მისი განთავსების ხანგრძლივობისა, მაგრამ ამ შემთხვევაში, მეანაბრის უფლებას არავინ ხელყოფს. საკითხი აქტუალური მხოლოდ იმ შემთხვევაში ხდება, თუ ბანკი უარს ამბობს ანაბრის დაბრუნებაზე. ამ შემთხვევაში მეანაბრის მოთხოვნაზე ხანდაზმულობის ვადის ჩვეულებრივად გავცელება სრულიად ნორმალური იქნებოდა.

სასარჩელო ხანდაზმულობის საკითხი წარმოიშობა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს სამოქალაქო სამართლებრივი უფლების, ინტერესის ან თავისუფლების დარღვევა. თუ დარღვევა არ არსებობს, დასაცავი არაფერია.

ხანდაზმულობის საერთო ვადა ათი წელია. საერთო ვადა ყველა იმ სამართლებრივ ურთიერთობაზე ვრცელდება, რომლის მიმართაც კანონმდებლობით სპეციალური ვადები არაა დადგენილი. სასარჩელო ხანდაზმულობის სპეციალური ვადები მხოლოდ ნორმატიულად განისაზღვრება. ხანდაზმულობის სპეციალური ვადები შეიძლება იყოს შემოკლებული ან პირიქით, უფრო ხანგრძლივი, ვიდრე საერთო ვადაა. მაგალითად, სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მიხედვით, სახელშეკრულებო მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა სამ წელს შეადგენს, ხოლო უძრავ ნივთებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო მოთხოვნებისა - ექვს წელს. პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულების მიმართ ასევე დაწესებულია სამწლიანი ხანდაზმულობის ვადა. სამოქალაქო კოდექსის 920-ე მუხლის მიხედვით კი, ფასიანი ქალალდებიდან გამომდინარე მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა ოცდაათი წელია, დოკუმენტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ვადის დადგომიდან. სპეციალური ვადების მიმართ მოქმედებს ხანდაზმულობის შესახებ ზოგადი წესები, თუმცა კანონით შესაძლებელია მათ მიმართ განსხვავებული წესების შემოღება.

დაუშვებელია მხარეთა შეთანხმებით კანონისაგან განსახვავებული ვადების, მათი გამოთვლის, ვადის დენის შეჩერების ან შეწყვეტის წესების დადგენა. მხარეთა შეთანხმება, რომ მათი სამართლებრივი ურთიერთობის მიმართ არ გავრცელდება ხანდაზმულობის ვადა ან პირობა, რომ მხარე სასამართლოს წინაშე არ განაცხადებს მოთხოვნის ხანდაზმულობის შესახებ, ბათილია.

ვინაიდან ხანდაზმულობა არის დარღვეული უფლების იძულებით დაცვის ვადა, იგი მჭიდროდაა დაკავშირებული სარჩელის უფლებასთან. გავრცელებული მოსაზრების მიხედვით, სარჩელის უფლება თავის თავში ორ უფლებამოსილებას მოიცავს - სარჩელის აღძვრის და სარჩელის დაკმაყო-

ფილების. სარჩელის აღძვრის უფლება, რომელსაც ხშირად სარჩელის პროცესუალურ უფლებას უწოდებენ, არის პირის უფლება მოითხოვოს სასამართლოსაგან დავის განხილვა და მისი დადგენილი პროცედურის შესაბამისად გადაწყვეტა. აღნიშნული უფლების განხორციელების წესები და პირობები საპროცესო კანონმდებლობითაა დადგენილი.

სარჩელის პროცესუალური უფლება არ არის დამოკიდებული სასარჩელო ხანდაზმულობის გასვლაზე. ხანდაზმულობის ვადის გასვლა კი არ აქარნყლებს ვალდებულებას, არამედ არსებულ მოთხოვნას განუხორციელებლად აქცევს, ამდენად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით უზრუნველყოფილი სასამართლოსადმი მიმართვის უფლება არ ვრცელდება მხოლოდ არა-ხანდაზმულ მოთხოვნებზე. სასამართლოსადმი ხანდაზმული მოთხოვნით მიმართვა დასაშვებია, თუმცა აღნიშნულის ქვეშ არ იგულისხმება სამოქალაქო საპროცესო ნორმები, რომლებიც ეხება საჩივრის გარკვეულ ვადაში წარდგენის აუცილებლობას.

სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის გასვლა გავლენას ახდენს მხოლოდ მატერიალური სარჩელის ანუ სარჩელის დაკმაყოფილების უფლებაზე.

გასათვალისწინებელია, რომ მატერიალური სარჩელის უფლება ხანდაზმულობის ვადის გასვლასთან ერთად ავტომატურად არ ქარნყლდება. ამისათვის დაინტერესებულმა პირმა სასამართლოს უნდა განუცხადოს მოთხოვნის ხანდაზმულობის შესახებ და ამ საფუძვლით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვოს.

აღნიშნულთან დაკავშირებით საყურადღებოა რამდენიმე გარემოება:

1. სასამართლო არ არის უფლებამოსილი თავისი ინიციატივით გამოიკვლიოს ხანდაზმულობის საკითხი. ამის შესახებ დაინტერესებულმა პირმა უნდა მიუთითოს. აღნიშნული მომდინარეობს მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპიდან, თუ ერთ მხარეს ენიჭება დარღვეული უფლების სასამართლო წესით დაცვის შესაძლებლობა, მეორე მხარე უფლებამოსილია, გამოიყენოს ნებისმიერი სამართლებრივი მექანიზმი მოწინააღმდეგე მხარის პოზიციის გასაქარნყლებლად, ხოლო სასამართლოს მხრიდან ხანდაზმულობის ვადაზე მითითებით, ილახება მხარის უფლება, ვინაიდან აღნიშნული ეწინააღმდეგება როგორც უფლების სასამართლო წესით დაცვის შესაძლებლობას, ასევე შეჯიბრებითობის პრინციპს. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ სასამართლოს აბსოლუტურად პასიური პოზიცია უჭირავს ხანდაზმულობასთან დაკავშირებულ ყველა საკითხებთან მიმართებით. სასარჩელო ხანდაზმულობის გამოთვლის წესს სწორედ სასამართლო ადგენს, მაგალითად, თუ საქმის გარემოებებიდან ირკვევა, რომ ხანდაზმულობის ვადის დენა შეწყვეტილი იყო, სასამართლომ გადაწყვეტილება აღნიშნულის გათვალისწინებით უნდა მიიღოს, თუნდაც მხარე ამ საკითხის არ აყენებდეს.
2. პროცესუალური თვალსაზირისით მნიშვნელოვანია იმის გარკვევა თუ ვინ ითვლება დაინტერესებულ მხარედ, რომელსაც სასამართლოსათვის სასარჩელო ხადნაზმულობის შესახებ განცხადება შეუძლია. დავის მხარე, რომლესაც ხანდაზმულობის საკითხის წამოჭრის უფლება აქვს, არის პირი, რომლისკენაც მოსარჩელის მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნა უშუალოდაა მიმართული, ან პირი, რომლის ინეტესებზეც ხანდაზმული მოთხოვნის დაკმაყოფილება ნებატიურ გავლენას მოახდენს, ამიტომ, თუ ხანდაზმულობის საკითხს მოსარჩელე აყენებს (მაგალითად ითხოვს ხანდაზმულობის ვადის აღდგენას, ან სარჩელში უთითებს, რომ ვადის დენა შეჩერებული იყო), სასამართლო არ არის უფლებამოსილი მოთხოვნა ხანდაზმულად მიიჩნიოს.

3. თუ საქმეში მოპასუხის სტატუსით რამდენიმე პირია ჩართული, ხოლო მოთხოვნის ხანდაზმულობის შესახებ მხოლოდ ერთ-ერთი მათგანი აცხადებს, სასამართლოს დადგენილება ხანდაზამულობის შესახებ არ ვრცელდება დანარჩენ მოპასუხეებზე. აღნიშნული არ ეხება სავალდებულო თანამონაწილეობას (მაგ. სოლიდარულ მოვალეებს).
4. სასარჩელო ხანდაზმულობის შედეგი პროცესუალური ხასიათის უფროა, ვიდრე მატერიალური, რადგან ხანდაზმულობა არის სარჩელისაგან თავის დაცვის ერთ-ერთი ფორმა და თავის-თავად მოთხოვნის გაქარწყლებას არ იწვევს. "სასარჩელო ხანდაზმულობის შესახებ კანონმდებლობა ადგენს საშუალებას და არა უფლებას, ამასთან ხანდაზმულობას არ აქვს ეფექტი, მხარის მითითების გარეშე" (Ronex Properties v John Laing Construction, UK). სწორედ აღნიშნულიდან გამომდინარე, ხანდაზმულობა განიხილება, როგორც საქმის ფეტობრივი გარემოება. მხარე კი, საპროცესო კანონმდებლობით შეზღუდულია მიუთითოს ახალი ფაქტებისა და მტკიცებულებების შესახებ ზემდგომ ინსტანციებში, ამდენად მიჩნეულია, რომ ხანდაზმულობის საკითხის დაყენება შესაძლებელია მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოში. მოთხოვნის ხანდაზმულობის შესახებ მითითება პირველად სააპელაციო ან საკასაციო ინსტანციაში ისევე დაუშვებელია, როგორც ახალ ფაქტებსა და გარემოებებზე მითითება.
5. რაიმე ფორმა სარჩელის ხანდაზმულობის შესახებ განცხადებისათვის დადგენილი არ არის, ამდენად იგულსხმება, რომ ამგვარი განცხადების გაკეთება შესაძლებელია როგორც წერილობით, ისე ზეპირად, მთავარია, მოპასუხის მოქმედებიდან ნათლად იკვეთებოდეს მისი სურვილი თავისი ინტერესები მოთხოვნის ხანდაზმულობაზე მითითების გზით დაიცვას.

სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის დენის დაწყება დაკავშირებულია სუბიექტურ ფაქტორთან, ანუ იმ მომენტთან, როცა დაზარალებულმა შეიტყო ან უნდა შეეტყო თავისი უფლების დარღვევის შესახებ, ამასთან, ივარაუდება, რომ მან დარღვევის განხორცილებისთანავე შეიტყო აღნიშნულის შესახებ. საწინააღმდეგოს მტკიცების ტვირთი მოსარჩელეს აწევს, ამასთან, აღსანიშნავია, რომ ზოგ შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადის დენის დაწყების მომენტი კანონით პირდაპირაა დაფიქსირებული, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 699-ე მუხლის მიხედვით, ხანდაზმულობის ვადის დენა იწყება ტვირთის მთლიანად დაკარგვისას - გადაზიდვის შეთანხმებული ვადის გასვლის 30-ე დღეს, ან თუ ასეთი ვადა დათქმული არ ყოფილა - გადამზიდველის მიერ ტვირთის მიღებიდან მე-60 დღეს. კანონით გათვალისწინებულის გარდა, სხვა გარემოებები სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის დენის დაწყებაზე გავლენას არ ახდენს. იმის არ ცოდნა, თუ ვინ არის მოვალე, ან თუ მისი ადგილსამყოფელი უცნობია, სარჩელის წარდგენასთან ან მტკიცებულებების შეგროვებასთან დაკავშირებული სირთულეები გავლენას არ ახდენს ხანდაზმულობის ვადის დენის დაწყებაზე. თუ დადგინდება, რომ პირმა თავისი დაუდევრობის გამო უფლების დარღვევის შესახებ ვერ გაიგო, ხანდაზმულობის ვადის ათვლა იმ მომენტიდან დაიწყება, როცა, საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, პირს უფლების დარღვევის შესახებ უნდა შეეტყო.

თუ ვალდებულება გულისხმობდა გარკვეული მოქმედების შესრულებას გარკვეულ დროს, სასარჩელო ხადაზმულობის ვადის დენა იწყება სწორედ ამ დროიდან, რადგანაც კრედიტორი სწორედ ამ დროს იგებს თავისი უფლების დარღვევის შესახებ. როდესაც ვალდებულების შესრულების დრო განსაზღვრული არაა, სასარჩელო ხადაზმულობის ვადის დენა გონივრული ვადის გასვლის შემდეგ იწყება.

როდესაც ვალდებულების შესრულება განსაზღვრულია კრედიტორის მოთხოვნის მომენტით, ხანდაზმულობის ვადის დენა იწყება მოვალისათვის შესასრულებლად მიცემული დროის გასვლის-

თანავე, თუ კანონით, მხარეთა შეთანხმებით ან, ჩვეულებრივი კომერციული ურთიერთობიდან გამომდინარე, გათვალისწინებული არაა ვალდებულების სხვა დროში შესრულება, მაგალითად, მიბარების ხელშეკრულებიდან გამომდინარეობს, რომ მოვალე მიბარებული ნივთი მიმბარებლის მოთხოვნისთანავე უნდა დააბრუნოს, რაიმე დამატებითი ვადის დაწესების გარეშე. შესაბამისად, სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის დენა მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობისთანავე დაიწყება.

თუ მოვალის ვალდებულება რამდენიმე მოქმედების განხორციელებას გულისხმობს, სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის დენა თითოეული მოთხოვნის მიმართ ცალ-ცალკე იწყება.

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ვალდებულებით ურთიერთობაში მოვალის ან კრედიტორის შეცვლა, გავლენას არ ახდენს ხანდაზმულობის ვადის დენაზე, ანუ არ იწვევს მისი ხანგრძლივობის შეცვლას ან დენის შეჩერებას. საკითხის სხვაგვარად მოწესრიგება წინააღმდეგობაში მოვიდოდა ხანდაზმულობის ინსტიტუტის შემოღების მიზნებთან, ამდენად, ყველა მოქმედება, რომელიც განხორციელებულია უფლებამონაცვლეობამდე, თავის იურიდიულ მნიშვნელობას ინარჩუნებს.

სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერების არსი არის ის, რომ დრო, რომლის განმავლობაშიც არსებობდა კანონით გათვალისწინებული გარემოებები, რომლებიც ხელს უშლიდა პირის უფლების დაცვას, არ ჩაითვლება კანონით გათვალისწინებულ ხანდაზმულობის ვადაში. როგორც კი აღნიშნული გარემოებები აღმოიფხვრება, ხანდაზმულის ვადის ათვლა გაგრძლება და მასში ჩაითვლება მის შეჩერებამდე გასული დრო.

სამოქალაქო კოდექსით ამომწურავადაა დადგენილი ის გარემოებები, რომლებიც ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერებას იწვევს, კერძოდ, საარჩელო ხანდაზმულობის ვადის დენა შეჩერება, თუ:

- ვალდებულების შესრულება გადავადებულია საქართველოს მთავრობის მიერ (მორატორიუმი);
- სარჩელის წარდგენას აბრკოლებს განსაკუთრებული და მოცემულ პირობებში აუცდენელი დაუძლეველი ძალა;
- კრედიტორი ან მოვალე იმყოფება შეიარაღებული ძალების იმ ნაწილში, რომელიც გადაყვანილია საომარ მდგომარეობაში;

ცნება "დაუძლეველი ძალა" მოიცავს როგორც სტიქიურ უბედურებას, ისე საზოგადოებრივ მოვლენებს (სამოქალაქო ომი), რომლებიც არღვევენ ტრანსპორტის, სასამართლოსა და სხვა ორგანოების ნორმალური მუშაობის რეჟიმს. იმისათვის, რომ ესა თუ ის მოვლენა დაუძლეველ ძალად დაკვალიფირდეს, იგი, უპირველეს ყოვლისა, უჩვეულო უნდა იყოს, ანუ მოვლენათა ნორმალური მსვლელობიდან ამოვარდნილი და, როგორც წესი, წინასწარ გაუთვალისწინებელი. გარდა ამისა, ასეთი მოვლენა ობიექტურად შეუქცევადი უნდა იყოს, მისი შეჩერება კონკრეტულ სიტუაციაში არსებული ტექნიკური და სხვა საშუალებებით შეუძლებელი უნდა იყოს. აღნიშნული მეტყველებს დაუძლეველი ძალის ფარდობით ხასიათზე, რადგანაც ის, რისი შეჩერებაც ერთ შემთხვევაში შეუძლებელია, შეიძლება აღკვეთილ იქნეს სხვა პირობებში. ამდენად, კონკრეტული გარემოების დაუძლეველ ძალად კვალიფიკაცია უნდა ემყარებოდეს გარკვეულ ცხოვრებისეულ გამოცდილებას.

დაუძლეველი ძალისაგან მორატორიუმი იმით განსხვავდება, რომ ქმნის არა ფიზიკურ, არამედ იურიდიულ დაბრკოლებას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული გარემოებები ყოველთვის არ იწვევს ხანდაზმულობის ვა-დის დენის შეჩერებას. სამოქალაქო კოდექსის 136-ე მუხლის მიხედვით, ხანდაზმულობის ვადა ჩერდება იმ შემთხვევაში, თუ ზემოაღნიშნული საფუძვლები წარმოიშვა ან განაგრძობდა არსებო-ბას ხანდაზმულობის ვადის უკანასკნელი ექვსი თვის ფარგლებში, ხოლო თუ ხანდაზმულობის ვა-და ექვს თვეზე ნაკლებია - ხანდაზმულობის ვადის განმავლობაში.

ყველა ზემომითითებული საფუძველი ეხებოდა ისეთ შემთხვევებს, როცა პირის მიერ თავისი უფ-ლების განხორციელებას გარკვეული, მისგან დამოუკიდებელი მიზეზები აბრკოლებს. სამოქალა-ქო კოდექსით ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერების სხვა საფუძვლებიცაა გათვალისწინებული, რომლებიც არაა დაკავშირებული პირის მიერ სარჩელის წარდგენის ფიზიკურ ან იურიდიულ შე-უძლებლობასთან, მაგალითად, მეუღლეთა შორის მოთხოვნებზე ხანდაზმულობის ვადის დენა ჩერდება ქორწინების არსებობის მანძილზე (ს.კ.-ის 133-ე მუხლი). იგივე წესი მოქმედებს მშობლებ-სა და შვილებს შორის მოთხოვნებზე, ბავშვების სრულწლოვანების დადგომამდე, აგრეთვე მეურ-ვეებსა და სამეურვეო პირებს შორის მოთხოვნებზე მეურვეობის მთელი პერიოდის მანძილზე. მოცემულ შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადის დენა ჩერდება არა იმის გამო, რომ პირს მოთხოვ-ნის წარდგენა არ შეუძლია, არამედ იმ თავისებურებების გამო, რაც მეუღლეების, მშობლების და შვილების, მეურვისა და სამეურვეო პირის ურთიერთობებს ახასიათებს. ხანდაზმულობის ვადის დენა ჩერდება, აგრეთვე, თუ მოთხოვნა მომდინარეობს ქმედუუნარო ან შეზღუდული ქმედუნა-რიანი პირისაგან, რომელსაც კანონიერი წარმომადგენელი არ ჰყავს, ანდა მიმართულია ასეთი პი-რისადმი, ხანდაზმულობის ვადა შეჩერებულად ითვლება, ვიდრე პირი სრული ქმედუნარიანი არ გახდება, ან მას არ დაენიშნება წარმომადგენელი. აღნიშნული ნორმა პასუხობს კერძო სამართალ-ში ქმედუუნარო ან შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირების ინტერესების დაცვის განსა-კუთრებულ რეჟიმს.

ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერების გარდა, შესაძლებელია მისი შეწყვეტაც. ვადის დენის შეწყვეტა ნიშნავს, რომ შეწყვეტამდე გავლილი დრო ხანდაზმულობის ვადაში არ ჩაითვლება და ვადის ათვლა თავიდან დაიწყება. თუ ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერება, როგორც წესი, გა-მოწვეულია სამართლებრივი ურთიერთობების სუბიექტების ნებისგან დამოუკიდებელი მიზეზე-ბით, ვადის დენის შეწყვეტას კანონი მოსარჩელის ან მოპასუხის შეგნებულ მოქმედებას უკავშირებს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება:

- სარჩელის წარდგენისას ან სხვა საშუალებით მოთხოვნის დაკმაყოფილების მცდელობისას;
- მოთხოვნის არსებობის აღიარებით;

სარჩელის წარდგენა მხოლოდ იმ შემთხვევაშია ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტის საფუძ-ველი, თუ სასამართლოსადმი მიმართვა მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის სრული დაცვით ხორციელდება. ამ შემთხვევაში, ხადაზმულობის ვადის დენის შეწყვეტა სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე ან პროცესის სხვაგვარად დასრულებდამდე გრძელდება. მხარეთა შეთანხმების ან პროცესის გაგრძელების შეუძლებლობისას ხანდაზმულო-ბის ვადის დენა სასამართლოს მიერ ბოლო საპროცესო მოქმედების დამთავრებასთან ერთად შეწყდება. პროცესის შემდგომში განახლების შემთხვევაში კი - ხანდაზმულობის ვადის დენა იმგ-ვარადვე შეწყდება, როგორც სარჩელის შეტანისას, ანუ სასამართლოს გადაწყვეტილების კანო-ნიერ ძალაში შესვლიდან.

ვალის (მოთხოვნის) აღიარება, როგორც ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტის საფუძველი, შეიძლება გამოიხატოს მოვალის ნებისმიერი მოქმედებით. ვალის აღიარებასთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია რამდენიმე გარემოება:

1. მოთხოვნის აღიარებად ითვლება მხოლოდ მოვალის აქტიური მოქმედებები, რომლებიც ადასტურებენ მის მიერ ვალის აღიარებას. ყველა სხვა მისი ქმედება, კერძოდ კი უმოქმედობა (მაგალითად, რეაქციის არქონა კრედიტორის მოთხოვნაზე) არ წყვეტს ხანდაზმულობის ვადის დენას. ნაწილი ისეთი მოქმედებებისა, რომლებიც მოთხოვნის აღიარებად ჩაითვლება, მითითებულია 137-ე მუხლში. ესენია: ავანსის, პროცენტის გადახდა ან გარანტის მიცემა. თუმცა პრაქტიკაში შესაძლებელია ვალის სხვა მოქმედების განხორციელებით აღიარება;
2. თავისი სამართლებრივი ბუნებით, ვალის აღიარება, რა ფორმითაც არ უნდა განხორციელდეს, იურიდიული მნიშვნელობის მოქმედებაა და მისი განხორციელება მხოლოდ საამისოდ უფლებამოსილ პირებს შეუძლიათ. აღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ იურიდიული პირის სახელით ვალის აღიარება მხოლოდ წარმომადგენლობით უფლებამოსილების მქონე თანამდებობის პირებს შეუძლიათ.
3. ვალის აღიარება ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტის საფუძველი მხოლოდ იმ შემთხვევაშია, როცა მოვალის მოქმედება კრედიტორისკენაა მიმართული. როგორც წესი, მხოლოდ ამ შემთხვევაშია კრედიტორისათვის ნათელი, რომ მოვალე თავს არ არიდებს ნაკისრი ვალდებულების შესრულებას, ამდენად, შეუძლია მშვიდად დაეყრდნოს მის სურვილს და ამით რისკის ქვეშ არ დააყენოს სასამართლო დაცვის უფლება. ვალის ასახვა მხოლოდ შიდა დოკუმენტებში, რომელზეც კრედიტორს ხელი არ მიუწვდება, ვალის აღიარებად არ ჩაითვლება.
4. ვალის აღიარებად მხოლოდ მოვალის ერთმნიშვნელოვანი და ნათლად გამოვლენილი ნება ჩაითვლება. თუ წერილობითი დოკუმენტებიდან ან მისი მოქმედებებიდან ნათლად არ ირკვევა, რომ მოვალე ვალს აღიარებს, ყოველგვარი ეჭვი მის სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს. ვალის აღიარებად არ ჩაითვლება მხარეთა მოლაპარაკებები საკითხის გადაწყვეტის თაობაზე, თუ ასეთი მოლაპარაკების დროს მოვალემ სრულიად ნათლად არ აღიარა ვალის არსებობა.

ხანდაზმულობის ვადის გასვლასთან ერთად პირს უფლება აქვს უარი თქვას ვალდებულების შესრულებაზე, თუმცა აღნიშნული არ ნიშნავს უკვე შესრულებულის უკან დაბრუნების შესაძლებლობას, თუნდაც შესრულების განხორციელების მომენტში მოთხოვნა უკვე ხანდაზმული ყოფილიყო.

პრაქტიკისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, აგრეთვე, უსაფუძვლო გამდიდრების მარეგულერებელი ნორმების მიმართ ხანდაზმულობის ვადების მოქმედებას.

უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტი მიმართულია კრედიტორის ქონებრივი მდგომარეობის თავდაპირველი სახით აღდგენისაკენ, ამასთან, თავად უსაფუძვლო გამდიდრება არის გარიგების ბათილობის, მისი არარსებობის ან შეწყვეტის შედეგი. რაიმე სპეციალური ვადები უსაფუძვლო გამდიდრების ფარგლებში მოთხოვნათა წარდგენისათვის კანონმდებლობით დადგენილი არ არის. აღნიშნულის გათვალისწინებით, იბადება კითხვა, ხომ არ უნდა გავრცელდეს უსაფუძვლო გამდიდრებაზე საერთო, 10-წლიანი ხანდაზმულობის ვადა?

როგორც აღნიშნული იყო, უსაფუძვლო გამდიდრება არის გარიგების ბათილობის, მისი არარსებობის ან შეწყვეტის შედეგი, ანუ, ეს არ არის ცალკე, იზოლირებული სამართლებრივი ურთიერთობა, არამედ მიბმულია ხელშეკრულებაზე. იმ შემთხვევაში, როდესაც ხელშეკრულება წყდება,

ან ბათილია და აღნიშნულის საფუძველზე მხარეს უჩნდება მოთხოვნა მეორე მხარის მიმართ, ამ მოთხოვნაზე უნდა გავრცელდეს ხანდაზმულობის ხელშეკრულების მიმართ მოქმედი და არა საერთო ვადა, რადგანაც ამ შემთხვევაში მოთხოვნა პირდაპირაა დაკავშირებული ხელშეკრულებას-თან. გარდა ამისა, ხანდაზმულობის საერთო ვადა მნიშვნელოვნად აღემატება სახელშეკრულებო მოთხოვნათა მიმართ მოქმედ ვადებს, ამდენად, სამართლიანი არ იქნებოდა მოთხოვნებზე, რომ-ლებიც ხელშეკრულებასთან პირდაპირ კავშირშია და მხარეთა ინტერესები იმგვარადვეა წარმოდგენილი, როგორც ხელშეკრულებიდან გასვლის ან ბათილობის შემთხვევაში, გაგვევრცელებინა უფრო ხანგრძლივი ვადა (ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობით პირდაპირაა დადგენილი, რომ უსაფუძვლო გამდიდრებიდან წარმოშობილი მოთხოვნებზე ვრცელდება სახელშეკრულებო მოთხოვნათა მიმართ დადგენილი ხანდაზმულობის ვადა).

მნიშვნელოვანი საკითხია სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების ხანდაზმულობა. თუ ყველა ზემოთჩამოთვლილი ვადები უფლების სასამართლოს ან სხვა კომპეტენტური ორგანოს მეშვეობით დაცვის ვადას წარმოადგენდა, სამოქალაქო კოდექსის 142-ე მუხლით გათვალისწინებული ათწლიანი ვადა უკვე აღიარებული, მინიჭებული უფლების რეალიზაციის ვადაა. აღნიშნული მუხლის მიხედვით, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადასტურებული მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადაა ათი წელი, მაშინაც კი, როცა ეს მოთხოვნა უფრო ნაკლებ სასარჩელო ხანდაზმულობას ექვემდებარება. როგორც ცნობილია, ვალდებულების წარმოშობის ერთ-ერთი საფუძველი სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებაა. ზემოაღნიშნული მუხლი, ისეთ სახელშეკრულებო ვალდებულებებს, რომლებიც სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებითაა აღიარებული, ხანდაზმულობის საერთო ვადის ქვეშ აქცევს. პრაქტიკაში აღნიშნული ნორმა ნიშნავს, რომ პირს, ვის სასარგებლოდაც მიღებულია გადაწყვეტილება, შეუძლია მოითხოვოს მისი აღსრულება კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან 10 წლის განმავლობაში, რაც შეიძლება გამოიხატოს სააღსრულებო ფურცლის გაცემის, იძულებით აღსრულების მოთხოვნით და აშ. ამგვარი ნორმის არსებობა ლოგიკურია, რადგან დროის გასვლასთან ერთად იზრდება ვარაუდი, რომ პირმა თავისი მოთხოვნის მიმართ ინტერესი დაკარგა და თუ სადაც უფლების დაცვა გარკვეული დროითაა შეზღუდული, ბუნებრივია, უკვე დაცული უფლების რეალიზაციისათვისაც უნდა არსებობდეს ზღვრული ვადები. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ კოდექსი სამომავლოდ შესასრულებელ პერიოდულ ვალდებულებებს არ აქცევს აღსრულების 10-წლიან ვადაში. ამგვარი ვალდებულების მიმართ გამოიყენება აღსრულების სამწლიანი ხანდაზმულობის ვადა. ხანდაზმულობის ვადის გასვლა უფლებამოსილ პირს უკარგავს გადაწყვეტილების აღსრულების მოთხოვნის უფლებას. "სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" კანონის 34-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობის ვადის გასვლასთან ერთად წყდება უკვე დაწყებული სააღსრულებო წარმოება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 142-ე მუხლით დადგენილი ვადები არის აღსრულების მაქსიმალური ვადა და ეს ნორმა არ გამორიცხვას სასამართლოს გადაწყვეტილების უფრო მოკლე ვადაში აღსრულების შესაძლებლობას.

II

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატას მყარი პრაქტიკა აქვს სასარჩელო ხანდაზმულობასთან დაკავშირებით. პალატის განმარტებით, სასარჩელო ხანდაზმულობა უფლების განხორციელების ვადაა. სასარჩელო ხანდაზმულობაში იგულისხმება, რომ კანონმდებლის მიერ დადგენილია ზღვრული ვადები, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელია საქმის ფაქტობრივი გარემოებების სრულყოფილი გამოკვლევა და დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღება. ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ შეუძლებელი ხდება საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენა და აღდგენა.

პრაქტიკისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ხანდაზმულობისა და საპრეტენზიო ვადების გამიჯვნა. აღნიშნულთან მიმართებით საქართველოს უზენაეს სასამართლოს განმარტებული აქვს შემდეგი: მიუხედავად მათი მსგავსებისა, ხანდაზმულობის ვადა უნდა გაიმიჯნოს უფლების განხორციელების სხვა ვადებისაგან, კერძოდ კი - კონტრაჰერცონტისადმი, ან კანონით განსაზღვრული პირისადმი მიმართვის ვადებისაგან. კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში ვალდებული პირისადმი მიმართვის ვადა სამართალწაროების ეკონომიურობის მიზნითაა შემოღებული და დარღვეული უფლების აღდგენის საკითხის მხარეთა შორის ნებაყოფლობით მოწესრიგებას ემსახურება. ხადაზმულობა კი, დარღვეული უფლების იძულების წესით დაცვისათვის დადგენილი ვადაა. საკასაციო პალატამ განმარტა, რომ სამოქალაქო კოდექსის 1488-ე მუხლის პირველი ნაწილი, თავისი შინაარსით, ადგენს არა სასარჩელო ხანდაზმულობის, არამედ კრედიტორის მიერ მემკვიდრისათვის მოთხოვნის წარდგენის ვადას. პალატამ ასევე განმარტა, რომ სამოქალაქო კოდექსის 573-ე მუხლის 1-ლი ნაწილი ეხება არა სასარჩელო ხანდაზმულობას, არამედ პრეტენზიის წარდგენის ვადას. აღნიშნული ნორმის შესაბამისად, გაქირავებული ნივთის შეცვლის ან გაუარესების გამო გამქირავებელს უფლება აქვს მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, ხოლო დამქირავებელს უფლება აქვს წაუყენოს მას პრეტენზია გაწეული ხარჯების ანაზღაურების თაობაზე ექვსი თვის განმავლობაში. პალატის პოზიციით, მითითებულ ნორმაში პრეტენზიის წარდგენა არ გულისხმობს სასარჩელო ხანდაზმულობის ვადას. როგორც თვით ნორმიდან ირკვევა, ამ პრეტენზიას წარუდგენს დამქირავებელი გამქირავებელს და აღნიშნულ მუხლში საუბარი არ არის ამ ვადაში სარჩელის სასამართლოში წარდგენის თაობაზე, შესაბამისად, ასეთ შემთხვევებში სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა შეადგენს ექვს წელს, თანახმად სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის პირველი ნაწილისა.

ხანდაზმულობის მომწესრიგებელი ნორმების დროში მოქმედებასთან დაკავშირებით საქართველოს უზენაეს სასამართლოს შემდეგი პრაქტიკა აქვს: უძრავ ნივთებთან დაკავშირებულ 1997 წლამდე დადებული ხელშეკრულებების მიმართ არ გამოიყენება 1964 წლის სამოქალაქო სამართლის კოდექსის ნორმები ხანდაზმულობის შესახებ. ვინაიდან ახალი სამოქალაქო კოდექსი განსხვავებულ ხანდაზმულობის ვადას ადგენს უძრავ ნივთებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო მოთხოვნებისათვის, სამოქალაქო კოდექსის 1507-ე მუხლის მიხედვით, გამოიყენება 1997 წლის სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი ნორმები. ამასთან გასათვალისწინებელია, ნებისმიერი მოთხოვნის მიმართ ახალი კოდექსით გათვალისწინებული ვადების გავრცელებისათვის გადამ-

წყეტია ის გარემოება, რომ ძველი კოდექსით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადა ამოწუ-რული არ უნდა იყოს ახალი კოდექსის ამოქმედების მომენტისათვის.

1997 წლის 25 ნოემბრამდე დადებული სხვა ხელშეკრულებების მიმართ მოქმედებს 1964 წლის სა-მოქალაქო სამართლის კოდექსის ნორმებით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადები, ამას-თან, თუ ხელშეკრულების შესრულების ვადა (შესაბამისად, მოთხოვნის უფლების წარმოშობა) განსაზღვრულია 1997 წლის 25 ნოემბრით ან შემდგომი პერიოდით, გამოიყენება ახალი სამოქა-ლაქო კოდექსის ნორმები.

ხანდაზმულობის ვადის დენის დაწყებასთან დაკავშირებით, საკასაციო პალატის პრაქტიკა ამგ-ვარია:

როგორც წესი, ხანდაზმულობის ვადის დენის დაწყება არ ემთხვევა ხელშეკრულების დადების მო-მენტის. ხანდაზმულობის ვადის დენა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. თუკი მხარე-ებმა ხელშეკრულების შესრულების ვადა განსაზღვრეს, ხანდაზმულობის ვადის ათვლა სწორედ ამ მომენტიდან უნდა დაიწყოს. იმ შემთხვევაში, თუ მხარეებმა შესრულების ვადა ხელშეკრულე-ბით არ განსაზღვრეს, მოთხოვნის წარმოშობა ამ შემთხვევაში დამოკიდებულია კრედიტორის ნე-ბაზე - მოსთხოვოს მოვალეს ვალდებულების შესრულება. როგორც კი ეს ნება იქნება განცხადებული და მიუვა მოვალეს, ხოლო იგი დაუყოვნებლივ არ შეასრულებს ვალდებულებას, უკვე სახეზე იქნება კრედიტორის უფლების დარღვევა და, შესაბამისად, დაიწყება ხანდაზმულო-ბის ვადის დენა.

მოთხოვნის წარმოშობის და, შესაბამისად, ხანდაზმულობის ვადის დენის დაწყების მომენტად არ ითვლება უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის დრო. ასეთ შემთხვევაში ვერ ჩაითვლება, რომ პირს რეგისტრაციის მომენტიდან უნდა შეეტყო თავისი უფლების დარღვევის შესახებ. მიუ-შედავად იმისა, რომ რეესტრის ჩანაწერები ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათ-ვის, ობიექტურად, არავის ეკისრება ვალდებულება მუდმივად ამონმოს რეესტრის მონაცემები.

მნიშვნელოვანია ვინდიკაციურ სარჩელებთან დაკავშირებით ხანდაზმულობის ვადის დენის დაწყების საკითხი. საკასაციო პალატის განმარტებით, სანივთო უფლების მქონე პირს (კრედი-ტორს) მოთხოვნის უფლება წარმოეშობა იმ მომენტიდან, როცა მფლობელი მოითხოვს ნივთის დაბრუნებას. ამავე მომენტიდან იწყება ხანდაზმულობის ვადის დენა, რადგანაც ვინდიკაციური სარჩელის შემთხვევაში მოთხოვნის წარმოშობა და, შესაბამისად, ხანდაზმულობის ვადის დენის დაწყება, დამოკიდებულია კრედიტორის მოქმედებაზე.

საკასაციო პალატის განმარტებით, უძრავი ნივთის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვის შე-სახებ მოთხოვნების შემთხვევაში, იმისათვის, რომ ხანდაზმულობის ვადის დენა დაიწყოს, პირის საკუთრების უფლება უნდა შეილახოს. საკუთრების უფლება არ წყდება უძრავი ნივთის მფლობე-ლობიდან გასვლით. უძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების მოპოვებაც და დაკარგვაც დაკავში-რებულია საჯარო რეესტრში რეგისტრაციასთან. აღნიშნულის გამო, მესაკუთრის სტატუსის დარღვეულად მიჩნევის საფუძველს საჯარო რეესტრის ჩანაწერი უნდა იძლეოდეს, ანუ მესაკუთ-რედ სხვა პირი უნდა იყოს დარეგისტრირებული. წინააღმდეგ შემთხვევაში, საკუთრების უფლება შელახულად არ ჩაითვლება. ამდენად, მესაკუთრეს უფლება აქვს, ნებისმიერ დროს მიმართოს სა-სამართლოს მის საკუთრებაში არსებული ნივთის გამოთხოვის მოთხოვნით. ასეთ შემთხვევაში არ შეიძლება დადგინდეს, რომ სარჩელის ხანდაზმულობის ვადა გასულია.

რაც შეეხება ნეგატორულ სარჩელს, მესაკუთრის უფლება, მოითხოვოს ხელშეშლის აღკვეთა, არ შეიძლება იყოს ხანდაზმული, ვინაიდან მესაკუთრის აღნიშნული თავისუფლების ხანდაზმულობის შემზღვდავი დანაწესებისადმი დაქვემდებარება ენინააღმდეგება საკუთრების უფლების აბსოლუტურ ბუნებას, საქართველოს კონსტიტუციასა და სამოქალაქო კოდექსის შესაბამის ნორმებს. შესაბამისად, ხანდაზმულობის ვადები არ უნდა გავრცელდეს უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვასა და ხელშეშლის აღკვეთის მოთხოვნაზე, თუმცა, ნეგატორული სარჩელთან მიმართებით, ხანდაზმულობის ვადები გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება, კერძოდ, მესაკუთრეს ხელშეშლის აღკვეთის მოთხოვნით სარჩელის აღძვრის უფლება აქვს იქამდე, სანამ ხელშეშლა გრძელდება, თუნდაც ხელშეშლა უსასრულოდ გრძელდებოდეს, ხოლო ხელშეშლის აღკვეთის შემდეგ ნეგატორული სარჩელის წარდგენა შეუძლებელია. ამ შემთხვევაში მესაკუთრეს უფლება აქვს მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება.

ფიქსირებული, პერიოდულად გადასახდელი ფულადი თანხების მიმართ ვრცელდება სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილი, ამასთან, პალატის განმარტებით, პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებების მიმართ ხანდაზმულობის ვადა თავისებურად აითვლება. ამ შემთხვევაში პერიოდულად შესასრულებელი თითოეული ვალდებულების დარღვევა ცალ-ცალკე წარმოშობს მოთხოვნის უფლებას და ხანდაზმულობის ვადის ათვლა თავიდან იწყება, ამდენად, ამგვარ მოთხოვნებზე შესაძლებელია მხოლოდ სარჩელის აღძვრამდე ბოლო სამი წლის კუთვნილი თანხის ანაზღაურება.

პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულების ერთ-ერთი სახეა სანარმოო ტრავმით გამოწვეული ზიანის ასანაზღაურებლად ყოველთვიური პენსიის ან მარჩენალის სიკვიდლით გამოწვეული ზიანის საკომპენსაციოდ ყოველთვიური სარჩოს გადახდა. მიუღებელი პენსიის, სარჩოს ან უკვე დანიშნული პენსიის აღდგენასთან დაკავშირებულ მოთხოვნებზე ასევე სარჩელის აღძვრამდე ბოლო სამი წლის კუთვნილი თანხის დაკისრებაა შესაძლებელი.

სანარმოო ტრავმით გამოწვეული ზიანის საკომპენსაციოდ სარჩოს დანიშვნის მოთხოვნის მიმართ კი, დელიქტური ვალდებულებებისათვის გათვალისწინებული სამწლიანი ხანდაზმულობის ვადა მოქმედებს.

რაც შეეხება, საქართველოს პრეზიდენტის N48 ბრძანებულებით დამტკიცებული "შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესების" იმ პუნქტს, რომლის მიხედვითაც ზიანის ანაზღაურება ხდება განცხადების შეტანის ანუ ორგანიზაციის მიერ მისი მიღების დღიდან, მიუხედავად იმისა, მუშაკის შრომის უნარის დაკარგვის ან მარჩენალის გარდაცვალების მომენტიდან რა დროა გასული, პალატის განმარტებით, აღნიშნული ენინააღმდეგება საქრთველოს სამოქალაქო კოდექსის 1008-ე მუხლს, რომლის მიხედვითაც დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის ვადა არის სამი წელი იმ მომენტიდან, როცა დაზარალებულმა შეიტყო ზიანის ან ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ. საკითხი წყდება ნორმათა კოლიზიის წესების შესაბამისად, კერძოდ სამოქალაქო კოდექსს, როგორც იერარქიულად უფრო ზემდგომ ნორმატიულ აქტს, ენიჭება უპირატესი ძალა პრეზიდენტის ბრძანებულების მიმართ და ამ ტიპის მოთხოვნებზე ვრცელდება ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა.

ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტასა და შეჩერებასთან დაკავშირებით პალატამ განმარტა შემდეგი:

ხანდაზმულობის ვადის დენას უფლებამოსილი პირის მხოლოდ ისეთი განცხადება წყვეტს, რო-
მელსაც სასამართლო წარმოებაში მიიღებს. მოცემულ შემთხვევაში უნდა არსებობდეს სარჩელის
დაკმაყოფილების შესაძლებლობა, იმ შემთხვევაში კი, როცა სასამართლო სარჩელის წარმოებაში
მიღებაზე უარს ამბობს, ამგვარი შესაძლებლობა არ არსებობს. სხვა სახელმწიფო ორგანიზაციის
მიმართვის შემთხვევაში აუცილებელია, რომ აღნიშნული ორგანო კომპეტენტური იყოს, ანუ სა-
დავო სამართლებრივი ურთიერთობის მოწესრიგება ამ ორგანოსადმი მიმართვის გზით შესაძლე-
ბელი უნდა იყოს.

რაც შეეხება ვალის ალარებას, როგორც ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტის საფუძველს, სა-
კასაციო პალატის განმარტებით, მოთხოვნის აღიარების ერთ-ერთი ფორმა გაკოტრების ან რე-
აბილიტაციის პროცესში კრედიტორის მოთხოვნის დაფიქსირება, გაკოტრების ტაბულაში მისი
შეყვანა.

ვალდებული პირის მიერ მოვალეობის აღიარებაში იგულისხმება ვალდებული პირის ისეთი მოქ-
მედებები, რითაც გამოხატულია მისი ნება ვალდებულების შესრულების შესახებ, კერძოდ, მოქ-
მედებები, რონლებიც ადასტურებენ თანხის ნაწილის გადახდას, ან ვალდებული პირის მოთხოვნას
მომავალში თავისი ვალდებულების შესრულების შესახებ, ან ამ ვალდებულების სხვადასხვა პი-
რობებით შესრულების შემოთავაზება.

სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის საკითხის წამოჭრასთან დაკავშირებით საქართველოს
უზენაეს სასამართლოს ერთმნიშველოვანი პოზიცია აქვს. კერძოდ, საკასაციო პალატის განმარ-
ტებით, ხანდაზმულობის საკითხი მოპასუხემ პირველი ინსტანციის სასამართლოში უნდა დააყე-
ნოს, უფრო მეტიც, პალატის მტკიცებით, აღნიშნული სასამართლოს მთავარ სხდომამდე უნდა
მოხდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, საპატიო მიზეზის არსებობის გარეშე, სასამართლოს მთავარ
სხდომაზე ამ საკითხის წამოჭრის უფლება მხარეს აღარ გააჩნია. სასამართლოს მოსაზრებით, ხან-
დაზმულობის საკითხზე ვრცელდება საპროცესო კანონმდებლობით მტკიცებულებების წარდგე-
ნასა და ახალი ფაქტობრივი გარემოებების მითითებასთან დაკავშირებით დადგენილი
შეზღუდვები.

თავი II. რეკომენდაციები სამოქალაქო საპროცესო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პროგნოზაზე

2006 წლის თებერვალში საფუძველი ჩაეყარა ახალ ინიციატივას, რაც გულისხმობს საქართველოს უზენაეს სასამართლოში ყველა ინსტანციის მოსამართლეთა რეგულარული შეხვედრების ორგანიზებას. ამ შეხვედრათა მიზანია სასამართლო პრაქტიკისათვის მნიშვნელოვანი საკითხების განხილვა, ანალიზი, სხვადასხვა ინსტანციის მოსამართლეთა განსხვავებული მოსაზრებების შეჯერება და დისკუსიის შედეგად კონკრეტულ ნორმათა ერთგვაროვანი გაგების ჩამოყალიბება. შეხვედრის შედეგები ფორმდება წერილობით და რეკომენდაციების სახით დაეგზავნება ყველა მოსამართლეს მთელი ქვეყნის მასშტაბით.

2006 წლის 18 თებერვლიდან დღემდე უზენაეს სასამართლოში რამდენიმე ათეული ასეთი შეხვედრა გაიმართა, რომლებშიც მონაწილეობა მიიღეს თბილისისა და საქართველოს თითქმის ყველა რეგიონის მოსამართლეებმა. შეხვედრების შედეგად სამოქალაქო სამართლის ნორმათა ერთგვაროვანი გამოყენების რეკომენდაცია ჩამოყალიბდა ათეულობით პრობლემატურ საკითხზე. ცხადია, რომ სამართლის ყველა ნორმასთან დაკავშირებით ერთიანი მიდგომის ჩამოყალიბებას წლები დასჭირდება, მაგრამ ამგვარი შეხვედრების შედეგად მიღებულ რეკომენდაციათა გამოყენებით ჩვენ შედარებით უფრო სწრაფად უნდა შევძლოთ კონკრეტულ პრობლემატურ საკითხთა მოგვარება და მათი ერთგვაროვანი გამოყენება.

საბოლოო ჯამში, ჩვენი მიზანია სამოქალაქო სამართლის ნორმათა უმრავლესობასთან დაკავშირებით ასეთი ერთიანი მიდგომის განვითარება, რაც ხელს შეუწყობს სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელებას. აქ იგულისხმება არა მხოლოდ მოსამართლეთა მიერ პროცესის უფრო სწრაფად წარმართვის შესაძლებლობა, არამედ ისიც, რომ ადვოკატებისა და მათი კლიენტების უმრავლესობისათვის თავიდანვე განჭვრეტადი იქნება მათი სამართლებრივი პრეტენზიის პერსპექტივა. მათ ასევე ეცოდინებათ, რომ ეს პრაქტიკა თანამიმდევრულად გამოიყენება არა მხოლოდ პირველი ინსტანციის კონკრეტულ სასამართლოში, არამედ ზემდგომი ინსტაციის სასამართლოებშიც და საქართველოს უზენაესი სასამართლო სწორედ თანმიმდევრული პრაქტიკის გათვალისწინებით ცნობს სარჩელებს დასაშვებად ან დაუშვებლად. შედეგად, შესაძლებელია სარჩელთა რაოდენობაც კი შემცირდეს, რადგან გონიერი და კეთილსინდისიერი ადვოკატი და მისი კლიენტი ტყუილად არ გაწევენ ხარჯებს სასამართლოში და არ დაკარგავენ დროს, ან თავიდანვე შეეცდებიან მოწინააღმდეგე მხარესთან მორიგებას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რეკომენდაციებს არ აქვთ სავალდებულო ძალა (ისევე როგორც დასავლეთის დემოკრატიულ სახელმწიფოებში), მაგრამ ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკისა და ერთიანი (გაპატონებული) სამართლებრივი მიდგომის ჩამოყალიბების თვალსაზრისით მათ განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნებათ. მოსამართლეები თავად უნდა იყვნენ მოწადინებულნი მიიღონ, შექმნან რეკომენდაციები რაც შეიძლება მეტ ნორმასთან დაკავშირებით, რადგან ეს, პირველ რიგში, მათი საქმიანობის გაუმჯობესებას გამოიწვევს (განსახილველი რთული ნორმების სწრაფად გაგებისა და გამოყენების თვალსაზრისით). კრებულში წარმოგენილია რამდენიმე ასეთი რეკომენდაცია, რომელიც სამოქალაქო საპროცესო საკითხებს ეხება და ასევე მნიშვნელოვანია მაგისტრატი მოსამართლეებისათვის.

საპროცესო თანამონაცილეობა

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტის თანახმად, მოსარჩელემ სარჩელში უნდა მიუთითოს მოპასუხე, მისი მისამართი, ტელეფონის ნომერი და სხვა საკონტაქტო ინფორმაცია.

პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც ვინდიკაციური სარჩელის წარდგენისას მოსარჩელე მოპასუხედ უთითებს ერთ კონკრეტულ პირს და ასევე მასთან თანმხლებ პირებსაც. აღნიშნულ შემთხვევაში სასამართლომ სამოქალაქო საპროცესო ოდექსის 178-ე მუხლზე მითითებით უნდა დაადგინოს ხარვეზი და მოსარჩელეს მოსთხოვოს მოპასუხეთა ზუსტი ვინაობის დადგენა. ხარვეზის გამოუსწორებლობის შემთხვევაში სარჩელი ამ ნაწილში (თანმხლები პირების ნაწილში) დარჩება განუხილველი.

აღიარებითი სარჩელი

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლის თანახმად, აღიარებითი სარჩელი შეიძლება აღიძრას უფლებისა და სამართლებრივი ურთიერთობების არსებობა-არარსებობის დადგენის, დოკუმენტების ნამდვილობის აღიარების ან დოკუმენტების სიყალბის დადგენის შესახებ, თუ მოსარჩელეს აქვს ამის იურიდიული ინტერესი. აღნიშნული ნორმის მიხედვით იურიდიული ინტერესის არსებობა არსებითად უკავშირდება სარჩელის აღძვრის შესაძლებლობასა და დასაშვებობას.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით, იურიდიული ინტერესის არსებობისათვის აუცილებელია არსებობდეს (ა) მხარეთა შორის დავა უფლების თუ სამართლებრივი ურთიერთობის თაობაზე; (ბ) მოპასუხე უნდა ეცილებოდეს მოსარჩელეს უფლებაში, (გ) ასეთი დავა უნდა ქმნიდეს უფლების მომავალში დარღვევის რეალურ საშიშროებას; (დ) აღიარებითი სარჩელის გადაწყვეტა დავის გადაწყვეტის საუკეთესო საშუალება უნდა იყოს; (ე) ამ გადაწყვეტილებას გარკვეული სარგებლობა უნდა მოჰქონდეს მოსარჩელისათვის. აღიარებითი სარჩელი დაუშვებელია, თუ შესაძლებელია აღიძრას სარჩელი თვით ვალდებულების შესრულების თაობაზე. აღიარებითი სარჩელი აღიძვრება მხოლოდ მაშინ, როცა მიკუთვნებითი სარჩელის გამოყენება არ არის შესაძლებელი. ამ გარემოებაზე კანონში უშუალოდ არ არის მითითებული, მაგრამ გამომდინარეობს მოსარჩელის სამართლებრივი ინტერესებიდან აღიარებითი სარჩელის სპეციალური ფორმის მიმართ. ყოველთვის, როცა მოსარჩელეს შეუძლია მიკუთვნებითი სარჩელით სარგებლობა, აღიარებითი სარჩელის გამოყენება დაუშვებელია. ასეთ შემთხვევაში მოსარჩელე ვერ იქნება ამ უკანასკნელით სამართლებრივად დაინტერესებული, რადგან მას შესაძლებლობა აქვს სარჩელის სხვა ფორმით უკეთესად მიაღწიოს მიზანს.

თუ სასამართლოში აღძრული აღიარებითი სარჩელიდან არ ჩანს მოსარჩელის ინტერესი, სასამართლო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე, 178-ე, 185-ე მუხლების საფუძველზე გამოიტანს განჩინებას ხარვეზის შესახებ და თუ მოსარჩელის მიერ არ იქნება მითითებული მისი ინტერესი აღიარებითი სარჩელის მიმართ, სასამართლო სარჩელს მოსარჩელეს დაუბრუნებს 185-ე მუხლის საფუძველზე.

სასამართლო ექსპერტიზა

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში აუცილებელია მხარეთა მიერ ხარჯების გადახდისა და ექსპერტიზის დროული ჩატარების უზრუნველყოფის მექანიზმის ჩამოყალიბება. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზის ბიუროს მოსაზრებით, ექსპერტიზის ხარჯები აუცილებლად უნდა იქნეს გაღებული სახელწიფოს მხრიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში გამორიცხული იქნება მისი ჩატარება. ხშირ შემთხვევაში სასამართლო აგზავნის საქმეს ექსპერტიზის ბიუროში, ხოლო ექსპერტიზის ბიურო ექსპერტიზასთან დაკავშირებული ხარჯების აუნაზღაურებლობის გამო ექსპერტიზის ჩატარებაზე უარს ამბობს.

ექსპერტიზის ჩატარების შესახებ სასამართლოს განჩინებაში იწერება, რომ ექსპერტიზის ხარჯები მხარეებს უნდა გადახდეთ წინასწარ. მაგრამ პრაქტიკაში მხარეების მიერ ამ ხარჯების გაღება წინასწარ არ ხდება. სამოქალაქო საპროცესო კოდექსში არსებობს ნორმა, რომლის მიხედვითაც, ეს ხარჯები წინასწარ უნდა იქნეს გადახდილი, კერძოდ, საუბარია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 52-ე მუხლის დანაწესზე. აქ ნათქვამია, რომ სასამართლო ხარჯები (ექსპერტიზის ჩატარების ხარჯიც, კანონმდებლობის შესაბამისად, სასამართლო ხარჯებში მოიაზრება) წინასწარ შეაქვს მხარეს, რომელმაც შესაბამისი საპროცესო მოქმედების შესრულება მოითხოვა. თუ ასეთი მოქმედების შესრულება სასამართლოს ინიციატივით ხდება, მაშინ ეს თანხა ორივე მხარეს შეაქვს თანაბარნილად. უხერხულობას ბადებს ასევე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 45-ე მუხლის მე-2 ნაწილიც, რომლის მიხედვითაც, "სახელმწიფო სპეციალური საექსპერტო დაწესებულებისათვის სასამართლო-საექსპერტო მომსახურების ანაზღაურებას ახორციელებს ექსპერტიზის დამნიშვნელი ორგანო..." სამოქალაქო კოდექსის ზოგადი პრინციპიდან თუ ამოვალთ, სასამართლო ხარჯების გადახდა ხდება მხარეთა მიერ. ამიტომ სასამართლო ასეთ ხარჯებს, ექსპერტიზის საკუთარი ინიციატივით დანიშვნის დროსაც კი, რასაკვირველია, თვითონ ვერ გაიღებს და ეს ხარჯი მხარეებს ეკისრებათ.

სამოქალაქო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, სასამართლო უფლება-მოსილია დანიშნოს ექსპერტიზა მხოლოდ თავისი ინიციატივით, თუ საქმის განხილვასთან დაკავშირებულ საკითხზე მოსამართლეს სპეციალური ცოდნა არ გააჩნია და თუ აღნიშნული საკითხის განმარტებას არსებითი მნიშვნელობა აქვს საქმის გადაწყვეტისათვის და მის გარეშე გადაწყვეტილების გამოტანა შეუძლებელია. რაც შეეხება მხარეებს, მათ შეუძლიათ სასამართლოსაგან დამოუკიდებლად უზრუნველყონ ექსპერტიზის ჩატარება.

სასამართლო ექსპერტიზის დანიშვნის შემთხვევაში ხარჯების გაღებას მხარეებს აკისრებს თანაბარნილად. ხშირია შემთხვევებში როცა მხარეები არ იხდიან ექსპერტიზის საფასურს, რაც ექსეპრტიზის ბიუროდან მის ჩატარებაზე უარის თქმის საფუძველია.

სასამართლოს ინიციატივისა და მისი აქტიური როლის ფარგლები კანონით ზუსტად არის განსაზღვრული (მაგალითად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 2-4, 103, 203 და აშ. მუხ.), რაც უზრუნველყოფს სამოქალაქო სამართალწარმოებას სრული შეჯიბრებითობის პრინციპით. მტკიცების საგნის გამოსარკვევად სასამართლოს, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში, შეუძლია გამოიჩინოს ინიციატივა. სწორედ ამ ინიციატივის ფარგლებში, თუ საჭიროა, დაშვებულია ექსპერტიზის დანიშვნა (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 162-ე მუხლი). ეს იმგავარად უნდა განიმარტოს, რომ ასეთი ინიციატივა არ არღვევს შეჯიბრებითობის პრინციპს და იგი მიმართუ-

ლია არა მტკიცების საგნის განსაზღვრისაკენ (მხარეები თავად წყვეტენ რა ფაქტებზე დააფუძნონ თავიანთი მოთხოვნა), არამედ ხელს უწყობს მხარეთა მიერ მითითებული და გადაწყვეტილებისათვის მნიშვნელოვანი გარემოებების სრულად და ზუსტად გამორკვევას. შესაბამისად, სასამართლოს ინიციატივა და აქტიურობა მხარეთა ინტერესებიდან მომდინარეობს და, ბუნებრივია, ამ ინიციატივის ფარგლებში არსებული სასამართლოს ხარჯების გადახდაც მხარეებს უნდა დაეკისროთ. ასე რომ, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა მთლიანად არის აგებული დისპოზიციურობის პრინციპზე, ანუ ამ შემთხვევაში მხარეები თვითონ ადასტურებენ ან უარყოფენ ფაქტებს, სამართლებრივ მოსაზრებებს და ა.შ. ამიტომ ამ შემთხვევაში, მიზანშენონილია, სასამართლო განჩინებაში (ექსპერტიზის დანიშვნის თაობაზე) მითითებული და განმარტებული იყოს მხარეებისათვის, რომ ექსპერტიზის ჩატარება ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით მხოლოდ მხარეთა ინტერესს შეესაბამება და ამიტომ ექსპერტიზის ხარჯების წინასწარი გადახდაც მხარეს (მხარეებს) ეკისრება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კანონმდებელმა გარკვეულწილად შეზღუდა სასამართლოს ინიციატივა ექსპერტიზის დანიშვნასთან დაკავშირებით და დაადგინა, რომ ექსპერტიზის დანიშვნა შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტის წინაშე დასმული საკითხის გარკვევის გარეშე სწორი გადაწყვეტილება ვერ იქნება გამოტანილი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 52-ე მუხლის თანახმად, ექსპერტიზასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი წინასწარ შეაქვს მხარეს (მხარეებს). სასამართლოს მიერ ექსპერტიზის დანიშვნის შემთხვევაში სასამართლო გამოიტანს განჩინებას, სადაც მიუთითებს არა მხოლოდ იმ საკითხთა წრეს, რომლებზედაც ექსპერტმა უნდა გასცეს პასუხი, არამედ ასევე განუმარტავს მხარეებს ექსპერტიზის ჩატარების აუცილებლობისა და მათ მიერ ექსპერტიზასთან დაკავშირებული ხარჯების წინასწარ გადახდის თაობაზე. საქმე, რომელზედაც ინიშნება ექსპერტიზა რჩება საქმის განმხილველ სასამართლოში. მას შემდეგ, რაც მხარეები (მხარე) წარადგენენ გადახდის დამადასტურებელ საბუთს, სასამართლო საქმეს გადაუგზავნის საექსპერტო დაწესებულებას ექსპერტიზის ჩასატარებლად. წინააღმდეგ შემთხვევაში ექსპერტიზა არ ჩატარდება და, როგორც ზემოთ აღინიშნა, სასამართლო განუმარტავს მხარეებს, რომ ამან შეიძლება გარკვეული შედეგი იქონიოს საბოლოო გადაწყვეტილებაზე. შესაძლებელია ასევე, რომ მხარეებს განჩინებით მიეთითოთ გარკვეული (სასამართლოს მიერ დაწესებული) ვადა, რომლის განმავლობაშიც ისინი ვალდებული იქნებიან წარმოადგინონ გადახდის დამადასტურებელი საბუთი და მხოლოდ მისი წარდგენის შემდეგ გადაიგზავნოს საქმე ექსპერტიზის ბიუროში. კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ ამ შემთხვევაში სასამართლოს ინკვიზიციურობა პირდაპირპოპორციულია მხარეთა ინტერესებთან, ანუ სასამართლოს მოქმედება თანხვედრაშია მხარეთა ინტერესთან, რათა საბოლოო ჯამში დამტკიცდეს სარჩელის საფუძვლიანობა ან მისი უსაფუძვლობა.

აღინიშნულიდან გამომდინარე, ჩამოყალიბდა ერთიანი პოზიცია: სასამართლო განჩინებით განსაზღვრავს ექსპერტისათვის დასასმელ კითხვებს, განსაზღვრავს თუ ვინ უნდა გადაიხადოს თანხა - მხარეებმა თანაბრად და მიუთითოს, რომ საქმე ექსპერტიზის ბოუროში გადაიგზავნება მას შემდეგ, რაც წარმოდგენილი იქნება სათანადო ხელშეკრულება და ხელშეკრულებით განსაზღვრული ექსპერტიზის ხარჯების გადახდის დამადასტურებელი საბუთი. განჩინების მიღებისას მხარეებს განემარტებათ თანხის გადაუხდელობის შედეგი, რასაც ექსპერტიზის ჩატარებლობა წარმოადგენს. შესაბამისად, მტკიცების ტვირთი ამ მხარეზე გადადის.

დავის საგნის ფასი

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 41-ე მუხლის პირველი ნაწილის "კ" ქვეპუნქტის თანახმად, დავის საგნის ფასი განისაზღვრება 4000 ლარით, თუ ქონებრივ-სამართლებრივ დავაში (საკუთრების ხელყოფა ან სხვაგვარი ხელშეშლა, სამეზობლო დავა და სხვა) შეუძლებელია დავის საგნის ფასის განსაზღვრა. ამ მუხლის გამოყენება ხდება გამოსახლების შესახებ მიმდინარე დავებისას სახელმწიფო ბაჟის ოდენობის განსაზღვრისათვის, ვინაიდან საკუთრების ხელყოფა მოიცავს გამოსახლებასაც. თუმცა არსებობს ალტერნატიული მოსაზრებაც, რომლის მიხედვითაც გამოსახლების შემთხვევაში დავის საგნის ფასი განისაზღვროს უძრავი ქონების ღირებულებით. ამიტომ აღნიშნულთან დაკავშირებით ერთიანი პოზიციის ჩამოყალიბება მნიშვნელოვანია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 41-ე მუხლი განსაზღვრავს დავის საგნის ფასს გარკვეული კრიტერიუმების მიხედვით. ამავე მუხლის პირველი ნაწილის "კ" ქვეპუნქტის მიხედვით, თუკი ქონებრივ-სამართლებრივ დავაში (ასეთი შეიძლება იყოს საკუთრების ხელყოფა ან სხვაგვარი ხელშეშლა, სამეზობლო დავა და სხვ. ანუ ის მოცემულობა, რაც დასმულ პრობლემას ეხება) შეუძლებელია დავის საგნის ფასის განსაზღვრა, მაშინ დავის საგნის ფასი განისაზღვრება 4000 ლარით. გამოსახლებაც საკუთრების ხელყოფის სამართლებრივი შინაარსის მატარებელი მოვლენაა, ამიტომ გამოსახლების მოთხოვნისას მხარის მიერ გადასახდელი სახელმწიფო ბაჟის ოდენობაც სწორედ 4000 ლარით უნდა განისაზღვროს. აქედან, გამომდინარე ის ალტერნატიული მოსაზრება, რომლის მიხედვითაც გამოსახლების შემთხვევაში დავის საგნის ფასი უძრავი ქონების ღირებულებით უნდა განისაზღვროს, არასწორია.

იმისათვის, რომ უფრო ნათელი გახდეს ზემოთ შეჯერებული პოზიცია, უნდა გაანალიზდეს ასევე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 41-ე მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტიც, კერძოდ, ნივთის (ქონების) გადაცემის ან მინოდების შესახებ სარჩელის შემთხვევაში დავის საგნის ფასი განისაზღვრება ამ ნივთის საბაზრო ღირებულებით. ასე რომ, ამ შემთხვევაში ძირითადად სახელშეკრულებო ურთიერთობებიდან გამომდინარე მოთხოვნები იგულისხმება, მაგალითად, ერთი პირის მიერ მეორისათვის გარკვეული ნივთის გადაცემა და ა.შ. მაგრამ, როდესაც ნივთზე უფლებრივი მდგომარეობა უკვე გარკვეულია, ამ ნივთის მესაკუთრეც ცნობილია და მას უბრალოდ ხელი ეშლება თავისი საკუთრებით სარგებლობასა და განკარგვაში, ამ შემთხვევაში უფრო მართებული იქნება, რომ დავის საგნის ფასი სწორედ 4000 ლარით განისაზღვროს.

საპროცესო ხარჯების ანაზღაურება

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად, საპროცესო ხარჯები სასამართლო და სასამართლოსგარეშე ხარჯებისაგან შედგება (მუხლი 37). საქმის დასრულებისა და გადაწყვეტილების გამოტანის დროს მოსამართლე (სასამართლო) ვალდებულია სასამართლო ხარჯები საკუთარი ინიციატივითაც კი შეაჯამოს და გაანაწილოს მხარეთა შორის. ხოლო, რაც შეეხება სასამართლოსგარეშე ხარჯებს, თუკი ასეთი მოთხოვნა არ არსებობს სასამართლო, თავისთავად ცხადია, ვერ მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას. არის შემთხვევები, როდესაც სასამართლო არც სასამართლო ხარჯებზე "ზრუნავს", გადის დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის დრო და, შესაბამისად, პრაქტიკაშიც ყოფილა შემთხვევები, როდესაც ამ ხარჯებს მხარე ცალკე აღძრული სარჩელით ითხოვდა. აღნიშნულის სამართლებრივ საფუძველს იძლევა სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც, ვალდებულება შეიძლება წარმოიშვას კანონით გათვალისწინებული შემთხვევების დროსაც ამიტომ ამ შემთხვევაში შეიძლება გამოვიყენოთ სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა, რომლის თანახმადაც, ერთმა მხარემ მეორე - წაგებულ მხარეს შეუძლია მოსთხოვოს ხარჯების გადახდა (ანაზღაურება). სწორედ ამ საპროცესოსამართლებრივი საფუძვლისა და, რა თქმა უნდა, ფაქტობრივი გარემოებების დადგენა-შეფასების შემდეგ, გადაწყდება ხარჯების ანაზღაურების (როგორც მიყენებული ზიანის) საკითხი. აუცილებელია, რომ ამ დროს სასამართლომ გაითვალისწინოს ის რეალური და გონივრული ზიანი, რაც, შესაბამისად, ზიანში უნდა ივარაუდებოდეს, იმდენად, რამდენადაც პრაქტიკაში ასევე ხშირია შემთხვევები, როდესაც, მაგალითად, ადვოკატისათვის ასანაზღაურებელ თანხად (ზიანად) მხარე აშკარად შეუსაბამო, მაღალ ჰონორარს ასახელებს.

იმ შემთხვევაში, თუ არ არის გასული დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის ვადა, მაშინ შესაძლებელია მხარემ განცხადებით (და არა სარჩელით) მოითხოვოს ხარჯების ანაზღაურება (ისიც მხოლოდ სასამართლო ხარჯების). რაც შეეხება სასამართლოსგარეშე ხარჯებს, აქ აუცილებელია, რომ მის შესახებ თავად პროცესზე, ანუ საქმის მსვლელობისას წარმართულიყო მსჯელობა.

რაც შეეხება მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადას - იგი, ჩვეულებრივ, განისაზღვრება სამოქალაქო კოდექსით და ზიანის მიყენების ხანდაზმულობისათვის დადგენილ ვადას, სამ წელს შეადგენს. როდესაც მხარე მოითხოვს (თუნდაც შესაგებლით) ადვოკატის ხარჯების ანაზღაურებას, ბუნებრივია, სასამართლოს ამის შესახებ უნდა ჰქონდეს გარკვეული მსჯელობის საფუძველი. ამიტომ სასამართლო, ასეთ შემთხვევაში, ვერ განმარტავს, რომ აუცილებელია ამ დროს ცალკე სარჩელის დაყენება (ეს არც შეგებებული სარჩელის მიზნებში შედის). ამიტომ, სსკ-ის 53-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლო იმსჯელებს ამ ხარჯებზე, როდესაც დასრულდება პროცესი და ამის თაობაზე მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას. თუმცა აუცილებელია, რომ სასამართლოს გააჩნდეს რაღაც საფუძველი. მაგალითად, არ არის წარმოდგენილი მტკიცებულება (და ასეთ მტკიცებულებად, ნერილობითი მტკიცებულება, ნერილობითი დოკუმენტი მიიჩნევა), რომელიც ადასტურებს ადვოკატისათვის თანხის გადახდას და ა.შ. ამ საკითხთან დაკავშირებით საკმაოდ საინტერესო მსჯელობა წარიმართა ევროსასამართლოს ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში (ასანიძე საქართველოს წინააღმდეგ), სადაც ასევე იყო საუბარი ადვოკატის ხარჯების ანაზღაურებაზე და ევროსასამართლომ ასეთ გონივრულ თანხად 5000 ევრო ჩათვალა, რა თქმა უნდა, იმ დოკუმენტების გათვალისწინებით, რომლებიც ამ გონივრულობას ადასტურებდნენ. სასამართლომ მიუთითა, რომ სასამართლოს ხარჯების დაკისრება შეიძლება იმ ოდენობითაც ისინი რეალუ-

რად და საჭიროებისამებრ იქნა გაღებული. ამიტომ თუ არ არის წარმოდგენილი გადახდის დამა-დასტურებელი დოკუმენტი (დოკუმენტები) სასამართლოს ამაზე ვერ იმსჯელებს და, შესაბამი-სად, სასამართლოს ვერ მოვთხოვთ მიიღოს ამის შესახებ გადაწყვეტილება.

რაც შეეხება მოპასუხის (წარმომადგენლის) ხარჯების შესაგებლით ანაზღაურების შესაძლებლ-ბას, საბოლოოდ აზრი შეჯერდა შემდეგზე: სსკ-ის 53-ე მუხლი ანაწილებს სასამართლო ხარჯებს, თუმცა წინამდებარე მუხლში არის გამონაკლისი, რომელიც წარმომადგენელს ეხება, ანუ ნაწილ-დება ასევე მხარის (მოპასუხის) წარმომადგენლისათვის განეული ხარჯები. ასე რომ, ანაზღაურე-ბის თაობაზე შესაძლებელია მითითებული (მოთხოვნილი) იქნეს ასევე შესაგებელში. ამ შემთხვევაში მხარეს სარჩელის წარდგენას ვერ მოვთხოვთ.

შემაჯამებელი დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ასეთ შემთხვევებში სარჩელი შეიძლება მი-ლებულ იქნეს წარმოებაში, როგორც საპროცესოსამართლებრივი ნორმების, ისე მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების საფუძველზე.

არასათანადო მოპასუხება

როდესაც საუბარია სსკ-ის 85-ე მუხლის შესაბამისად არასათანადო მოპასუხებე, სასამართლომ, ამ ნორმის საფუძველზე უკვე იცის, რომ საქმეში ერთ-ერთი მოპასუხე მიეკუთვნება არასათანა-დო მოპასუხეს და, აქედან გამომდინარე, ისმის საკითხი არასათანადო მოპასუხის სათანადო მო-პასუხით ჩანაცვლების თაობაზე. ძირითადად, ეს ის შემთხვევაა, როდესაც ცნობილია, რომ პირი არასათანადო მოპასუხეა და გარკვეულია, თუ ვინ არის სათანადო მოპასუხე. ამიტომ პირის (მო-სარჩელის) იმ უფლების სწრაფად და ეფექტურად რეალიზაციისათვის, რომელსაც, პრინციპში, იცავს სარჩელის წარდგენისას საპროცესო კანონმდებლობა, მოქმედებს არასათანადო მოპასუ-ხის სათანადოთი ჩანაცვლების ინსტიტუტი (მუხლი 85). მაგრამ ხშირად პრაქტიკაში თავს იჩენს ისეთი შემთხვევა, როდესაც პირი ჩართულია მოპასუხედ საქმეში, იგი, ეჭვგარეშე, არასათანადო მოპასუხეა, თუმცა ცნობილი არ არის (და არც კანონით და არც საქმის გარემოებების გათვალის-წინებით არ შეიძლება დადგინდეს), თუ ვინ უნდა იყოს სათანადო მოპასუხე. ამიტომ თუ სასამარ-თლო მივა იმ დასკვნამდე, რომ საქმეში მონაწილეობს არასათანადო მოპასუხე, მაგრამ ვერ დადგინდება თუ ვინ უნდა იყოს სათანადო მოპასუხე, ხოლო მხარე (მოსარჩელე) არ შეამდგომ-ლობს სარჩელში მითითებული მოპასუხის მიმართ მოთხოვნაზე უარის თქმას, მაშინ სასამართ-ლომ უნდა განიხილოს მის მიმართ სასარჩელო მოთხოვნა და უნდა უთხრას უარი მის დაკმაყოფილებაზე (რასაკვირველია, არასათანადო მოპასუხის ნაწილში). ასე რომ, სასამართლოს მიერ საკუთარი ინიციატივით მოპასუხის საქმიდან "ამორიცხვა", საქართველოს კანონმდებლო-ბით, არ არსებობს და არც არის გათვალისწინებული.

მორიგება

პირველი საკითხი, რომელიც მოსამართლეებმა შეხვედრაზე განიხილეს, უკავშირდება სამოქალა-ქო დაცებზე მხარეთა მორიგებას. სამოქალაქო საპროცესო სამართალწარმოების ერთ-ერთი უმ-ნიშვნელოვანესი პრინციპიდან, კერძოდ, დისპოზიციურობიდან გამომდინარე, მოსამართლეებმა ცალსახად მიიჩნიეს, რომ მორიგების დამტკიცება შესაძლებელი უნდა იყოს სამართალწარმოების ნებისმიერ ეტაპზე, ვინაიდან სამოქალაქო საპროცესო სამართალწარმოებაში მხარეთა ნებას გა-დამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. მხარეთა მორიგების შემთხვევაში წყდება სასამართლო სამარ-თალწარმოება, უქმდება საქმეზე მიღებული ყველა გადაწყვეტილება და მტკიცდება მორიგება. აღნიშნული მორიგება უკვე მხარეთა მიერ გამოხატული ახალი ნებაა, რაც ახალი გარიგების და-დებას გულისხმობს. თუმცა, აღნიშნული საკითხი გარკვეულ პრობლემებთანაც არის დაკავშირე-ბული, კერძოდ, თუ მხარეები მორიგდნენ დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე შეტანილი საჩივრის განხილვის ეტაპზე, შესაძლებელია თუ არა საჩივრის განხილვის გარეშე ასეთი მორიგების დამტ-კიცება, ამის გამო დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის წარმოების შეწყვეტა ან, თუ მხარეები მორიგდნენ კერძო საჩივრის შეტანის ეტაპზე, შესაძლებელია თუ არა საჩივრის გან-ხილვის გარეშე მორიგების დამტკიცება.

აღნიშნული კითხვების არსი მდგომარეობს იმაში, რომ მორიგების დამტკიცების დროს მოსამარ-თლე არ ეცნობა საქმის არსებით მხარეს და შემოფარგლულია მხოლოდ კონკრეტული პროცესუ-ალური მოქმედების განხორციელებით, რაც უკანონო მორიგების დამტკიცების შესაძლებლობას წარმოშობს. ამდენად, მოსამართლეებს მიაჩნიათ, რომ მხარეთა ინტერესებისა და დისპოზიციუ-რობის პრინციპის დაცვის, ასევე სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით, მორი-გების დამტკიცება შესაძლებელი უნდა იყოს სამართალწარმოების ნებისმიერ ეტაპზე, მათ შორის საჩივრებისა და კერძო საჩივრების განხილვის დროსაც. თუმცა, ამ უკანასკნელ შემთხვევებში მი-ღებულ უნდა იქნას ყველა ზომა, რათა თავიდან იქნეს აცილებული უკანონო მორიგების დამტკი-ცება. რაც შეეხება უკანონო მორიგების დამტკიცების თავიდან ასაცილებლად განსახორციელებელ ღონისძიებებს, სასამართლო საჩივრისა და კერძო საჩივრის განხილვის დროს მორიგების დამტკიცების შემთხვევაში არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ კონკრეტული პროცესუალური მოქმედებით, უნდა გასცდეს საჩივრისა და კერძო საჩივრის მოთხოვნის ფარგ-ლებს, უნდა შეისწავლოს საქმე და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა დაამტკიცოს მორიგება.

მორიგებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია იმ საკითხის გარკვევა, იგივე წესით მტკიცდება თუ არა მორიგება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების დაწყების შემთხვევაში. ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების დროსაც, როგორც სა-მართალწარმოების ნებისმიერ ეტაპზე, დისპოზიციურობის პრინციპი მოქმედებს, ანუ მხარეებს სამართალწარმოების მოცემულ ეტაპზეც აქვთ უფლება, განკარგონ თავიანთი მატერიალურ-სა-მართლებრივი უფლებები, რასაც თავისი პროცესუალურ-სამართლებრივი შედეგი მოჰყვება.

ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების დაწყებისას მხარეთა მორიგების შემ-თხვევაში შეიძლება წამოიჭრას ერთი პრობლემა, კერძოდ, სამართალწარმოების მოცემულ ეტაპ-ზე სააღსრულებო ფურცელი შეიძლება უკვე ამონერილი იყოს და, შესაბამისად, აღსრულებაც დაწყებული. შეხვედრაზე განიმარტა, რომ მოცემულ შემთხვევაში მორიგების დამტკიცების გან-სხვავებული პროცედურა არსებობს, რაც "სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონის მე-18 მუხლით არის განერილი, კერძოდ, კრედიტორი და მოვალე აღსრულების პროცეს-

ში მორიგებისას სასამართლო აღმასრულებელს გადასცემენ მორიგების შესახებ წერილობით შეთანხმებას, რომელსაც იგი სამი დღის ვადაში გადაუგზავნის სასამართლოს მხარეთა მორიგების დამტკიცების საკითხის გადასაწყვეტად. თუ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შემთხვევაში მხარეები მორიგდნენ და სააღსრულებო წარმოება დაწყებული არ არის, მაშინ მორიგება ჩვეულებრივი წესის შესაბამისად დამტკიცდება, კერძოდ, შეწყდება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოება, გაუქმდება საქმეზე მიღებული ყველა სასამართლო გადაწყვეტილება და დამტკიცდება მორიგება.

აქვე აღსანიშნავია კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, კერძოდ, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოებისას მორიგების დამტკიცება იწვევს მხოლოდ წარმოების აღნიშნულ ეტაპზე მიღებული ყველა გადაწყვეტილების გაუქმებას თუ აღნიშნული წარმოების დაწყებამდე კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმებასაც. აღნიშნული საკითხი ერთმნიშვნელოვნად იქნა გადაჭრილი მხარეთა დისპოზიციურობის პრინციპზე დაყრდნობით, რაც ნიშნავს იმას, რომ, ვინაიდან მხარეები ახალ პირობებზე რიგდებიან, ამიტომ მოცემულ საქმეზე მიღებული ყველა გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს, თუმცა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გამოთქმულ იქნა საწინააღმდეგო პოზიციაც, რომელიც ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების ეტაპზე მხარეთა მორიგების შემთხვევაში კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმებას გამორიცხავდა. აღნიშნული პოზიციის თანახმად, ახალი მორიგებით მხარეები საკუთარი სურვილით იყვეცავენ გარკვეულ უფლება-მოვალეობებს, რიგდებიან ახალ პირობებზე, რაც კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმების აუცილებლობას არ იწვევს. აღნიშნული მოსაზრება უარყოფილ იქნა, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში იარსებებდა ორი კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება და, შესაბამისად, ორი კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებიდან ამონერილი (შეიძლება ურთიერთსაწინააღმდეგოც) სააღსრულებო ფურცელი. აღნიშნული საკითხის გადაჭრის ამოსავალ წერტილს კი ერთი მეტად მნიშვნელოვანი პრინციპი წარმოადგენს: სასამართლო სამართალწარმოების შედეგად აღსასრულებელი უნდა იყოს მხოლოდ ერთი კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება. ამის ნათელი დადასტურებაა საკასაციო სასამართლოს პრაქტიკა, კერძოდ, საკასაციო სამართალწარმოების ეტაპზე მორიგების დროს საკასაციო პალატა, მიუხედავად შესაბამისი პროცესუალური ნორმის არარსებობისა, აუქმებს მოცემულ საქმეზე საკასაციო სამართლაწარმოების დაწყებამდე მიღებულ ყველა ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილებას, რათა აღსასრულებლად მისაქცევი არ გახდეს სასამართლოს ერთზე მეტი გადაწყვეტილება.

მიუხედავად იმისა, რომ მხარეთა მორიგება სამართალწარმოების ნებისმიერ ეტაპზე არის შესაძლებელი, ერთმანეთისაგან განსხვავდება მორიგების დამტკიცების შედეგები იმის მიხედვით, მიქცეულია თუ არა აღსასრულებლად კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება. თუ კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებაზე ამონერილია სააღსრულებო ფურცელი და საქმე აღსასრულებლად არის მიქცეული, მაშინ აღმასრულებლის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლო, მართალია, მხარეთა მორიგებას ამტკიცებს, მაგრამ კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებას არ აუქმებს, აღნიშნული პროცედურის მარეგულირებელი ნორმები ნათლად არის "სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" კანონში განერილი, რაც სააღსრულებო სამართალწარმოების თავისებურებით არის განპირობებული.

შეხვედრაზე განხილულ იქნა ასევე მორიგების დამტკიცების განსჯადობის საკითხი. აღნიშნულთან დაკავშირებით აზრი შეჯერდა, რომ მორიგებას ამტკიცებს გადაწყვეტილების გამომტა-

ნი სასამართლო, მაშინაც კი, როდესაც არსებობს ზემდგომი სასამართლოს განჩინება აღნიშნული გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე, ანუ მორიგების დამტკიცების დროს ანალოგის წესით გამოიყენება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო განცხადების განხილვის განსჯადობის წესები (სსკ-ის 424-ე მუხლი), მაგრამ ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია ერთი მეტად მნიშვნელოვანი გარემოება: თუ პირველი ინსტანციის სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება და სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოებმა აღნიშნული გადაწყვეტილება დატოვეს უცვლელად, განსჯადობის ზემოაღნიშნული წესების შესაბამისად, მორიგების დამტკიცების საკითხს იხილავს პირველი ინსტანციის სასამართლო, მაგრამ იგი არ აუქმებს სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოების განჩინებებს, ვინაიდან მორიგების დამტკიცების დროს გაუქმებას ექვემდებარება მხოლოდ ის გადაწყვეტილება, რომელიც გარკვეული სამართლებრივი შედეგის დადგომას იწვევს, ანუ რომელიც აღსრულებას ექვემდებარება.

შეხვედრაზე განხილულ იქნა მორიგებასთან დაკავშირებული კიდევ ერთი საკითხი, კერძოდ, შესაძლებელია თუ არა მორიგების დამტკიცება უზრუნველყოფის ღონისძიების განხილვის ეტაპზე, მაშინ, როდესაც სარჩელი ჯერ კიდევ არ არის აღძრული. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩამოყალიბდა ერთიანი პოზიცია, კერძოდ, გამომდინარე იქიდან, რომ სასამართლოს-თვის სამართალწარმოების აღნიშნულ ეტაპზე ცნობილი არ არის სარჩელის საგანი და საფუძველი, ამიტომ მორიგების დამტკიცებაც მოცემულ ეტაპზე დაუშვებელია მხარეებისა და დავის საგნის არარსებობის გამო.

მოსამართლეება განიხილეს **მორიგების შემთხვევაში მხარეთა მიერ გადასახდელი სახელმწიფო ბაჟის ოდენობაც.** სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 49-ე მუხლის პირველ ნაწილში მითითებულია, თუ სასამართლოს მთავარ სხდომაზე მხარეები მორიგდებიან, სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ნახევრდება. ამასთან, სსკ-ის 54-ე მუხლის მე-2 ნაწილით, თუ მხარეებმა მორიგების დროს თავად გაითვალისწინეს სასამართლო ხარჯებისა და ადვოკატის დახმარების გამო გაწეული ხარჯების განაწილების წესი, სასამართლო ამ საკითხს წყვეტს მათი შეთანხმების შესაბამისად. ხშირად მთავარ (ან მოსამზადებელ) სხდომაზე წარმოდგენილი მორიგების აქტი არ შეიცავს ბაჟის თაობაზე მხარეთა რაიმე შეთანხმებას. მხოლოდ ამის გამო მორიგების დამტკიცებაზე უარის თქმა დაუშვებელია. ასეთ შემთხვევაში გადასაწყვეტია ბაჟის (განახევრებულის მთავარი სხდომის დროს და სრული ოდენობის კი - მოსამზადებელი სხდომის დროს) დაკისრების საკითხი. ლოგიკური იქნებოდა, მოსარჩელის მიერ გადახდილ ბაჟს თუ გადაიხდიდა მოპასუხე, მაგრამ განსხვავებით სსკ-ის 53-ე მუხლის დანაწესისაგან, მას პროცესი არ წაუგია - იგი მხოლოდ მორიგდა. საინტერესოა სახელმწიფო ბაჟის საკითხი მაშინაც, როდესაც მოსარჩელე გათავისუფლებული იყო ბაჟის გადახდისაგან და მხარეები მორიგდნენ აქედან გამომდინარე ისმის კითხვა: მორიგების შემთხვევებში, როცა მხარეებს თავად არ გადაუწყვეტიათ სახელმწიფო ბაჟის საკითხი, როგორ უნდა გადაწყდეს ბაჟის დაკისრების პრობლემა?

წინამდებარე საკითხს აწესრიგებს სსკ-ის 49-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილი, ასევე 54-ე მუხლი, მაგრამ, როგორც წესი, როდესაც მხარეები სასამართლოს წარუდგენენ მორიგების შეთანხმებას, ამ შეთანხმებაში ბაჟის საკითხის შესახებ მითითებული საერთოდ არ არის ხოლმე. ამ საფუძვლით სასამართლო მორიგებაზე, რა თქმა უნდა, უარს ვერ განუცხადებს მხარეებს, მაგრამ სანამ სასამართლო სათათბიროში გავა და განუმარტავს მხარეებს მორიგების პირობებისა და მოსალოდნელი შედეგების შესახებ, მიზანშეწონილია იქვე ყურადღება გამახვილდეს სახელმწიფო ბაჟის და მისი მხარეებზე განაწილების საკითხზე. თუ მხარეები, ბაჟის განსაზღვრის რაიმე განს-

ხვავებულ წესზე არ შეთანხმებულან და თუ მოსარჩელე ბაჟის გადახდისაგან განთავისუფლებულია, მაშინ სასამართლოს მხარეთა მთავარ სხდომაზე მორიგებისას შეუძლია გადაწყვიტოს მოპასუხისათვის ბაჟის დაკისრების საკითხი და მას დაკისროს შესაბამისი ინსტანციისათვის განკუთვნილი თანხის 1/4.

სსკ-ის 49-ე მუხლით განსაზღვრულია, რომ თუ სასამართლოს მთავარ სხდომაზე მხარეები მორიგდებიან, სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ნახევრდება, ე.ი. თუ სასამართლო ხარჯებთან დაკავშირებით მხარეებს მორიგება არ გაუფორმებიათ (ანუ მორიგების შეთანხმებაში ეს საკითხი არ გაუთვალისწინებიათ), მაშინ საკითხი გადაწყდება კანონის შესაბამისად: სახელმწიფო ბაჟი განახევრდება და გადანაწილდება მხარეებს შორის. თუ არსებობს რამე შეთანხმება მხარეებს შორის - საკითხი, ბუნებრივია, გადაწყდება შეთანხმების მიხედვით.

საბოლოო აზრის შეჯერებისათვის შესაძლებელია მოყვანილ იქნეს კონკრეტული კაზუსი: მაგალითად, გადასახდელია 1000 ლარი (სახ. ბაჟის ოდენობა) და, მორიგების შემთხვევაში, ეს თანხა უნდა განაწილდეს თანაბრად - 500 ლარი მოსარჩელეზე, ხოლო დარჩენილი 500 კი მოპასუხეზე. მაგრამ ერთი მხარე განთავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან. ამიტომ თუ იგი განთავისუფლებულია ასეთი ბაჟის გადახდისაგან, მაშინ, ბუნებრივია, მას აღარ დაეკისრება მისი გადახდა. ხოლო როდესაც ბაჟის ოდენობა (მორიგების დროს) ნახევრდება, მაშინ 500 ლარიდან მხარის მიერ გადაიხდება მხოლოდ ნახევარი - 250 ლარი. თუკი მოსარჩელის მიერ თავიდანვე იქნა გადახდილი სახელმწიფო ბაჟი სრულად, ხოლო მხარეები მორიგდნენ, მაშინ დარჩენილი ნახევრის გადახდა დაეკისრება მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეჯერდა ერთიანი პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ მორიგების დამტკიცება შესაძლებელია სასამართლო სამართალწარმოების ნებისმიერ ეტაპზე. მორიგების დამტკიცების დროს მოსამართლე უნდა იცნობდეს საქმის არსებით მხარეს, რათა თავიდან იქნეს აცილებული უკანონო მორიგების დამტკიცება. მორიგების დამტკიცების შედეგად წყდება საქმის წარმოება და უქმდება საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება (გამონაკლისს წარმოადგენს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების დაწყების შემდეგ მორიგების დამტკიცება, მოცემულ შემთხვევაში სასამართლო აღმასრულებლის შუამდგომლობის საფუძველზე წყვეტის მორიგების დამტკიცების საკითხს, თუმცა არ აუქმებს კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებას), აღსასრულებელი რჩება მხოლოდ ერთი განჩინება, რომლითაც მორიგება დამტკიცდა. მორიგების დამტკიცების შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით დაუშვებელია. იგივე წესი მოქმედებს საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერების საკითხის განხილვის დროს მხარეთა მორიგების დამტკიცების შემთხვევაშიც, მტკიცდება მორიგება და უქმდება საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილება. სარჩელის უზრუნველყოფის ეტაპზე კი მორიგების დამტკიცება დაუშვებელია მხარეებისა და დავის საგნის არარსებობის გამო.

სარჩელის უზრუნველყოფა

სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადება აუცილებლად უნდა პასუხობდეს სამოქალა-ქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლების მოთხოვნებს, ამასთან, გადახდილი უნდა იქნეს სახელ-მწიფო ბაჟი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილის "ე" ქვეპუნქტის შესაბამისად. იმ შემთხვევაში, თუკი მხარის მიერ ასეთი განცხადების წარდგენის მომენტისათვის არ იქნება გადახდილი სახელმწიფო ბაჟი, მაშინ სასამართლო უფლებამოსილია, მიუთითოს მხა-რეს ხარვეზზე, გამოიტანოს შესაბამისი განჩინება და მოსთხოვოს მას ამ ხარვეზის გამოსწორე-ბა. ხარვეზის გამოუსწორებლობის შემთხვევაში განცხადება განუხილველად იქნება დატოვებული.

თუ სარჩელის აღძვრამდე პირი ითხოვს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებას, ასეთ გან-ცხადებას მან უნდა დაურთოს სახელმწიფო ბაჟის გადახდის ქვითარი. ხარვეზის გამოყენების შემ-თხვევაში იმავე კოდექსის 190-ე მუხლით დადგენილი ვადა არ დაირღვევა, რადგანაც მოსამართლის მიერ მხარისათვის ხარვეზის დადგენა ჯერ არ ნიშნავს განცხადების სრულყოფილ განხილვას. ვადის ათვლა უნდა განხორციელდეს იმ მომენტიდან, როდესაც ხარვეზი გამოსწორე-ბული იქნება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 194-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სარჩელის უზრუნ-ველყოფის შესახებ განცხადების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში სასამართლოს გამოაქვს განჩინება სარჩელის უზრუნველყოფაზე უარის თქმის შესახებ. ამ შემთხვევაში სასამართლოსათ-ვის ხელმეორედ მიმართვა იმავე საგანზე იმავე საფუძვლით დაუშვებელია. ამ ნორმის თანახმად, თუ სასამართლომ უკვე იმსჯელა უზრუნველყოფის განცხადებაზე, არ დააკმაყოფილა იგი და მხა-რე ხელახლა შემოიტანს სასამართლოში იდენტური სახის განცხადებას, სასამართლო განცხადე-ბას განუხილველად დატოვებს დაუშვებლობის მოტივით.

იმ შემთხვევაში, როცა სახელმწიფო ბაჟი გადახდილია, მაგრამ მხარე არასრულყოფილად მიუთი-თებს უზურნველყოფის ღონისძიების გამოყენების საფუძვლებზე, მაშინ სასამართლო მიიღებს განჩინებას ხარვეზის შესახებ და მისცემს განცხადების ავტორს ვადას ხარვეზის შესავსებად. სა-მოქალაქო საპროცესო კოდექსის 194-ე მუხლის მე-4 ნაწილით დასაშვებია, რომ საჩივრის განხილ-ვამდე შეჩერდეს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინების აღსრულება ან გაუქმდეს უზრუნველყოფისათვის უკვე მიღებული ღონისძიება. სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ გან-ჩინებაზე შეტანილი საჩივრის განხილვის 20-დღიან პერიოდში უზრუნველყოფის შესახებ განჩი-ნების აღსრულების შეჩერების შემთხვევაში დასაშვებია თუ არა ამ განჩინების (აღსრულების შეჩერების) საჩივრით გასაჩივრება ანუ ასეთი განჩინების გამოტანისთანავე უნდა გაიცეს თუ არა სააღსრულებო ფურცელი სარჩელის უზრუნველყოფის ანალოგიურად. აღნიშნული საკითხის გან-ხილვა ეხება მხარეთა დისპოზიციურობის პრინციპს, ვინაიდან სარჩელის უზრუნველყოფის ღო-ნისძიების გამოყენების შემთხვევაში კანონმდებელი იცავს მეორე მხარის, ამ შემთხვევაში მოპასუხის ინტერესებს და აძლევს აღნიშნული ღონისძიების გამოყენების გასაჩივრების შესაძ-ლებლობას. საჩივრის ავტორმა შეიძლება სარწმუნოდ დაადასტუროს აღნიშნული ღონისძიების გამოყენების შედეგად გამოუსწორებელი შედეგის დადგომის შესაძლებლობა, რაც შეიძლება სა-ფუძვლად დაედოს მოსამართლის მიერ თავისივე მიღებული უზრუნველყოფის ღონისძიების შე-ჩერების თაობაზე განჩინების გამოტანას. მოსამართლე აღნიშნულ მექანიზმს გამოუსწორებელი ზიანის დადგომის თავიდან ასაცილებლად იყენებს, ამიტომ სარჩელის უზრუნველყოფის აღსრუ-

ლების შესახებ განჩინების დროებით შეჩერების თაობაზე გამოტანილი განჩინების საჩივრით გა-
საჩივრება დაუშვებელია.

თუ სასამართლო პრაქტიკა დაუშვებს უზრუნველყოფის შესახებ განჩინების დროებით შეჩერე-
ბის გასაჩივრების შესაძლებლობას, მაშინ თვით სარჩელის უზრუნველყოფის სამოქალაქო საპრო-
ცესო-სამართლებრივ ინსტიტუტს დაეკარგება აზრი, მით უმეტეს, რომ სამოქალაქო საპროცესო
კოდექსი უზრუნველყოფის შესახებ განჩინების აღსრულების შეჩერების თაობაზე გამოტანილი
განჩინების გასაჩივრებას არ ითვალისწინებს. აქვე ყურადღება გასამახვილებელია ერთ მეტად
მნიშვნელოვან საკითხზე, კერძოდ,

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება უშუალოდ მატერიალურ-სამართლებრივი უფლების
დაცვისაკენ არის მიმართული, ამიტომ სასამართლო პირველ რიგში მატერიალურსამართლებრივ
სივრცეში ამონმებს უფლების უზრუნველყოფის საკითხს. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძი-
ება მატერიალურ-სამართლებრივი უფლების მაქსიმალურად სწრაფად და ეფექტურად დაცვის
უზრუნველყოფას ემსახურება. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საფუძ-
ველს მართლმსაჯულების ეფექტურობის უზრუნველყოფა წარმოადგენს, კერძოდ კი, თუ არსე-
ბობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებლობა გააძნელებს
ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სარ-
ჩელის უზრუნველყოფის შესახებ. სწორედ ამიტომ დაუშვებელია უზრუნველყოფის ღონისძიების
აღსრულების დროებითი შეჩერების შესახებ განჩინების გასაჩივრება. აღნიშნული უგულვებელ-
ყოფს სარჩელის უზრუნველყოფის უმთავრეს პრინციპს, რასაც სწრაფი და ეფექტური მართლმ-
საჯულების განხორციელება წარმოადგენს.

უზრუნველყოფის ღონისძიების აღსრულების დროებით შეჩერების თაობაზე მიღებულ განჩინე-
ბაზე დაუყოვნებლივ უნდა გაიცეს სააღსრულებო ფურცელი, წინააღმდეგ შემთხვევაში აღნიშნუ-
ლი შეჩერება აზრს დაკარგავს.

შეხვედრაზე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებასთან დაკავშირებით კიდევ ერთი მნიშვნე-
ლოვანი საკითხი განიხილეს, კერძოდ, შესაძლებელია თუ არა, რომ სარჩელის საგანი და სარ-
ჩელის უზრუნველყოფის საგანი ერთმანეთს ემთხვეოდეს და შესაძლებელია თუ არა ასეთი
უზრუნველყოფის ღონისძიების დაკმაყოფილება, მაგალითად: ა) პირი სარჩელით ითხოვს აეკ-
რძალოს მეორე პირს კონტრაფაქციული პროდუქციის გამოშვება, ხოლო სარჩელის უზრუნ-
ველყოფით კი ითხოვს იმავეს, ოღონდ სარჩელის განხილვის დასრულებამდე ან ბ) პირი
სარჩელით ითხოვს აუცილებელი გზით სარგებლობის ხელშეშლის აკრძალვას, უზრუნველ-
ყოფით კი ითხოვს იმავეს სარჩელის განხილვის დასრულებამდე. ასეთი უზრუნველყოფის
დაკმაყოფილების შემთხვევაში ფაქტობრივად ვიღებთ შედეგს, როცა სარჩელი დროებით, მაგ-
რამ კმაყოფილდება, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით. სარჩელის უზრუნველყო-
ფის საგანი და სარჩელის საგანი სავსებით შესაძლებელია ემთხვეოდეს ერთმანეთს, მაგრამ არ
შეიძლება იყოს ერთი და იგივე, ვინაიდან მათ აბსოლუტურად სხვადასხვა სამართლებრივი წინა-
პირობები გააჩნიათ, რასაც მხარე სარჩელის უზრუნველყოფით ითხოვს, იმას ვერ მოითხოვს სარ-
ჩელით, ვინაიდან ერთი ემსახურება მეორის განხორციელებას. თუმცა, აღნიშნული მოთხოვნების
თანხვედრა შესაძლებელია. სარჩელის უზრუნველყოფა დროებითი ხასიათის ღონისძიებაა, რო-
მელიც სასამართლოს მიერ სასარჩელო სამართალწარმოების წესით დადგენილი უფლების რეა-
ლიზებას უწყობს ხელს, იგი სასარჩელო მოთხოვნის დაცვასა და ეფექტურად განხორციელებას
ისახავს მიზნად. თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებათა

მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, სასამართლო იყენებს უზრუნველყოფის ღონისძიებას, იმ შემთხვევაშიც კი თუ უზრუნველყოფის საგანი და სარჩელის საგანი ემთხვევა ერთმანეთს და ეს არამც და არამც არ გულისხმობს წინასწარი გადაწყვეტილების გამოტანას. აღნიშნული მსჯელობის ნათელი მაგალითია მშენებლობის აკრძალვა, როდესაც მშენებლობის აკრძალვა წარმოადგენს მხარის როგორც უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების, ისე სასარჩელო მოთხოვნის საგანს. თუ არ დაკმაყოფილდება მხარის მოთხოვნა უზრუნველყოფის ღონისძიებად მშენებლობის აკრძალვის გამოყენებასთან დაკავშირებით, მაშინ სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება გაძნელდება, ვინაიდან აღნიშნული შენობის დემონტაჟი სერიოზულ ხარჯებთან იქნება დაკავშირებული.

სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენების თაობაზე მოთხოვნების დაკმაყოფილება უნდა გადაწყდეს ინდივიდუალურად, საქმის გარემოებებიდან გამომდინარე. სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტი კონცენტრირებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლში და კერძოდ კი იმ წინადადებაში, სადაც წერია, რომ, "თუ სასამართლოს გაუჩნდება დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, მას გამოაქვს განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ". ყველა საქმეზე უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე მსჯელობისას სასამართლომ პირველ რიგში ყურადღება უნდა გაამახვილოს სარჩელის უზრუნველყოფის საფუძველზე, კერძოდ, სამომავლოდ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების გაძნელების ან აღუსრულებლობის შეუძლებლობის საშიშროებაზე, და ასევე იმაზეც, თუ იურიდიულად რამდენად გამართლებულია სასარჩელო მოთხოვნა, რაც იმას ნიშნავს, რომ გამოკვეთილი უნდა იყოს სასარჩელო მოთხოვნის იურიდიული დასაბუთება. სასარჩელო მოთხოვნის იურიდიული მართებულობა არის სარჩელის დაკმაყოფილების ერთ-ერთი უაცილებელი საფუძველი, რომელსაც მნიშვნელობა აქვს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების მისაღებად. არ არის გამართლებული იმ უფლების უზრუნველყოფა, რომელიც არ არსებობს და ეს იმთავითვე ნათელია სასამართლოსათვის. თუ არ არსებობს უფლება, არც იმის საშიშროებაა, რომ იგი დაირღვევა სარჩელის უზრუნველყოფის მიუღებლობით, ამდენად, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებისადმი, როგორც საპროცესო-სამართლებრივი ინსტიტუტისადმი, ფორმალური მიღებობა დაუშვებელია და იგი უმეტესწილად სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზანშეწონილობაზეა დამოკიდებული.

უნდა აღინიშნოს, რომ **სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება აღიარებითი სარჩელის არსებობის დროს ისევე შესაძლებელია**, როგორც მიკუთვნებითი სარჩელის შემთხვევაში. აღიარებითი სარჩელის დროს სამართალურთიერთობის აქტიური ცენტრი გადატანილია უფლებაზე, მხარე ითხოვს თავისი უფლების დაცვას, რათა მომავალში არ დაირღვეს ის. იმ აღიარებითი გადაწყვეტილებით, რომლითაც მხარე იძენს გარკვეული მოქმედებების განხორციელების შესაძლებლობას, ამდენად, მას აქვს პატივსადები მიზეზი, რომ სასამართლოს თავისი სამომავლო მოქმედებების განხორციელების შესაძლებლობის უზრუნველყოფა მოსთხოვოს.

რაც შეეხება ელექტროენერგიაზე დარიცხული თანხის ჩამონერასა და, სარჩელის უზრუნველყოფის სახით, ელექტროენერგიის მიწოდების აღდგენას, ამ შემთხვევაშიც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებასთან დაკავშირებით არ არსებობს წინასწარი ცალსახა მიდგომა მისი გამოყენების ან არგამოყენების თაობაზე. საკითხის ამგვარი ფორმალური გადაწყვეტა სრულ წი-

ნააღმდეგობაში მოვიდოდა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების არსთან, ამიტომ, მოცემულ შემთხვევაშიც, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება დამოკიდებული უნდა იყოს იმაზე, თუ რამდენად სარწმუნოდ დაადასტურებს მხარე დროის განსაზღვრულ მონაკვეთში ელექტროენერგიის აღდგენის იურიდიულ ინტერესს. ასევე, აღნიშნული ღონისძიების გამოუყენებლობით მისთვის გამოუსწორებელი ზიანის მიყენების ფაქტს და შედგომში მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების გაძნელების ან საერთო აღსრულების შეუძლებლობის საშიშროებას. ამასთან, აღნიშნული საკითხისადმი ფორმალური მიდგომის გამოსარიცხად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გათვალისწინებული უნდა იყოს ასევე თვით სასარჩელო მოთხოვნის იურიდიული მართებულობა.

საკითხი შეეხო სსსკ-ის 1991 მუხლს. კერძოდ, დაისვა შეკითხვა: როდესაც ხდება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება სსსკ-ის 1991 მუხლის შესაბამისად, გასაჩივრების რა ვადა უნდა მიეცეს მხარეს? მოსამართლეთა ნაწილი თვლიდა, რომ ეს ვადა 5 დღეს შეადგენს, ანუ ეს ვადა არის 5 დღე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებაზე საჩივრის შეტანის ვადის მიხედვით, ნაწილი კი თვლიდა, რომ ეს არის 12 ან 14 დღე - გადაწყვეტილების/ განჩინების გასაჩივრების ვადა. ხომ არ არის შესაძლებელი გადაწყვეტილება/განჩინების ის ნაწილი, რომლითაც უზრუნველყოფა გაუქმდა 5 დღის ვადაში გასაჩივრდეს, ხოლო სხვა ნაწილი კი შესაბამის ვადაში?

მითითებული ნორმის ანალიზი ცხადყოფს, რომ მოცემულია ის სამი შემთხვევა, როდესაც სასამართლო აუქმებს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებას. ერთ-ერთი ასეთი შემთხვევაა სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა. ასეთ შემთხვევაში, როგორც წესი, მიიღება გადაწყვეტილება და, შესაბამისად, მითითებული უნდა იყოს გადაწყვეტილების გასაჩივრების კანონით დადგენილი ვადები (ინსტანციების შესაბამისად 14 დღე ან ერთი თვე); მეორე შემთხვევა გულისხმობს სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ განჩინებას. სარჩელის განუხილველად დატოვების შემთხვევაში მიიღება განჩინება, რომელიც, თავისთავად, გასაჩივრდება განჩინების გასაჩივრების იმ ფორმით, რასაც კონკრეტულად ითვალისწინებს სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ განჩინება; და ბოლოს, საქმე ეხება საქმის წარმოების შეწყვეტას. ამ შემთხვევაშიც მოქმედებს განჩინების გასაჩივრებისათვის დადგენილი ვადა. ასე რომ, ამ დროსაც გამოიყენება 12 დღე. მაშასადამე, 5 დღიანი გასაჩივრების ვადა ამ დროს არ გამოიყენება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსამართლეთა მოსაზრება შეჯერდა იმასთან დაკავშირებით, რომ:

1. სარჩელის უზრუნველყოფის აღსრულების შესახებ განჩინების დროებით შეჩერების თაობაზე გამოტანილი განჩინების საჩივრით გასაჩივრება დაუშვებელია.
2. უზრუნველყოფის ღონისძიების აღსრულების დროებით შეჩერების თაობაზე მიღებულ განჩინებაზე დაუყოვნებლივ უნდა გაიცეს სააღსრულებო ფურცელი.
3. სასარჩელო მოთხოვნისა და სარჩელის უზრუნველყოფის საგანი შეიძლება ემთხვეოდეს ერთმანეთს. თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, სასამართლო იყენებს უზრუნველყოფის ღონისძიებას, იმ შემთხვევაშიც კი თუ უზრუნველყოფის საგანი და სარჩელის საგანი ემთხვევა ერთმანეთს.
4. ყველა საქმეზე უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე მსჯელობისას სასამართ-

ლომ პირველ რიგში ყურადღება უნდა გაამახვილოს სარჩელის უზრუნველყოფის საფუძველზე, კერძოდ, სამომავლოდ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების გაძნელების ან აღუსრულებლობის შეუძლებლობის საშიშროებაზე, და ასევე იმაზეც, თუ იურიდიულად რამდენად გამართლებულია სასარჩელო მოთხოვნა, რაც იმას ნიშნავს, რომ გამოკვეთილი უნდა იყოს სასარჩელო მოთხოვნის იურიდიული დასაბუთება. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისადმი ფორმალური მიდგომა დაუშვებელია.

5. მიკუთვნებითი სარჩელის მსგავსად შესაძლებელია ასევე აღიარებითი სარჩელის უზრუნველყოფა.
6. რაც შეეხება ელექტროენერგიაზე დარიცხული თანხის ჩამოწერასა და, სარჩელის უზრუნველყოფის სახით, ელექტროენერგიის მიწოდების აღდგენას, ამ შემთხვევაშიც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებასთან დაკავშირებით არ არსებობს წინასწარი ცალსახა მიღომა და მისი გამოყენების ან არგამოყენება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სარწმუნოდ დაადასტურებს მხარე დროის განსაზღვრულ მონაკვეთში ელექტროენერგიის აღდგენის იურიდიულ ინტერესს და აღნიშნული ღონისძიების გამოყენებლობით მისთვის გამოუსწორებელი ზიანის მიყენების საშიშროებას.
7. როდესაც სასამართლოს გადაწყვეტილებით მხარეს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე ეთქმება უარი და უქმდება ყადაღა - აღნიშნული საჩივრდება გადაწყვეტილების გასაჩივრების წესით იმდენად, რამდენადაც იგი წარმოადგენს გადაწყვეტილების განუყოფელი ნაწილს და მათი ერთმანეთისაგან განცალკევებადაუშვებელია. თუ საქმის წარმოების შეწყვეტას აქვს ადგილი, ამ შემთხვევაშიც უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება გასაჩივრდება კერძო საჩივრით, ამ განჩინების გასაჩივრებისათვის დადგენილი წესის შესაბამისად.

სასამართლო უცყენა

მოსამართლეთა მონაწილეობით გამართულ შეხვედრებზე საკითხი შეეხო სასამართლო უწყებას-თან დაკავშირებულ პროცედურების კერძოდ, ტექნიკური საშუალებებით მხარეთა დაბარების გააქტიურებას, ასეთ შემთხვევებში, უწყების ჩაბარების დადასტურებას და ა.შ. ამ მხრივ დიდია პროცესის მონაწილე პირთა საიდენტიფიკაციო ფორმულარის (შემდგომში - ფორმულარი) შევსების მნიშვნელობა, რომლის სრულყოფილად შევსების შემთხვევაში გაადვილდება პროცესის მონაწილე პირთა სასამართლოში დაბარება, ამასთან, სასამართლო უწყების ჩაუბარებლობის მიზეზით ნაკლებად მოხდება პროცესების გადადება და დაჩქარდება საქმის განხილვა. აქედან გამომდინარე, **აზრი შემდეგზე შეჯერდა:**

- ა)** სასამართლოში სარჩელის (განცხადების) შეტანისას, აგრეთვე შესაგებლის წარმოდგენისას, სასამართლოს კანცელარიის უფლებამოსილმა მოხელემ მკაცრად უნდა გააკონტროლოს მოსარჩელის, მოპასუხის, აგრეთვე მათი წარმომადგენლების (თუ მხარე საქმეში მონაწილეობს წარმომადგენლის მეშვეობით) მიერ ფორმულარის სრულყოფილად შევსება, განსაკუთრებით საკონტაქტო მონაცემების მითითება (ტელეფონი, ფაქსი, ელექტრონული ფოსტის მისამართი). თუ ფორმულარი სრულყოფილად არ იქნება შევსებული კანცელარიის უფლებამოსილმა მოხელემ უნდა მისცეს მითითება მისი შევსების თაობაზე და მხარეს ან მის წარმომადგენელს განუმარტოს, რომ ფორმულარში არსებული მონაცემები დაეხმარება სასამართლოს მასთან დაკავშირებას და მისი უფლებების სწრაფ დაცვას. საკუთარი საკონტაქტო მონაცემების არქონის გამო ფორმულარში ასეთი მონაცემების მიუთითებლობის შემთხვევაში, სასამართლოს კანცელარიის უფლებამოსილმა მოხელემ მხარეს უნდა მოსთხოვოს იმ პირის საკონტაქტო მონაცემების მითითება, ვისი მეშვეობითაც შესაძლებელი იქნება მასთან დაკავშირება;
- ბ)** ფორმულარში განზრახ არასწორი მონაცემების მითითების შემთხვევაში, მტკიცების ტვირთი გადავიდეს შესაბამისად მხარეზე.

ყურადღება გამახვილდა იმ ფაქტზე, რომ სასამართლოების მიერ მხარეთა და პროცესის სხვა მონაწილეთა სასამართლოში დაბარება ძირითადად ხორციელდება სასამართლო უწყების მეშვეობით და ნაკლებად ხდება სასამართლო შეტყობინების ისეთი ალტერნატიული საშუალებების გამოყენება როგორიცაა: ტელეფონი, ფაქსი, ელექტრონული ფოსტა (შემდგომში - ტექნიკური საშუალებები). ასევე, ხშირია სასამართლო უწყების ჩაუბარებლობის მიზეზით საქმის განხილვის გაჭიანურების შემთხვევები. აღნიშნულიდან გამომდინარე, აზრი შეჯერდა შემდეგზე:

- ა)** სასამართლოების მიერ აქტიურად განხორციელდება მხარეთა და პროცესის სხვა მონაწილე პირთა სასამართლოში დაბარება ტექნიკური საშუალებების გამოყენებით;
- ბ)** სასამართლოები შეტყობინების განხორციელებისას აქტიურად გამოიყენებენ, როგორც ფორმულარში მითითებულ ინფორმაციას, ასევე საკონტაქტო მონაცემების მოპოვების მიზნით, მიმართავენ ინფორმაციის სხვა წყაროებს (სატელეფონო ცნობარი, პირადი კონტაქტები და სხვა);
- გ)** სასამართლო უწყების გაგზავნა ფოსტით ან კურიერის მეშვეობით, ძირითადად, განხორციელდება იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლოსაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო შეუძლებელი გახდება ტექნიკური საშუალებებით შეტყობინება.

ჩამოყალიბდა ერთიანი პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ ტექნიკური საშუალებებით შეტყო-

ბინება უნდა განახორციელოს მოსამართლის თანაშემწემ, სასამართლოს სხდომის მდივანმა ან სასამართლოს უფლებამოსილმა მოხელემ (შემდგომში - სასამართლოს მოხელე). შესაბამისად, მათ დაეკისროთ პასუხისმგებლობა ტექნიკური საშუალებით დაბარების შესახებ აქტში (შემდგომში - აქტი) არასწორი მონაცემების შეტანისათვის.

ყურადღება მიექცა იმ ფაქტს, რომ ტექნიკური საშუალებებით შეტყობინებისას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სასამართლოში დასაბარებელი პირისათვის ინფორმაციის ამომწურავად და გასაგებად მიწოდებას, ასევე ტექნიკური საშუალებებით გაგზავნილი უწყების ჩაბარების დადასტურებას. ამ მიზნით, **აზრი შეჯერდა შემდეგზე:**

ა) სასამართლოს მოხელემ სასამართლოში დასაბარებელ პირთან (შემდგომში - ადრესატი) ტელეფონით დაკავშირებისას პირველ რიგში უნდა დაადგინოს იმ პირის ვინაობა (მხოლოდ სახელი და გვარი) ვისაც დაუკავშირდა. მისი მხრიდან დასტურის მიღების შემდგომ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მას სასამართლო უწყების შინაარსი, კერძოდ: იმ სასამართლოს სახელწოდება და ზუსტი მისამართი, სადაც ადრესატი უნდა გამოცხადდეს; საქმის დასახელება მოკლედ და დავის საგანი; გამოცხადების დრო (რიცხვი, თვე, წელი) და ადგილი (სასამართლო სხდომის დარბაზის ნომერი); რა სტატუსით არის ადრესატი სასამართლოში დაბარებული; არასაპატიო მიზეზით სასამართლოში გამოუცხადებლობის შემთხვევაში მის მიმართ გამოსაყენებელი ზომების შესახებ, კერძოდ დაჯარიმების შესაძლებლობა; გამოუცხადებლობის შედეგები, კერძოდ მის მიმართ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობა; სასამართლოს საკონტაქტო მონაცემები; ასევე განუმარტოს უფლება მასთან არსებული მტკიცებულებების წარმოდგენის შესახებ და ვალდებულება, აცნობოს სასამართლოს გამოუცხადებლობის მიზეზები.

ბ) თუ სასამართლოს მოხელე დაუკავშირდება ადრესატთან მცხოვრებ ოჯახის სრულწლოვანევრს, სამუშაო ადგილის შესაბამის პირს, ადრესატის წარმომადგენელს ან ფორმულარში მითითებულ სხვა პირს, დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მას სასამართლო უწყების შინაარსი და განუმარტოს სასამართლო უწყების შინაარსის ადრესატისათვის დაუყოვნებლივ გადაცემის ვალდებულება.

გ) თუ სატელეფონო კავშირი შედგება და პირის იდენტიფიცირება განხორციელდება, სასამართლოს მოხელე შეადგენს და ხელს მოაწერს აქტს, რა დროსაც სასამართლო უწყება ჩაბარებულად ჩაითვლება.

დ) იმ შემთხვევაში თუ სატელეფონო კავშირი გაწყდება სასამართლოს მოხელისა და ადრესატი-საგან ან სხვა პირისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, სასამართლოს მოხელემ კიდევ უნდა სცადოს ადრესატთან დაკავშირება, ხოლო თუ ეს შეუძლებელი იქნება მიმართოს სხვა საშუალებას. სატელეფონო კავშირის გაწყვეტამდე გადაცემული ინფორმაცია ჩაითვლება გადაცემულად და მისი გამეორება სავალდებულო აღარ იქნება.

ე) იმ შემთხვევაში თუ ადრესატი ან სბვა პირი მისი იდენტიფიცირების შემდეგ შეგნებულად გაSSy-ვეტს სატელეფონო კავშირს ან აშკარა იქნება, რომ იგი თავს აარიდებს ინფორმაციის მიღებას, სასამართლოს მოხელე სათანადო აღნიშვნას გააკეთებს აქტში, რა დროსაც მიიჩნევა, რომ ადრსატი უარს აცხადებს სასამართლო უწყების მიღებაზე და სასამართლო უწყება ჩაბარებულად ჩაითვლება.

ვ) ფაქსით სასამართლო უწყების გაგზავნისას, ფაქსის აპარატით მიღებული დასტურის შემდეგ სასამართლოს მოხელე უნდა დაელოდოს ადრესატის მიერ უწყების მიღების დადასტურებას. თუ ადრესატი დაადასტურებს სასამართლო უწყების მიღებას, სასამართლოს მოხელე შეადგენს და ხელს მოაწერს აქტს, რა დროსაც სასამართლო უწყება ჩაბარებულად ჩაითვლება. თუ ადრესატის დასტური ფაქსის გაგზავნიდან 24 საათის განმავლობაში არ იქნება მიღებული, სასამართლოს მოხელემ ყველა საშუალებას უნდა მიმართოს, რათა ტელეფონით დაუკავშირდეს ადრესატს და აცნობოს მხოლოდ მისთვის სასამართლო უწყების ფაქსით გაგზავნის შესახებ. ამ შემთხვევაში სასამართლო უწყების შინაარსის დამატებით ცნობება სავალდებულო აღარ იქნება. თუ სატელეფონო კავშირი შედგება და პირის იდენტიფიცირება განხორციელდება, სასამართლოს მოხელე შეადგენს და ხელს მოაწერს აქტს, რა დროსაც სასამართლო უწყება ჩაბარებულად ჩაითვლება. თუ ფაქსით სასამართლო უწყების გაგზავნა შეუძლებელი იქნება, სასამართლოს მოხელემ უნდა მიმართოს სხვა საშუალებას.

ზ) ელექტრონული ფოსტით სასამართლო შეტყობინებისას სასამართლოს მობელემ:

ა.ა. ადრესატს უნდა აცნობოს სასამართლო უწყების შინაარსი, კერძოდ: იმ სასამართლოს სახელნიდება და ზუსტი მისამართი, სადაც ადრესატი უნდა გამოცხადდეს; საქმის დასახელება მოკლედ და დავის საგანი; გამოცხადების დრო (რიცხვი, თვე, წელი) და ადგილი (სასამართლო სხდომის დარბაზის ნომერი); რა სტატუსით არის ადრესატი სასამართლოში დაბარებული; არასაპატიო მიზეზით სასამართლოში გამოუცხადებლობის შემთხვევაში მის მიმართ გამოსაყენებელი ზომების შესახებ, კერძოდ დაჯარიმების შესაძლებლობა; გამოუცხადებლობის შესედები - მის მიმართ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობა; სასამართლოს საკონტაქტო მონაცემები; ასევე განუმარტოს უფლება მასთან არსებული მტკიცებულებების წარმოდგენის შესახებ და ვალდებულება, აცნობოს სასამართლოს გამოუცხადებლობის მიზები;

ა.ბ. ელექტრონული დოკუმენტის გაგზავნისას ადრესატს დამატებით უნდა განუმარტოს ვალდებულება, მის მიერ ელექტრონული დოკუმენტის გახსნისთანავე იმავე მისამართზე დასტურის გამოგზავნის შესახებ.

თ) თუ ელექტრონული დოკუმეტი გაიგზავნება, სასამართლოს მოხელე უნდა დაელოდოს ადრესატის დასტურს ელექტრონული დოკუმენტის მიღების შესახებ. თუ ადრესატი დაადასტურებს სასამართლო უწყების მიღებას, სასამართლოს მოხელე შეადგენს და ხელს მოაწერს აქტს, რა დროსაც სასამართლო უწყება ჩაბარებულად ჩაითვლება. თუ ადრესატის დასტური ელექტრონული დოკუმენტის გაგზავნიდან 24 საათის განმავლობაში არ იქნება მიღებული, სასამართლოს მოხელემ ყველა საშუალებას უნდა მიმართოს, რათა ტელეფონით დაუკავშირდეს ადრესატს და აცნობოს მხოლოდ მისთვის სასამართლო უწყების ელექტრონული ფოსტით გაგზავნის შესახებ. ამ შემთხვევაში სასამართლო უწყების შინაარსის დამატებით ცნობება სავალდებულო არ არის. თუ სატელეფონო კავშირი შედგება და პირის იდენტიფიცირება განხორციელდება, სასამართლოს მოხელე შეადგენს და ხელს მოაწერს აქტს, რა დროსაც სასამართლო უწყება ჩაბარებულად ჩაითვლება. თუ ელექტრონული ფოსტით სასამართლო უწყების გაგზავნა შეუძლებელი იქნება სასამართლოს მოხელემ უნდა მიმართოს სხვა საშუალებას.

ი) ელექტრონული ფოსტის გამოყენებისას, სასამართლო უწყება შეიძლება დასკანერდეს, თუ სასამართლოში იქნება ამის ტექნიკური შესაძლებლობა.

ყურადღება გამახვილდა ასევე იმ გარემოებაზე, რომ ელექტრონული ფოსტა შეიძლება უფრო აქტიურად იქნეს გამოყენებული მხარისათვის საქმის მასალების გადასაგზავნად, თუკი ასეთი მასალები სასამართლოში წარდგენილი იქნება ელექტრონულ ფორმატში და მხარე თანახმობას განაცხადებს მისთვის ელექტრონული დოკუმენტების გაგზავნის თაობაზე.

შეხვედრაზე ერთ-ერთ ქვესაკითხად განხილულ იქნა **უწყების ჩაუბარებლობის მიზეზები** და ჩამოყალიბდა ერთიანი პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ სასამართლო უწყების ჩაბარებას ხშირად აფერხებს ის გარემოებები, რომ სასამართლოში დასაბარებელი პირი ცხოვრობს მიუდგომელ რაიონში ან მისი მოქებნა ვერ ხერხდება. თუმცა აღინიშნა, რომ ამ შემთხვევაში აქტიურად უნდა იქნეს გამოყენებული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის მე-7 ნაწილით გათვალისწინებული ნორმები. ამიტომ **აზრი შემდეგზე შეჯერდა:**

- თუ მხარეებს, მათ წარმომადგენლებს, აგრეთვე მოწმეებს, ექსპერტებს, სპეციალისტებსა და თარჯიმნებს სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დროისა და ადგილის შესახებ ვერ ეცნობებათ ვერანაირი საშუალებით, სასამართლოებმა აქტიურად დაავალონ ადრესატისათვის სასამართლო უწყების ჩაბარება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ანდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების საუბნო სამსახურებს (უბნის ინსპექტორებს).
- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, ანდა უბნის ინსპექტორის მიერ სათანადო აღნიშვნით სასამართლო უწყების მეორე ეგზემპლარის სასამართლოში წარმოდგენისთანავე სასამართლო უწყება ჩაითვლება ჩაბარებულად.

სასამართლო შეტყობინების დროული განხორციელებისა და საქმეთა განხილვის გაჭიანურების თავიდან აცილების მიზნებიდან გამომდინარე, აუცილებელია კოორდინირებული მოქმედება და ერთმანეთისთვის სამართლებრივი თუ ტექნიკური დახმარების აღმოჩენა, ამ მიზნით:

- სასამართლოს აპარატის მოხელეები გაცვლიან ერთმანეთის საკონტაქტო მონაცემებს (ტელეფონი, ფაქსი, ელექტრონული მისამართი).
- იმ შემთხვევაში, როდესაც მხარე ცხოვრობს საქმის მნარმოებელი სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიისაგან მოშორებით და აღნიშნული მიზეზით სასამართლო უწყების ჩაბარება ვერ მოხერხდება:
 - მოსამართლის თანაშემწე ან სასამართლოს საამისოდ უფლებამოსილი მოხელე (თხოვნის გამგზავნი სასამართლო) დახმარებისათვის აქტიურად მიმართავს იმ სასამართლოს (თხოვნის მიმღები სასამართლო) შესაბამის მოხელეს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზედაც ცხოვრობს სასამართლოში დასაბარებელი პირი;
 - თხოვნა განხორციელდება თხოვნის მიმღები სასამართლოსათვის სათანადო წესით შევსებული სასამართლო უწყების ფაქსით ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით გაგზავნით;
 - თხოვნის მიმღები სასამართლოს შესაბამის მოხელე ანარმოებს სპეციალურ ჟურნალს, რომელშიც აღინიშნება: თხოვნის გამგზავნი სასამართლოს დასახელება; სასამართლო უწყების გამომგზავნი მოხელის ვინაობა; თხოვნის მიღების თარიღი; თხოვნის შესრულების თარიღი; სასამართლო უწყების ჩაბარების დასტურის თხოვნის გამგზავნი სასამართლოსათვის გაგზავნის თარიღი;
 - თხოვნის მიმღები სასამართლოს შესაბამის მოხელე სასამართლო უწყებას მიღებისთანავე დაუსვამს სასამართლოს ბეჭედს და უზრუნველყოფს მისი კურიერის მეშვეობით ადრესატისათვის ჩაბარებას საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით და აღნიშნული რეკომენდაციებით დადგენილი წესით;

ა.ე. თხოვნის განხორციელებისთანავე, თხოვნის მიმღები სასამართლოს შესაბამისი მოხელე დაუყოვნებლივ დაუკავშირდება თხოვნის გამგზავნ სასამართლოს და გაუგზავნის სასამართლო უწყების ჩაბარების დასტურს. დასტურის მიღებისთანავე თხოვნის გამგზავნი სასამართლო უფლებამოსილია განიხილოს საქმე.

ყურადღება მიექცა აგრეთვე იმ ფაქტს, რომ სასამართლო უწყების ჩაბარებას მნიშვნელოვნად აფერხებს **მოპასუხის ადგილსამყოფელის დაუდგენლობა**. ალინიშნა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლი საუკეთესო შესაძლებლობას იძლევა სასამართლომ თავიდან აიცილოს საქმის განხილვის გაჭიანურება, კერძოდ, სასამართლო უწყება ჩაბაროს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ანდა გამოიტანოს განჩინება პუბლიკაციის მეშვეობით საჯარო შეტყობინების შესახებ. მოსამართლეებმა აღნიშნეს, რომ 78-ე მუხლის დანაწესი მოსამართლეს არ აკისრებს ვალდებულებას და მას აძლევს სრულ დისკრეციას მიმართოს ან ერთ ან მეორე საშუალებას, ან ორივეს ერთად. ამასთან დაკავშირებით ჩამოყალიბდა ერთიანი პოზიცია:

ა) სასამართლოებმა პუბლიკაცია გამოიყენონ უკიდურეს შემთხვევაში, რა დროსაც სასამართლო უწყება ჩაბარებულად ჩაითვლება.

ბ) სასამართლოებმა გაითვალისწინონ ის გარემოება, რომ მოსარჩელე უფლებამოსილია სასამართლო განჩინების საფუძველზე თავისი ხარჯებით განახორციელოს საჯარო შეტყობინება პუბლიკაციის მეშვეობით. აქედან გამომდინარე, თუ სასამართლო დარწმუნდება, რომ საჯარო შეტყობინება ხელს შეუწყობს მოპასუხეთა სასამართლოში გამოცხადებას, დაუყოვნებლივ იქნეს გამოტანილი შესაბამისი განჩინება.

სასამართლო შეტყობინების ეფექტურად და დროულად განხორციელება უფრო მეტად დამოკიდებულია სასამართლოს აპარატის გამართულ და ორგანიზებულ მუშაობაზე, ვიდრე ტექნიკური საშუალებების შესაძლებლობებზე. აქედან გამომდინარე, აზრი შეჯერდა შემდეგზე:

ა) მხარეებს, ასევე პროცესის სხვა მონაწილეებს სასამართლო სხდომის შესახებ ეცნობოთ სხდომის დანიშვნიდან 3 დღის ვადაში;

ბ) სასამართლოებში განხორციელდეს სასამართლო შეტყობინების კომპიუტერული ალრიცხვა, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება მოსამართლის თანაშემწებების, სასამართლო სხდომის მდივნების, სასამართლოს კურიერებისა და სასამართლოს აპარატის საამისოდ უფლებამოსილი მოხელეებისათვის.

გ) სასამართლოს სხდომის მდივნებმა პასუხისმგებლობით ალრიცხონ სასამართლო უწყების ჩაუბარებლობის კონკრეტული მიზეზები, თუ ეს გახდა სხდომის გადადების საფუძველი.

დ) მოსამართლის თანაშემწებმა პროცესის გამართვამდე გონივრულ ვადაში მაგრამ არა უგვიანეს 10 დღისა შეამოწმონ სასამართლო უწყების ჩაბარების მდგომარეობა და ჩაუბარებლობის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ მიიღონ ყველა ზომას სასამართლო უწყების ჩასაბარებლად, რათა არ მოხდეს პროცესის გადადება.

ე) სასამართლოს აპარატის საამისოდ უფლებამოსილი მოხელის მიერ მკაცრად გაკონტროლდეს სასამართლოს კურიერების მუშაობის რეჟიმი, კერძოდ: სასამართლოში გამოცხადება; სასამართლო უწყების ჩაბარება; სასამართლო უწყებაზე სათანადო აღნიშვნების სრულყოფილად შევსება.

ვ) სხდომის მდივნებმა საქმეებში დაუყოვნებლივ ჩადონ სასამართლო უწყების ჩაბარების დასტური.

დანართი

სასამართლოს გადაწყვეტილებათა ნიმუშები ნდავო და გამარტივებალი წარმოების საქმეებზე

ნიმუში 1



საქმე N 2/2456 - 2006

გ ა დ ა ც ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა საქართველოს სახელით

"5" იანვარი,

2006 წ. ქ. თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლოს
სამოქალაქო საქმეთა კოლეგია

მოსამართლე: ლევან კასრაძე
სხდომის მდივანი: ქეთევან ბერაძე

განმცხადებელი - ლევან ასანიძე
წარმომადგენელი - ხათუნა სამხარაძე

დაინტერესებული პირები:

1. ქ. თბილისის მერია წარმომადგენელი - გ. ცავა
2. ქ. თბილისის ისანი-სამგორის რაიონის გამგეობა

მოთხოვნა - იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენა უფლების დამდგენი საბუთის კუთვნილების თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ლევან ასანიძის წარმომადგენელმა ხ. სამხარძემ განცხადებით მიმართა სასამართლოს იმაზე მითითებით, რომ მისი მარწმუნებლის სახელი და გვარი პირადობის მოწმობის მიხედვით არის **ლევან ასანიძე**. იგი 1957 წლიდან ფლობს ქ. თბილისში, მე-2 გუჯარეთის ქ. N45-ში მდებარე უძრავ ქონებას, რაც აღრიცხულია ტექინიკური მუზეუმის ბიუროში, მაგრამ საარქივო დოკუმენტაციაში მისი სახელი არასწორადაა აღნიშნული. კერძოდ, ნაცვლად **ლევანისა - ლევონი**. ამიტომ ითხოვდა დადგენილიყო, რომ ლევან და ლევონ ასანიძე იყო ერთი და იგივე პიროვნება.

სასამართლოს მთავარ სხდომაზე ლ. ასანიძის წარმომადგენელმა დააზუსტა მოთხოვნა და განმარტა, რომ ითხოვდა უფლების დამდგენი საბუთების **ლევან ასანიძისადმი** კუთვნილების ფაქტის დადგენას. კერძოდ, ქ. თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის 1975 წლის 31 ივლისის შენობის მიღება-ჩაბარების აქტი, ქ. თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის 1989 წლის 03 მაისის N09.60.1123 გადაწყვეტილება და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის არქივის საინვენტარიზაციო გეგმა N001881 - გაცემული **ლევონ ასანიძის** სახელზე ეკუთვნოდა **ლევან ასანიძეს**, რაც მის მარწმუნებელს ესაჭიროებოდა მისი კუთვნილი უძრავი ქონების რეგისტრაციისა და განკარგვისათვის. ამ ფაქტის დადგენა კი, სხვა წესით შეუძლებელი იყო.

ლ. ასანიძის წარმომადგენელმა ხ. სამხარძემ სასამართლოს მთავარ სხდომაზე მხარი დაუჭირა თავის მოთხოვნას.

სამოტივაციო ნაწილი:

სასამართლომ განიხილა საქმის მასალები, მოისმინა განმცხადებლისა და დაინტერესებული პირის - ქ. თბილისის მერიის წარმომადგენლის გ. ცაავას განმარტებები და მიაჩნია, რომ განცხადება უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 312-ე მუხლის მე-2 ნაწილის "დ" ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო უდავო წარმოების წესით განიხილავს საქმეს - უფლების დამდგენი საბუთის იმ პირისადმი კუთვნილების ფაქტის დადგენის შესახებ, რომლის სახელი, მამის სახელი ან გვარი, რაც საბუთებშია აღნიშნული, არ ემთხვევა მის პასპორტში ან დაბადების მოწმობაში აღნიშნულ სახელს, მამის სახელს ან გვარს. ამავე კოდექსის 313-ე და 315-ე მუხლების მიხედვით, სასამართლო იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტებს ადგენს მხოლოდ ამ ფაქტების დამადასტურებელი საბუთების სხვა წესით მიღების შეუძლებლობის შემთხვევაში. ამასთან, განმცხადებელმა უნდა მიუთითოს, რა მიზნისთვის სჭირდება ამ ფაქტის დადგენა და უნდა წარმოადგინოს მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ განმცხადებლის მიერ სათანადო საბუთების მიღების შეუძლებლობას.

საბუთები, რომლის ლევან ასანიძისადმი კუთვნილების ფაქტის დადგენასაც ითხოვს განმცხადებელი, წარმოადგენენ ლ. ასანიძის უფლების დამდგენ საბუთებს. კერძოდ, ადგენენ ლ. ასანიძის საკუთრების უფლებას ქ. თბილისში, მე-2 გუჯარეთის ქ. N45-ში მდებარე უძრავ ქონებაზე.

განმცხადებელს მითითებული აქვს მიზანზე, რისთვისაც სჭირდება ლ. ასანიძეს საბუთების კუთვნილების ფაქტის დადგენა. კერძოდ, რათა ეს ქონება მან აღრიცხოს თავის სახელზე.

საქმეში არსებული მასალებით დადგენილია, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბი-

ლისის სარეგისტრაციო სამსახურმა და ქ. თბილისის ისანი-სამგორის რაიონის გამგეობამ უარი განაცხადეს ზემოთ ჩამოთვლილ საბუთებში ცვლილებების შეტანაზე.

ლ. ასანიძის წარმომადგენლის - ხ. სამხარძის მოთხოვნის თაობაზე ეცნობათ ქ. თბილისის მერიას და ქ. თბილისის ისანი-სამგორის რაიონის გამგეობას, როგორც დაინტერესებულ პირებს.

ქ. თბილისის მერიის წარმომადგენელმა გ. ცავამ სასამართლოს მთავარ სხდომაზე განმარტა, რომ განმცხადებლის მოთხოვნას - საბუთების კუთვნილების დადგენის თაობაზე - სადაცოდ არ ხდიდა.

დადგენილია, რომ ქ. თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის 1975 წლის 31 ივლისის შენობის მიღება-ჩაბარების აქტი, ქ. თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის 1989 წლის 03 მაისის N09.60.1123 გადაწყვეტილება და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის არქივის საინვენტარიზაციო გეგმა გაცემულია **ლევონ ასანიძის** სახელზე. მათში მითითებულია, რომ ლევონ ასანიძეს გადაეცა ქ. თბილისში, მე-2 გუჯარეთის ქ. N45-ში მდებარე უძრავი ქონება.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს თბილისის ისნის რაიონის საპასპორტო და მოსახლეობის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ გაცემული ცნობით, ლ. ასანიძის პირადობის მოწმობისა და საპასპორტო-სარეგისტრაციო ანკეტის მიხედვით დადგენილია, რომ ლ. ასანიძის სახელი არის **ლევანი** და იგი რეგისტრირებულია ქ. თბილისში, მე-2 გუჯარეთის ქ. N45-ში.

ამდენად, დადგენილია, რომ ზემოთ ჩამოთვლილ საბუთებში აღნიშნული სახელი **ლევონი** არ ემთხვევა განმცხადებელ ხ. სამხარაძის მარწმუნებლის პირადობის მოწმობაში აღნიშნულ სახელს - **ლევანს**, რის გამოც განცხადება უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 243-244-ე, 247-249-ე მუხლებით, 310-ე მუხლის "ა" ქვეპუნქტით, 312-ე მუხლის მე-2 ნაწილის "დ" ქვეპუნქტით, 313-316-ე მუხლებით და

გადაწყვიტა:

1. ლევან ასანიძის წარმომადგენლის ხათუნა სამხარაძის განცხადება დაკმაყოფილდეს.
2. დადგენილი იქნეს იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტი იმის შესახებ, რომ ა) ქ. თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის 1975 წლის 31 ივლისის შენობის მიღება-ჩაბარების აქტი, ბ) ქ. თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის 1989 წლის 03 მაისის N09.60.1123 გადაწყვეტილება, გ) საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის არქივის საინვენტარიზაციო გეგმა N001881 - გაცემული **ლევონ ასანიძის** სახელზე, ეკუთვნის **ლევან ასანიძეს**.
3. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მეშვეობით გამოცხადებიდან 14 დღის ვადაში.

მოსამართლე:

ლევონ პასრაძე



საქმე №3/145002-2007

გ ა დ ა ხ დ ი ს
პ რ ა ნ ი ს
საქართველოს სახელით

"25" მარტი 2007 წ.

ქ. თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლოს
სამოქალაქო საქმეთა კოლეგია

მოსამართლე: თამარ ჟვანია

განმცხადებელი	-	ს.ს. სახალხო ბანკი"
წარმომადგენელი	-	ლევან ნემსაძე
მოვალე	-	ნათია კაპანაძე
მოთხოვნა	-	ფულადი დავალიანების გადახდევინების შესახებ, გადახდის ბრძანების მიღება.
„	-	

აღწერილობითი ნაწილი:

2006 წლის 23 მარტს ს.ს. "სახალხო ბანკის" წარმომადგენელმა ლევან ნემსაძემ განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას ნათია კაპანაძის მიმართ, სადაც მიუთითა, რომ 2006 წლის 18 ივნისს ბანკსა და ნათია კაპანაძეს შორის გაფორმდა ხელშეკრულება საბარათე ანგარიშზე კრედიტით სარგებლობის შესახებ, შემდეგი პირობებით: კრედიტის მაქსიმალური თანხა შეადგენდა 1000 ლარს, კრედიტის მაქსიმალური ვადა - 1 წელს, ხოლო კრედიტის საპროცენტო განაკვეთი - 2%-ს ყოველთვიურად.

განმცხადებელი მიუთითებს, რომ მოპასუხე სისტემატურად არღვევდა ხელშეკრულების პირობებს. კერძოდ, იგი ვალდებული იყო თვის ბოლოს 30 აშშ დოლარის ექვივალენტის ან მეტი დებეტური ნაშთის არსებობის შემთხვევაში, კრედიტის ლიმიტის 5% შეეტანა საბარათე ანგარიშზე, რაც მას არ შეუსრულებია.

ბანკმა მოვალე არაერთხელ - წერილობით და სიტყვიერად გააფრთხილა ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული სამართლებრივი შედეგების შესახებ, თუმცა მას კრედიტორის წინა-

შე არსებული ვალდებულება არ შეუსრულებია.

განმცხადებელი მიუთითებს, რომ მოპასუხის მიმართ რაიმე სანაცვლო ვალდებულება არ გააჩნია და ითხოვს სასამართლომ დაკავისროს ნათია კაპანაძეს ძირითადი თანხა - 820 ლარი, პროცენტი - 60 ლარი, სახელწიფო ბაჟი - 100 ლარი და წარმომადგენლის მომსახურებაზე განეული ხარჯები - 35 ლარი ს.ს. "სახალხო ბანკის" სასარგებლოდ.

სამოტივაციო ნაწილი:

სასამართლომ განიხილა განცხადება, მასზე თანდართული მასალები და მიაჩნია, რომ განცხადება უნდა დაკმაყოფილდეს და ნ. კაპანაძის მიმართ მიღებული უნდა იქნეს გადახდის ბრძანება ს.ს. "სახალხო ბანკის" სასარგებლოდ ფულადი დავალიანების დაკისრების შესახებ შემდეგ გარემოებათა გამო:

განცხადებაში მითითებული მტკიცებულებების შესაბამისი დოკუმენტები განმცხადებელს წარმოდგენილი აქვს დამოწმებული სახით. ამასთან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 306-ე მუხლის თანახმად, სასამარ-თლოს არ შეუმოწმებია აქვს თუ არა განცხადებელს აღძრული მოთხოვნის უფლება.

სარეზოლუციო ნაწილი:

ვიხელმძღვანელე საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 302-304-ე, 306-307-ე მუხლებით და

ვბრძანებ:

1. ს.ს. "სახალხო ბანკი"-ს წარმომადგენლის ლევან ნემსაძის განცხადება დაკმაყოფილდეს და ნათია კაპანაძის წინააღმდეგ მიღებული იქნეს გადახდის ბრძანება.
2. ნათია კაპანაძეს ს.ს. "სახალხო ბანკის" სასარგებლოდ გადახდეს კრედიტის ძირითადი თანხა - 820 (რვაასოცი) ლარი, პროცენტი - 60 (სამოცი) ლარი, სახელწიფო ბაჟი - 100 (ასი) ლარი და წარმომადგენლის მომსახურებაზე განეული ხარჯები - 35 (ოცდათხუთმეტი) ლარი.
3. გადახდის ბრძანება განცხადებაზე დართულ მასალებთან ერთად გადაეგზავნოს მოპასუხეს.
4. განემარტოს მოპასუხეს, რომ თუკი აღძრულ მოთხოვნას მართებულად (დასაბუთებულად) მიიჩნევს, ვალი პროცენტებიანად და ხარჯებიანად, ასევე სახელმწიფო ბაჟი, გადაიხადოს გადახდის ბრძანების მიღებიდან 10 დღის განმავლობაში, ანდა შემოიტანოს სასამართლოში მოტივირებული წერილობითი შესაგებელი, თუ მოპასუხე მის მიმართ აღძრულ მოთხოვნას უმართებულოდ (დაუსაბუთებლად) მიიჩნევს, რის შედეგადაც განმცხადებლის მიერ აღძრული მოთხოვნა განხილულ იქნება სასარჩელო წარმოების საერთო წესით.
5. განემარტოს მოპასუხეს, რომ თუ დანიშნულ ვადაში არ წარმოადგენს შესაგებელს (პროტესტს), სასამართლო განმცხადებლის შუამდგომლობის საფუძველზე გასცემს სააღსარულებლო ფურცელს.
6. განმცხადებელს გაეგზავნოს შეტყობინება გადახდის ბრძანების მოპასუხისათის გადაცემის შესახებ.

მოსამართლე:

თამარ ჭვანია



საქმე N 2/9147 - 2006

გ ა დ ა ც ყ ვ ე ტ ი ლ ე პ ა
საქართველოს სახელით

"10" ივნისი, 2006 წ.

ქ. თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლოს
სამოქალაქო საქმეთა კოლეგია

მოსამართლე: ლაშა ხურციძე

სხდომის მდივანი: ნათია მეფარიძე

განმცხადებელი - ვენედიქტე ბახტაძე

მოთხოვნა - მემკვიდრეობის მიღების ფაქტის დადგენა.

აღნერილობითი ნაწილი:

ვენედიქტე ბახტაძემ განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას და აღნიშნა, რომ ჰყავდა მარტოხელა დეიდა მარო უვანია, რომელიც გარდაიცვალა 1994 წლის 27 ივნისს. მან ანდრძით დაუტოვა საცხოვრებელი ბინა მდებარე ქ. თბილისში, წყნეთის ქ. N6/42. განმცხადებლის მითითებით, იგი ხსენებულ ბინაში ცხოვრობდა მ. უვანიას გარდაცვალებამდეც და ცხოვრობს მისი გარდაცვალების შემდეგაც, იხდის ყოველგვარ გადასახადს, რითაც ფაქტიურად მემკვიდრეობა მი-ღებული აქვს, მაგრამ ნოტარიუსმა უარი უთხრა სამკვიდრო მოწმობის გაცემაზე იმ საფუძვლით, რომ გაშვებული ჰქონდა სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ვადა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1421-ე მუხლის მე-2 ნაწილზე მითითებით, ვ. ბახტაძე ითხოვს დადგინდეს იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტი მ. უვანიას ანდრძისმიერი სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობით მიღების შესახებ.

სასამართლოს მთავარ სხდომაზე მან მხარი დაუჭირა თავის მოთხოვნას.

სამოტივაციო ნაწილი:

სასამართლომ განიხილა საქმის მასალები, მოისმინა განმცხადებლის ახსნა-განმარტება, მოწმე-თა ჩვენებები და მიაჩნია, რომ განცხადება უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საჯარო რეესტრიდან ამონაწერით და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ გაცემული ცნობით დადგენილია, რომ 2006 წლის 24 თებერვლის ჩანაწერების მიხედვით, ქ. თბილისში, წყნეთის ქ. N6, ბ. 42-ზე, ნილობრივი მონაცემებით - 66 რეგისტრირებულია ან გარდაცვლილ მ. უვანიას საკუთრების უფლება.

დადგენილია, რომ 1970 წლის 10 აპრილს მ. უვანიამ ვ. ბახტაძეს უანდერძა მთელი თავისი ქონება, რაც მისი გარდაცვალების დღისათვის მისი საკუთრება იქნებოდა. ანდერძი დამოწმებულია სანოტარო წესით და გაუქმებული არ არის. (ს.ფ. 4)

დადგენილია, რომ მ. უვანია გარდაიცვალა 1994 წლის 27 ივნისს, რითაც გაიხსნა სამკვიდრო, რომ-ლის გახსნის ადგილია ქ. თბილისი, წყნეთის ქ. N6/42. (ს.ფ. 3)

თავად ვ. ბახტაძემ განმარტა, რომ იგი მ. უვანიას გარდაცვალებამდე და მის შემდეგაც ცხოვრობს სამკვიდრო ბინაში.

მოწმეების ლეილა გოგიას, რომელიც არის ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობა "ვაკე-105"-ის თავმჯდომარე, ასევე გოჩა ანთელავას და მანანა შუბითიძის ჩვენებებით დადგენილია, რომ ისინი ცხოვრობენ ქ. თბილისში, წყნეთის ქ. N6-ში და არიან ვ. ბახტაძის მეზობლები, რომელიც არის ან გარდაცვლილ მ. უვანიას დისტვილი.

ვ. ბახტაძემ. მ. უვანიას ბინაში ცხოვრობდა მ. უვანიას გარდაცვალებამდეც და აგრძელებს ცხოვრებას მის შემდეგაც.

დადგენილია, რომ ნოტარიუსმა უარი უთხრა ვ. ბახტაძეს სამკვიდრო მოწმობის გაცემაზე, ვინაიდან გაშვებული ჰქონდა სამკვიდროს მისალებად დადგენილი ვადა.

ს.ს. "თელასი"-ს, შ.პ.ს. "სანიტარული დასუფთავება ვაკე"-ს და შ.პ.ს. "თბილწყალკანალი"-ს მიერ გაცემულიცნობებით დადგენილია, რომ ქ. თბილისში, წყნეთის ქ. N6/42-ში მათ აბონენტად რეგისტრირებულია მ. უვანია, რომელზეც 1995 წლიდან დავალიანება არ ირიცხება. (ს.ფ. 9-11)

ამდენად, სასამართლოს დადგენილად მიაჩნია, რომ ვ. ბახტაძე ფაქტიურად დაეუფლა და შეუდგა მ. უვანიას ანდერძისმიერი სამკვიდროს მართვას მისი გარდაცვალებიდან, ანუ სამკვიდროს გახსნიდან ექვსი თვის ვადაში.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1421-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 1424-ე მუხლის თანახმად, მემკვიდრის მიერ სამკვიდრო მიღებულად ითვლება, როდესაც იგი სამკვიდროს გახსნის დღიდან ექვსი თვის განმავლობაში სამკვიდროს გახსნის ადგილის სანოტარო ორგანოში შეიტანს განცხადებას სამკვიდროს მიღების შესახებ ან ფაქტობრივად შეუდგება სამკვიდროს ფლობას ან მართვას, რაც უდავოდ მოწმობს, რომ მან სამკვიდრო მიიღო.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 312-ე მუხლის მე-2 ნაწილის "თ" ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო უდავო წარმოების წესით ადგენს იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტს - მემკვიდრეობის მიღების შესახებ.

გამომდინარე აღნიშნულიდან, განცხადება უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 243-244-ე, 247-249-ე მუხლებით, 310-ე მუხლის "ა" ქვეპუნქტით, 312-ე მუხლის მე-2 ნაწილის "თ" ქვეპუნქტით, 313-316-ე მუხლებით და

გადაწყვიტა:

1. ვენედიქტე ბახტაძის განცხადება დაკმაყოფილდეს.
2. დადგინდეს იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტი ვენედიქტე ბახტაძის მიერ, 1994 წლის 27 ივნისს გარდაცვლილი მარო უვანიას ანდერძისმიერი სამკვიდროს (მემკვიდრეობის) - უძრავი ქონების, მდებარე ქ. თბილისში, წყნეთის ქუჩა, მე-6 კორპუსი, ბინა N42, ნილობრივი მონაცე-მებით - 66, ფაქტობრივი ფლობით მიღების შესახებ.
3. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მეშ-ვეობით, განმცხადებლისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან 14 დღის ვადაში.

მოსამართლე:

ლაშა ხურციძე



საქმე N2/11380 - 2006

პ რ პ ა ნ ე პ ა
ლიზინგის საგნის გამცემის მფლობელობაში
ლიზინგის საგნის დაპრუნების შესახებ

"24" ივლისი, 2006 წ.

ქ. თბილისი

**თბილისის საქალაქო სასამართლოს
სამოქალაქო საქმეთა კოლეგია**

მოსამართლე	თემურ კვარაცხელია
განმცხადებელი	- ს.ს. "ცედანი"
წარმომადგენელი	- თ. ჯანჯლავა (დირექტორი)
მოწინააღმდეგე მხარე	- შ.პ.ს. "ნიუთრეველი"
მოთხოვნა	- ლიზინგის საგნის დაბრუნება

აღნერილობითი ნაწილი:

2006 წლის 07 ივლისს ს.ს. "ცედანის" სახელით საზოგადოების დირექტორმა თ. ჯანჯლავამ გამარტივებული წესით განსახილველად განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას და მოითხოვა შ.პ.ს. "ნიუთრეველისთვის" ლიზინგით გადაცემული სატრანსპორტო საშუალების მის მფლობელობაში დაბრუნება შემდეგი საფუძვლებით:

2004 წლის 27 თებერვლის N31-73 ლიზინგის ხელშეკრულებებით, ლიზინგის მიმღებ შპს "ნიუთრეველს" ფლობისა და სარგებლობის უფლებით გადაეცა სატრანსპორტო საშუალება "კამაზ-230", სახ. N -140, რითაც მხარეებს შორის წარმოიშვა სალიზინგო-სახელშეკრულებო ვალდებულებით-სამართლებრივი ურ-თიერთობა. ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულების სრულად შესრულებისა და ლიზინგის მთლიანი ფასის გადახდის შემთხვევაში, ლიზინგის საგანი უნდა გადასულიყო ლიზინგის მიმღების საკუთრებაში. შპს "ნიუთრეველმა" დაარღვია სახელშეკრულებო პირობა, რომლის მიხედვითაც, იგი ვალდებული იყო ლიზინგის მთლიანი ფასი გადაეხდა ნაწილ-ნაწილ, ყოველთვიურად, შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად, რაც ხელშეკრულების

განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. 2006 წლის 13 იანვარს მას გაეგზავნა გაფრთხილების წერილი, სადაც მიეთითა დავალიანების ოდენობა და მოთხოვნაც, რათა ლიზინგის მიმღებს შეესრულებინა ვალდებულება. ამასთან, მას დაენიშნა გონივრული ვადა, მაგრამ ვალდებულება კვლავ შეუსრულებელი დარჩა.

განმცხადებლის მითითებით, 2006 წლის ივლისის მდგომარეობით, ლიზინგის მიმღების დავალიანება შეადგენს 5 000 აშშ დოლარს, საიდანაც ძირითადი დავალიანება არის 3 500 აშშ დოლარი, ხოლო 1 500 აშშ დოლარი - პირგასამტებლო. ვალდებულების არსებობა დასტურდება ამონაწერით საბანკო პროგრამიდან, სადაც დაფიქსირებულია დავალიანების ოდენობა. ამასთან, აღძრული მოთხოვნა არ არის დამოკიდებული ს.ს. "ცედანის" მხრივ რაიმე საპასუხო მოქმედების შესრულებაზე.

განმცხადებელი მოითხოვს სასამართლომ გამოიტანოს ბრძანება, რომლითაც შ.პ.ს. "ნიუთრეველს" დავალდებულებს ლიზინგის საგნის - ავტომანქანის, მისი გამცემის მფლობელობაში დაბრუნებას მათი შემდგომი რეალიზაციის მიზნით, აგრეთვე დააკისრებს ხსენებული საგნების დაბრუნებასთან დაკავშირებული ხარჯების დაფარვას და საქმის წარმოებასთან დაკავშირებით გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ანაზღაურებას.

ს.ს. "ცედანმა" მოთხოვნის უფლების არსებობისა და მისი დასაბუთებულობის დასადასტურებლად წარმოადგინა შემდეგი მტკიცებულებები:

-ს.ს. "ცედანის" ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

-ლიზინგის ხელშეკრულება და შ.პ.ს. "ნიუთრეველის" დირექტორ რ. როგავას მიერ წერილობითი განცხადება მისი პირადი თავდებობისა და სოლიდარული პასუხიმგებლობის შესახებ - შ.პ.ს. "ნიუთრეველის" მიერ ლიზინგის ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა შეუსრულებლობის შემთხვევაში; -ლიზინგის საგნის მიღება-ჩაბარების აქტები;

-გაფრთხილების წერილი;

-ამონაწერი საბანკო პროგრამიდან დავალიანების შესახებ;

-სახელმწიფო ბაჟის გადახდის ქვითარი;

სამოტივაციო ნაწილი:

სასამართლომ განიხილა განცხადება, წარმოდგენილი მტკიცებულებები და მიაჩნია, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 576-580-ე მუხლების საფუძველზე, ისინი ადასტურებენ განმცხადებლის მოთხოვნას, რის გამოც განცხადება უნდა დაკმაყოფილდეს და შ.პ.ს. "ნიუთრეველს" უნდა დაევალოს ს.ს. "ცედანის" დაუბრუნოს ლიზინგის საგანი - ავტომანქანა "კამაზ-230", სახ. N - 140.

სარეზოლუციო ნაწილი:

ვიხელმძღვანელე საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 3091 . 3097-ე მუხლებით

ვ პ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ს.ს. "ცედანის" დირექტორ თ. ჯანჯლავას განცხადება დაკმაყოფილდეს.
2. შ.პ.ს. "ნიუაზეველს", როგორც ლიზინგის საგნის მიმღებს, დაევალოს დაუბრუნოს მფლობელობაში მის გამცემ ს.ს. "ცედანის" ლიზინგის საგანი - ავტომანქანა "კამაზ-230", სახ. N-140.
3. ბრძანება აღსრულდეს დაუყოვნებლივ, რისთვისაც გაიცეს სააღსრულებო ფურცელი.
4. ლიზინგის საგნის დაბრუნებასთან დაკავშირებული ხარჯები გადახდეს ლიზინგის მიმღებ შ.პ.ს. "ნიუაზეველს".
5. შ.პ.ს. "ნიუაზეველს" ს.ს. "ცედანის" სასარგებლოდ გადახდეს 150 (ასორმოცდაათი) ლარი წინასწარ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის საკომპენსაციოდ.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კერძო საჩივრით თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მხარეთათვის ბრძანების გადაცემიდან 12 დღის ვადაში.
7. კერძო საჩივრის შეტანა ვერ შეაჩერებს ბრძანების აღსრულებას.

მოსამართლე:

თემურ კვარაცხელია



საქმე N2/346-07

**გ ა დ ა ც ყ ვ ე ტ ი ლ ე პ ა
საქართველოს სახელით**

"12" აპრილი, 2007 წ.

ქ. თბილისი

**თბილისის საქალაქო სასამართლოს
სამოქალაქო საქმეთა კოლეგია**

მოსამართლე:	ალექსი მალრაძე
სხდომის მდივანი:	ნათია ბახტაძე
განმცხადებელი	- მარინა ახალბედაშვილი
წარმომადგენელი	- ლალი ახალბედაშვილი
მოთხოვნა	- იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენა პირთა ნათესაური კავშირის შესახებ.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას 2007 წლის 1 თებერვალს განცხადებით მიმართა მარინა ახალბედაშვილმა და აღნიშნა, რომ 2000 წლის 9 ნოემბერს გარდაიცვალა მისი მამა გიორგი ახალბედაშვილი, რომელსაც დარჩა სამკვიდრო ქონება საცხოვრებელი სახლი მდებარე ქ. თბილისი, საჭილაოს ქ. N44. განმცხადებლის განმარტებით, გიორგი ახალბედაშვილს ანდერძი არ დაუტოვებია, ხოლო პირველი რიგის მემკვიდრებიდან მისი და ლალი ახალბედაშვილი სამკვიდროს მიღების მოთხოვნას არ აყენებდა. განმცხადებელმა ასევე აღნიშნა, რომ თავის დაბადების მოწმობაში მისი მონაცემები არასწორად იყო მოხსენიებული და მამის სახელად აღნიშნული იყო "გრიგორი", ნაცვლად "გიორგისა", ხოლო გვარი კი "ახალბედოშვილი", ნაცვლად "ახალბედაშვილისა". ეს გარემოება კი მას აფერხებდა სამკვიდროს მიღებაში ვინაიდან ვერ დგინდებოდა ნათესაური კავშირი. აქედან გამომდინარე, სამკვიდროს მიღების მიზნით, განმცხადებელმა ითხოვა იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენა პირთა ნათესაური კავშირის შესახებ, კერძოდ, ფაქტისა, რომ მარინა ახალბედაშვილი იყო გიორგი ახალბედაშვილის შვილი.

სამოტივაციო ნაწილი:

სასამართლომ განიხილა რა განცხადება და თანდართული მასალები, მოუსმინა რა განმცხადებელს, დაინტერესებულ პირს, მოწმეებს, თვლის, რომ განცხადება საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო: საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 312-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით სასამართლო განიხილავს საქმეებს პირთა ნათესაური კავშირის დადგენის შესახებ. საქმეში წარმოდგენილი მასალებით (კერძოდ დაბადების მოწმობით ს.ფ. 8) დგინდება, რომ "მარინა გრიგორის ასული ახალბედოშვილი" დაიბადა 1954 წლის 23 თებერვალს და მისი მამა იყო "გრიგოლ ახალბედოშვილი". დაბადების თარიღის თაობაზე იგივე მონაცემებს შეიცავს მისი პირადობის მოწმობაც, სადაც მის გვარად უკვე "ახალბედაშვილი" არის აღნიშნული. ამავე დროს, მთელ რიგ დოკუმენტებში, კერძოდ, მარინა ახალბედაშვილისა და გიორგი ახალბედაშვილის დაბადების მოწმობებში ემთხვევა გიორგი ახალბედაშვილის მამის სახელი - "ესტატე". ამასთან, საქმეზე მოწმედ დაკითხულმა მაყვალა კახუაშვილმა, ნარგიზ დვალაძემ და ლია შარვაძემ რომლებიც გაფრთხილებულნი იყვნენ ცრუ ჩვენების მიცემისას პასუხისმგებლობის შესახებ, უჩვენეს, რომ წლების მანძილზე იცნობდნენ მარინა და გიორგი ახალბედაშვილებს და რომ მარინა ახალბედაშვილის მამა ნამდვილად იყო გიორგი ახალბედაშვილი. აღნიშნული კი საკმარის საფუძველს წარმოადგენს, რომ სასამართლომ დაადგინოს განმცხადებლის მიერ მოთხოვნილი იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტი პირთა ნათესაური კავშირის შესახებ.

სარეზოლუციო ნაწილი:

სასამართლომ იხელმძღვანელა რა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 243-ე, 244-ე, 249-ე, 257-ე, 310-ე, 312-ე, 313-ე, 316-ე მუხლებით და

გადაწყვიტა:

1. მარინა ახალბედაშვილის განცხადება დაკმაყოფილდეს;
2. დადგენილ იქნეს იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტი მასზედ, რომ 1954 წლის 2 თებერვალს დაბადებული მარინა ახალბედაშვილი არის 2000 წლის 9 ნოემბერს გარდაცვლილი გიორგი ახალბედაშვილის შვილი.
3. გადაწყვიტილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოში აპელაციის წესით 14 დღის ვადაში მხარეზე დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის დღიდან თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში სააპელაციო საჩივრის წარდგენის მეშვეობით.

მოსამართლე:

ალექსი მაღრაძე



საქმე N2/6010-05

გ ა დ ა ც ყ ვ ე ტ ი ლ ე რ ა
საქართველოს სახელით

"17" ნოემბერი, 2005 წ.

ქ. თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლოს
სამოქალაქო საქმეთა კოლეგია

მოსამართლე: ალექსი მალრაძე

სხდომის მდივანი: ნათია ბახტაძე

- | | | |
|---------------------|---|---|
| განმცხადებელი | - | ნინო ლობჟანიძე |
| წარმომადგენელები | - | დალი ტუსკაძე და ანიჩეკა ლაპაძე |
| დაინტერესებული პირი | - | ქ. თბილისის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საქალაქო სამსახური |
| წარმომადგენელი | - | შოთა ჯოგლიძე |
| მოთხოვნა | - | პირის ქმედუუნაროდ აღიარება. |

აღნერილობითი ნაწილი:

2005 წლის 13 ივნისს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას განცხადებით მიმართა ნინო ლობჟანიძემ და აღნიშნა, რომ მისი ძმა 19.07.1958-ში დაბადებული არჩილ ლობჟანიძე აღრიცხავზე იმყოფებოდა ქალაქის ფიქონევროლოგიურ დისპანსერში. 1987 წლიდან არჩილ ლობჟანიძე იყო მეორე ჯგუფის ინვალიდი. განმცხადებლს სურდა მეურვეობა გაეწია თავისი ძმისთვის და ვინაიდან, მათი მამა ლრმად მოხუცი იყო, დედა და კიდევ ერთი ძმა გარდაიცვალნენ, და მის მეტი არჩილ ლობჟანიძეს არავინ დარჩა, ნინო ლობჟანიძემ ითხოვა არჩილ ლობჟანიძის ქმედუუნაროდ ცნობა. 2005 წლის 17 ნოემბერს გამართულ სასამართლოს მთავარ სხდომაზე განმცხადებლის წარმომადგენლებმა მხარი დაუჭირეს განცხადებას და ითხოვეს მისი დაკმაყოფილება. ამავე მოთხოვნას მხარი დაუჭირა მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს - ქ. თბილისის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საქალაქო სამსახურის - წარმომადგენლმა.

სამოტივაციო ნაწილი:

სასამართლომ განიხილა განცხადება, მოუსმინა განმცხადებელს და მის წარმომადგენელს, გამოიკვლია საქმეში არსებული მტკიცებულებები და მიაჩნია, რომ განცხადება უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო: სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 322-ე მუხლის მე-2 ნაწილით საქმე სულით ავადმყოფობის ან ჭკუასუსტობის გამო მოქალაქის ქმედუუნაროდ აღიარების შესახებ შეიძლება აღძრან სასამართლოში ოჯახის წევრებმა. საქმეში წარმოდგენილი დაბადების მოწმობების ასლებით (ს.ფ. 3 და ს.ფ. 7) დგინდება, რომ განმცხადებელი არჩილ ლობჟანიძის და - ნინო ლობჟანიძე, შესაბამისად ოჯახის წევრია. აქედან გამომდინარე, მას უფლება აქვს სასამართლო-სათვის განცხადებით მიმართვისა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 324-ე მუხლით, თუ არსებობს საკმაო მონაცემები პირის ფსიქიკური მოშლის შესახებ, მოსამართლე, სასამართლო განხილვისათვის საქმის მომზადების წესით, დანიშნავს სასამართლო-ფსიქიატრიულ ექსპერტიზას ამ მოქალაქის ფსიქიკური მდგომარეობის განსაზღვრის მიზნით. 2005 წლის 31 აგვისტოს განჩინებით საქმეზე დაინიშნა ექსპერტიზა, რომლის განხორციელებაც დაევალა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს. 2005 წლის 16 სექტემბრის ამბულატორიული სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნა N73-ით (ს.ფ. 20-22), რომლიც ჩატარებულ იქნა კომისიის მიერ, დგინდება, რომ არჩილ ლობჟანიძეს დაავადების პირველი ნიშნები 1985 წლიდან შეეტყო, როდესაც იგი ბათუმის საზღვაო სასწავლებელში სწავლობდა (ს.ფ. 20). 06.03.87 წ. იგი მოათავსეს ქალაქის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში, საიდანაც გაეწერა 07.04.87 წ. დიაგნოზით "შიზოფრენია დუნედმავალი მარტივი ფორმა". 12.08.04-დან 13.09.04-მდე გადიოდა სტაციონარულ მკურნალობას ქალაქის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში დიაგნოზით "რეზიდუალური შიზოფრენია" (ს.ფ. 20). ხოლო 20.05.05-იდან 04.07.05-მდე მკურნალობდა გლდანის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში დიაგნოზით "პარანოიდული შიზოფრენია" (ს.ფ. 21).

საბოლოოდ, კომისია მივიდა დასკვნამდე, რომ არჩილ ლობჟანიძე დაავადებულია ქრონიკული ფსიქიკური დაავადებით - რეზიდუალური შიზოფრენიით (ს.ფ. 22). კომისიის დასკვნით, ამას მოწმობს ანამნეზში არსებული მონაცემები: ჭაბუკობის ასაკიდან ფსიქოპათოლოგიური გამოვლინების, აუტიზმია, ეპიზოდური ბოდვითი აზრებისა და ჰალუცინაციების არსებობა, სოციალური ადაპტაციის დარღვევა. ზემოაღნიშნული დიაგნოზით აღრიცხვა ფსიქონევროლოგიურ დისპანსერში და მრავალჯერადი მკურნალობა ფსიქიატრიულ სტაციონარში. აგრეთვე ამჟამინდელი გამოკვლევებისას გამოვლენილი ფორმალური კონტაქტი, დაუკავშირებელი, გაუგებარი ასოციაციები, ამბივალენტობა, ზედაპირული მსჯელობა, პარალოგიური, ნაკლებპროდუქტიული აზროვნება, ემოციური გასადავება, აპათიურობა, ზედაპირულობა, ფრაგმენტული ბოდვითი გამონათქვამები, ინტერესთა სფეროს შეზღუდვა, პასიურობა და უინიციატივობა, უკრიტიკობა. კომისიის დასკვნით (ს.ფ. 22) არჩილ ლობჟანიძეს არ შეუძლია შეიგნოს თავისი მოქმედების მნიშვნელობა და განაგოს იგი (ქმედუუნარობა).

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-12 მუხლის პირველი ნაწილით ქმედუუნარიანობა არის პირის უნარი, თავისი ნებითა და მოქმედებით სრული მოცულობით შეიძინოს და განახორციელოს სამოქალაქო უფლებების და მოვალეობები, რაც წარმოიშობა სრულწლოვანების მიღწევისას. ამავე მუხლის მე-5 ნაწილით ქმედუუნაროდ მიიჩნევა ასევე პირი, რომელიც ჭკუასუსტობის ან სულით ავადმყოფობის გამო სასამართლოს მიერ ასეთად იქნება აღიარებული. ზემოხსნებული, 2005 წლის 16 სექტემბრის ამბულატორიული სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნა N73-

ით დასტურდება, რომ არჩილ ლობჟანიძეს არ შეუძლია შეიგნოს თავისი მოქმედების მნიშვნელობა და განაგოს იგი. ეს კი წარმოადგენს საკმარის საფუძველს მისი ქმედუუნაროდ აღიარებისთვის. იმის გათვალისწინებითაც, რომ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოც ეთანხმება წარმოდგენილ საექსპერტო დასკვნას (იხ. სხდომის ოქმი).

სარეზოლუციო ნაწილი:

სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 243-ე, 244-ე, 249-ე, 322-ე, 324-ე, 325-ე, 326-ე მუხლებით, სამოქალაქო კოდექსის მე-12 მუხლით და

გადაწყვიტა:

1. ნინო ლობჟანიძის განცხადება დაკმაყოფილდეს;
2. არჩილ ლობჟანიძე, დაბადებული 1958 წლის 19 ივნისს ქ. თბილისში (დაბადების მონაბა გაცემული თბილისის 26 კომისრის მმაჩის ბიუროს მიერ 26.09.1958, სააქტო ჩანაწერით N2453) აღიარებულ იქნეს ქმედუუნაროდ;
3. სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც მოქალაქე აღიარებულია ქმედუუნაროდ, წარმოადგენს საფუძველს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებისათვის მეურვის დასანიშნად;
4. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს აპელაციის წესით 14 დღის ვადაში მხარეზე დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის დღიდან თბილისის საპელაციო სასამართლოში თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მეშვეობით.

მოსამართლე:

ალექსი გაღრაძე



საქმე N2/9498-06

გ ა დ ა ც ყ ვ ე ტ ი ლ ე რ ა
საქართველოს სახელით

"23" ივნისი, 2006 წ.

ქ. თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლოს
სამოქალაქო საქმეთა კოლეგია

მოსამართლე: ალექსი მალრაძე

სხდომის მდივანი: ნათია ბახტაძე

განმცხადებელი - ვიოლეტა ცაგარეიშვილი

წარმომადგენელი - მზია რუხაძე

მოთხოვნა - პირის უგზო-უკვლოდ დაკარგულად გამოცხადება.

აღნერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალქო საქმეთა კოლეგიას 2006 წლის 13 მარტს განცხადებით მიმართა ვიოლეტა ცაგარეიშვილმა და მოითხოვა მისი მეუღლის, თეიმურაზ ცაგარეიშვილის უგზო-უკვ-ლოდ დაკარგულად გამოცხადება. განმცხდებელმა განმარტა, რომ 1987 წლის 16 ივნისს ქორწინების რეგისტრაციაში გატარდა თეიმურაზ ცაგარეიშვილთან. ერთად ცხოვრების პერიოდში შეეძინათ შვილი, თამარ ცაგარეიშვილი, დაბადებული 1989 წლის 1 ივლისს. 2003 წლის 25 მაისს თ. ცაგარეიშვილი სამსახურიდან სახლში აღარ დაბრუნებულა. რამდენიმე წლის შემდეგ ოჯახმა მიმართა შსს ორგანოებს მისი ადგილსამყოფელის დასადგენად, იმავე წელს გამოცხადდა ძებნა, მაგრამ უშედეგოდ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, განმცხადებელი ითხოვს მეუღლის, თეიმურაზ ცაგარეიშვილის, დაბადებული 1960 წლის 7 დეკემბერს, უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებას, მემკვიდრეობის მიღების მიზნით.

სამოტივაციო ნაწილი:

სასამართლომ განიხილა განცხადება, მოისმინა განმცხადებილისა და მისი წარმომადგენლის ახ-სნა-განმარტება და მიიჩნია, რომ განცხადება უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დადგენილია, რომ ვიოლეტა ცაგარეიშვილი და თეიმურაზ ცაგარეიშვილი რე-გისტრირებულ ქორნინებაში იმყოფებოდნენ 1987 წლის 16 ივნისიდან. ერთად ცხოვრების პერი-ოდში შეეძინათ შვილი, თამარ ცაგარეიშვილი, დაბადებული 1989 წლის 1 ივლისს.

2003 წლის 25 მაისს თ. ცაგარეიშვილი გავიდა სახლიდან და აღარ დაბრუნებულა. იმავე წელს გლდანის რაიონის შს სამმართველოს მიერ გამოცხადებულ იქნა ძებნა, მაგრამ თ. ცაგარეიშვილის ადგილსამყოფელის დადგენა ვერ მოხერხდა.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს საინფორმაციო-სა-მისამართო ბიუროს 2005 წლის 20 მაისისა და 2006 წლის 22 ივნისის ცნობების თანახმად თ. ცაგა-რეიშვილი იმყოფება ძებნაში.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის საგამოძი-ებო-ოპერატორული სამმართველოს ინფორმაციით თეიმურაზ ცაგარეიშვილის მიერ 2003 წლის 20 დეკემბრიდან 2006 წლის 21 ივნისამდე სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთის ფაქტი და-ფიქსირებული არ ყოფილა.

განმცხადებლის ახსნა-განმარტების საფუძველზე დგინდება, რომ თ. ცაგარეიშვილი დაკარგვამ-დე მუშაობდა თბილისის აეროპორტში, მაგრამ რადგან მისი დაკარგვიდან გასულია უკვე 3 წელი, განმცხადებლისათვის უცნობია მისი მეუღლის თანამშრომლების ვინაობა.

ვ. ცაგარეიშვილი ასევე, განმარტავს, რომ მეუღლის მშობლები გარდაცვლილები არიან და რად-გან თვითონიგი დროებით ცხოვრობს ქ. ცხინვალში, მეუღლის ნათესავებთან ხშირი ურთიერთო-ბა არ აქვს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის "ბ" პუნქტის თანახმად, უდავო წრმოების წესით სასამართლო განიხილავს საქმეებს მოქალაქის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებისა და მოქალაქის გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 21-ე მუხლის თანახმად, დაინტერესებული პირის განცხა-დების საფუძველზე ფიზიკური პირი შეიძლება სასამართლოს გადაწყვეტილებით აღიარებულ იქ-ნეს უგზო-უკვლოდ დაკარგულად თუ მისი ადგილსამყოფელი უცნობია და ორი წლის მანძილზე იგი არ გამოჩენილა თავის საცხოვრებლ ადგილას.

მოცეულ შემთხვევაში დადგენილია, რომ თ. ცაგარეიშვილის ადგილსამყოფელის შესახებ ცნობე-ბი არ მოიპოვება 2003 წლიდან დღემდე.

სარეზოლუციო ნაწილი:

სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-8; 243-244-ე, 247-248-ე, 257-ე, 364-ე, 369-ე მუხლებით და

გადაწყვიტა:

1. ვიოლეტა ცაგარეიშვილის განცხადება დაკმაყოფილდეს.
2. განმცხადებლის მეუღლე თეიმურაზ ცაგარეიშვილი, დაბადებული 1960 წლის 7 დეკემბერს გა-
მოცხადდეს უგზო-უკვლოდ დაკარგულად.
3. განმცხადებელს წინასწარი სახელმწიფო ბაჟი 30 (ოცდაათი) ლარი საქართველოს ცენტრალურ
ბიუჯეტში გადახდილად ჩაეთვალოს;
4. გადაწყვეტილება საჩივრდება სააპელაციო წესით თბილისის სააპელაციო სასამართლოში
(მდებ: გრ. რობაქიძის N7ა) 14 დღის ვადაში მისი დასაბუთებული ასლის მხარისათვის გადაცე-
მის მომენტიდან თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის მეშვეო-
ბით.

მოსამართლე:

ალექსი მალაძე



საქმე N2/...

გ ა დ ა ც ყ ვ ა ტ ი ლ ე პ ა
საქართველოს სახელით

"24" აგვისტო, 2007

ნ. ქ. თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლოს
სამოქალაქო საქმეთა კოლეგია

მოსამართლე: ალექსი მალრაძე

სხდომის მდივანი: ნათია ბახტაძე

განმცხადებელი	- ვენერა გეგეშიძე
წარმომადგენლის	- მამუკა ჯაშიაშვილი
დაინტერესებული პირი	- საქართველოს თავდაცვის სამინისტრო
წარმომადგენლი	- ლელა ლევანიძე
მოთხოვნა	- პირის კმაყოფაზე ყოფნის ფაქტის დადგენა

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას 2007 წლის 26 მარტს განცხადებით მიმართა ვენერა გეგეშიძემ და აღნიშნა, რომ არის 80 წლის ასაკის პენსიონერი. მისივე განმარტებით, იგი ცხოვრობდა შვილიშვილთან მამუკა ლორიასთან ერთად, რომლის კმაყოფაზეც იმყოფებოდა. 2006 წლის 6 სექტემბერს მისი შვილიშვილი მამუკა ლორია გაიწვიეს სავალდებულო სამხედრო სამსახურში, რის შედეგადაც დარჩა უმეთვალყურეოდ, უმწეო მდგომარეობაში. მანვე მიუთითა, რომ მისი შვილიშვილი მუშაობდა შპს "ელიზი ჯგუფში", სადაც მიღებული შემოსავლებით არჩენდა ოჯახს. სამხედრო სამსახურიდან დაბრუნების შემდეგ მას შეეძლო გაეგრძელებინა სამსახური იმავე სანარმოში და ერჩინა ოჯახი. განმცხადებლის განმარტებით, მისი ერთადერთი მარჩენალი და იმედი იყო მისი შვილიშვილი, რომლის კმაყოფაზეც იმყოფებოდა ჯარში გაწვევამდე, რომლის მასთან ერთად ყოფნაც მას საშუალებას მისცემდა შეემსუბუქებინა მძიმე სოციალური მდგომარეობა. "სამხედრო ვალდებულებისა და სამხედროს სამსახურის შესახებ"

საქართველოს კანონის 30-ე მუხლის პირველი პუნქტის "ვ" ქვეპუნქტის მიხედვით "წვევამდელს გაწვევა გადაუვადდება თუ იგი პატრონობს შრომისუუნარო, მის კმაყოფაზე მყოფ ბებიას ან პა-პას, თუ მას არა ჰყავს სხვა კანონიერი მომვლელი, რომლსაც შეუძლია მისი მოვლა-პატრონობა". აქედან გამომდინარე, ვენერა გეგეშიძემ ითხოვა იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენა მასზედ, რომ ვენერა გეგეშიძე იმყოფება შვილიშვილის მამუკა ლორიას კმაყოფაზე.

დაინტერესებულმა პირმა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ წარმოადგინა მამუკა ლორიას პირადი საქმე და თანხმობა განაცხადა აღნიშნული ფაქტის დადგენაზე.

სამოტივაციო ნაწილი:

სასამართლომ განიხილა რა საქმის მასალები, მოუსმინა რა განმცხადებლის წარმომადგენელს, დაინტერესებული პირის წარმომადგენელს თვლის, რომ განცხადება საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო: განცხადებით, განმცხადებლის წარმომადგენლის ახს-ნა-განმარტებითა და წარმოდგენილი მასალებით დადგენილია, რომ მამუკა ლორია სამხედრო სამსახურში გაიწვიეს 2006 წლის 6 სექტემბერს (ს.ფ. 9). სასამართლო მოწმეთა ჩვენების საფუძველზე ასევე დადგენილად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ მამუკა ლორიას სამხედრო სამსახურში გაწვევამდე მხოლოდ იგი არჩენდა შრომისუუნარო ბებიას. საქმეზე დაკითხულმა მოწმეებმა ასევე უჩვენეს, რომ მამუკა ლორიას გაწვევიდან გაუარესდა განმცხადებლის მატერიალური მდგომარეობა და ჯანმრთელობა. ამდენად, დადგენილი გარემოებებით დასტურდება, რომ განმცხადებელი მამუკა ლორიას კმაყოფაზე იმყოფებოდა.

საქმეში ჩაბმული თავდაცვის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი პირადი საქმიდან დგინდება, რომ მამუკა ლორიას არ ჰყავს და ან ძმა, აგრეთვე მშობლები, რომელთაც შეეძლებოდათ განმცხადებლის რჩენა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 312-ე მუხლის მე-2 ნაწილით სასამართლო განიხილავს საქმეებს პირის კმაყოფაზე ყოფნის ფაქტის დადგენის შესახებ. განმცხადებლის მოთხოვნაა დადგენილ იქნეს ფაქტი რომ ვ. გეგეშიძე იმყოფება მ. ლორიას კმაყოფაზე. საქმის მასალებით, კერძოდ, გამგეობის ცნობით, დასტურდება, რომ ვ. გეგეშიძე იმყოფება მძიმე სოციალური მდგომარეობაში, შერყეული აქვს ჯანმრთელობა, გამომდინარე ყოველივე ზემოთქმულიდან, სასამართლო თვლის, რომ ვ. გეგეშიძე ნამდვილად იმყოფებოდა მ. ლორიას კმაყოფაზე, რის გამოც აღნიშნული ფაქტი დადგენილ უნდა იქნეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

სასამართლომ იხელმძღვანელა რა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 243-ე, 244-ე, 249-ე, 311-ე, 312-ე მუხლებით და

გადაწყვიტა:

1. ვენერა გეგეშიძის განცხადება დაკმაყოფილდეს
2. დადგენილ იქნეს ვენერა გეგეშიძის მამუკა ლორიას კმაყოფაზე ყოფნის ფაქტი;

3. განმცხადებელი გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან.
4. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოში აპელაციის წესით 14 დღის ვადაში მხარეზე დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის დღიდან თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში სააპელაციო საჩივრის წარდგენის მეშვეობით.

მოსამართლე:

ალექსი მაღრაძე



საქმე N2/...

გ ა დ ა ც ყ ვ ე ტ ი ლ ე რ ა
საქართველოს სახელით

"31" აგვისტო, 2007

წ. ქ. თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლოს
სამოქალაქო საქმეთა კოლეგია

მოსამართლე: ალექსი მალრაძე

სხდომის მდივანი: ნათია ბახტაძე

განმცხადებელი - თბილისის სატყეო მეურნეობა

წარმომადგენელი - ზეინაბ კორსანტია

მოთხოვნა - ქონების უპატრონოდ ცნობა.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის სატყეო მეურნეობამ 2007 წლის 12 იანვარს განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას და აღნიშნა, რომ 2006 წლის ივლის-აგვისტოს თვეში თბილისის (ყოფილი გარდაპნის) სატყეო მეურნეობის წყნეთის სატყეოს კვარტალ N2-სა და კვარტალ N23-ში ადგილი ჰქონდა ფიჭვის სახეობის საშეშე მერქნის უკანონო ჭრის ფაქტს. კერძოდ კვარტალ N23-ში მოიჭრა 11 ძირი ფიჭვის სახეობის საშეშე ხე-ტყე მოცულობით 1,365 კბმ და კვარტალ N23გ-ში 14 ძირი ფიჭვის სახეობის საშეშე ხე-ტყე მოცულობით 1,921 კბმ. აღნიშნული ხე-ტყე ჩაბარდა შესანახად სატყეო დეპარტამენტის საწყობს. მიუხედავად გატარებული ღონისძიებებისა, უკანონოდ მჭრელების ვინაობა დაუდგენელი დარჩა, ამასთან აღნიშნული ხე-ტყეს საკუთრებაზე პრეტენზია არავის განუცხადებია, რის გამოც განმცხადებლის აზრით, მესაკუთრე შეიძლება იყოს მხოლოდ სახელმწიფო. განმცხადებელმა საბოლოოდ მოითხოვა ზემოაღნიშნული ფიჭვის სახეობის საშეშე მერქნის უპატრონოდ ცნობა და მისთვის გადაცემა.

სამოტივაციო ნაწილი:

სასამართლომ განიხილა რა ზემოხსენებული განცხადება, მოუსმინა რა განმცხადებლის წარმო-

მადგენელს, თვლის, რომ განცხადება საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემო-ებათა გამო.

საქმეში წარმოდგენილი მასალებით, კერძოდ, დათვალიერების და აღნერის ოქმებით დგინდება, რომ კვარტალ N2ბ-ში მოიჭრა 11 ძირი ფიჭვის სახეობის საშეშე ხე-ტყე მოცულობით 1,365 კბმ და კვარტალ N23გ-ში 14 ძირი ფიჭვის სახეობის საშეშე ხე-ტყე მოცულობით 1,921 კბმ. შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით დადგენილია ისიც, რომ ვერ იქნა გამოვლენილი ხე-ტყის მესაკუთრე ან მისი უკანონო მჭრელი. 2007 წლის 21 თებერვალს გაკეთებულ საჯარო პუბლიკაციას გაზეთ "საქართველოს რესპუბლიკაში" შედეგი არ მოჰყოლია და მას დაინტერესებული პირი არ გამოხმაურებია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 340-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე დაკითხულმა პირებმა სატყეოს უფროსმა და მორიგე ტყის მცველმა აღნიშნეს, რომ მათვის უცნობია ხე-ტყის მესაკუთრის ვინაობა და დაადასტურეს განცხადებაში აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებები.

აქედან გამომდინარე სასამართლო მიდის დასკვნამდე რომ ზემოაღნიშნულ ხე-ტყე მიტოვებულია. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 341-ე მუხლით თუ სასამართლო ცნობს, რომ ქონებას არ ჰქონის მესაკუთრე ან ეს ქონება მიტოვებულია მესაკუთრის მიერ იმ განზრახვის გარეშე, რომ შეინარჩუნოს ამ ქონებაზე საკუთრების უფლება, მას გამოაქვს გადაწყვეტილება მოძრავი ქონების უპატრონოდ ცნობისა და მისი იმ პირის საკუთრებაში გადაცემის შესახებ, რომელიც დაეუფლა ქონებას.

სარეზოლუციო ნაწილი:

სასამართლომ იხელმძღვანელა რა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 243-ე, 244-ე, 249-ე, 257-ე, 340-ე, 341-ე მუხლებით და

გადაწყვიტა:

1. თბილისის სატყეო მეურნეობის განცხადება დაკმაყოფილდეს;
2. სატყეო მეურნეობის საწყობში არსებული 11 ძირი ფიჭვის სახეობის საშეშე ხე-ტყე მოცულობით 1,365 კბმ და 14 ძირი ფიჭვის სახეობის საშეშე ხე-ტყე მოცულობით 1,921 კბმ ცნობილ იქნეს უპატრონოდ და გადაეცეს თბილისის სატყეო მეურნეობას.
3. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოში აპელაციის წესით 14 დღის ვადაში მხარეზე დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში სააპელაციო საჩივრის წარდგენის მეშვეობით.

მოსამართლე: **ალექსი გაღრაძე**

ნიუკლი 10

N3გ/ად-204-კ-02

გ ა ნ ჩ ი ნ ე კ ა
საქართველოს სახელით

"4" ნოემბერი, 2002 წ.

ქ. თბილისი

**უზენაესი სასამართლოს
დიდი პალატა**

კასატორი

- თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, წარმომადგენელი მარიამ ფრი დონაშვილი.

მოწინააღმდეგე მხარე - ელდარ ლვინიაშვილი, წარმომადგენელი ნიაზ ჯავახიშვილი.

დავის საგანი

- კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და საქმის წარმოების განახლება.

გასაჩივრებული განჩინება - თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2002 წლის 26 აპრილის განჩინება.

აღწერილობითი ნაწილი:

2001 წლის 27 მარტს ე. ლვინიაშვილმა განცხადებით მიმართა ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს და მიუთითა, რომ თბილისში, დელისის ქ. N1ა-ს მიმდებარე ტერიტორიაზე 1980 წლიდან ფლობს 870 კვ.მ მიწის ნაკვეთს, მაგრამ მის დაკანონებაზე უარს ეუბნებიან არქიტექტურისა და მიწის მართვის სამსახურები, რის გამოც განცხადებელმა მოითხოვა აღნიშნული ტერიტორიის, 870 კვ.მ მიწის ნაკვეთის ფლობის, როგორც იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის, დადგენა (ს.ფ. 1 საქმე N2/1271.2001 წ.).

თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2001 წლის 5 აპრილის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა ე. ლვინიაშვილის განცხადება და დადგენილი იქნა იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტი, რომ ე. ლვინიაშვილი ქ. თბილისში, დელისის ქ. N1-ის მიმდებარე ტერიტორიაზე 1980 წლიდან ფლობს დაახლოებით 870 კვ.მ მიწის ნაკვეთს (ს.ფ. 15 საქმე N2/1271 2001წ.).

2001 წლის 1 ნოემბერს ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს განცხადებით მიმართა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორმა, რომელმაც იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის შესახებ ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2001 წლის 5 აპრილის გადაწყვეტილების ბათილად ცნობა მოითხოვა იმ მოტივით, რომ სადავო მინის ნაკვეთი 1967 წლის 4 ივნისის თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის N47 გადაწყვეტილებითა და თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 1998 წლის 26 ოქტომბრის N19.34.457 დადგენილებით დაუმაგრდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს, რის საფუძველზეც შექმნილია საკადასტრო რუკა და ამდენად, მინის ნაკვეთი მას ეკუთვნის (ს.ფ. 1-2, 4-7, საქმე N3ბ/767-02).

ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2001 წლის 25 დეკემბრის განჩინებით სამედიცინო უნივერსიტეტს უარი ეთქვა განცხადების დაკმაყოფილებაზე, რაც საპელაციო წესით გაასაჩივრა სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა (ს.ფ. 29, 32-33).

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2002 წლის 26 აპრილის განჩინებით არ დაკმაყოფილდა სააპელაციო საჩივარი და შემდეგი მოტივით უცვლელად დარჩა ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს განჩინება:

1. საოლქო სასამართლომ დადასტურებულად ცნო, რომ თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 1998 წლის 26 ოქტომბრის N19.34.457 დადგენილებით თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს დაუმაგრდა ადმინისტრაციული შენობის მიერ დაკავებული დაახლოებით 7,5 ჰა მინის ნაკვეთი ასათიანის ქ. N7-ში (ს.ფ. 5). ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2001 წლის 5 აპრილის გადაწყვეტილებით კი დადგენილ იქნა, რომ ე. ღვინიაშვილი დელისის ქ. N1-ის მიმდებარე ტერიტორიაზე ფლობს 870 კვ.მ მინის ნაკვეთს. საკადასტრო რუკის მიხედვით სამედიცინო უნივერსიტეტი წარმოადგენს 80 935 კვ.მ მინის ნაკვეთის მოსარგებლეს, ნაცვლად თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის ზემოაღნიშნული დადგენილებით დამაგრებული 7,5 ჰა მინის ნაკვეთისა (ს.ფ. 7);
2. სააპელაციო სასამართლომ ყურადღება იმ გარემოებაზეც გაამახვილა, რომ საკადასტრო რუკა არ არის დამოწმებული სახელმწიფო რეგისტრაციონის ბეჭდით. საქმეში არ მოიპოვება მინის სარეგისტრაციო ბარათი, რაც თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის N19.34.457 დადგენილებით სამედიცინო უნივერსიტეტისათვის დამაგრებული 7,5 ჰა მინის ნაკვეთის სამართლებრივი მდგომარეობის განსაზღვრის ძირითადი იურიდიული საფუძველია;
3. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, დელისის ქ. N7-ის მიმდებარე 870 კვ.მ მინის ნაკვეთი, რომელზეც ე. ღვინიაშვილს დაუდგინდა სარგებლობით ფლობის ფაქტი, წარმოადგენს მუნიციპალიტეტის დადგენილებით უნივერსიტეტისათვის დამაგრებული 7,5 ჰა ნაკვეთის მეზობელ მინის ნაკვეთს, რის გამოც კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება აპელანტის კანონიერ უფლებებზე გავლენას ვერ მოახდენს;
4. სააპელაციო სასამართლო დაეყრდნო "საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ" კანონის 44-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ა" ქვეპუნქტს, რომლის თანახმად თბილისის ტერიტორიის ფარგლებში არსებული მინისა და სხვა ბუნებრივი რესურსების გამოყენების, დაცვისა და კონფრონტის წესების განსაზღვრა თბილისის საკრებულოს კომპეტენციაა, ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" ქვეპუნქტის მიხედვით, მინის რესურსებით სარგებლობის წესების დაცვა თბი-

ლისის მმართველობითი ორგანოს ფუნქციაა. ამდენად, სააპელაციო პალატის აზრით, მოცე-მულ საქმეზე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის "ბ" პუნქტით გათვალისწინებულ დაინტერესებულ მხარეს წარმოადგენს ქ. თბილისის მერია და არა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი (ს.ფ. 48-51).

თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინებას საკასაციო წესით ასაჩივრებს სახელმწიფო სა-მედიცინო უნივერსიტეტის რექტორი და შემდეგი საფუძვლით ითხოვს მის გაუქმებას:

1. კასატორს მიაჩნია, რომ თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის 1967 წლის N47 გადაწყვეტილებისა და თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 1998 წლის 26 ოქ-ტომბრის N19.34.457 დადგენილების საფუძველზე იგი წარმოადგენს დაინტერესებულ მხარეს, რადგან სადაც ნაკვეთი უნივერსიტეტს დაუმაგრდა;
2. კასატორის განმარტებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 312-313-ე მუხლების თანახმად სასამარ-თლო იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტს ადგენს მხოლოდ ამ ფაქტების დამა-დასტურებელი საბუთების სხვა წესით მიღების ან დაკარგული საბუთების აღდგენის შეუძლებ-ლობის შემთხვევაში, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია;
3. კასატორი მიუთითებს, რომ საკადასტრო რუკის მიხედვით სამედიცინო უნივერსიტეტი წარ-მოადგენს 80 935 კვ.მ მიწის ნაკვეთის მოსარგებლეს. თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის ზემოაღნიშნული დადგენილებით უნივერსიტეტს დაუმაგრდა დაახლოებით 7,5 ჰა მიწის ნაკვე-თი, სასამართლომ კი არ გაითვალისწინა არსებული პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც სწორედ საკადასტრო რუკით ხდება გამოყოფილი მიწის ნაკვეთის დაზუსტება. საკადასტრო რუკა ბეჭ-დითაა დამოწმებული, რასაც ასევე არ მიაქცია სასამართლომ ყურადღება (ს.ფ. 63-65).

მოწინააღმდეგე მხარემ - ე. ლვინიაშვილმა და მისმა წარმომადგენელმა საკასაციო საჩივარი არ ცნეს, უსაფუძვლობისა და დაუსაბუთებლობის მოტივით მოითხოვეს მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა და თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასა-ხადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2002 წლის 26 აპრილის განჩინების უცვლელად დატოვება. ამასთან, მოწინააღმდეგე მხარემ აღნიშნა, რომ ამჟამად სადაც 870 კვ.მ მიწის ნაკვეთი უკვე პრი-ვატიზებული აქვს და ამდენად, მის კერძო საკუთრებას წარმოადგენს.

სამოტივაციო ნაწილი:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა საქმის მასალების გაცნობის, მხარეთა ახ-სნაგანმარტებების მოსმენის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლისა და გასაჩივრე-ბული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტის საკასაციო საჩივარი და განცხადება უნდა დაკმაყოფილ-დეს, გაუქმდეს თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასა-ხადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2002 წლის 26 აპრილის განჩინება, ბათილად იქნეს ცნობილი თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამარ-თლოს 2001 წლის 5 აპრილის გადაწყვეტილე-ბა იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის შესახებ, განახლდეს საქმის წარმოება და

განსახილველად დაუბრუნდეს რაიონულ სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2001 წლის აპრილის გადაწყვეტილებით მხოლოდ მოწმეთა ჩვენებებზე დაყრდნობით სასამართლომ დააკმაყოფილა ე. ღვინიაშვილის განცხადება იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის შესახებ და დაადგინა 1980 წლიდან თბილისში, დელისის ქ. N1-ის მიმდებარე ტერიტორიაზე, განმცხადებლის მიერ დაახლოებით 870 კვ.მ მიწის ნაკვეთის ფლობის ფაქტი. გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ სასამართლოს მიმართა და მიწის ნაკვეთზე პრეტენზია განაცხადა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა, რომელსაც თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის 1967 წლის 4 ივნისის N47 გადაწყვეტილებითა და თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 1998 წლის 26 ოქტომბრის N19.34.457 დადგენილებით, მიმდებარე ტერიტორიაზე - ასათიანის ქ. N7-ში დაუმაგრდა დაახლოებით 7,5 ჰა მიწის ნაკვეთი.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს მიაჩნია, რომ იგი სადავო მიწის ნაკვეთის კანონიერი მფლობელია და იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენით შეილახა მისი უფლება. უნივერსიტეტი ე. ღვინიაშვილთან სამეზობლო სამართალურთიერთობის სუბიექტია, ამიტომ დიდი პალატის აზრით, სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი არის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 311-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დაინტერესებული პირი, რომელსაც აქვს ე. ღვინიაშვილთან შედავების პროცესუალური უფლება (რომლის საფუძვლიანობაც შემდგომ უნდა გადაწყდეს) და რადგან ვაკე-საბურთა-ლოს რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის შესახებ უკვე კანონიერ ძალაშია შესული, უნივერსიტეტი ასევე უნდა ჩაითვალოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის "ბ" პუნქტით გათვალისწინებულ დაინტერესებულ პირად; მისი განცხადება იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის შესახებ რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების ბათილად ცნობაზე დასაშვებია და უნდა დაკმაყოფილდეს; შესაბამისად, უნდა გაუქმდეს თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2002 წლის 26 აპრილის განჩინება, რადგან სააპელაციო პალატამ არასწორად განმარტა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 311-315-ე მუხლები და 422-ე მუხლის "ბ" პუნქტი, რაც ამავე კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის "გ" პუნქტის მიხედვით გადაწყვეტილების გაუქმების უდავო საფუძველია; ბათილად უნდა იქნეს ცნობილი თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2001 წლის 5 აპრილის გადაწყვეტილება იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის შესახებ და საქმე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 311-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, განსახილველად დაუბრუნდეს ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს.

ამასთან, იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების უდავო წარმოების წესით დადგენასთან დაკავშირებით დიდი პალატა განმარტავს:

1. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 312-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად "სასამართლო ადგენს ფაქტებს, რომლებზეც დამოკიდებულია მოქალაქეთა და ორგანიზაციათა პირადი ან ქონებრივი უფლებების წარმოშობა, შეცვლა ან მოსპობა". ამდენად, საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს მხოლოდ ისეთი იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენას, რომელთაც სამართლებრივად რაიმე იურიდიული შედეგი, უფლებების წარმოშობა, შეცვლა ან მოსპობა მოჰყვება და უფლების გარეშე მფლობელობის მარტოოდენ ფაქტის დადგენა დაუშ-

ვებელია. ამიტომ კოდექსის 315-ე მუხლი იმპერატიულად მიუთითებს, რომ განცხადებაში იურიდიული მნიშვნელობის ფაქტის დადგენის შესახებ უნდა აღინიშნოს, რა მიზნისათვის სჭირდება განცხადებელს ამ ფაქტის დადგენა.

იურიდიული ფაქტის დადგენის შესახებ განცხადებაში იმ მიზანზე მითითება, რისთვისაც განცხადებელს ამ ფაქტის დადგენა სჭირდება, წარმოადგენს სასამართლოს მიერ განცხადების წარმოებაში მიღებისა და განხილვის ერთ-ერთ აუცილებელ წინაპირობას. სასამართლომ უნდა შეამოწმოს, მართლა უკავშირებს თუ არა კანონი დასადგენ ფაქტს იმ შედეგს, რომლის დადგომაც განცხადებელს სურს. თუ შემოწმების შედეგად აღმოჩნდება, რომ იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენით განცხადებლის მიზანი ვერ იქნება განხორციელებული, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 187-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლომ უნდა გამოიტანოს განჩინება განცხადების მიღებაზე უარის თქმის შესახებ, ხოლო თუ განცხადებლის მიზნის მიუღწევლობა განცხადების წარმოებაში მიღების შემდეგ გაირკვევა, დატოვოს იგი განუხილველად, თანახმად ამავე კოდექსის 275-ე მუხლისა.

საქმის მასალებით ირკვევა, რომ ე. ღვინიაშვილის განცხადებაში არ იყო აღნიშნული, თუ რა მიზნისათვის სჭირდებოდა მას სადავო მიწის ნაკვეთის ფაქტობრივი ფლობის დადგენა და არც სასამართლო დაინტერესებულა, განცხადებლის რა მიზანს ემსახურებოდა ამ ფაქტის დადგენა, რაც დიდი პალატის აზრით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 312-ე და 315-ე მუხლების უგულებელყოფაა. რადგან განცხადება არ პასუხობდა კოდექსის 315-ე მუხლის მოთხოვნას, სასამართლოს თავისი განჩინებით ვადა უნდა დაენიშნა ხარვეზის შესავსებად, ხოლო თუ ხარვეზი მითითებულ ვადაში არ იქნებოდა შევსებული, 185-ე მუხლის მიხედვით სასამართლოს უნდა გამოეტანა განჩინება იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის შესახებ განცხადების უმოძრაოდ დატოვების თაობაზე.

2. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 312-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ი" პუნქტის საფუძველზე დადგინდა 870 კვ.მ სადავო მიწის ნაკვეთის ფლობის ფაქტი, რაც, დიდი პალატის აზრით, დაუშვებელია და კანონის უხეში დარღვევაა, ვინაიდან მითითებული ნორმის თანახმად "სასამართლო განიხილავს საქმეებს იურიდიული მნიშვნელობის მქონე სხვა ფაქტების დადგენის შესახებ, თუ კანონმდებლობა არ ითვალისწინებს მათი დადგენის სხვა წესს". ე. ღვინიაშვილი ითხოვდა უძრავი ნივთის, 870 კვ.მ მიწის ნაკვეთის, 1980 წლიდან ფლობის შესახებ იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენას. მიწის ფლობა-სარგებლობის საკითხი რეგულირებული იყო როგორც 1980 წლისათვის მოქმედი სამოქალაქო სამართლისა (1964 წლის) და მიწის კოდექსებით (1971 წლის), ასევე მკაცრად რეგლამენტირებულია ამჟამად მოქმედი მიწის კანონმდებლობით: "მიწის რეგისტრაციის შესახებ" 1996 წლის კანონით, "სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის შესახებ" 1998 წლის კანონით, "ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ" 1998 წლის კანონით, ასევე - საქართველოს სამოქალაქო კოდექსით (1997 წლი). ამდენად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 312-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ე" და "ი" ქვეპუნქტების საფუძველზე იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენის სახით მიწაზე რაიმე უფლების დადგენა პროცესუალურად დაუშვებელია.

3. სასამართლომ იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის სახით, ზემოაღნიშნული კანონმდებლობის იგნორირებით, სამართლებრივი საფუძვლების გარეშე, მხოლოდ მოწმეთა ჩვენებებზე

დაყრდნობით დაადგინა ე. ლვინიაშვილის მიერ 870 კვ.მ მიწის ნაკვეთის ფაქტობრივი მფლობელობა. სამოქალაქო კოდექსის 155-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით "მფლობელობა წარმოიშობა ნივთზე ფაქტობრივი ბატონობის ნებითი მოპოვებით", ხოლო ამავე კოდექსის 156-ე მუხლის თანახმად "მფლობელობა შეწყდება, თუ მფლობელი სამუდამოდ თმობს ნივთს ან სხვა გზით კარგავს ნივთზე ფაქტობრივ ბატონობას". აღნიშნულიდან გამომდინარე, თუ პირი ფაქტობრივად ფლობს ნივთს, იგი უკვე ითვლება ამ ნივთის მფლობელად და რაიმე დადასტურება სასამართლო გადაწყვეტილებით საჭირო არ არის, ხოლო თუ პირი ფაქტობრივად არ ფლობს ნივთს, სასამართლო გადაწყვეტილებით ნივთზე ფაქტობრივი მფლობელობა აღიარებული და დადასტურებული ვერ იქნება.

დიდი პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემობაზეც, რომ სასამართლომ მხოლოდ მოწმეთა ზეპირი განმარტებებით ისე დაუდგინა ე. ლვინიაშვილს სადავო მიწის ნაკვეთის ფლობის ფაქტი, რომ არ გამოუკვლევია, სამოქალაქო კოდექსის 159-ე მუხლის თანახმად, განმცხადებელი იყო თუ არა მიწის კეთილსინდისიერი მფლობელი, მართლზომიერად ფლობდა თუ არა იგი სადავო ქონებას და რა იყო მისი ფლობის სამართლებრივი საფუძველი. ე. ლვინიაშვილმა ვერ მიუთითა სადავო მიწის ნაკვეთის მართლზომიერად ფლობის რაიმე სამართლებრივ საფუძველზე, ამიტომ პალატას მიაჩინა, რომ ვაკე-საბურ-თალოს რაიონული სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით არაკეთილსინდისიერ მფლობელს - ე. ლვინიაშვილს დაუდგინდა არამართლზომიერ მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვე-თის ფლობის ფაქტი, რაც დაუშვებელი და აშკარად კანონსაწინააღმდეგოა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დიდი პალატა განმარტავს, რომ იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენის დროს, მიუხედავად უდავო წარმოებისა, სასამართლომ საკუთარი ინიციატივით უნდა გამოიკვლიოს და შეამოწმოს განმცხადებლის კეთილსინდისიერი მფლობელობის საკითხი და ვალდებულია იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენის შესახებ გადაწყვეტილებაში მიუთითოს მფლობელობის სამართლებრივ საფუძველზე.

4. უდავო წარმოების წესით სასამართლოს შეუძლია დაადგინოს არა ნივთზე განმცხადებლის უშუალოდ მფლობელობის ან საკუთრების (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 132-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ე" ქვეპუნქტი) უფლება, არამედ ფაქტი, რომ განმცხადებელს გააჩნდა მფლობელობის (საკუთრების) და მადასტურებელი დოკუმენტები ან ეს დოკუმენტები სხვა პირთან ინახებოდა, მაგრამ შემდგომში ისინი დაიკარგა ან სხვადასხვა მიზეზთა გამო განადგურდა და საჭიროა მათი აღდგენა. ამიტომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 313-ე მუხლი იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენისათვის აუცილებელ პირობად ითვალისწინებს ამ ფაქტების დამადასტურებელი საბუთების სხვა წესით მიღების ან დაკარგული საბუთის აღდგენის შეუძლებლობას. ამასთან, იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის შესახებ განცხადებაში პირს არ შეუძლია შემოიფარგლოს მხოლოდ დაუსაბუთებელი მითითებით, რომ სხვა წესით ვერ შეძლო ამ ფაქტის დადგენა, რადგან კოდექსის 315-ე მუხლი იმპერატიულად ადგენს, რომ განცხადებასთან ერთად "წარმოდგენილი უნდა იყოს მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ განმცხადებლის მიერ სათანადო საბუთების მიღების ან დაკარგული საბუთების აღდგენის შეუძლებლობას".

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 313-ე, 315-ე მუხლების მოთხოვნებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2002 წლის 20 თებერვლის განჩინება განმარტავს (საქმე N 3კ/271-02), მაგრამ დიდი პალატა დამატებით მიუთითებს, რომ კოდექსის 315-ე მუხლით გათვალისწინებულ მტკიცებულებას შეიძლება წარ-

მოადგენდეს სხვადასხვა იურიდიული პირების ცნობები, რომ მათ ასეთი ფაქტის დადასტურების უფლებამოსილება არ გააჩნიათ ან ფაქტის იმის გამო ვერ დაადასტურებენ, რომ განადგურდა შესაბამისი ჩანაწერები, საარქივო მასალები, დოკუმენტები, რომელთა საფუძველზეც შესაძლებელი იქნებოდა ფაქტის დამადასტურებელი ცნობის გაცემა. განსახილველ შემთხვევაში ე. ღვინიაშვილის მიერ არ არის დაცული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 315-ე მუხლის მოთხოვნა განცხადებაზე სათანადო მტკიცებულებების დართვის შესახებ, რაც, დიდი პალატის აზრით, უხეში პროცესუალური დარღვევაა და ასეთი მტკიცებულებების წარმოდგენის გარეშე იურიდიული ფაქტის დადგენის შესახებ განცხადების განხილვა დაუშვებელია.

5. იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის სახით ე. ღვინიაშვილს უდავო წარმოების წესით, მართლზომიერი მფლობელობის საკითხის გარკვევის გარეშე, სასამართლომ დაუდგინა თბილისში, დელისის ქუჩაზე მდებარე 870 კვ.მ მიწის ნაკვეთის 1980 წლიდან ფლობის ფაქტი. იმუამად მოქმედი სამოქალაქო სამართლის კოდექსის 93-ე მუხლის პირველი ნაწილითა და მიწის კოდექსის მე-4 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მიწა წარმოადგენდა განსაკუთრებულ სახელმწიფო საკუთრებას და იგი გაიცემოდა მხოლოდ სარგებლობისათვის. ამასთან, აკრძალული იყო ყოველგვარი ქმედება, რომელიც პირდაპირი თუ ფარული ფორმით არღვევდა მიწაზე სახელმწიფო საკუთრების უფლებას.

ვინაიდან ე. ღვინიაშვილმა სასამართლოს ვერ მიუთითა 1980 წლიდან სადავო მიწის ნაკვეთის მის მიერ მართლზომიერად ფლობის რაიმე სამართლებრივ საფუძველზე, სადავო მიწა წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებას და მისი ფლობისა და განკარგვის კომპეტენცია აქვთ მხოლოდ ქალაქ თბილისის მმართველობით ორგანოებს. რადგან საქმეში არ მოიპოვება სამოქალაქო კოდექსის 184-ე მუხლის შესაბამისად, საჯარო რეესტრში რეგისტრირებული უფლებამოსილი პირის განცხადება ამ მიწაზე საკუთრების უფლების მიზოვების შესახებ, რომელიც სავალდებულო ძალას მხოლოდ რეგისტრაციის შემდეგ შეიძენდა და ამდენად, სახელმწიფოს უარი არ უთქვამს მიწის საკუთრებაზე, იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის ფორმით ე. ღვინიაშვილისათვის მიწის ნაკვეთის ფლობის დადგენა აშკარად კანონსაწინააღმდეგო იყო.

6. "საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ" კანონის 44-ე მუხლის პირველი ნაწილის "ა" პუნქტის თანახმად თბილისის ტერიტორიის ფარგლებში არსებული მიწის გამოყენება, დაცვა და კონტროლი თბილისის მერიის კომპეტენციაა, ამიტომ, დიდი პალატის აზრით, განცხადების განხილვისას სასამართლო ვალდებული იყო, უდავო წარმოების შესახებ ეცნობებინა თბილისის მერიისათვის, რათა მას კომპეტენტური ორგანოების მეშვეობით შეძლებოდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 311-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული უფლების რეალიზაცია. მითითებული ნორმის თანახმად

"თუ უდავო წარმოების წესით საქმის განხილვისას აღიძვრება დავა ისეთი უფლების შესახებ, რომლებიც სასამართლოს უწყებრივად ექვემდებარება, სასამართლო განცხადებას განუხილველად დატოვებს და დაინტერესებულ პირებს განუმარტავს, რომ მათ უფლება აქვთ წარმოადგინონ სარჩელი საერთო საფუძველზე".

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 311-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე სასამართლოს მოვალეობა და დაინტერესებულ პირთა პროცესუალური უფლებები საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2002 წლის 5 ივლისის გადაწყვეტილებითაც არის განმარტებული (საქმე N 3კ/661-02), მაგრამ დიდი პალა-

ტა დამატებით მიუთითებს: იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის შესახებ გა- დაწყვეტილების გამოტანამდე სასამართლო ვალდებულია, უდავო წარმოების შესახებ შეატყო- ბინოს სავარაუდოდ დაინტერესებულ ყველა პირს და პროცესუალურად მისცეს მათ საშუალება, დროულად განაცხადონ თავიანთი დაინტერესებისა და საქმის სასარჩელო წესით განხილვის შესახებ. ამ მოთხოვნის დაუცველობის შემთხვევაში, თუ იურიდიული მნიშვნელო- ბის მქონე ფაქტის დადგენის შესახებ დაინტერესებულ პირთათვის (რომლებსაც მიაჩნიათ, რომ ამ ფაქტის დადგენით მათი უფლება შეიღახა) ცნობილი გახდა გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ, მათ უფლება აქვთ რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივრონ სააპელა- ციონ წესით, მოითხოვონ გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის საერთო სასარჩელო წესით გან- ხილვა, ხოლო, თუ გადაწყვეტილება იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის შესახებ უკვე კანონიერ ძალაშია შესული, დაინტერესებულ პირებს, მსგავსად თბილისის სა- ხელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისა, შეუძლიათ გადაწყვეტილების გამომტან სასამართ- ლოს მიმართონ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის "ბ" პუნქტის საფუძველზე და მოითხოვონ ამ გადაწყვეტილების ბათილად ცნობა.

7. იურიდიული მნიშვნელობის ფაქტის დადგენის შესახებ განცხადებაში ე. ღვინიაშვილი აღნიშ- ნავდა, რომ არქიტექტურისა და მიწის მართვის სამსახურები უარს ეუბნებოდნენ მიწის დაკა- ნონებაზე და რადგან მიწის სადაცობის შესახებ სასამართლოსათვის იმთავითვე გახდა ცნობილი, უდავო წარმოების წესით, იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის გზით, სადავო ნაკვეთზე ე. ღვინიაშვილის მფლობელობის ფაქტის დადგენა, დიდი პალატის აზ- რით, პროცესუალურად დაუშვებელი იყო და კანონის უხეშ დარღვევას წარმოადგენს. რაიონუ- ლი სასამართლო, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 187-ე მუხლის ანალოგიურად, ვალდებული იყო განჩინება გამოეტანა იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის შესახებ განცხადების მიღებაზე უარის თქმის თაობაზე და ე. ღვინიაშვილისათვის განემარტა, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის .გ. პუნქტის თანახ- მად მას შეეძლო გაესაჩივრებინა არქიტექტურისა და მიწის მართვის სამსახურების უარი მი- ნის დაკანონებაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინის- ტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე, 430-ე მუხლებით და

დაადგინა:

1. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახა- დო საქმეთა სააპელაციო პალატის 2002 წლის 26 აპრილის განჩინება;
3. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის განცხადება დაკმაყოფილდეს;
4. ბათილად იქნეს ცნობილი თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2001 წლის

5 აპრილის გადაწყვეტილება, განახლდეს საქმის წარმოება და საქმე განსახილველად დაუბრუნდეს ვაკე-საბურთა-ლოს რაიონულ სასამართლოს;

5. უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

შენიშვნებისთვის

შენიშვნებისთვის

საქართველოს უზენაესი სასამართლო

0110 თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. N32

ტელ: 93 12 62; ფაქსი: 92 08 76

www.supremecourt.ge